

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში

სამეცნიერო გამოცემა

*ედვინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს*



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

წინამდებარე წიგნი ეძღვნება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს. თავისი შინაარსით, წიგნი სამეცნიერო ხასიათისაა და შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში მოკლედაა გადმოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტატისტიკური მეცნიერების სწავლებისა და სტატისტიკის კათედრის ისტორია, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს კათედრის ახლანდელი და ყოფილი თანამშრომლების სამეცნიერო ნაშრომებს. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიების თემატიკა მეტად ფართოა და სხვადასხვა მოვლენის სტატისტიკური კვლევის შედეგებია მოცემული. აღსანიშნავია, რომ მრავალი სტატია მომზადებულია კათედრის დოქტორანტების თანაავტორობით.

სარედაქციო კოლეგია: სიმონ გელაშვილი (თავმჯდომარე), ქეთევან მარშავა, მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე, მერაბ ხმალაძე, მარინა მუჩიაშვილი, მათა გიორგობიანი, ზამირა შონია, ირინე მაისურაძე, ქეთევან ჩიტალაძე.

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თეიმურაზ ბერიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მირიან ტუხაშვილი

იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის სარედაქციო კოლეგიის დადგენილებით.

© სარედაქციო კოლეგია, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0179, 0. შავაშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-270-8

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Teaching Statistics and Statistical Researches in Georgia

Scientific Publication

Dedicated to the 100th anniversary of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University



Publishing House "UNIVERSAL"

Tbilisi 2018

სარჩევი
Contents

83

წინასიტყვაობა	7
Preface	
ნაწილი I. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის მოკლე ისტორია	8
Part I. A Brief history of the Statistics Department of Tbilisi State University	
ნაწილი II. სამეცნიერო ნაშრომები	22
Part II. Scientific Works	
აბესაძე ნინო	
გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში	22
Global Indexes and Tourism Development in Georgia	
აბესაძე ნინო, აბესაძე ოთარი, ლორთქიფანიძე ეკატერინე	
სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი	36
Correlation-regressive analysis of factors acting on the number of criminal offenses	
ასლამაზიშვილი ნანა	
სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ინოვაციური მოდელი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკისთვის	41
Innovative Statistical Business Process Model for Monetary and Financial Statistics	
ახვლედიანი ნონა, ვირსალაძე ნაირა, ონიანი ივლია	
ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები	51
Economic-statistical analysis of the sphere of tourism and its basic directions	
გელაშვილი სიმონი	
ახალი პროდუქტების გაყიდვის პროგნოზირების ზოგიერთი მოდელი	61
Some Models of Forecasting of Selling New Products	
გელაშვილი სიმონი, სილაგაძე ლევანი	
სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება და განვითარება გერმანიაში.....	70
Formation and Development of Official Statistics in Germany	
გიორგობიანი მაია	
ინფორმაციოლოგიური რევოლუციების ისტორიული ეპოქების მეცნიერული კვლევის საკითხისათვის	82
For the question of the scientific study of the historical epochs of informatiological revolutions	
დაუშვილი მერი	
საბაჟო სტატისტიკის განვითარებისა და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპები საქართველოში.....	87
Development of Customs Statistics and the Stages of Customs Legislation Amendments in Georgia	

თოდრამე გოგიტა	
მდგრადი ენერგეტიკის სტატისტიკური ასპექტები საქართველოში	92
Statistical Aspects of Sustainable Energy in Georgia	
მარშავა ქეთევანი, მაკალათია ირაკლი	
სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში	96
Analysis of poverty statistics in Georgia	
მარშავა ქეთევანი, ფარჯიანი შორენა	
სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და მისი შედეგები.....	104
Government program „produce in Georgia” and its results	
მარშავა ქეთევანი, კიკორია გიგა	
ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური ზრდა	114
Tourism development and economic growth	
მინდორაშვილი მარინე	
შინამეურნეობების სექტორის საკვანძო მაჩვენებლების როლი მაკროეკონომიკურანალიზში	122
The Role of Key Indicators of the Household Sector in Macroeconomic Analysis	
მინდორაშვილი მარინე, ბენაშვილი ინგა	
წარმოების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები საქართველოში სექტორების მიხედვით.....	131
Compilation Issues of Production Account by Sectors in Georgia	
მიქელაძე გიორგი	
პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდებით საქართველოს მთლიანი ინვესტიციების სამომავლო მნიშვნელობების გამოთვლის შესაძლებლობები	135
Possibility to calculate the future value of Georgia's total investment with quantitative methods of Forecasting	
მურიაშვილი მარინა	
საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება	145
Assessment of Georgia's State Debt Sustainability	
მურიაშვილი მარინა, რუხაძე სოფიო	
ფისკალური მდგრადობისა და ფისკალური რისკების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში	152
Statistical analysis of fiscal sustainability and Fiscal Risks in Georgia	
რობიტაშვილი ნატალია	
საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები	161
Social-economic aspects of demographic aging of Georgian population	
ქინქლაძე რუსუდანი	
რემიტანსების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე	167
Remittances and their impact on unequal distribution of income	
ხმალაძე მერაბი	
შობადობის სტატისტიკა საქართველოში: მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი	174
Birth Statistics in Georgia in XIX and Early XX Centuries	

შონია ზამირა

საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის
სტატისტიკური ასპექტები 190
Statistical Issues of Health Care in Georgia

ჩარეჟიშვილი ლია

საქართველოს უმაღლესი განათლების სტატისტიკა და გლობალიზაცია..... 197
Statistics of Higher education in Georgia and Globalization

ჩიტალაძე ქეთევანი

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები 203
Modern Trends in Tourism Development

ძევისაური ლია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და სტატისტიკა
საქართველოში 210
Foreign Direct Investment Trends and Statistics in Georgia

წინასიტყვაობა

მიმდინარე წელი უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის: 100 წელი შესრულდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან და ასევე უკვე ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: დაარსდა კავკასიაში პირველი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწორედ ამ საამაყო თარიღს ეძღვნება წინამდებარე წიგნის გამოცემა, რომელიც მომზადდა ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის თანამშრომელთა მიერ.

სტატისტიკის სწავლება ჩვენს უნივერსიტეტში მისი შექმნისთანავე დაიწყო, რაც უნივერსიტეტის ერთ–ერთი დამაარსებლისა და ღირსეული მამულიშვილის – პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელს უკავშირდება. ეკონომიკური დარგის სასწავლო გეგმა სხვა სპეციალურ საგნებს შორის ითვალისწინებდა აგრეთვე სტატისტიკას. სავალდებულო სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალში, თვით დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელით, სტატისტიკა მეორე ადგილზე იყო ჩაწერილი პოლიტიკური ეკონომიის შემდეგ.

წარმოდგენილი წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი – ეს არის სტატისტიკის კათედრის მოკლე ისტორია, ხოლო მეორე – კათედრის ახლანდელი და ყოფილი თანამშრომლებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიები.

სტატისტიკის კათედრა თავისი მრავალწლიანი ისტორიის ყველა ეტაპზე, რომელთა შორის იყო მძიმე პერიოდებიც, ყოველთვის ღირსეულად ართმევდა თავს თავის მისიას – მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნის პირველ ნაწილში – კათედრის ისტორიაში – მოცემული ტერმინები და დასახელებები მოტანილია ისე, როგორც ეს იმ დროისათვის გამოიყენებოდა.

რადგან ასეთი წიგნის გამოცემა პირველია კათედრის ისტორიაში, ამიტომ შესაძლებელია გამორჩენილი იყოს ზოგიერთი ყოფილი თანამშრომლის ან მოწვეული ლექტორის გვარი. ასევე, ის ვერ იქნება დაზღვეული ცალკეული უზუსტობებისა და ხარვეზებისაგან, რომელთა აღმოსაფხვრელად გამოთქმული ყველა სამართლიანი და ობიექტური შენიშვნა აუცილებლად იქნება გათვალისწინებული შემდგომში.

სიმონ გელაშვილი

*ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფესორი,
ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის
კათედრის ხელმძღვანელი*

თბილისი, მაისი 2018.

ნაწილი I.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის მოკლე ისტორია

სიმონ გელაშვილი

დაარსების პირველ წლებში თბილისის უნივერსიტეტის პირველი და ერთადერთი - სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი სხვა დარგთა შორის თავიდანვე შეიცავდა ეკონომიკის დარგსაც. ეკონომიკური დარგის სასწავლო გეგმა სხვა სპეციალურ საგნებს შორის ითვალისწინებდა აგრეთვე სტატისტიკას (თეორიას და სპეციალურ სტატისტიკას). სავალდებულო სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალში, თვით დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელით, სტატისტიკა პოლიტიკური ეკონომიის შემდეგ მეორე ადგილზე იყო ჩაწერილი.

პოლიტიკური ეკონომიის, საფინანსო მეცნიერებისა და სტატისტიკის გაერთიანებული კათედრა შეიქმნა უნივერსიტეტის ორგანიზაციისა და მუშაობის დაწყების მომენტიდან (1918 წლის იანვარში). მას ხელმძღვანელობდა პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (ოფიციალურად – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი) **ფილიპე გოგიჩაიშვილი** (1872-1950 წწ), რომელიც სამივე საგანს (პოლიტიკური ეკონომია, საფინანსო მეცნიერება და სტატისტიკა) კითხულობდა უნივერსიტეტის მუშაობის პირველივე წლებში. ამიტომ, იმდროინდელი კათედრის შემადგენლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან კათედრის გამგე, კათედრის წევრები და სამივე ძირითადი ეკონომიკური დისციპლინის კურსის წამკითხველი ერთი პიროვნება იყო - პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი. მხოლოდ 1918 წლის შემოდგომის სემესტრიდან კათედრას შეემატა ახალი წევრი - კიევის კომერციული ინსტიტუტის კურსდამთავრებული **ნიკოლოზ ქოიავა**. იგი კათედრაზე დატოვებულ იქნა პროფესორობისთვის მოსამზადებლად პოლიტიკურ ეკონომიასა და სტატისტიკაში. ნ. ქოიავა 1920 წელს საზღვარგარეთ, გერმანიაში იქნა მივლინებული, საიდანაც დაბრუნდა 1923 წელს და მუშაობა დაიწყო ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის განხრით; ამდენად, სტატისტიკის კათედრის შემდგომ მუშაობაში მას მონაწილეობა არ მიუღია.

სტატისტიკური დისციპლინების იმდროინდელი პროგრამები არ არის შემონახული, თუმცა, შინაარსობრივად ეს პროგრამები შეიცავდა უმეტესწილად თეორიული სტატისტიკისა და შედარებით ნაკლები მოცულობით დემოგრაფიული სტატისტიკის საფუძვლებს.

დასაწყისში სტატისტიკურ დისციპლინებში სახელმძღვანელოები არ მოიპოვებოდა. პროფესორის მიერ რეკომენდებული სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი შეიცავდა უცხოურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ კურსებს და მონოგრაფიებს. ცოტა მოგვიანებით (1922 წ.), საგნის მოსამზადებლად გამოიყენებოდა რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ვ. ვობლის „სტატისტიკის კურსი“ და ა. კაუფმანის „სტატისტიკა“.

1922 წლის შემოდგომიდან სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიური დარგის ნაცვლად შეიქმნა სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე სხვა კათედრებს შორის კვლავ არსებობდა პოლიტიკური ეკონომიის, საფინანსო მეცნიერებისა და სტატისტიკის გაერთიანებული კათედრა .

1923 წლიდან პოლიტიკური ეკონომიის კათედრა ცალკე გამოიყო, რის შემდეგ

გაერთიანებული დარჩა ორი კათედრა: საფინანსო მეცნიერებისა და სტატისტიკის, რომელსაც ისევ პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობდა. სტატისტიკის კურსის კითხვას აგრძელებდა კვლავ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, რომელსაც ამ დროისათვის არც ასისტენტი და არც შემცველი ჰყავდა (მასწავლებლის სახით). ასეთი მდგომარეობა

გრძელდებოდა 1926 წლამდე, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის მომენტამდე. ამ დროისათვის სტატისტიკის კათედრას შეემატა ახალი ძალები, მოწვეული პრაქტიკული საქმიანობის დარგებიდან - ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სხვა სტატისტიკური ორგანოების აპარატიდან: ლ. კარბელაშვილი - ლექტორი ტრანსპორტის სტატისტიკის კურსის წასაკითხად; ალ. ლანდია - ლექტორი ვაჭრობის სტატისტიკის კურსის წასაკითხად; ვლ. პაპავა - ლექტორი მრეწველობის სტატისტიკის კურსის წასაკითხად; გ. ფერაძე - ასისტენტი; მ. ყოჩიაშვილი - ასისტენტი; ვ. მანჯგალაძე - ასისტენტი.

ახალი ძალების მოწვევა ფაკულტეტის სასწავლო გეგმის ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის სასწავლო გეგმა ამ დრომდე საკმაოდ მოცულობით არ ითვალისწინებდა თეორიული მომზადების კავშირს პრაქტიკულ საქმიანობასა და მომავალი დასაქმების კონკრეტულ დარგთან. ამის გამო ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში არსებითი ცვლილებანი იქნა შეტანილი. გაძლიერდა პრაქტიკული დისციპლინების სწავლება და ფაკულტეტზე მოეწყო სამი სპეციალური განხრა: სტატისტიკური, კოოპერაციული და საფინანსო. სტატისტიკის კათედრის გაფართოება და სპეციალური სტატისტიკური დისციპლინების შეტანა სასწავლო გეგმაში სტატისტიკის სპეციალობის შემოღებასთან იყო დაკავშირებული. ამავე წლიდან გაძლიერდა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა (სათანადო დაწესებულებებში) და კურსდამთავრებულთათვის შემოღებული იქნა სტაჟიორად მუშაობა.

სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ამ დროს უკვე დიდი სამუშაო ასპარეზი იყო: ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, ქალაქის საბჭოსთან შექმნილი სტატისტიკური ბიუროები (სამაზრო სტატისტიკურ ბიუროებთან ერთად), საუწყებო სტატისტიკის ორგანოების, როგორც, მაგალითად, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, ფინანსთა სახ. კომისარიატი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საკრედიტო დაწესებულებანი, საგეგმო კომისიების აპარატი და სხვა.

1924 წელს სტატისტიკის კათედრაზე დატოვებულ იქნა ასპირანტად **ლუარსაბ კარბელაშვილი** (მისივე განცხადების საფუძველზე).

1925 წლის დეკემბერში პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის წარდგინებით და პროფესორთა საბჭოს დადგენილებით, კათედრაზე იქნა დატოვებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი გამყრელიძე, რომელიც 1926 წლიდან საასისტენტო მუშაობას აწარმოებდა როგორც სტატისტიკაში, ისე საფინანსო მეცნიერებაში.

1926 წლიდან პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს სტატისტიკის სემინარულ და პრაქტიკულ მუშაობაში ეხმარებოდა **ზოსიმე ჩახვაძე**. ამავე დროს მოხდა სტატისტიკური დისციპლინების დანაწილება ცალკე კურსებად: ჯერ გამოეყო ზოგადი სტატისტიკა (თეორიული სტატისტიკა) და სპეციალური სტატისტიკა (დემოგრაფიული და ეკონომიკური სტატისტიკა), ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი კიდევ უფრო დანაწევრდა ცალკე დარგების მიხედვით: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სტატისტიკის დარგებად.

სტატისტიკის კათედრის მუშაობის ასეთი გაფართოების მიუხედავად, კათედრას ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ გააჩნდა არც ლაბორატორია და არც ბიბლიოთეკა სპეციალური ლიტერატურის მინიმუმით. ამის გამო კათედრას არც დამხმარე სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი ჰყავდა. მთელ სასწავლო პროცესს - ლექციასა და პრაქტიკულს ძირითადად პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი აწარმოებდა, მხოლოდ გამოცდების დროს იშველიებდა საასისტენტო მუშაობისათვის ასპირანტებს გ. გამყრელიძეს და ზ. ჩახვაძეს. გამოცდები კი ამ დროს დიდი მოცულობის სამუშაოს წარმოადგენდა. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს უხდებოდა გამოეცადა ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტის ყველა სპეციალობის სტუდენტი საფინანსო

მეცნიერებაში, ზოგად სტატისტიკაში, სპეციალურ სტატისტიკასა და დემოგრაფიულ სტატისტიკაში ასისტენტების დახმარებით. ასეთი მდგომარეობა

გრძელდებოდა უნივერსიტეტის რეორგანიზაციის მომენტამდე - 1930 წლის შემოდგომამდე.

როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი 1930 წლის შემოდგომამდე რეორგანიზებულ იქნა რიგ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებად. კერძოდ, ეკონომიური ფაკულტეტი რეორგანიზებულ იქნა საფინანსო-კოოპერაციულ ინსტიტუტად, რომლის შემადგენლობაში იქნა გადაცემული უნივერსიტეტის სტატისტიკის (და ფინანსების) კათედრაც. სტატისტიკის კათედრას ამ ინსტიტუტშიც ფ. გოგიჩაიშვილი განაგებდა. მაგრამ კათედრის შემადგენლობამ არსებითი ცვლილებები განიცადა და კათედრის წევრთა რიცხვი გაიზარდა. კათედრის მუშაობაში ამ დროს მონაწილეობას იღებდნენ დოცენტები: გ. გამყრელიძე, ზ. ჩახვაძე, ვ. ჩანტლაძე, ვლ. პაპავა ლ. კარბელაშვილი და ვ. მანჯგალაძე.

სასწავლო გეგმით ამ წლებში შემდეგი სტატისტიკური დისციპლინები ისწავლებოდა:

1. ზოგადი სტატისტიკა
2. მრეწველობის სტატისტიკა
3. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
4. საკოლმეურნეო სტატისტიკა
5. მიმოქცევის სტატისტიკა
6. ტრანსპორტის სტატისტიკა
7. საფინანსო სტატისტიკა
8. საბიუჯეტო სტატისტიკა
9. მოსახლეობის სტატისტიკა
10. კონიუნქტურის სტატისტიკა.

უნივერსიტეტის აღდგენის მომენტიდან, 1933 წლიდან, როდესაც საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს შეუერთდა, სტატისტიკის კათედრაც უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის შემადგენლობაში იქნა დაბრუნებული.

1933 წლის თებერვლისათვის, უნივერსიტეტის ხელახალი ორგანიზაციის მომენტისათვის კათედრის გამგედ ისევ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი ითვლებოდა, მაგრამ სულ მალე მის ნაცვლად კათედრის გამგედ დაინიშნა სტატისტიკოსი, **პროფესორი ზოსიმე ჩახვაძე** და ამ დროიდან პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი კათედრის წევრად დარჩა.

სტატისტიკის რეორგანიზებულ კათედრას ეწოდა სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრა. სახელწოდების შეცვლა გამოწვეული იყო დირექტიული ორგანოების მითითებით, რადგან იმდროინდელი საბჭოთა კავშირისა და ასევე საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს - ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს ეწოდა სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოები (Центральное Управление народнохозяйственного учета). მაშასადამე, ორგანიზაციების (ინსტიტუტების, კათედრების და ა. შ.) დასახელებებში სიტყვა „სტატისტიკა“ შეიცვალა ტერმინით „აღრიცხვა“, რაც რა თქმა უნდა, არასწორი იყო და ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის 10 წელი.

უნივერსიტეტის რეორგანიზებულ კათედრაზე გაერთიანებული იყო სტატისტიკური და საბუღალტრო დისციპლინები. კათედრა ამ სახელწოდებით 1944 წლამდე ფუნქციონირებდა.

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრა 1935 წელს აერთიანებდა შემდეგ წევრებს:

სტატისტიკის მიმართულებით:

1. პროფ. ზ. ჩახვაძე (კათედრის გამგე)

2. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი
3. დოც. გ. გამყრელიძე
4. დოც. ლ. კარბელაშვილი
5. დოც. ვლ. პაპავა
6. დოც. ვ. ჩანტლაძე
7. უფრ. მასწ. ვ. მანჯგალაძე
8. ასპირანტი შ. ბერაძე
9. ასპირანტი ნ. ტყეშელაშვილი.

საბუღალტრო აღრიცხვის მიმართულებით:

1. ა. ინწკირველი
2. შ. გოგებაშვილი
3. ნ. დგებუაძე
4. თ. ჭაია.

ამ წელს კათედრას უძღვებოდა შემდეგ სტატისტიკურ დისციპლინებს:

1. ზოგადი სტატისტიკა (სტატისტიკის ზოგადი თეორია)
2. ეკონომიკური სტატისტიკა
3. მრეწველობის სტატისტიკა
4. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
5. ვაჭრობის სტატისტიკა
6. სახალხო მეურნეობის ბალანსი
7. მოსახლეობის სტატისტიკა
8. სტატისტიკის ისტორია
9. აღრიცხვის მექანიზაცია.

კათედრაზე იკითხებოდა ასევე შემდეგი საბუღალტრო დისციპლინები:

1. ზოგადი ბუღალტერია
2. მრეწველობის ბუღალტერია
3. სოფლის მეურნეობის ბუღალტერია
4. ვაჭრობის ბუღალტერია.

1938 წლის ივნისიდან კათედრის გამგედ არჩეული იქნა დოცენტი გიორგი გამყრელიძე.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1944 წლის 6 ივლისის ბრძანებით, კათედრას გამოეყო და დამოუკიდებლად შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა, ხოლო სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრას ამავე დროიდან (რექტორის 6 ივლისის #1156 ბრძანებით) ისევ ეწოდა „სტატისტიკის“ კათედრა. საბუღალტრო აღრიცხვის კათედრას გადაეცა ძირითადი კათედრის კაბინეტის ინვენტარის ნაწილი, ერთი უფროსი ლაბორანტი და მასწავლებელთა ოთხი საშტატო ერთეული).

1945 წელს სტატისტიკის კათედრის წევრთა შემადგენლობა ასეთი იყო:

1. დოც., ეკონ. მეცნ. კანდ. გ. გამყრელიძე (კათედრის გამგე)
2. პროფ., მეცნ. დოქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
3. დოც., ეკონ. მეცნ. კანდ. ლ. კარბელაშვილი
4. დოც., ეკონ. მეცნ. კანდ. ვლ. პაპავა
5. დოც., ეკონ. მეცნ. კანდ. შ. ბერაძე
6. უფრ. მასწ. ვ. ბურჭულაძე

7. უფრ. ლაბორანტი ლ. კალოიანი

8. უფრ. ლაბორანტი ე. ზაქარიამე.

1950 წლის მარტის დამლევს სტატისტიკის კათედრამ დიდი დანაკლისი განიცადა. მის რიგებს გამოაკლდა უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი და კათედრის ფუძემდებელი, პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი იყო არა მარტო სტატისტიკის კათედრის დამაარსებელი, არამედ ეკონომიური ფაკულტეტის დამაარსებელი და მისი სულისჩამდგმელი წლების განმავლობაში. თავისი ცოდნითა და ავტორიტეტით მან დიდი ამაგი დასდო ფაკულტეტის ორგანიზაციას და განვითარებას, ეკონომიკური განათლების საქმეს საქართველოში. მისი დამსახურების დასახსიათებლად ისიც საკმარისია, რომ მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავებული იქნა ქართული ეკონომიკური საენათმეცნიერო ტერმინოლოგია; ის ასევე არის კარლ მარქსის თხზულებათა ძირითადი მთარგმნელი და რედაქტორი.

1953 წელს, სტატისტიკის კათედრამ უდროოდ დაკარგა ცოდნითა და ენერგიით აღსავსე მეცნიერი, ორდენოსანი დოცენტი გიორგი გამყრელიძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სტატისტიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი 1938 წლიდან 1953 წლამდე (გარდაცვალებამდე) ხელმძღვანელობდა სტატისტიკის კათედრას. ეს პერიოდი ხასიათდება გ. გამყრელიძის დამაბული მუშაობით როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში; მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ასეული სამეცნიერო შრომა, რომელთა უდიდესი უმრავლესობა გამოქვეყნებულია. მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის პარალელურად, გ. გამყრელიძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საგამომცემლო სფეროშიც. 1920 წლიდან 1940 წლამდე იმავდროულად ის იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო 1944 წლიდან 1946 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანად.

1953 წელს სტატისტიკის კათედრის გამგე გახდა დოცენტი შოთა ბერამე. მის გარდა კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. პროფ., მეცნ. დოქტ. ლ. კარბელაშვილი
2. უფ. მასწ. ვ. ბურჭულაძე
3. უფ. მასწ. ვ. ომიამე
4. მასწ. ა. ბაწელაშვილი
5. ასისტენტი გ. მაზიაშვილი
6. უფ. ლაბორანტი ლ. კალოიანი.

1956 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა დაუსწრებელი სწავლების ორი ინსტიტუტი: ეკონომიკური ინსტიტუტი და საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში მთლიანად დაექვემდებარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს. ამან დიდად შეუწყო ხელი სტატისტიკის კათედრის გაფართოებას. კათედრას გადმოეცა 2300-მდე სასწავლო საათი და მასწავლებლის 1,5 საშტატო ერთეული.

1960 წელს სტატისტიკის კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. დოც., ეკ. მეცნ. კანდ. შ. ბერამე (კათედრის გამგე)
2. დოც., ეკ. მეცნ. კანდ. ლ. ასათიანი
3. უფ. მასწ. ვ. ბურჭულაძე
4. უფ. მასწ. ვ. ომიამე
5. მასწ. ა. ბაწელაშვილი

6. მასწ. ი. ლლონტი

7. უფ. ლაბორანტი ლ. კალოიანი

8. ლაბორანტი ა. ნიკოლაიშვილი.

1960 წელს კათედრა აერთიანებდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს:

1. სტატისტიკის ზოგადი თეორია

2. ეკონომიური სტატისტიკა

3. მრეწველობის სტატისტიკა

4. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

5. ვაჭრობის სტატისტიკა

6. სასამართლო სტატისტიკა

7. სტატისტიკის ზოგადი კურსი (ეკონომიკური გეოგრაფიისა და საქონელმცოდნეობის სპეციალობებისთვის)

8. კაპიტალური მშენებლობის სტატისტიკა

9. მექანიზებული აღრიცხვის ორგანიზაცია

10. საანგარიშო ტექნიკა.

უნივერსიტეტის რექტორის 1960 წლის 8 ივლისის #647ა ბრძანების საფუძველზე, დაუსწრებელი საქონელმცოდნეობის და ვაჭრობის ეკონომიკისა და დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტები შეუერთდნენ უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტს და მათ ეწოდა ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განყოფილებები. ამ დროიდან სტატისტიკის კათედრა ემსახურებოდა ეკონომიური ფაკულტეტის სამივე განყოფილებას (დღის, საღამოს და დაუსწრებელ სწავლებას).

ეკონომიურ ფაკულტეტზე „წმინდა“ სტატისტიკის სპეციალობა კვლავ შემოღებულ იქნა 1946 წლის შემოდგომიდან. 1946-1947 სასწავლო წლისთვის გაიხსნა სტატისტიკის სპეციალობის ერთი ჯგუფი, რომელმაც კურსი დაასრულა 1951 წლის გაზაფხულზე (15 კაცის შემადგენლობით). 1951-1952 სასწავლო წლისთვის ისევ შეიქმნა სტატისტიკის სპეციალობის ერთი ჯგუფი, რომელმაც კურსი დაასრულა 1956 წლის გაზაფხულზე (17 კაცის შემადგენლობით). ეკონომიური ფაკულტეტის დღის სწავლების განყოფილებაზე სტატისტიკის სპეციალობის ჯგუფში სტუდენტთა მიღება განახლდა 1960-1961 წლიდან.

1960-1961 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან შეიქმნა აღრიცხვისა და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობის ორი ჯგუფი I და II კურსებზე. აღრიცხვისა და გამოთვლითი სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობის ჯგუფები დაექვემდებარა სტატისტიკის კათედრას.

ამ სპეციალობის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციით მოხდა 1964 წლის გაზაფხულზე.

სტატისტიკისა და აღრიცხვისა და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციის სპეციალობათა ჯგუფების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია სტატისტიკის კათედრის სასწავლო დატვირთვის საგრძნობი გადიდება. ასე მაგალითად, კათედრის დატვირთვა 1963-1964 სასწავლო წელს შეადგენდა 11 428 საათს, ხოლო 1964-1965 სასწავლო წელს მან შეადგინა 11 916 საათი. ამის გამო გაიზარდა სტატისტიკის კათედრის შემადგენლობაც.

1964-1965 სასწავლო წელს სტატისტიკის კათედრის შემადგენლობაში იყვნენ შედეგი პროფესორ-მასწავლებლები:

1. დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი შოთა ფილიპეს ძე ბერაძე (კათედრის გამგე)

2. პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან გიორგის ძე ასათიანი

3. დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი მიხეილის ძე მაზიაშვილი

4. უფროსი მასწავლებელი ვერა ალექსის ასული ბურჭულაძე
5. უფროსი მასწავლებელი ვლადიმერ ამბაკოს ძე ოშიაძე
6. უფროსი მასწავლებელი ნატალია გაბრიელის ასული მაღაშხია
7. მასწავლებელი ცაცა პარმენის ასული მიქაძე
8. მასწავლებელი იოსებ შალვას ძე მინდორაშვილი
9. მასწავლებელი მალხაზ მიხეილის ძე კონიაშვილი
10. უფროსი ლაბორანტი ლილი იასონის ასული კალოიანი
11. ლაბორანტი მზია პოლიკარპეს ასული მიქაძე
12. უფროსი პრეპარატორი ქეთევან ვასილის ასული კოპალეიშვილი
13. საწარმოო სწავლების ოსტატი გურამ გიორგის ძე მეტეხელი.

ამ სასწავლო წელს კათედრაზე საათობრივი ანაზღაურების წესით მასწავლებლად მოწვეული იყვნენ: ა. ბაწელაშვილი, ა. ხაჩიძე, ბ. კარაპეტინი, ი. ღლონტი, ნ. სვანიძე, ლ. ნოვიკოვა, ი. კერესელიძე.

სტატისტიკის კათედრაზე სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ ასევე ლაბორანტი მარიამ გაჩეჩილაძე, ლაბორანტი ელიასე ზაქარიაძე, უფრ. პრეპარატორი ნოდარ დუმბაძე (შემდგომში გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე).

1964/65 სასწავლო წელს სტატისტიკის კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს:

1. სტატისტიკის ზოგადი თეორია
2. ეკონომიკური სტატისტიკა
3. ეკონომიკური სტატისტიკა მრეწველობის სტატისტიკით
4. ეკონომიკური სტატისტიკა სოფლის მეურნეობის სტატისტიკით
5. ეკონომიკური სტატისტიკა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სტატისტიკით
6. ეკონომიკური სტატისტიკა ვაჭრობის სტატისტიკით
7. სახალხო მეურნეობის დარგთა სტატისტიკა
8. მრეწველობის სტატისტიკა
9. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
10. ვაჭრობის სტატისტიკა
11. შრომის სტატისტიკა
12. ტრანსპორტის სტატისტიკა
13. კავშირგაბმულობის სტატისტიკა
14. დემოგრაფიული (მოსახლეობის) სტატისტიკა
15. სასამართლო სტატისტიკა
16. სტატისტიკის (თეორია) ისტორია
17. გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და პროგრამირების საფუძვლები
18. გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაცია
19. საანგარიშგებო მანქანები და მათი გამოყენება აღრიცხვაში
20. მექანიზებული აღრიცხვის ორგანიზაცია
21. საანგარიშო-კლავიშნიანი და საანგარიშო-პერფორაციული მანქანები
22. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები და პროგრამირება

უნივერსიტეტის რექტორის 1965 წლის 16 თებერვლის #163 ბრძანების საფუძველზე, ეკონომიურ ფაკულტეტზე შეიქმნა აღრიცხვისა და დაგეგმვის მექანიზაციის საგნობრივი კომისია (კათედრის ფუნქციებით). ამასთან დაკავშირებით გატარდა შემდეგი ორგანიზაციული ღონისძიებები:

1. აღრიცხვისა და დაგეგმვის მექანიზაციის საგნობრივ კომისიას გადაეცა სტატისტიკის კათედრასთან გაეთიანებულ საგანთა ნაწილი, რომლებიც ეკითხებოდათ ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებზე დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობის ჯგუფებს.

2. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში სტატისტიკის კათედრიდან გადაყვანილ იქნა შემდეგი თანამშრომლები:

- ა) პროფესორი ლევან გიორგის ძე ასათიანი
- ბ) უფროსი მასწავლებელი ნატალია გაბრიელის ასული მალაშხია
- გ) მასწავლებელი მალხაზ მიხეილის ძე კონიაშვილი
- დ) ლაბორატორიის მემანქანე გურამ გიორგის ძე მეტეხელი.

3. ამავე კომისიაში პროფილის შესაბამისად გადაირიცხა ასპირანტები:

- ა) ზურაბ ილიას ძე მუნჯიშვილი
- ბ) ელდარ აკაკის ძე სულამე.

4. სტატისტიკის კათედრიდან აღრიცხვისა და დაგეგმვის მექანიზაციის საგნობრივი კომისიას გადაეცა შესაბამისი ლიტერატურა და გამომთვლელი მანქანები.

სტატისტიკის კათედრამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში. მომზადდა და დიდი ტირაჟით გამოიცა შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. თეორიული სტატისტიკა, ნაწილი I, 1947 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ტირაჟი 2000 ც., მოცულობა - 18,2 თაბახი. ავტორი - გ. გამყრელიძე, რედაქტორი შ. ბერაძე.

2. თეორიული სტატისტიკა, ნაწილი II, 1949 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ტირაჟი 2000 ც., მოცულობა - 21,11 თაბახი. ავტორი - გ. გამყრელიძე, რედაქტორი შ. ბერაძე.

3. დემოგრაფიული სტატისტიკა, 1955 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ტირაჟი 2000 ც., მოცულობა - 13,5 თაბახი. ავტორი - გ. გამყრელიძე, რედაქტორი შ. ბერაძე.

4. ეკონომიური სტატისტიკა, ნაწილი I, 1949 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ტირაჟი 2000 ც., მოცულობა - 11,4 თაბახი. ავტორი - გ. გამყრელიძე, რედაქტორი შ. ბერაძე.

5. სტატისტიკის ზოგადი თეორია, 1939 წ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ტირაჟი 2000 ც., მოცულობა - 12,93 თაბახი. ავტორი - შ. ბერაძე, რედაქტორი - ვ. ჩანტლაძე.

გარდა ამ სახელმძღვანელოებისა, კათედრის წევრთა მიერ სხვადასხვა დროს მომზადებული და გამოცემული იყო სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ქრესტომატიები:

- 1. ზ. ჩახვაძე - სტატისტიკის ზოგადი თეორია (30 თაბახი)
- 2. შ. ბერაძე - სტატისტიკის ზოგადი თეორია (1946 წ)
- 3. გ. გამყრელიძე - სტატისტიკის ზოგადი თეორია (ქრესტომათია, 1935 წ)
- 4. ლ. კარბელაშვილი - მოკლე სააღრიცხვო ტერმინოლოგია (1940 წ);

სტატისტიკის ზოგადი თეორია (30 გვ); სამეურნეო სტატისტიკა, I და II ნაწილი (ქრესტომათია); სააღრიცხვო ტერმინოლოგია (1946 წ); აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია (1950 წ); სასოფლო სამეურნეო სტატისტიკის ისტორიისათვის საქართველოში (1948 წელი).

კათედრამ დამხმარე სახელმძღვანელოს სახით მოამზადა და გამოსცა: ნ. ტყემელაშვილის და ვლ. პაპავას მრეწველობის სტატისტიკის ამოცანათა კრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941 წ., მოცულობა 231 გვ.

გარდა ამისა, კათედრის მიერ ქართულად ითარგმნა და გამოიცა სახელმძღვანელო: დ. სავინსკი - სამრეწველო სტატისტიკის კურსი. ქართულად თარგმნა ვლ. პაპავამ. გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1941 წ. მოცულობა 378 გვ.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი დიდი სტატისტიკური სამუშაოები, როგორც იყო 1926, 1939, 1959 და 1970 წლების მოსახლეობის აღწერები, კათედრის თანამშრომელთა უშუალო მონაწილეობით და აქტიური დახმარებით ჩატარდა. კათედრის მთელი შემადგენლობა და სტატისტიკის სპეციალობის სტუდენტთა უმეტესი ნაწილი მონაწილეობდა ამ სამუშაოების ჩატარებაში: აღწერაში უშუალო მონაწილეობის, მოხსენებების, სამეცნიერო და პოპულარული წერილების გამოქვეყნების და სხვათა სახით. თვით უნივერსიტეტში კათედრამ ამ თარიღებთან დაკავშირებით ჩატარა თემატური ლექციები, წაკითხულ იქნა მოხსენებები, მოაწყო გამოფენები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 1971 წელს სტატისტიკის კათედრაზე შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო საგანი - დემოგრაფია, რომელსაც კითხულობდა მაშინ ახალგაზრდა ასპირანტი, ახლა ღვაწლმოსილი მეცნიერ-დემოგრაფი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ანზორ თოთაძე**.

1974 წელს სტატისტიკის კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოცენტი **ბიკენტი გაბიძაშვილი**, რომელიც 32 წლის განმავლობაში (2006 წლის აგვისტომდე) ხელმძღვანელობდა მას. აღნიშნულ პერიოდში კათედრამ როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიმართულებით დიდ წარმატებებს მიაღწია. 1970-იანი წლების დასაწყისიდან კათედრას შეემატა ახალი კადრები: დოც. ტარიელ სართანია, დოც. კლიმენტი ელიზბარაშვილი, დოც. მურმან ტურავა. 1976-1977 წლებში კათედრის ძირითად შემადგენლობას შეემატა ასევე ახალგაზრდა კურსდამთავრებულები სოფიკო მჭედლიშვილი და თამარ ჯიოევა (თხელიძე), ხოლო 1978 წელს - ზურაბ კირვალიძე, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდნენ სტატისტიკის კათედრაზე. 1977 წელს კათედრაზე მასწავლებლად მუშაობა დაიწყო მერაბ ხმალაძემ, ხოლო 1988 წელს - დოც. ნანა ადეიშვილმა.

1974 წელს დოც. **შოთა ბერაძემ** დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია საქართველოში სტატისტიკის სპეციალობით, ხოლო მეორე სადოქტორო დისერტაცია სტატისტიკაში 1985 წელს დაიცვა სტატისტიკის კათედრის გამგემ იმ პერიოდში, დოცენტმა **ბიკენტი გაბიძაშვილმა**. 1977-1989 წლებში სტატისტიკაში საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს: მერაბ ხმალაძემ, სიმონ გელაშვილმა, ქეთევან მარშავამ, მარინე მინდორაშვილმა, ნაზი სულავამ, ზამირა შონიამ, ვალერიან ცინცაძემ და სხვ.

1980-1990 წლებში კათედრამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაცვალების გამო მას გამოაკლდა შოთა ბერაძე, ცაცა მიქაძე, ალექსი ქურდოვანიძე, ვლადიმერ ომიადე.

კათედრას სამეცნიერო-პედაგოგიური კავშირები ჰქონდა დამყარებული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის კათედრებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურებთან, განსაკუთრებით საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან (ცსს).

ცსს-ს სისტემაში სამუშაოდ იგზავნებოდა სტატისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულითა ძირითადი ნაწილი. აქვე გადიოდნენ წინასააღიპლომო პრაქტიკას (3-თვიანი) სტატისტიკის სპეციალობის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. სტატისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა და ლექტორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1979 და 1989 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში. ცსს-ს ხელმძღვანელი მუშაკები წარმატებით

თანამშრომლობდნენ კათედრასთან. მოწვეული ლექტორების სახით მათ მიჰყავდათ ლექციების კურსები კათედრის წამყვან დისციპლინებში.

სხვადასხვა დროს მოწვეული იქცვნენ შემდეგი პრაქტიკოსი სტატისტიკოსები:

1. გრიგოლ ჟორჟიკაშვილი – ცსს-ს უფროსი
2. ნაზი სულავა – განყოფილების უფროსი
3. გურამ ციქურიშვილი – განყოფილების უფროსი
4. ნათელა ფაჩულია – თბილსტატის უფროსი
5. დავით კვიციანი – განყოფილების უფროსი.

ლექციები მიჰყავდათ ასევე სხვა დაწესებულებიდან მოწვეულ პედაგოგებს: დავით ქაციბაიას, ჯემალ ჯალიაშვილს, ჯემალ ბაშარულს, ვალიკო ცინცაძეს, გოჩა მგელაძეს და სხვებს.

სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის კუთხით დიდი ყურადღება ექცეოდა სტატისტიკის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობას, რომლის უცვლელი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ქალბატონი ვერა ბურჭულაძე. სამეცნიერო წრის სხდომებზე მოხსენებით გამოდიოდნენ სტუდენტები, მიმდინარეობდა მოხსენებების განხილვა და დისკუსიები. მაღალ დონეზე მომზადებულ მოხსენებებს რეკომენდაცია ეძლეოდა საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. პედაგოგიური მუშაობის გარდა, კათედრის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები აწყობდნენ ერთობლივ კულტურულ ღონისძიებებს (ექსკურსიებს) საქართველოს ისტორიული ძეგლების მოსაზიარებლად. ასეთ ღონისძიებებს მოჰქონდა უაღრესად დადებითი შედეგები როგორც სტუდენტებსა და ლექტორებს, ასევე სტუდენტებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

კათედრის წევრები ეწეოდნენ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, აქვეყნებდნენ სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, წერდნენ ორიგინალურ სახელმძღვანელოებს და ასევე რუსულიდან თარგმნიდნენ სახელმძღვანელოებს.

ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია კათედრის წევრთა მიერ მომზადებული ორიგინალური სახელმძღვანელოები:

1. შოთა ბერაძე - სტატისტიკის ზოგადი თეორიის საფუძვლები;
2. ვლადიმერ ოშიაძე - მრეწველობის სტატისტიკა
3. ბიკენტი გაბიძაშვილი - სტატისტიკის თეორია; ეკონომიკური სტატისტიკა;
4. ალექსი ქურდოვანიძე, ვლადიმერ ოშიაძე - ვაჭრობის სტატისტიკა.

გრიგოლ ჟორჟიკაშვილმა ქართულად თარგმნა მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინსტიტუტის პროფესორების: ბაკლანოვის, ადამოვისა და უსტინოვის სახელმძღვანელო „მრეწველობის სტატისტიკა.“

1990-1998 წლებში კათედრას შეემატა ახალი აკადემიური პერსონალი: პროფესორი ქეთევან მარშავა – საქართველოს ისტორიაში პირველი ქალბატონი, რომელმაც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა; დოცენტები: მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე და ზამირა შონია, მასწავლებლები – მარინა გუმბერიძე, ირინე მაისურაძე და რუსუდან ქინქლაძე.

სტატისტიკის კათედრის ისტორიაში მეტად საამაყოა ის ფაქტი, რომ 1995 წელს ჩვენს უნივერსიტეტში შეიქმნა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისანიჭებელი სადისერტაციო საბჭო სპეციალობით „სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა და ეკონომიკური ინფორმატიკა“, რაც მანამდე (საბჭოთა კავშირის დროს) მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში ფუნქციონირებდა. სადისერტაციო საბჭომ დიდი როლი შეასრულა აღნიშნულ სპეციალობებში სადოქტორო დისერტაციების დაცვის საქმეში, რის შედეგად გაიზარდა მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობა საქართველოში. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტიც,

რომ კათედრის ახლანდელმა ხელმძღვანელმა სიმონ გელაშვილმა თავისი მეორე დისერტაცია (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად) დაასრულა გერმანიაში, პოტსდამის უნივერსიტეტის სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კათედრაზე 1998 წელს, რომელიც წარმატებით დაიცვა თსუ-ში 1999 წლის დასაწყისში.

2000/2001 საწავლო წელს სტატისტიკის კათედრაზე ირიცხებოდა ძირითადი შტატის 17 აკადემიური პერსონალი: პროფესორი ბიკენტი გაბიძაშვილი (კათედრის გამგე), პროფესორები - სიმონ გელაშვილი, ქეთევან მარშავა, მურმან ტურავა და გიორგი მაზიაშვილი. დოცენტები: ნინო აბესაძე, მარინე დემეტრაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ზამირა შონია. უფროსი მასწავლებლები: მაია გიორგობიანი, თამარ თხელიძე, ზურაბ კირვალიძე, სოფიო მჭედლიშვილი, ელნარ რუხაძე; მასწავლებლები: მარინე გუმბერიძე, ირინე მაისურაძე, რუსუდან ქინქლაძე.

2006–2010 წლებში სტატისტიკის კათედრაზე მოღვაწეობდნენ: პროფესორები სიმონ გელაშვილი (კათედრის ხელმძღვანელი) და ქეთევან მარშავა; ასოცირებული პროფესორები: ბიკენტი გაბიძაშვილი, მერაბ ხმალაძე, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, მარინა მუჩიაშვილი, მაია გიორგობიანი; ასისტენტ-პროფესორები: მარინე გუმბერიძე, ზამირა შონია, ირინე მაისურაძე, რუსუდან ქინქლაძე.

2006 წლის აგვისტოდან დღემდე კათედრას ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი სიმონ გელაშვილი**. ეს პერიოდი აღსანიშნავია კათედრის საერთაშორისო აღიარებისა და საზღვარგარეთის (განსაკუთრებით გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, ლატვიის, ლიტვისა და უკრაინის) მრავალ ცნობილ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დამყარებითა და განვითარებით. ამ პერიოდში კათედრის წევრთა მიერ მარტო საზღვარგარეთ გამოქვეყნდა 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მ. შ. 7 წიგნი, მონოგრაფია და ბროშურა. თსუ-ს ეკონომიკური ფაკულტეტის ისტორიაში ჩვენი კათედრა დღემდე ერთადერთია, რომელმაც 2010 წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი მეცნიერებების საგრანტო კონკურსში და წარმატებით განახორციელა კვლევითი პროექტი თემაზე: „ბიზნესმენტა ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა ეკონომიკური განუახლებლობის პირობებში“. პროექტის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ბ. გაბიძაშვილი. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიცა 2 მონოგრაფია და გამოქვეყნდა 4 სამეცნიერო სტატია.

უნდა აღინიშნოს იმ ფაქტის შესახებაც, რომ 2010 წელს პროფესორი სიმონ გელაშვილი კონსულტაციებს უტარებდა გერმანიიდან (**ვიადრინას უნივერსიტეტი**) ჩამოსულ მაგისტრანტ კრისტიან ტიმს, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში და გარკვეული მასალებიც გადასცა მას.

2015 წელს კათედრამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: მოულოდნელად გარდაიცვალა კათედრის ყოფილი გამგე, გამოჩენილი მეცნიერ-სტატისტიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბიკენტი გაბიძაშვილი. ბატონი ბიკენტი 32 წელი (1974–2006) სათავეში ედგა კათედრას და მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაძლიერდა კათედრის პოტენციალი, ამაღლდა აკადემიური და სამეცნიერო დონე.

2015–2017 წლებში ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის პერსონალს შეადგენდა: პროფესორები სიმონ გელაშვილი და ქეთევან მარშავა, ასოცირებული პროფესორები: მერაბ ხმალაძე, ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, მარინა მუჩიაშვილი. ასისტენტ-პროფესორები მაია გიორგობიანი და ზამირა შონია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორის ასისტენტი ქეთევან ჩიტალაძე. ამავე წლებში კათედრაზე მოწვეული იყვნენ: ირინე მაისურაძე, რუსუდან ქინქლაძე, სოფიო მჭედლიშვილი, გოგიტა თოდრაძე, ნანა ასლამაზიშვილი, ლია ჩარეჭიშვილი, ლია ძევისაური, ოთარ აბესაძე, ირაკლი მაკალათია, შორენა ფარჯიანი.

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის წევრები მეტად აქტიურ და შრომატევად საქმიანობას ეწევიან: მომზადდა და გამოიცა ქართულენოვანი და ინგლისურიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოები სტატისტიკის სხვადასხვა დარგში. მათივე აქტიურობით წარმატებით განხორციელდა 10-ზე მეტი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი. 2014 წელს კათედრის ორგანიზებით ჩატარდა **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით „გლობალიზაცია და სტატისტიკა“**, რომელიც მიემდგნა სტატისტიკის დამოუკიდებელი კათედრის დაარსების 70 წლისთავს და მოხვდა 2014 წლის მსოფლიო სტატისტიკური ფორუმების კალენდარში. მხოლოდ 2010-2017 წლებში კათედრის წევრების მიერ მომზადდა და გამოიცა მრავალი ორიგინალური სახელმძღვანელო, მონოგრაფია და სხვა დამხმარე სასწავლო მასალა, კერძოდ: ბიკენტი გაბიძაშვილი - „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“; ქეთევან მარშავა - „კომერციის სტატისტიკა“; ქეთევან მარშავა, მარინე მინდორაშვილი - „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ და „იურიდიული სტატისტიკა“; ქეთევან მარშავა, მარინე მინდორაშვილი - „სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები“ (მონოგრაფია); მერაბ ხმალაძე - „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწილი I“, „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწილი II“, „დემოგრაფია“; სიმონ გელაშვილი - „სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში“, „საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა“, „სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში: თეორიული ნარკვევები“ (მონოგრაფია); სიმონ გელაშვილი, ლია ჩარეჭიშვილი - „გენდერული სტატისტიკის საკითხები“; სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე - „სოციალური სტატისტიკა“; ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე, ქეთევან ჩიტალაძე - „სტატისტიკა ტურიზმისათვის“; სიმონ გელაშვილი, მარინა მუჩიაშვილი, ირინე მაისურაძე - „მაკროეკონომიკური სტატისტიკა“; ავტორთა კოლექტივი - „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“ (ნაწილი მეორე), „პრაქტიკული სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწილი I და II“ (რამდენიმე გამოცემა) და სხვ. ამავდროულად, კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ინგლისურიდან ითარგმნა შემდეგი სახელმძღვანელოები: დევიდ ანდერსენი, დენის სვინი, თომას უილიამსი - „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“; ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი - „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ“; ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასი, ანა ლეონ გერერო - „სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის.“ გარდა ამისა, ბოლო 5 წელიწადში კათედრის დოქტორანტების მიერ დაცულია 7 დისერტაცია და უკვე მოზადებულია დასაცავად 3 სადოქტორო დისერტაცია.

2015 წელს კათედრასთან შეიქმნა **„სტატისტიკის საკონსულტაციო და კვლევითი ლაბორატორია“** (ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი), რომელიც ნაყოფიერად მუშაობს და არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა. გარდა ამისა, 2015-2016 წლებში ლაბორატორიამ კათედრასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებით 2 კვლევითი პროექტის განხორციელებაში. მასში მონაწილეობდნენ ასევე ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები, უმეტესად ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის მოდულებიდან. ამასთან ერთად, კათედრის აკადემიური პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან (განსაკუთრებით, გერმანიის) და მრავალი ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტი განახორციელა. კათედრა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის საკითხს, რაც წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. აქვე აღვნიშნავთ, რომ კათედრის წევრები სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე და მარინე მინდორაშვილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან. გარდა ამისა,

კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მუშაობაში: პროფესორი ქეთევან მარშავა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო როგორც წარმომადგენლობითი, ისე აკადემიური საბჭოს წევრი. ამჟამად თსუ აკადემიური საბჭოს წევრია ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი, ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოსი – ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე.

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა ემსახურება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამივე პროგრამას – ეკონომიკას, ბიზნესის ადმინისტრირებას და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტს და აქტიურად მონაწილეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში. ამასთან ერთად, სწავლებისა და კვლევის პროცესი წარმატებით ხორციელდება კათედრის ორ – საბაკალავრო და სამაგისტრო მოდულში სახელწოდებით „ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა“.

2017/18 სასწავლო წელს, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, კათედრა ახორციელებს შემდეგი საგნების სწავლებას:

ბაკალავრიატი (სავალდებულო საგნები):

1. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის–1
2. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის–2
3. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

ბაკალავრიატი (არჩევითი საგნები):

1. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესში (სხვა ფაკულტეტებისათვის)
2. სოციალური სტატისტიკა
3. სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკისა და ბიზნესში
4. იურიდიული სტატისტიკა
5. ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა
6. საერთაშორისო სტატისტიკა
7. ტურიზმის სტატისტიკა

მაგისტრატურა (სავალდებულო საგნები):

1. სტატისტიკური ანალიზის მეთოდები
2. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა
3. სტატისტიკური მეთოდები მარკეტინგულ კვლევებში
4. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა
5. დემოგრაფიული სტატისტიკა
6. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები
7. სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგია
8. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი SPSS-ში

მაგისტრატურა (არჩევითი საგნები):

1. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია
2. სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში
3. გენდერული სტატისტიკა
4. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა
5. მიკროეკონომიკური სტატისტიკა

დოქტორანტურა (სავალდებულო საგნები):

1. სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში

მარტო მიმდინარე სასწავლო წელს საბაკალავრო მოდულის არჩევითი საგნები გაიარა 200-ზე მეტმა სტუდენტმა, ხოლო სამაგისტრო მოდულის პირველ და მეორე კურსებზე ირიცხება 32 მაგისტრანტი. კათედრაზე რეგისტრირებულია ასევე 10 დოქტორანტი, რომლებიც იმავდროულად წარმატებით საქმიანობენ საჯარო თუ კერძო სექტორებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის წევრები სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი და ნინო აბესაძე არიან საზღვარგარეთის რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალისა და კრებულის სარედაქციო საბჭოს წევრები, რაც კათედრის საერთაშორისო იმიჯზე მიუთითებს. აქვე უნდა აღინიშნოს იმ მოვლენის შესახებაც, რომ მიმდინარე წლის 15-18 მაისს, **პირველად ისტორიაში, ბერლინში ჩატარდა „გერმანია-საქართველოს სამეცნიერო-ეკონომიკური ფორუმი“**, რომელიც მიეძღვნა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს. ფორუმის მაღალ დონეზე მომზადება-ჩატარებაში დიდი როლი შეასრულეს კათედრის წევრებმა – პროფესორმა სიმონ გელაშვილმა (როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ) და ასოცირებულმა პროფესორმა ნინო აბესაძემ.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირძველი, სტატისტიკის კათედრა ყველა თაობის უნივერსიტეტელთან ერთად ზეიმობს თსუ 100 წლისთავს და ღირსეულად აგრძელებს მისი სულმნათი დამაარსებლების მდიდარ ტრადიციებს.

ნაწილი II. სამეცნიერო ნაშრომები

გლობალური ინდექსები და ტურიზმის განვითარება საქართველოში

ნინო აბესაძე, ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: nino.abesadze@tsu.ge

ანოტაცია

სტატიაში მოცემულია საქართველოს მიმზიდველობის ზრდის ინდიკატორების ზოგადი დახასიათება. გლობალური კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკური თავისუფლების, მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსების საფუძველზე, გაანალიზებულია საქართველოს რეიტინგი და კოეფიციენტების მნიშვნელობები დინამიკაში. გაკეთებულია ამ ინდექსების შედარებითი ანალიზი, მოსაზღვრე ქვეყნების მიხედვით. გამოვლენილია ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები და კონკრეტულად, ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები საქართველოსთვის. დახასიათებულია საერთაშორისო ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილები საქართველოში და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კონკურენტუნარიანობა, ინდექსი, მიმზიდველობა, ანალიზი.

საქართველოში ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს, უდიდესი ტურისტული პოტენციალის გამო, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის: თვალწარმტაცი ბუნება, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, ზამთრის კურორტები, ისტორიული ძეგლები, მდინარეები და, ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, მინერალური წყლები, ქართული სამზარეულო და რა თქმა უნდა, ქართული სტუმართმოყვარეობა. ეს ფაქტორები ტურიზმის განვითარების ინდიკატორებს წარმოადგენს და რაც მთავარია, ქვეყნის ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდას უწყობს ხელს.

დღეისათვის საქართველოში სიტუაცია ისეთია, რომ ჯერ კიდევ რეალურად ვერ ხერხდება ტურიზმის ინდიკატორების გაანგარიშება და შესაბამისად, ვერც მათი რაოდენობრივი ანალიზი. არასრული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში კი შეუძლებელია ტურისტული პოტენციალის ზუსტი განსაზღვრა მთელი თავისი მოსალოდნელი შედეგებითა და პროგნოზებით. ამიტომ თანამედროვე მეთოდოლოგიური აპარატით, ტურიზმის კომპლექსური სტატისტიკური კვლევა პრობლემური, მაგრამ ამავე დროს აქტუალურია, რაც თავისთავად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ტურიზმის ზეგავლენის განსაზღვრის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბების გარანტია.

ტურისტული მონახულებადი ადგილების მიმზიდველობას ბუნებრივი ღირებულებების გარდა, ბევრად განსაზღვრავს ტერიტორიული ერთეულების/რეგიონების განვითარების დონე, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი და კულტურული რესურსების ცნობადობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობის და ჰიგიენის დაცვის უზრუნველყოფა, ფასი, ქვეყნის იმიჯი და სხვა.

გლობალური კონკურენტუნარიანობის, ტურიზმის კონკურენტუნარიანობის, სასურველი სამიზნე ქვეყნების/ქალაქების და სხვ. გამოვლენის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არაერთი კვლევა ხორციელდება.

გლობალური ინდექსები ინდიკატორების კომბინაციას წარმოადგენს და ამავე დროს განსაზღვრული ჰიპოთეზის შემოწმებისა და დასაბუთების საშუალებასაც იძლევა, რადგანაც მისი მეშვეობით განისაზღვრება კონკრეტული ერთეულის მდგომარეობა სკალაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო საფინანსო კომპანია Mastercard-მა 2017 წლის გლობალური სამიზნე ქალაქების ინდექსი გამოაქვეყნა. ჩატარებული კვლევით უცხოელი ტურისტების მიმზიდველობის მიხედვით მსოფლიოს 30 ქალაქი დასახელდა, რომელთა შორის საქართველოს არცერთი ქალაქი არ მოხვდა. პირველ ადგილზე, ტაილანდის დედაქალაქი - ბანკოკი დასახელდა. აღნიშნულ სიაში მოხვდნენ: ლონდონი, პარიზი, დუბაი, სინგაპური და სხვ. (იხ. ცხრ. 1) ათეულს მიღმა, მაგრამ ოცეულში მოხვდა - ბარსელონა, ვენა, მილანი, რომი, პრაღა, შანხაი და ა.შ.

ცხრილი 1

მონახულებადი ქალაქების ტოპ-ათეული

წლები ქალაქი	2012	2013	2014	2015	2016	2017 მატების/კლების ტემპი (პროგნოზი)
ბანკოკი	15.82	17.47	17.03	19.59	19.41	4%
ლონდონი	15.46	18.81	17.40	18.58	19.06	5%
პარიზი	15.76	17.20	17.19	16.99	15.45	4.4%
დუბაი	10.95	12.19	13.21	14.20	14.87	7.7%
სინგაპური	11.10	11.90	11.86	12.05	13.11	2.6%
ნიუ-იორკი	10.92	11.38	12.02	12.30	12.70	-2.4%
სეული	8.36	8.60	10.14	9.34	12.39	0.4%
კუალა ლუმპური	9.63	9.89	11.69	11.14	11.28	7.2%
ტოკიო	4.89	5.40	7.69	10.35	11.15	12.2%
სტამბული	9.82	9.87	11.27	11.91	9.16	0.9%

წყარო:<https://newsroom.mastercard.com/digital-press-kits/mastercard-global-destination-cities-index-2017>

საპროგნოზო გაანგარიშებებით, 2017 წლისათვის გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა დუბაიში, ტოკიოსა და კუალა ლუმპურში.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ქალაქებიდან 2016 წელს ყველაზე მიმზიდველ ქალაქებს შორის დასახელდა სტამბოლი, რომელიც აღმოჩნდა მეათე ადგილზე. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით, სტამბოლი 9.24 მილიონმა ტურისტმა მოინახულა.

ევროპის ქალაქებიდან ყველაზე მონახულებად ქალაქს წარმოადგენს ლონდონი, რომელსაც 2016 წელს 19.06 მილიონი ტურისტი ესტუმრა და 2017 წელს მათი რიცხვი 20.01 მილიონს გაუტოლდა. ტოპ-ათეულში მოხვდა პარიზი, სტამბოლი, ბარსელონა, რომი, ამსტერდამი, ვენა, პრაღა და დუბლინი. 2017 წლისათვის წინასწარი შეფასებით ტურისტთა რიცხვი გაიზარდა ბარსელონაში, პარიზსა და ამსტერდამში.¹

გაწეული ხარჯების სიდიდის მიხედვით ლიდერობს დუბაი. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტს ტურისტები სწორედ არაბთა გაერთიანებულ ემირატებში ხარჯავენ. 2016 წელს მას

¹ <https://newsroom.mastercard.com/digital-press-kits/mastercard-global-destination-cities-index-2017>

ესტუმრა 14.9 მილიონი ტურისტი და მათ მიერ გაწეულმა ხარჯმა 28.50 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით (საპროგნოზო გათვლებით) 10.2%-ით გაიზარდა ამ თანხის მოცულობა და ის კვლავ უპირობო ლიდერად რჩება (იხ.ცხრ. 2). შემდეგ ადგილებს იკავებენ ნიუ-იორკი და ლონდონი, შესაბამისად 17.02 და 16.09 მილიარდი აშშ დოლარით. მაღალია 2017 წლისათვის ბანკონგში, ჰონგ-კონგსა და სიდნეიში ტურისტების მიერ გაწეული ხარჯების ზრდის წინასწარი მაჩვენებლები, რომელთა მატების ტემპებმა შესაბამისად 10.9%, 10.1% და 9.2% შედგინა.

ცხრილი 2.

მონახულებადი ქალაქების ტოპ-ათეული გაწეული ხარჯების მიხედვით
(მლრდ აშშ \$)

ქალაქი \ წლები	2012	2013	2014	2015	2016	2017 მატების/კლების ტემპი პროგნოზი
დუბაი	23.85	24.76	26.09	28.20	28.50	10.2%
ნიუ-იორკი	15.52	16.67	17.62	16.59	17.02	1.5%
ლონდონი	15.97	17.98	19.48	18.22	16.09	-4.5%
სინგაპური	15.45	15.42	15.21	13.07	15.69	0.3%
ბანკოკი	11.12	12.39	11.73	12.54	14.08	10.9%
პარიზი	17.25	19.50	16.42	13.41	12.03	4.9%
ტოკიო	6.15	6.36	8.34	10.21	11.28	3.7%
ტაიბეი	7.54	8.96	9.42	9.45	9.91	6.9%
სეული	5.58	7.47	10.13	8.26	9.38	1.8%
ბარსელონა	7.61	8.65	8.87	7.33	8.90	6.9%

წყარო: <https://newsroom.mastercard.com/digital-press-kits/mastercard-global-destination-cities-index-2017/>

რამდენად მიმზიდველია საქართველო და როგორია მისი საერთაშორისო რეიტინგული მაჩვენებლები?

საქართველოში ბიზნესის, მათ შორის ტურიზმის ბიზნესის, განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკა იყოს კონკურენტუნარიანი გლობალურ დონეზე.


შვეიცარული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით. შედეგად განისაზღვრება ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პოზიციები მსოფლიოში. ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის დონეს.² ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანად ითვლება იმ ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც დროთა განმავლობაში სწრაფად იზრდება.

² <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო 137 ქვეყანას შორის 67-ე პოზიციაზეა.³

დიაგრამა 1

საქართველოს პოზიცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2012-2018 წლებში




წყარო: [http:// https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018](http://https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2017-2018)

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებელი საქართველოსთვის დინამიკაში ზოგადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ბოლო წლებში ის მართალია მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა, მაგრამ 2017-2018 წლის ანგარიშის მიხედვით ქვეყნის რეიტინგი გაუარესდა და საქართველომ 8 ადგილით დაიხია უკან, თუმცა ქვეყნის სარეიტინგო ქულა, 4.3, უცვლელი დარჩა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პოზიციის გაუარესების მიზეზი სხვა ქვეყნების მიერ პოზიციების გაუმჯობესება იყო.

საერთოდ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშება 3 სუბინდექსისა და 12 ქვესუბინდექსის მიხედვით ხორციელდება. საქართველოს რეიტინგი სუბინდექსების მიხედვით განსხვავებულია. თუ A – „ძირითადი მოთხოვნების“ მიხედვით ქვეყანას, შეიძლება ითქვას მაღალი, 54 ადგილი უკავია, B – ეფექტიანობის ამდლების მიხედვით საშუალოზე დაბალია მისი მაჩვენებელი და შესაბამისად 75-ე პოზიციას იკავებს, ხოლო C – ინოვაციების მიხედვით საქართველოს რეიტინგი საგრძნობლად დაბალია, რადგან 137 ქვეყანას შორის 112 ადგილზეა. 2017-2018 წლებში ქვეყნის რეიტინგი პირველი სუბინდექსის მიხედვით გაუარესდა 8 პოზიციით, ქვეყანამ 6 ადგილით დაიხია უკან მეორე სუბინდექსის მიხედვითაც, ხოლო ინოვაციების მიხედვით მცირედით გაიუმჯობესა რეიტინგი. ცალკეული ქვესუბინდექსების შეფასებისას აღმოჩნდა, რომ საქართველო 8 ქვეკომპონენტში ქვეყნების პირველ ათეულში შედის. ასეთია მაგალითად, წლიური ინფლაცია, სავაჭრო ტარიფები, ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დღეების რაოდენობა, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი და სხვ. ისიც ფაქტია, რომ საქართველომ პოზიციები გაიუარესა სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის, ფინანსური ბაზრის განვითარების, ტექნოლოგიური მზადყოფნის, ბაზრის მასშტაბის, ჯანმრთელობისა და განათლების მიმართულებით. სუბინდექსებისა და ქვესუბინდექსების მნიშვნელობების შესაბამისად ცხადია, განსხვავებულია საქართველოს რეიტინგი 137 ქვეყანას შორის, რაც დასტურდება დიაგრამით №2.

³ http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/?doing_wp_cron=1520176957.4527590274810791015625#economy=GEO

საქართველოს რანგი და ქულა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ქვესუბინდექსების მიხედვით 2017-2018 წელს




წყარო: http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/?doing_wp_cron=1520176957.4527590274810791015625#economy=GEO

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს შვეიცარიას. საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება: შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო, სინგაპური, ნიდერლანდები, გერმანია, ჰონკონგი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, იაპონია და ფინეთი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2017 წლის ანგარიშში მოცემულია საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის პრობლემატური ფაქტორების კლასიფიკაცია. თითოეული ფაქტორის მიხედვით განსხვავებულია ქვეყნის რეიტინგი და მინიჭებული ქულა.

საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/?doing_wp_cron=1520176957.4527590274810791015625#economy=GEO

როგორც დიაგრამაზე მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის ყველაზე პრობლემატურს წარმოადგენს:


- ადეკვატური განათლების მქონე კადრების არარსებობა;
- დაფინანსების ძნელად ხელმისაწვდომობა;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- ინფლაცია;
- პოლიტიკური არასტაბილურობა;
- სამთავრობო ბიუროკრატის არაეფექტიანობა და სხვ.

დიაგრამიდანაც დასტურდება, რომ მცირეა, მაგრამ მაინც არის კორუფციის უარყოფითი გავლენის რისკიც.

რეგიონში საქართველოს კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად მოვახდინეთ მეზობელი ქვეყნების: საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის დინამიკის შესწავლა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო მონაცემებით, საქართველო მეზობელი ქვეყნებიდან უსწრებს მხოლოდ სომხეთს, რომელიც 73-ე პოზიციაზე იმყოფება და ჩამორჩება თურქეთს, რუსეთსა და აზერბაიჯანს, რომლებიც შესაბამისად 53-ე, 38-ე და 35-ე პოზიციაზე იმყოფებიან. წინა წელთან შედარებით, საქართველოსაგან განსხვავებით, მდგომარეობა გაუმჯობესა რუსეთმა და დაწინაურდა 5 პოზიციით, აზერბაიჯანმა წინ წაიწია 2-ით, ხოლო სომხეთმა - 6 ადგილით. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ყველზე მაღალი მაჩვენებლები დინამიკაში აზერბაიჯანისათვის და რუსეთისათვის ფიქსირდება. საქართველო რეგიონში სტაბილურად მეოთხე ადგილზე იმყოფება (იხ. დიაგრამა 4)

დიაგრამა 4


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის დინამიკა მეზობელი ქვეყნების მიხედვით



წყარო: <https://countryeconomy.com/government/global-competitiveness-index>

ეკონომიკური ინდექსები, როგორც ცნობილია, ის კრიტერიუმებია, რომლითაც ქვეყნის მიმზიდველობა ფასდება მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით, უდავოდ საინტერესოა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც სხვადასხვა კომპონენტების შეფასების შედეგად ჯამდება და, საბოლოოდ, იძლევა პასუხს იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ეკონომიკა ქვეყანაში როგორც ხელისუფლების, ისე სხვა ტიპის ჩარევებისგან. Heritage Foundation-ის ინდექსების მიხედვით, 2012 წლის შემდეგ საქართველოს მაჩვენებელი საგრძნობლად გაუმჯობესდა .

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დინამიკა



წყარო: <http://www.tabula.ge/ge/story/129315-heritage-foundation>


ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საუკეთესო მაჩვენებელი საქართველოსთვის 2017 წელს დაფიქსირდა, როდესაც ის მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, 76,0 ქულით, 23-ე პოზიციიდან მე-13-ზე დაწინაურდა, რითიც წინ გაუსწრო ყველა მეზობელ და თითქმის ყველა ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ევროპის მასშტაბით, საქართველო მე-5 ადგილზე აღმოჩნდა და ჩამორჩა მხოლოდ შვეიცარიას, ესტონეთს, ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს. ეკონომიკური თავისუფლების მხრივ, საქართველო მეტწილად თავისუფალ ქვეყნებს შორის დასახელდა. თუმცა Heritage Foundation-ის 2018 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის 16-ე ადგილზე გადაინაცვლა. იმისდა მიუხედავად, რომ ქვეყნის აბსოლუტური ქულა - 76.2-მდე გაიზარდა, რაც 2017 წელს არსებულ ქულას 0.2-ით აღემატება, მისი პოზიცია 3 ადგილით ჩამოქვეითდა. 2018 წლის ინდექსში საქართველოს მდგომარეობა ქულების მხრივ 10-დან 4 კომპონენტში - ვაჭრობის თავისუფლება, საკუთრების უფლება, მონეტარული თავისუფლება და შრომითი თავისუფლება - გაუმჯობესდა, 6 კომპონენტში - მთავრობის ინტეგრაცია (ერთიანობა) სასამართლო ეფექტიანობა, სამთავრობო ხარჯები, საგადასახადო ტვირთი, ფისკალური სიჯანსაღე და ბიზნესის თავისუფლება - გაუარესდა, ხოლო 2 კომპონენტში - საინვესტიციო თავისუფლება და ფისკალური თავისუფლება - უცვლელი დარჩა⁴.

ცხადია, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონე, ისე მისი ეკონომიკური თავისუფლება საქართველოს მიმზიდველ და ტურისტულ ქვეყნად გადაქცევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მიმზიდველობის ზრდისათვის აუცილებელია ტურიზმის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, მათი დაძლევის გზების დასახვა და განვითარების სწორი ტაქტიკის, სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრა.

2017 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო 136 ქვეყანას შორის 70-ე ადგილზე იმყოფება. მართალია, 2007 წელთან შედარებით ქვეყანამ 4 პოზიციით დაიწია უკან, მაგრამ 2009 წლიდან შეინიშნება საქართველოს რეიტინგული მაჩვენებლის, მართალია მცირედით, მაგრამ მაინც სისტემატური ზრდა.

⁴ <http://www.tabula.ge/ge/story/129315-heritage-foundation>
<https://www.heritage.org/index/ranking>
<https://www.statista.com/statistics/256965/worldwide-index-of-economic-freedom/>


ქვეყნის რეიტინგი და საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის დინამიკა 2007-2017 წლებში



წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2007-2017

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშება სხვადასხვა სუბინდექსების საფუძველზე ხდება. თითოეული ამ სუბინდექსისთვისაც განისაზღვრება ქვეყნის რეიტინგი და მიენიჭება შესაბამისი ქულა (იხ. დიაგრამა 7)

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით (2017 წელი)



წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017; <https://www.weforum.org/reports/the-travel-tourism-competitiveness-report-2017>

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები საქართველოს ტურიზმის ბიზნესგარემოს, უსაფრთხოებისა და დაცულობის, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის, გარემოს

დაცვის მიმართულებით გააჩნია; საშუალო დონეზეა ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის, ფასის კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსებისა და შრომის ბაზრის, ტურიზმის პრიორიტეტულობის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და საერთაშორისო გახსნილობის მაჩვენებლები; დაბალია საქმიანი ტურიზმის პირობებისა და კულტურული რესურსების გამოყენების, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების შესაბამისი ინდექსის მნიშვნელობები. აქედან გამომდინარე, ცალკეული სუბინდექსის მიხედვით დიფერენცირებულია საქართველოს რეიტინგი ქვეყანათა შორის.


2015 წელთან შედარებით, საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა ბიზნესგარემოს, უსაფრთხოების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზაობის, ტურიზმის პრიორიტეტულობის, ბუნებრივი რესურსების, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის, საჰაერო და საპორტო ინფრასტრუქტურის მიხედვით, ხოლო გაიუარესა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის, საერთაშორისო გახსნილობის, ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის მიხედვით.

ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურის დინამიკა აჩვენებს, რომ აშკარაა მეზობელი ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების სისტემატური ზრდის ტენდენცია. საინტერესოა, როგორია საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელობები?

2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ქვეყნების ხუთეულში საქართველო და აზერბაიჯანი ერთი და იმავე ინდექსით, მესამე და მეოთხე ადგილს ინაწილებენ. ამ ქვეყანათა ჯგუფს სათავეში უდგას რუსეთი და სიას ასრულებს სომხეთი, რომელიც საერთო რეიტინგით 84 პოზიციაზე იმყოფება. 2015 წელთან შედარებით, მინიჭებული ქულა ყველა ქვეყანამ გააუმჯობესა, თუმცა ყველაზე მაღალი მატების ტემპი, ანუ 6%, აზერბაიჯანისათვის დაფიქსირდა (იხ.დიაგრამა 8)

დიაგრამა 8

საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსები 2017 წლის ანგარიშის მიხედვით



წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2017; <https://www.weforum.org/reports/the-travel-tourism-competitiveness-report-2017>

რადგან საქართველომ ინდექსში ჩართული ზოგიერთი სუბინდექსის მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ზოგიერთით კი გაიუარესა მდგომარეობა, ამიტომ ამ

სუბინდექსების მიხედვითაც განხორციელდა მეზობელი ქვეყნების ინდექსების შედარებითი ანალიზი. როგორც აღმოჩნდა, საქართველოს რეიტინგი მაღალია და მეზობელ ქვეყნებს უსწრებს უსაფრთხოებისა და დაცულობის, ბიზნესგარემოს, ტურიზმის პრიორიტეტულობის მაჩვენებლებით. მეორე ადგილზეა (რუსეთის შემდეგ) ტურისტული სერვისის ინფრასტრუქტურით, მაგრამ მეზობელი ქვეყნების ხუთეულში ბოლო ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაზე მინიჭებული ქულით და ა. შ.

ზოგადად ტურიზმის მიმზიდველობის ზრდაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. პირობითად ისინი შეიძლება დაჯგუფებულ იქნეს 4 მსხვილ ჯგუფად (იხ.სქემა 1):



სქემა 1. ტურიზმის მიმზიდველობაზე მოქმედი ფაქტორები

ეს ფაქტორები აქტუალურია ჩვენს ქვეყანაშიც და შეიძლება ითქვას, საკმაოდ მწვავედაც ვლინდება მათი უარყოფითი გავლენა. საქართველოში, მიუხედავად გაზრდილი სასტუმროების რაოდენობისა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს განთავსების საშუალებების არასათანადო დონისა და რაოდენობის პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ისინი ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს (მაგალითად – ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რაიონი, იმერეთი და სხვა). საქართველოში არსებული და მშენებარე ტრანსნაციონალური კორპორაციების სასტუმროები (Raddisson, Sheraton, Kempinski და ა. შ.) ბიზნეს ვიზიტორების სეგმენტზეა გათვლილი და არა საშუალო ფენის ტურისტზე. ამიტომ პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში დაბალბიუჯეტური სასტუმროების არარსებობაც. ამ საკითხს კიდევ უფრო ამწვავენ ის ფაქტი, რომ მცირეა სამ–ვარსკვლავიანი დაბალბიუჯეტური საერთაშორისო სასტუმრო ქსელების რაოდენობა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთ–ერთ პრობლემას წარმოადგენს კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა და მომსახურების ხარისხი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ვიზიტორთა თავშეყრის ადგილებს, განსაკუთრებით ისტორიული თუ ბუნებრივი ძეგლებით დატვირთულ საინტერესო ადგილებს, პოპულარულ ტურისტულ საფეხმავლო ბილიკებს (მაგ. ყაზბეგი – სნო – ჯუთა – რომკა; მესტია – ადიში – ხალდე – კალა – უშგული; დასასვენებელ ადგილებს მაგალითად, შაორის წყალსაცავი, ენგურის წყალსაცავი და სხვა). სერიოზული პრობლემები იკვეთება გამართული სანიტარული კვანძების არარსებობის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მათი მოწყობა და სანიტარული ნორმების დაცვით ფუნქციონირება პოპულარული ტურისტული მარშრუტებისა და სანაჩაობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით რეგიონებში. ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ინდივიდუალურ, ანუ არაორგანიზებულ ტურისტთა რიცხვი და მოწესრიგდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება, რაც პოზიტიური ფაქტორია, მაგრამ დღის წესრიგში მაინც დგას

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზებისა და მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს სხვადასხვა ტურისტულ ღირსშესანიშნაობამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ჯერ კიდევ მრავალ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობასთან მისასვლელი გზა სავალალო მდგომარეობაშია. მართალია, ტურისტთა უმრავლესობა საქართველოში ჩამოდის სახმელეთო და საჰაერო გზით, მაგრამ ქვეყნის ტურიზმის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იქნება საკრუიზო მიმოსვლის აღდგენა-გააქტიურება. ჯერ კიდევ არსებობს არაკვალიფიციური პერსონალის (მაგალითად, განთავსების საშუალებებში, კვების ობიექტებში, სხვა ტურისტულ ობიექტებში) პრობლემა, შეინიშნება პროფესიონალი გიდების ნაკლებობაც, განსაკუთრებით სამთო გიდების მიმართულებით. მნიშვნელოვანია ტურისტული პაკეტის მაღალი ფასისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა.

ტურიზმის განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყნის ცნობადობის იმიჯის ამაღლება და სათანადო ინფორმაციის მისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ცნობადობის ხარისხი, გარკვეული ქვეყნისთვის საქართველო ჯერ კიდევ უცნობია და საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ აღიქმება ტურისტულ ქვეყნად. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სადაც საქართველოს იცნობენ მხოლოდ ნეგატიური მოვლენების გამო, ჯერ კიდევ სამოგზაუროდ საშიშ ქვეყნად მიიჩნევენ, ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია, თუნდაც მოხდეს საქართველოს საელჩოების უფრო ეფექტური გამოყენება ტურისტული ინფორმაციის გავრცელებისათვის. ეს ფაქტორები უარყოფითად მოქმედებენ ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში და ცხადია, მათი დროული გადაწყვეტა ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხოვნობის სისტემატური ზრდის პირობებში ქვეყნის მიმზიდველობის გაზრდას შეუწყობს ხელს. პარალელურად გაიზრდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი და ქვეყნის ეკონომიკაზე მისი გავლენის ხარისხი. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2017 წელს ქვეყანაში შემოვიდა 7 554 936 ვიზიტორი. ტურიზმის ინდუსტრიაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2 235 363 მილიონ ლარს მიაღწია, მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის წილი 6.9%-ია, ხოლო საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2, 751.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.⁵ მსოფლიოს ეკონომიკისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% შეადგენდა და იმავე ანგარიშში მოცემული პროგნოზით მოსალოდნელია აღნიშნული მაჩვენებლის 2028 წლისათვის 10.5%-მდე გაზრდა. მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის პირდაპირი კონტრიბუცია ასახავს ეკონომიკურ აქტივობას, რომელსაც ქმნიან სასტუმროები, ტურისტული ორგანიზაციები, ავიაკომპანიები, სამგზავრო საშუალებები, რესტორნები. მთლიან კონტრიბუციაში კი შედის ყველა სფერო, რომელიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან.⁶

საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის შესაფასებლად გამოვიყენეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში 2016 წლის მაის-აგვისტოში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ბაზაზე ჩატარებული უცხოელ ვიზიტორთა ტურისტული ხარჯების სტატისტიკური კვლევის შედეგები. სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, ტურისტების მიერ ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნებოდა: თბილისი, რომელსაც ეწვია ტურისტთა 71,9%, ბათუმი, რომელიც მოინახულა 52%-მა, მცხეთა,


⁵ www.gnta.ge

⁶ <https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2018/georgia2018.pdf>

ტურისტთა წილი აქ 15,7%-ია, ბორჯომი, აქ იმყოფებოდა ტურისტთა 15,2%, ქუთაისს, სიღნაღსა და გორს ეწვია რესპოდენტთა შესაბამისად 13,8%, 11,7% და 10,5%, ყაზბეგს - 6,7%, მესტიასა და უშგულს კი 5,5% და ა. შ.⁷

დიაგრამა 9

ვიზიტორების განაწილება მონახულების ადგილების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე

საინტერესო სურათი გამოვლინდა ტურისტების რეზიდენტობის გათვალისწინებით. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ანაკლიას ესტუმრა მხოლოდ ბელორუსიდან და ისრაელიდან ჩამოსული 12 ვიზიტორი. ბაკურიანს 55, მათ შორის, ყველაზე მეტი, 31%, რუსეთიდან, 27% აზერბაიჯანიდან და 20% ირანიდან ჩამოსული ვიზიტორი იყო. ბათუმი მონახულა 1079 ვიზიტორმა, მათ შორის ყველაზე მეტი, 29,7%, იყო უკრაინელი, 16,8% რუსი, ხოლო 9,9% ისრაელის მოქალაქე. ბორჯომში იმყოფებოდა 314 ვიზიტორი, რომელთა შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით, 27,7%-ით, შუა აზიისა (უზბეკეთისა და ყაზახეთის) და 23,6% რუსეთის მოქალაქეები წარმოადგენდნენ. ბოლნისი მონახულა 34-მა ვიზიტორმა და აღსანიშნავია რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა იყო რუსეთის ფედერაციის რეზიდენტი. გორს ესტუმრა 224 ადამიანი, მათ შორის ყველაზე მეტი უკრაინისა და შუა აზიის ქვეყნების რეზიდენტები (შესაბამისად 29.5% და 23%), გუდაურში იმყოფებოდა 85, მათ შორის ყველაზე მეტი იყო უკრაინელი (48%) და ირანელი (25.9%), ყაზბეგს ესტუმრა 227 ვიზიტორი, ყველაზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებისა (22%) და რუსეთის რეზიდენტები (20,7%). ქობულეთში იმყოფებოდა 351 რესპოდენტი, ყველაზე მეტი სომხეთისა (42,8%) და რუსეთის (30,4%) მოქალაქეები იყვნენ. ქუთაისს ესტუმრა 300 რესპოდენტი. მათ შორის ყველაზე მეტი უკრაინის (37%), რუსეთის (22,7%), ევროკავშირის (8%), შუა აზიის ქვეყნების (7,7%) რეზიდენტები იყვნენ. მესტიაში იმყოფებოდა 146 ადამიანი, ყველაზე მეტი, უკრაინის (45,2%), ევროკავშირის ქვეყნებისა (30,8%) და აშშ-ის (12,3%) მოქალაქეები დაფიქსირდნენ. მცხეთაში იმყოფებოდა 340 რესპოდენტი რომელთა შორის სჭარბობდა უკრაინის (40%), რუსეთის (26,5%), შუა აზიის (13,7%) და ევროკავშირის ქვეყნების (6,5%) რეზიდენტი და ა.შ.

⁷ Nino Abesadze, Marine Mindorashvili, Nino Paresashvili. Georgia Case: Tourism Expenses of International Visitors on the Basis of Growing Attractiveness. International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering. Volume 11, Issue 11, 2017, Pages 2414-2419

დასკვნა

მართალია, 2012 წლიდან საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი დინამიკაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ 2017-2018 წლის ანგარიშის მიხედვით ქვეყნის რეიტინგი გაუარესდა და საქართველომ 8 ადგილით დაიწია უკან; მეზობელი ქვეყნებიდან საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით უსწრებს მხოლოდ სომხეთს და ჩამორჩება თურქეთს, რუსეთსა და აზერბაიჯანს;

მართალია წინა წელთან შედარებით საქართველომ პოზიციები გაიუარესა სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის, ფინანსური ბაზრის განვითარების, ტექნოლოგიური მზადყოფნის, ბაზრის მასშტაბის, ჯანმრთელობისა და განათლების მიმართულებით, დაბალია ინოვაციისა და ბაზრის მასშტაბის ინდექსის მნიშვნელობები, მაგრამ ინფლაციის, სავაჭრო ტარიფების, ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დღეების რაოდენობის, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის და სხვ. მიხედვით ქვეყნების პირველ ათეულში შედის;

საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის ყველაზე პრობლემატურს წარმოადგენს: ადეკვატური განათლების მქონე კადრების არარსებობა, დაფინანსების ძნელად ხელმისაწვდომობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა და სხვ.;

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსით შეინიშნება ქვეყნის რეიტინგის, მართალია მცირედით, მაგრამ სისტემატური გაუმჯობესება;

ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, საქართველოს ტურიზმის ბიზნესგარემოს, უსაფრთხოების, დაცულობის, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის, გარემოს დაცვის მიმართულებით გააჩნია. საშუალო დონეზეა ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის, ფასის კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსებისა და შრომის ბაზრის, ტურიზმის პრიორიტეტულობის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და საერთაშორისო გახსნილობის ინდექსის მნიშვნელობები, დაბალია საქმიანი ტურიზმის პირობებისა და კულტურული რესურსების გამოყენების, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებელი;

მაღალია ტურიზმის ბიზნესის განვითარებაზე ინფრასტრუქტურული, პოლიტიკური არასტაბილურობისა და ინოვაციების გავლენის ხარისხი. მცირეა, მაგრამ მაინც არის კორუფციის უარყოფითი გავლენის რისკიც;

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, მეზობელ ქვეყნებს შორის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსით საქართველო და აზერბაიჯანი მესამე და მეოთხე ადგილს ინაწილებებენ. უპირობო ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს რუსეთი;

საქართველოს რეიტინგი მაღალია და მეზობელ ქვეყნებს უსწრებს უსაფრთხოებისა და დაცულობის, ბიზნესგარემოს, ტურიზმის პრიორიტეტულობის მაჩვენებლებით, მეორე ადგილზეა (რუსეთის შემდეგ) ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურით, მაგრამ ბოლო ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ინდექსით;

მიუხედავად ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა, დღემდე არსებობს განთავსების საშუალებების არასათანადო დონისა და რაოდენობის პრობლემა. მწვავეა ქვეყანაში დაბალბიუჯეტური სასტუმროების არარსებობის საკითხიც;

პრობლემას წარმოადგენს გამართული სანიტარული კვანძების არარსებობა, კვების ობიექტების არასათანადო აღჭურვილობა და მომსახურების ხარისხი, შესაბამისი განათლების მქონე კადრების დეფიციტი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება და მომსახურების გაუმჯობესება, ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობასთან

მისასვლელი გზის მოწესრიგება, ტურისტული პაკეტის მაღალი ფასისა და მომსახურების

ხარისხის შეუსაბამობა და ა. შ.;

კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება: თბილისი, ბათუმი, მცხეთა, ბორჯომი, ქუთაისი, სიღნაღი, გორი ყაზბეგი, მესტია, უშგული და ა. შ.;

საინტერესო სურათი გამოვლინდა ტურისტების რეზიდენტობის გათვალისწინებით. ანაკლიას ესტუმრა მხოლოდ ბელორუსიდან და ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორები. ბაკურიანს რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და ირანიდან ჩამოსულები, ბათუმი მონახულა უკრაინის, რუსეთის, აზერბაიჯანის, ისრაელის რეზიდენტებმა. ბორჯომში იმყოფებოდა შუა აზიისა (უზბეკეთი და ყაზახეთი) და რუსეთის მოქალაქეები, ყაზბეგს სტუმრობდა ევროკავშირის ქვეყნებისა და რუსეთის რეზიდენტები, ქობულეთში იმყოფებოდნენ ძირითადად სომხეთისა და რუსეთის მოქალაქეები, ქუთაისს ესტუმრა უკრაინის, რუსეთის, ევროკავშირის, შუა აზიის ქვეყნების რეზიდენტები და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე. სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ. 2017. გვ.452-465
2. Abesadze, N., Mindorashvili, M., Paresashvili, N. Statistical Data of Differentiation of Tourist. pp. Expenses. The Collection of scientific proceedings „Financial and credit activity: problems and prospect”. Vol. 2. #21, 2016, pages.248-257
3. Abesadze, N., Mindorashvili, M., Paresashvili, N. Georgia Case: Tourism Expenses of International Visitors on the Basis of Growing Attractiveness. International Journal of Economics and Management Engineering Vol:11, No:11, 2017 pages 2603-2608
4. Basic questionnaire proposed by WTO to estimate visitor expenditure associated to inbound tourism.
5. Paresashvili, N., Maisuradze, T. Destination management role in developing tourism in Georgia Social and Behavioral Sciences. 2014, pages 170-173
6. Research on International Experiences in Measuring Visitor Expenditure Associated with Inbound Tourism. <https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2002/02-38.pdf> Accessed on 25/05/2016
7. <http://www.sesrtic.org/imgs/news/Image/Basic%20questionnaire.visitor%20expenditure.pdf> Accessed on 12/04/2016
8. <http://www.tabula.ge/ge/story/129315-heritage-foundation>
9. http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/?doing_wp_cron=1520176957.4527590274810791015625#economy=GEO
10. <https://newsroom.mastercard.com/digital-press-kits/mastercard-global-destination-cities-index-2017>
11. <https://countryeconomy.com/government/global-competitiveness-index>
12. <https://www.heritage.org/index/ranking>
13. <https://www.statista.com/statistics/256965/worldwide-index-of-economic-freedom>
14. <https://www.weforum.org/reports/the-travel-tourism-competitiveness-report-2017>
15. <https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2018/georgia2018.pdf>
16. <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>
17. <https://www.weforum.org/reports/travel-and-tourism-competitiveness-report-2015>

Global Indexes and Tourism Development in Georgia

Nino Abesadze, associate professor

Email: nino.abesadze@tsu.ge

Abstract

The article describes the general characterization of Georgia's attractiveness indicators. Based on the Index Global Competitiveness, Economic Freedom and Competitiveness Index for Travel and Tourism are analyzed the rank and coefficients of Georgia. In the work is given analysis of reports of International organizations about competitiveness of countries and factors, affecting business development and in particular hazardous factors for tourism development in Georgia. In articles are given the list of attractive places for international tourists of Georgia and are made relevant conclusions.

Keywords: tourism, competitiveness, index, attractiveness, analysis.

სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ნინო აბესაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.
ელ. ფოსტა: nino.abesadze@tsu.ge;

ოთარ აბესაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ელ. ფოსტა: o.abesadze@gmail.com

ეკატერინე ლორთქიფანიძე, ეკონომიკის მაგისტრი
ელ. ფოსტა: elene_lortkipanidze@yahoo.com

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. მოვლენებს შორის კავშირის სიძლიერის განსაზღვრისათვის გაანგარიშებულ იქნა კორელაციის კოეფიციენტი დანაშაულს, უმუშევრობასა და შემოსავლებს შორის, განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ორი ფაქტორის (უმუშევრობა, შემოსავალი) გავლენა საშედეგო (დანაშაული) ცვლადის მნიშვნელობაზე. ამასთან მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებების შესწავლა განხორციელდა რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. რადგან მოვახდინეთ საშედეგო მოვლენაზე ორი ფაქტორის ზემოქმედების შესწავლა, ამიტომ დამოკიდებულებების შესასწავლად გამოვიყენეთ პარაბოლური რეგრესიის განტოლება. ნაშრომში გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, კორელაცია, რეგრესია, ფაქტორი, ანალიზი

სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულებზე ობიექტური სტატისტიკური მონაცემების არსებობა მნიშვნელოვანია ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის შეფასებისა

და იმ აუცილებელი ღონისძიებთა განსაზღვრისათვის, რომლებიც მიმართულ უნდა იქნეს დანაშაულების პრევენციისაკენ. სტატისტიკურ მონაცემთა ბაზები მნიშვნელოვანია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა-ანალიზისათვის, ამის საფუძველზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოსავლენად.

ნაშრომში წარმოდგენილი სისხლის სამართლის დანაშაულთა სტატისტიკური მაჩვენებლების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი მნიშვნელოვანი ორიენტირი შეიძლება იყოს მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებისთვის, რადგან ეს მათ საშუალებას მისცემს შეაფასონ და მოახდინონ მომავალში სისხლის სამართლის დანაშაულთა შესაძლო ცვლილებების კონტროლი. აქედან გამომდინარე, დანაშაულის სტატისტიკური კვლევის შედეგებს ენიჭებათ როგორც თეორიული, ისე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდამცავი უწყებების მიერ აღნიშნულ სფეროში მთელი რიგი ცვლილებების განხორციელების ან შესაძლო განხორციელების მოლოდინის პროცესში (პრევენციული ღონისძიებები, კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესების, ან გაუარესების მიზეზების გამოვლენა და ა. შ). აქედან გამომდინარე, დანაშაულის, მათ შორის სისხლის სამართლის დანაშაულის ადეკვატური სტატისტიკური მონაცემები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი სტატისტიკის არსებობისა და განვითარების აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომლის მეთოდოლოგიური სრულყოფა სისტემატურად ხდება, მათ შორის თანამედროვე ეტაპზეც.

ამჟამად სამართლებრივი სტატისტიკის წარმოებისას გარკვეული პრობლემები იკვეთება. პირველ რიგში ეს განპირობებულია იმით, რომ სისხლის სამართლის სტატისტიკის აღრიცხვას აწარმოებს სხვადასხვა უწყება, რომელთა მონაცემებიც ერთმანეთს არ ემთხვევა. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები. ამასთან, დღემდე არანაირი ღონისძიებები არ ტარდება იმისათვის, რომ მოხდეს ამ მონაცემების თანხვედრა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის სტატისტიკა გამოიყენება მხოლოდ როგორც პოლიციის, პროკურატურის და სასამართლო ხელისუფლების მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ეფექტიანობის ინდიკატორი, ხოლო მეცნიერული მიდგომა დანაშაულის შესწავლაზე, განსაკუთრებით კი დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე და მათი ზრდის ნეგატიურ შედეგებზე, მხოლოდ იშვიათად გამოვლინდება.

თანამედროვე სისხლის სამართლის სტატისტიკის პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მიმდინარეობს მეთოდოლოგიური სრულყოფის აქტიური ღონისძიებები, რაც პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა მჭიდროდ თანამშრომლობს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასთან (The European Commission for the Efficiency of Justice). საქმე იმაშია, რომ CEPEJ-ის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით, სისხლის სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია ნაწილობრივ არ ემთხვევა საქართველოში წარმოებული სტატისტიკის მეთოდოლოგიას, რაც უპირობოდ მოითხოვს მეთოდოლოგიური სრულყოფის განხორციელებას.

არსებული მეთოდოლოგიური მიდგომების პირობებში, სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობრივი ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სახის დანაშაულის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების კომპლექსური ანალიზი და ამის ბაზაზე, სტატისტიკური პროგნოზირება ადეკვატური მოდელების გამოყენების საფუძველზე. დანაშაულის ზრდაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამა თუ იმ სახის დანაშაულთა მოვლენის სტატისტიკური პროგნოზირებისას მიზანშეწონილი და აუცილებელია მრავალფაქტორიანი მოდელების

გამოყენება⁸. დანაშაულის ზრდაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში შევჩერდით ორფაქტორიან მოდელზე და განვახორციელეთ რეგისტრირებულ დანაშაულს, მოსახლეობის შემოსავლებსა და უმუშევრობის დონეს შორის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი.

მოვლენებს შორის კავშირის სიძლიერის განსაზღვრისათვის გავიანგარიშეთ კორელაციის კოეფიციენტი დანაშაულს, უმუშევრობასა და შემოსავლებს შორის და აღნიშნული ორი ფაქტორის (უმუშევრობა, შემოსავალი) გავლენა საშედეგო (დანაშაული) ცვლადის მნიშვნელობაზე (რეგრესიული ანალიზი).

კორელაციის კოეფიციენტი (r) იღებს მნიშვნელობას -1-დან +1-მდე. r - ის აბსოლუტური მნიშვნელობა ასახავს ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერეს.

კორელაციის კოეფიციენტისა და მრავლობითი რეგრესიის გამოთვლები ხელით საკმაოდ მონოტონურია. ამიტომ გაანგარიშებები ვაწარმოეთ სტატისტიკური პროგრამა SPSS –ის საშუალებით.

2006-2016 წლებში საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულები, 1 სულ მოსახლეზე საშუალოთვიური შემოსავალი და უმუშევრობის დონის მაჩვენებლები წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი N1

დანაშაულის, 1 სულზე საშუალოთვიური შემოსავალისა და უმუშევრობის მაჩვენებლების დინამიკა საქართველოში (2006-2016)

წელი	რეგისტრირებული დანაშაული (ერთეული)	საშუალოთვიური შემოსავალი 1 სულზე (ლარი)	უმუშევრობის დონე %
2006 წელი	54746	92.3	13.6
2007 წელი	44644	102.6	13.3
2008 წელი	35949	115.2	16.5
2009 წელი	34739	147.2	16.9
2010 წელი	32263	154.5	16.3
2011 წელი	39006	178.6	15.1
2012 წელი	28970	195.2	15.0
2013 წელი	36526	218.4	14.6
2014 წელი	35096	246.6	12.4
2015 წელი	35997	273.1	12.0
2016 წელი	37944	284.5	11.8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგისტრირებულ დანაშაულსა და შემოსავლებს შორის სიმჭიდროვის ხარისხის დასადგენად გაანგარიშებული კორელაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა -0.509-ს ტოლი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ შორის არსებობს საკმაოდ ძლიერი უარყოფითი კავშირი, ხოლო დანაშაულსა და უმუშევრობის დონეს შორის მართალია სუსტი, მაგრამ დადებითი კავშირი

⁸ გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012. გვ 106

დაფიქსირდა (კორელაციის კოეფიციენტი მივიღეთ $r=0.261$).

კორელაციის კოეფიციენტის არსებითობის დასადასტურებლად გავიანგარიშეთ შესაბამისი კრიტერიუმის ($t_{გაანგ.}$) მნიშვნელობა, რომელიც შედარებულ უნდა იქნეს სტიუდენტის კრიტერიუმის ცხრილურ მონაცემს. t ფაქტიური, ანუ საანგარიშო დაკვირვების მცირე რიცხვისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა:

$$t_{გაანგ.} = \frac{|R|}{\sigma} = \frac{|R|\sqrt{n-2}}{\sqrt{1-R^2}}$$

აღნიშნული ფორმულით გაანგარიშებული ნდობის ინტერვალი უნდა შევადაროთ სტიუდენტის კრიტერიუმის ცხრილურ მაჩვენებელს. წინასწარ უნდა მივიღოთ ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ $R=0$, ე.ი. მოვლენებს შორის კავშირი არ არსებობს. თუ აღმოჩნდება, რომ გაანგარიშებული მაჩვენებელი ცხრილურ მონაცემზე მეტია, მაშინ ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილი იქნება და კორელაციის კოეფიციენტი არსებითად ჩაითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა არაარსებითი იქნება. სტატისტიკური პროგრამა SPSS – ის დახმარებით ჩვენს მიერ გაანგარიშებულ იქნა $t_{გაანგ.}$ 95%-იანი ალბათობით და იგი შემოსავლებისა და უმუშევრობის ფაქტორების გათვალისწინებით, უდრის 4.69-ს, მაშინ, როცა ცხრილური მაჩვენებელი ($n-2=5$ და $\alpha=0.05$ მნიშვნელობებისათვის) შეადგენს 2.6-ს, ანუ $t_{გაანგ.} > t_{ცხრ.}$. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემულ მოვლენებს შორის კორელაციური კავშირი არსებითია⁹.

ამრიგად, რეგისტრირებულ დანაშაულსა და შემოსავლებს შორის არსებობს საკმაოდ მაღალი უკუკავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ საქართველოში შემოსავლის ოდენობა 1 სულ მოსახლეზე გაიზრდება, შემცირდება ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, ანუ გაუმჯობესდება კრიმინოგენური მდგომარეობა. უმუშევრობის დონესა და ჩადენილ დანაშაულს შორის კი პირიქით, არსებობს დადებითი კავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ უმუშევრობის დონის ზრდა უკავშირდება დანაშაულის ზრდას და, პირიქით, უმუშევრობის დონის შემცირება მომავალში გამოიწვევს რეგისტრირებული დანაშაულის შემცირებას ჩვენს ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კორელაციის კოეფიციენტი ასახავს მხოლოდ ცვლადებს შორის კავშირს და არა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას. აღნიშნული დამოკიდებულების შესწავლა მოვახდინეთ რეგრესიული ანალიზის საფუძველზე. ვინაიდან ჩვენ უნდა მოვახდინოთ საშედეგო მოვლენაზე ორი ფაქტორის ზემოქმედების შესწავლა,

ამიტომ რეგრესიის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:¹⁰

$$y = a_0 + a_1x_1 + a_2x_2$$

y არის დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობა, ჩვენს შემთხვევაში – რეგისტრირებული დანაშაული, x_1 – პირველი დამოუკიდებელი ცვლადი, ანუ საშუალო თვიური შემოსავალი 1 სულზე. x_2 - მეორე დამოუკიდებელი ცვლადი, ანუ უმუშევრობის დონე. a_0 არის y ღერძთან თანაკვეთა, y -ის მნიშვნელობა, როცა ორივე დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობა ნულს უტოლდება, a_1 არის y -ის ცვლილება x_1 -ის ერთეულობითი ცვლილების შედეგად; a_2 არის y -ის ცვლილება x_2 -ის

⁹ გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012. გვ. 148.

გელაშვილი ს., ჩიხლაძე ნ., სტატისტიკური მოდელირებისა და პროგნოზირების თეორიული საფუძვლები. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001. გვ.165

¹⁰ გელაშვილი ს. რეგრესიული ანალიზი მოვლენათა დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირებაში. საქართველოს სახ. აგარარ. უნივერსიტეტის სამეცნ. შრ. კრებული V. თბ., 1999 გვ. 350-355;

ერთეულობითი ცვლილების შედეგად¹¹.

a_0, a_1 და a_2 პარამეტრების გამოსათვლელად გამოვიყენეთ განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x_1 + a_2 \sum x_2 = \sum y \\ a_0 \sum x_1 + a_1 \sum x_1^2 + a_2 \sum x_1 x_2 = \sum x_1 y \\ a_0 \sum x_2 + a_1 \sum x_1 x_2 + a_2 \sum x_2^2 = \sum x_2 y \end{cases}$$

უნდა აღინიშნოს, რომ a_0, a_1, a_2 პარამეტრების გამოთვლა საკმაოდ შრომატევადია და დროის დიდ რესურსს საჭიროებს, ამიტომ მათი განსაზღვრა მოვახდინეთ SPSS - ის საფუძველზე. გაანგარიშების შედეგად მივიღეთ პარამეტრების მნიშვნელობები:

$$a_0 = 46372.509; a_1 = -55,047; a_2 = 9218.504;$$

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ჩავწეროთ ჩვენი კონკრეტული შემთხვევის რეგრესიის განტოლება:

$$y = 46372.509 - 55.047x_1 + 9218.504x_2$$

ამრიგად, დანაშაულის დონე შემცირდება დაახლოებით 55 ერთეულით, თუ შემოსავალი 1 სულ მოსახლეზე გაიზრდება 1 ლარით უმუშევრობის დონის მუდმივი შენარჩუნებით, ხოლო, თუ უმუშევრობა მოიმატებს 1%-ით, მაშინ რეგისტრირებული დანაშაულის ოდენობა გაიზრდება 9218 ერთეულით 1 სულ მოსახლეზე შემოსავლის უცვლელობის პირობებში. ამრიგად, თუ გვეცოდინება დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობა, განვსაზღვრავთ დამოკიდებულ ცვლადს (დანაშაულთა ოდენობას). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, დანაშაულის შემცირებისთვის გზის ერთერთი აუცილებელი ინდიკატორია დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი. ეკონომეტრიკა. გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012;
2. გაბიაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში ბიზნესსა და მენეჯმენტში. მე-4 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2011;
3. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., სოციალური სტატისტიკა (ელექტრონული ვერსია). თბ., 2013.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
5. გელაშვილი ს. რეგრესული ანალიზი მოვლენათა დინამიკის სტატისტიკურ პროგნოზირებაში. საქართველოს სახ. აგრარ. უნივერსიტ. სამეცნ. შრ. კრებული V. თბ., 1999.
6. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომც. „მერიდიანი“. თბ., 2012.
7. საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები.
9. ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასი, ანა ლეონ-გერერო. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. მთარგმნელები: მ. მინდორაშვილი, გ. ყუფარაძე. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2012.

¹¹ ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასი, ანა ლეონ-გერერო. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. მთარგმნელები: მ. მინდორაშვილი, გ. ყუფარაძე. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2012. გვ. 484

CORRELATION-REGRESSIVE ANALYSIS OF FACTORS ACTING ON THE NUMBER OF CRIMINAL OFFENSES

Nino Abesadze, Academic Doctor of Economics, Associate

Professor. Email: nino.abesadze@tsu.ge

Otar Abesadze, Academic Doctor of Economics

Email: o.abesadze@gmail.com

Ekaterine Lortkipanidze, Master of Economics

Email: elene_lortkipanidze@yahoo.com

Abstract

There are considered Correlation-regressive analysis of the actors acting on the number of criminal offenses in the paper. The correlation coefficient between crime, unemployment and incomes were calculated to determine the value of the two (factor unemployment, income) variables. In addition, the cause-effectiveness of the study was based on regressive analysis. Because we studied the effect of two factors on the eventual event, so we used parabolic regression equation to study dependency. The relevant conclusions are made in the work.

Keywords: crime, correlation, regression, factor, analysis

სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ინოვაციური მოდელი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკისთვის

ასლამაზიშვილი ნანა

ეკონომიკის დოქტორი,

საქართველოს ეროვნული ბანკის

სტატისტიკური ინფორმაციული

სისტემის პროექტის მენეჯერი

ელ. ფოსტა: aslamazishvilinana@gmail.com

ანოტაცია

დღეისათვის სტატისტიკური ინფორმაციის „ფასი“ მის მაღალ ხარისხსა და დროულობაშია. თუმცა, ბალანსი, ერთი მხრივ, ინფორმაციაზე მოთხოვნის თავბრუდამხვევ ზრდასა და არსებულ შეზღუდულ ფინანსურ და შრომით რესურსებს შორის, რომლებიც ინფორმაციის შექმნაზე პასუხისმგებელი, სულ უფრო სწრაფად ირღვევა და მისი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. პრობლემის დაძლევის

ერთადერთი სწორი გზა ინფორმაციის წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვაა.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის შემთხვევაში. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ფინანსებს ეფუძნება, წინსვლის, განვითარებისა და მოქნილობისათვის საჭიროებს რაც შეიძლება ახალ ინფორმაციას: სწრაფად და ხარისხიანს. თუმცა, ნაკლებად ხარჯიანს. წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოში სტატისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების წარმოების ბიზნეს-პროცესის თავისებურებებისა და განვითარების მიმდინარე მდგომარეობის განხილვა, როგორცაა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა და ცენტრალურ ბანკში მისი წარმოების ინოვაციური მოდელის შექმნისა და დანერგვის უპირატესობები.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მონეტარული სტატისტიკა, ფინანსური სტატისტიკა, სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელი, მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა.

შესავალი

„დღეს სიმდიდრე ინფორმაციაა“. ეს სიტყვები ამერიკელ ბიზმესმენსა და ავტორს რობერტ კიოსაკის ეკუთვნის. მართლაც, საზოგადოების საქმიანობის თუ ყოფა-ცხოვრების ნებისმიერი სფერო, მისი არსებობა, წინსვლა და განვითარება ინფორმაციის გარეშე წარმოუდგენელია.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საზოგადოება ძალიან სწრაფად ვითარდება. ამიტომ მისი რაოდენობრივი შესწავლა და ანალიზი ძველი მეთოდებით შეუძლებელია. ინფორმაციაზე მოთხოვნის თავბრუდამხვევ ზრდას არსებული ფინანსური და შრომითი რესურსები, რომლებიც ინფორმაციის შექმნისთვის არსებობს, ვერასოდეს ვერ გაუმკლავდება. პრობლემის დაძლევის ერთადერთი საშუალება ინფორმაციის წარმოების ინოვაციური გზაა.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოში სტატისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების თავისებურებებისა და განვითარების მიმდინარე ეტაპების განხილვა, როგორცაა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკა და ცენტრალურ ბანკში მისი წარმოების ინოვაციური მოდელის დანერგვის დადებითი მხარეები.

რა ღირს სტატისტიკა?

დღეისათვის სტატისტიკური ინფორმაციის „ფასი“ მის მაღალ ხარისხსა და დროულობაშია. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის შემთხვევაში. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ფინანსებს ეფუძნება, წინსვლის, განვითარებისა და მოქნილობისათვის საჭიროებს რაც შეიძლება ახალ ინფორმაციას: სწრაფად და ხარისხიანს. თუმცა, ნაკლებად ხარჯიანს. ასეთი წონასწორობის მიღწევა, ერთი შეხედვით, შეუძლებელია. თუმცა არის ერთადერთი გზა: საკითხის ინოვაციური ხედვა და გადაწყვეტა.

მცირე ისტორიული ექსკურსი საქართველოში მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის განვითარების ისტორიიდან: თანამედროვე სახით საქართველოს ეროვნული ბანკი 1991 წელს შეიქმნა; 1991-1998 წლებში მონეტარული სტატისტიკის ფორმირება მიმდინარეობდა იმ ფონზე, როცა კომერციული ბანკების რიცხვი 100-სს აჭარბებდა (1998 წლისთვის 45-მდე შემცირდა), საერთაშორისო სტატისტიკური მეთოდოლოგია, რომელიც პრინციპულად განსხვავებული იყო იქამდე არსებულისაგან (ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სტატისტიკისაგან), მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში იყო; 1999-2003 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების ადაპტირება საბანკო სტატისტიკაში, რის შედეგადაც დაინერგა და ამოქმედდა შესაბამისი სტატისტიკური ანგარიშგება ექსელის ბაზაზე, რომელიც 2015 წლამდე ფუნქციონირებდა; თუმცა, ამ პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ექსელის შესაძლებლობები არ იყო საკმარისი გამკლავებოდა სტატისტიკაზე გაზრდილ მოთხოვნებს ინფორმაციის მოცვის, ხარისხისა და სისწრაფის თვალსაზრისით, რასაც თან ახლდა საანგარიშგებო ტვირთის პერმანენტული დამძიმება. ერთადერთი გზა ამ ჩიხიდან თავის დასაღწევად იყო ინოვაციური მიდგომა პროგრესული სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის შესაქმნელად. სწორედ ასეთი ინოვაციური კონცეფცია ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2010 წლის ბოლოსათვის.

ეროვნული ანგარიშთა სისტემის მთავარი კითხვა მოქმედებაში

ეროვნული ანგარიშების სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მთავარი კითხვა: „ვინ რას აკეთებს, ვისთან ერთად, რის სანაცვლოდ, რა

საშუალებით, რა მიზნით, რის შესაცვლელად?“ (Who does what, with whom, in exchange for what, by what means, for what purpose, with what changes in stocks?). რა კავშირი აქვს მას მონეტარულ და ფინანსურ სტატისტიკასთან? როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგია გვიხსნის, ამ კითხვებზე პასუხების საფუძველზე შესაძლებელია არანორმალურად დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება ყველა ეკონომიკური ნაკადის, მარაგის, ოპერაციის და მათ შორის კავშირების შესახებ მთელი ეკონომიკის მასშტაბით¹². სწორედ ამ მიდგომით და ამ კონცეფციით მივედით მონეტარული და ფინანსური მონაცემების სტრუქტურის ზედმიწევნით დეტალურ აღწერამდე, რაც საფუძვლად დაედო იმ ინოვაციური ხედვის ჩამოყალიბებას, რომელმაც რადიკალურად შეცვალა სტატისტიკის წარმოების რუტინული ტრადიციული მეთოდები და შექმნა თანამედროვე სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელი ეროვნული ბანკის სტატისტიკის პრაქტიკაში. ეს მოდელია სეზსტატი.

სეზსტატი: სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური მოდელი

დღეისათვის მოქმედი სტატისტიკური სტანდარტების მოთხოვნებით ფინანსური სექტორის სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურა საკმაოდ მრავალგანზომილებიანია. კერძოდ, ფინანსური სექტორის სტატისტიკა უნდა ასახავდეს ფინანსურ ინსტრუმენტებს, ერთდროულად, სტატუსის (აქტივი/ვალდებულება), ოპერაცია/მდგომარეობის (ნაშთები/ნაკადები), სექტორების, ვალუტების, რეზიდენტობის, საქმიანობის სახეების, გეოგრაფიული განაწილების, ღირებულებით/რაოდენობრივ და სხვა (სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტი-სათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ) ჭრილებში.


ამდენად, ასეთი მრავალფეროვანი ინფორმაციის მოპოვება, ხარისხის კონტროლი, დამუშავება, შენახვა და გავრცელება მკაცრად სისტემატიზებულ და სტანდარტიზებულ წესებს მოითხოვს შესაბამისი ბიზნეს-პროცესის გამართული და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად, რომელიც გრძელვადიან პერიოდზე იქნება გათვლილი.

დღეისათვის სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესი რადიკალურად განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ სტატისტიკის მწარმოებელ სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატისტიკის წარმოება შრომატევადი და ძვირადღირებული საქმიანობაა მის ყველა ეტაპზე (ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება-გავრცელება). ამასთან, მისი პროდუქტების ღირებულება (მნიშვნელობა) მცირდება, თუ ის დროში გაწელილი და არასრულყოფილია. ამდენად, სტატისტიკის წარმოების ეფექტიანობის ზრდის ინოვაციური ხერხებისა და მეთოდების დანერგვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ მოტანილია სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესის სქემა, რომელიც რეკომენდებულია დღეისათვის საერთაშორისო სტატისტიკური ორგანოების მიერ, როგორც იდეალური მოდელი ეროვნული სტატისტიკური სისტემების მიერ თავიანთ სტატისტიკურ საქმიანობაში გამოყენებისათვის. სტატისტიკური პროდუქტების ხარისხი ფასდება, თუ რამდენად ზედმიწევნით იცავენ ეროვნული სტატისტიკური სამსახურები სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის თითოეულ ეტაპს.

¹² System of National Accounts (2008 SNA). (2008). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. P. 16.

სქემა 1. სტატისტიკის ბიზნეს პროცესის სტანდარტული მოდელი



როგორც სქემიდან ჩანს, სტატისტიკური ბიზნეს პროცესის წარმართვა ადვილი საქმიანობა არაა. პრობლემის არსი და სიმწვავე მდგომარეობს, ერთი მხრივ, სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო და ამასთანავე, რეკომენდებული მუდმივად განმეორებადი პროცედურების სიმრავლეში და, მეორე მხრივ, აღნიშნული პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მასშტაბებში.

მთელს მსოფლიოში სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესის ევოლუცია არცთუ ისე სწრაფად და მასშტაბურად მიმდინარეობს და დღეისათვის მისი ყველა ფორმით გვხვდება: ქაღალდის „ტექნოლოგიებიდან“ სრულად ავტომატიზებულ ტექნოლოგიებამდე. მიზეზები მრავალგვარია, თუმცა ძირითადად უკავშირდება რესურსების სიმცირეს, როგორც ფინანსურს, ისე ადამიანურს. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა კომპიუტერული ტექნოლოგიების პროგრესის წინმსწრებ ტემპებთან არის დაკავშირებული და უკვე არსებული, მაგრამ მოძველებული სტატისტიკური ტექნოლოგიების შეცვლის აუცილებლობას უკავშირდება. მაშინ როცა შედარებით ნაკლებად წინწასულ, ან განვითარებად ქვეყნებს ამ საქმეს მნიშვნელოვნად უშლის ხელს არა მარტო რესურსების, არამედ გამოცდილების სიმწირე და არსებული სტატისტიკური საქმიანობის ტრადიციების ჩამორჩენილობა.

რაში მდგომარეობს სეზსტატის პასუხი ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე?

სეზსტატი წარმოადგენს სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციურ მოდელს, რომელიც ზემოთ მოტანილ სტანდარტულ მოდელში წარმოადგენილი პროცედურების უნიფიკაციის, სტანდარტიზაციისა და ავტომატიზაციის გზით აღწევს მის მაქსიმალურ ოპტიმიზაციას. ამის მისაღწევად იგი ადგენს სტანდარტების ერთობლიობას სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურის განსაზღვრისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემებით შემდგომი ოპერირებისათვის (სისტემატიზაცია, კონტროლი, დამუშავება, გავრცელება, შენახვა, ანალიზი და ა.შ.) თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ბაზაზე.

ჩვენი მიდგომა სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურის განსაზღვრისადმი გულისხმობს სამუშაოების რამდენიმე ეტაპს.

პირველი, სტატისტიკური საჭიროებების განსაზღვრა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;


მეორე, არსებული მონაცემების სტრუქტურის შესწავლა და ერთგვაროვან მონაცემთა ჯგუფების ჩამოყალიბება, რაც საფუძვლად დაედება მონაცემთა ოჯახების შექმნას;

მესამე, არსებული მონაცემების სტრუქტურის შედარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სტრუქტურასთან და დამატებითი საჭიროებების ჩამოყალიბება;

მეოთხე, მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა თითოეული მონაცემთა ოჯახისათვის.

მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის წესი არის მკაცრად და მკაფიოდ სტანდარტიზებული, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკური ბიზნეს პროცესის რეკომენდებული სტანდარტული მოდელის პირველ სამ ქვემოდელთან (იხ.სქემა 1) დაკავშირებული პროცედურების მაქსიმალურ ოპტიმიზაციას და, შესაბამისად, დროისა და რესურსების მნიშვნელოვან დაზოგვას.


ზემოაღნიშნულის ილუსტრირების მიზნით ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურა, სადაც მონაცემების თანრიგები ლოგიკურადაა განლაგებული: საწყისი მონაცემები (ისეთები როგორცაა მონაცემთა ოჯახის კოდი, რესპონდენტის კოდი, ანგარიშგების სიხშირის კოდი), კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მახასიათებლები, რომელი ინსტრუმენტიც არის ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმების საგანი, ბანკის კლიენტის მახასიათებლები, დამატებითი ინფორმაცია და ოპერაციის მნიშვნელობები (ღირებულება, რაოდენობა და ა.შ.).



აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში, ფინანსურ მაჩვენებლებზე არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, მონაცემების სტრუქტურა შედგება 17 თანრიგისაგან. თითოეულ თანრიგს შეესაბამება სტატისტიკური კლასიფიკატორი, რომელიც იძლევა საშუალებას შეირჩეს მოცემული მნიშვნელობის შესაბამისი კოდი. ასეთი კოდების ერთობლიობა იძლევა აღსაწერი მონაცემის უნიკალურ კოდს, ანუ გასაღებს.

ფინანსური ინსტრუმენტის კოდი


XXX.XXX.XX.XXXXXX.XX.XX.XXXX.XXX.



- ვალუტა
- ვალიანობა
- ნაშთი/ნაკადი
- სტატუსი
- ინსტრუმენტი (რას აკეთებს?)
- პერიოდი
- ბანკი (ვინ?)
- მონაცემთა ოჯახი


ფინანსური ინსტრუმენტის კოდი (გაგრძელება)

XX.XXXXXX.XX.XXX.XXXXXXX.XXX.XX.XXXXXX.XX.



- შეფასების ტიპი
- პროცენტი (რის სანაცვლოდ?)
- რანჟირება
- უზრუნველყოფა
- დამატებითი ინფო (რა მიზნით?)
- რეგიონი
- საქმიანობის სახე (ვისთან?)
- სექტორი (ვისთან?)
- რეზიდენტობა (ვისთან?)

აღწერილი მიდგომა მართლაც არანორმალურად ბევრი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა ერთი უნიკალური კოდის გამოყენებით. ამის მაგალითია ქვემოთ მოტანილი კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის შესახებ მონაცემის სტრუქტურა, რომლის მიღების საშუალებას იძლევა სებსტატი.



მას შემდეგ რაც განისაზღვრება საჭირო ინფორმაციის სტრუქტურა, დგება დრო განისაზღვროს რესპონდენტის მიმართ (ამ შემთხვევაში ბანკის მიმართ) მოთხოვნები: რა ინფორმაციის წარდგენა ევალება მას სათანადო სტატისტიკურ ორგანოში (ამ შემთხვევაში - ეროვნულ ბანკში). ეს მოთხოვნები კარდინალურად განსხვავდება ტრადიციული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისაგან, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ ცხრილებს ქალაქში ან ელექტრონულს, ექსელის ბაზაზე. სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურის განსაზღვრის ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე, ამჟამად მოთხოვნები ინფორმაციაზე წარმოადგენს კონკრეტული მონაცემების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც მონაცემთა სისტემატიზაცია, გადაცემა, ხარისხის კონტროლი, დამუშავება და ანალიზი შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით. აღწერილ მიდგომაზე დაფუძნებული ტექნოლოგია ერთიორად ზოგავს დროს, საანგარიშგებო ტვირთს, ამალეებს მონაცემთა ხარისხსა და დროულობას. ამასთან, არნახულად აიოლებს ზემოაღნიშნულ სქემა 1-ზე ასახული სტატისტიკური ბიზნეს პროცესის სტანდარტული მოდელის ყველა ეტაპს, ამცირებს მისი სრული ციკლის განხორციელების დროს.

სტატისტიკურ ინფორმაციაზე ცენტრალური ბანკის მოთხოვნის ნიმუში, წინამდებარე მოდელის გამოყენებისას, მოცემულია ქვემოთ:

Family	Source	Freq	Ins	Sta	Stfl	Mat	Cur	Res	Sec	Nac	Reg	Lop	Loc	Rng	Ir	Mtype
FIM	AAA	MM	F03206	AS	ST	XXXX	FRC	RR	AAAAAA	AA	R00	XXXXXXX	XXX	XX	XXXXXX	MV
				LI	FL		GEL	NN			R13					VC
								NM								OC

ამდენად, სტატისტიკური ბიზნეს პროცესის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

პირველად საქართველოს საბანკო სისტემის პრაქტიკაში შემუშავდა და დაინერგა სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერის უნიფიცირებული მეთოდი, რის საფუძველზეც დაინერგა მონაცემთა ჩაწერის/ხარისხის კონტროლის/დამუშავების/გადაცემის პრაქტიკა მაიდენტიფიცირებელი გასაღებების მეშვეობით;

შემუშავდა სტატისტიკური და ფინანსური მაჩვენებლების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების ფორმირების სტანდარტული წესები და პროცედურები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ყველანაირი რესურსის დანახარჯებს სტატისტიკური მოთხოვნების ფორმირებაზე, ტესტირებაზე, დანერგვაზე და ა.შ.;

შემუშავდა და დაინერგა სტატისტიკური მოთხოვნების ფორმირების პრაქტიკა მაიდენტიფიცირებელი გასაღებების მეშვეობით, ნაცვლად ექსელის მრავალრიცხოვანი კითხვარებისა;

მონაცემთა სტრუქტურის აღწერის უნიფიცირებული მეთოდის დანერგვისა და მონაცემების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების მეშვეობით აღწერის საფუძველზე, პირველად საქართველოს საბანკო სისტემის პრაქტიკაში, შესაძლებელი გახდა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება სტატისტიკურ მონაცემებთან მიმართებაში, რის შედეგადაც მოხდა სტატისტიკური ბიზნეს პროცესის მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია. ეს მნიშვნელოვნად ზოგავს ადამიანურ, ფინანსურ და დროის დანახარჯებს სტატისტიკის წარმოების პროცესში მთელ საბანკო სისტემაში და ამსუბუქებს საანგარიშგებო ტვირთს.

მონაცემთა სტრუქტურის აღწერისა და მონაცემების უნიკალური მაიდენტიფიცირებელი გასაღებების სახით წარმოდგენის დანერგვის შედეგად მაქსიმალურად გაიოლდა აღნიშნულ სფეროში ცოდნის გადაცემისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, რაც კომუნიკაციის სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის საბანკო სისტემის მონაწილეებს შორის;

მონაცემთა სტრუქტურის აღწერისა და მონაცემების უნიკალური მაიდენტიფიცირებელი გასაღებების სახით წარმოდგენის პროცედურების მოქნილობა უკიდურესად აიოლებს ანალოგიური პრაქტიკის მთელ ფინანსურ სექტორში დანერგვას.

ინოვაციური სტატისტიკური ბიზნეს პროცესის დანერგვამ საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად შეცვალა სტატისტიკის წარმოების პრაქტიკა ამ სფეროში. კერძოდ:

განხორციელდა სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესის სტანდარტული მოდელის მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია როგორც ეროვნულ ბანკში, ისე კომერციულ ბანკებში;

მონაცემთა სტრუქტურის აღწერისა და მონაცემების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების წარმოდგენის პრაქტიკის დანერგვა უზრუნველყოფს საქართველოს საბანკო სისტემის სტატისტიკური მონაცემების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და თავსებადობას;

მონაცემთა სტრუქტურის აღწერისა და მონაცემების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების სახით წარმოდგენის პრაქტიკა მაქსიმალურად აადვილებს შესაბამისი მეთოდოლოგიის ერთგვაროვან გაგებას სტატისტიკის მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის, შესაბამისად უზრუნველყოფს მონაცემთა მაღალ ხარისხსა და გამჭვირვალობას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ეფექტიანობა, არამედ თანამშრომელთა მოტივაციაც, მნიშვნელოვანი დროითი რესურსების გამოთავისუფლების ხარჯზე ახალი ანალიტიკური სტატისტიკური პროდუქტების შექმნისა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე მომხმარებელთა მაღალი ინტერესის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

მნიშვნელოვნად შემსუბუქდა სტატისტიკური ტვირთი, რუტინული სტატისტიკური პროცედურების გაუქმებისა და სტატისტიკური ბიზნეს პროცესის თანამედროვე ინოვაციური მოდელის დანერგვის გზით.

სეზსტატი, როგორც სასარგებლო მოდელი განკუთვნილია არა მარტო საქართველოს საბანკო სისტემის სტატისტიკური ბიზნეს პროცესის ძირეული მოდერნიზაციისათვის, არამედ მისი პრინციპები და მიდგომები სრულიად ადაპტირებადია სხვა ფინანსური ინსტიტუტებში, ისევე როგორც სტატისტიკის სხვა მიმართულებებში გამოსაყენებლად. გარდა ამისა, სეზსტატის დანერგვისა და გამოყენების პრინციპები და სტანდარტიზაციის დონე საშუალებას იძლევა ადვილად მოხდეს გამოცდილების გაზიარება და გადაცემა სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკებისათვის, მათ მიერ გამოყენებული სტატისტიკური ბიზნეს პროცესის მოდერნიზაციის მიზნებისათვის.

დასკვნა

ამდენად, სეზსტატის წარმოება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს, რომლებიც ჩვენი აზრით, ანიჭებს მას სტატისტიკის სრულყოფილად წარმოებისათვის ყველა აუცილებელ უპირატესობას. კერძოდ, ეს არის:

გამჭვირვალობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც მიიღება რესპონდენტი ბანკიდან, არის ზედმიწევნით ზუსტად და მკაფიოდ სტრუქტურულიზებული და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ნახოს იგი რა კომპონენტებს მოიცავს, ან არ მოიცავს.

ერთი ჩანაწერის პრინციპი - გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტი სისტემაში იწერება ერთხელ. ეს მიდგომა მთლიანად გამორიცხავს დუბლირებას და მონაცემთა შორის შეუსაბამობას. აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს საანგარიშგებო ტვირთს.

ზუსტი თანმიმდევრულობის პრინციპი - გულისხმობს იმას, რომ სეზსტატის ჩარჩოებში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესი ორგანიზებულია ზედმიწევნით ზუსტი და მკაფიო დოკუმენტირებული პროცედურებით, რომლებიც ხორციელდება დადგენილი თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მუშაობის მაღალ ხარისხსა და კულტურას, მონაცემთა ხარისხის საიმედოობას და დროულობას.

ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპი - გულისხმობს იმას, რომ სეზსტატში ჩართული ორივე მხარე, ანუ როგორც ინფორმაციის მომწოდებელი, ისე ეროვნული ბანკი „მოგებულია“ სეზსტატში ჩართულობით, რადგანაც იგი უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის ერთიანობასა და გამჭვირვალობას, მონაცემთა საიმედოობას, დროულობასა და მაღალ ხარისხს, სტატისტიკის წარმოების მაღალი კულტურის დანერგვას.

სტატისტიკის წარმოების ხერხებისა და პროცედურების სტანდარტიზაციისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა გაფართოვდეს სეზსტატი, როგორც ინსტიტუციური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით (იგულისხმება ფინანსური ინსტიტუტების, ფინანსური ინსტრუმენტების, ფინანსური სექტორის კლიენტების და ა.შ. წრის გაფართოება), მინიმალური დროითი და სხვა დანახარჯებით, რამაც უნდა უზრუნველყოს ფინანსური სექტორის სტატისტიკის მაღალი ხარისხი და მაქსიმალური შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

ბოლოთქმა

„თუ ფიქრობ ისე, როგორც გუშინ, ხვალ გექნება ის, რაც გაქვს დღეს“ - ეს გამონათქვამიც რობერტ კიოსაკის ეკუთვნის. ვფიქრობ ეს სიტყვები სტატისტიკის განვითარების კონტექსტში ძალზედ აქტუალურია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ. სებსტატი: ინოვაციური სტატისტიკური ბიზნეს-პროცესი ცენტრალური ბანკისთვის. ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო საქმე“. ტ.1. N3. 2013. გვ.:7-27.
2. ასლამაზიშვილი ნ. სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემა. სახელმძღვანელო. თბილისი. 2015. -96 გვ.
3. ასლამაზიშვილი ნ. სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემა. სახელმძღვანელო. მე-2 გადამუშავებული გამოცემა. თბილისი. 2017. -132 გვ.
4. Monetary and Financial Statistics Manual. (2000). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.
5. Kester A., International Reserves and Foreign Currency Liquidity. Guidelines for a Data Template. (2001). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.
6. Monetary and Financial Statistics Compilation Guide. (2008). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.
7. System of National Accounts (2008 SNA). (2008). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank.
8. Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6). (2009). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.

Innovative Statistical Business Process Model for Monetary and Financial Statistics

Nana Aslamazishvili

PhD in Economics,
Project manager of the
Statistical Information System at the
National Bank of Georgia
aslamazishvilinana@gmail.com

Abstract

In a highly competitive business environment, focusing on the needs of users on statistical information is only way to be "... an indispensable element in the information system of a democratic society, serving the Government, the economy and the public with data about the economic, demographic, social and environmental situation"¹³. However, great goals are hard to achieve. From this point of view, it is very important to know how to prioritize the objectives. Hence, thinking about better user satisfaction, the decision was made to re-organize the entire statistical business process model at the National Bank of Georgia, at first. Why the new statistical business process model? First of all, to change dramatically existing excel-based production into standardized procedures for each step of the data collection, processing and dissemination, and create comprehensive database responding to the statistical requirements on both international and domestic level. As a result of this idea at the end of 2015 National Bank of Georgia launched innovative statistical business process model, so-called SebStat, as a modern and flexible statistical system for central bank.

Keywords: Market Economy, System of National Accounts, Monetary Statistics, Financial Statistics, Statistical Business Process Model, Data Structure Definition.

¹³ Fundamental Principles of Official Statistics. Resolution adopted by the General Assembly of UN on 29 January 2014. <https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/FP-New-E.pdf>.

ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები

ნონა ახვლედიანი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ელ.ფოსტა: Nona.axvlediani@yahoo.com

ნაირა ვირსალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ელ.ფოსტა: nairvsaladze@mail.ru

ივლია ონიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ელ.ფოსტა: iulia-sasashi@mail.ru

ანოტაცია

საქართველოს ტურისტული ბაზრის სტატისტიკური კვლევა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთის, ტურისტული პოტენციალის ათვისება-გამოყენების თვალსაზრისით. სტატიაში „ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები“ ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული დარგის სხვადასხვა სეგმენტის ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზზე, პრობლემებსა და ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებაზე, რომელიც დღესდღეობით ძალზედ მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროს ეკონომიკური განვითარების მზარდი ტრენდის მიღების თვალსაზრისით. მწირი სტატისტიკური მონაცემები და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ საზოგადოდ მიღებული მარკეტინგული კვლევის ჩატარება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ტურისტული პოტენციალის განვითარების ძირითად მიმართულებათა გამოვლენის ინფორმაციულ სისრულეს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სრულყოფილი ანალიზისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ვიზიტორი, ზრდის ტემპი, სტრატეგია.

საქართველო მისი უნიკალური ბუნებიდან გამომდინარე კურორტებით უმდიდრესი ქვეყანაა და მიეკუთნება იმ ქვეყანათა რიცხვს სადაც უამრავი რამის ნახვა შეუძლია ტურისტს: მრავალფეროვანი ბუნება, კურორტები და მინერალური წყლები, მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლები, ფოლკლორი, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და ა.შ. ტურიზმს დღეისათვის მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, დამატებით კიდევ არა ერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ქვეყნისათვის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა, არაფორმალური და ფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის გარანტიაა, აუმჯობესებს ქვეყნის იმიჯს საერთაშორისო არენაზე და ა.შ.

დღესდღეობით ძირითადი აქცენტი გადატანილია უცხოეთიდან ტურისტების მოზიდვაზე, თუმცა შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ დასასვენებლად წასული ჩვენი მოქალაქეების რიცხვი არანაკლებია. რეალურად საქართველოდან ფინანსური რესურსები მხოლოდ იმიტომ გაედინება, რომ არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ საკუთარი მოქალაქეები კონკურენტული, მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურებით. ცხადია ზოგადად მდგომარეობის გაუმჯობესება ტურისტულ ბიზნესში ხელს შეუწყობს ამ თანხების ისევ საქართველოში დარჩენას. ღვინის ტურიზმი ეს ალბათ ის განსაკუთრებით სპეციფიური სახეობაა ტურიზმისა, რომელზეც საქართველომ აქცენტირება უნდა მოახდინოს და საკმაოდ დიდი ნიშა შეუძლია მოიპოვოს მსოფლიო ბაზარზე. სარეკლამო კამპანიებში ფოკუსირება უნდა მოხდეს იმაზე, რომ საქართველო ითვლება ღვინის სამშობლოდ და აქ 500-ზე მეტი ენდემური ჯიშის ყურძენი არსებობს. ცხადია ღვინო უნდა იყოს ამ ტურიზმის არსის ძირითადი ღერძი, თუმცა ჰარმონიულად შეიძლება პარალელურად სხვა აქცენტების გაძლიერებაც – ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები, ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი და ა.შ. 2017წ. 7-9 სექტემბერს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციას. ღონისძიებას 240-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, რომლებიც 40-ზე მეტ ქვეყანას წარმოადგენდნენ (130-ზე მეტი ორგანიზაცია), მათ შორის, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური-მდივანი ტალიზ რიფაი. მისი თქმით - „საქართველო ესაა ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს. საქართველო ძალიან ლამაზია არა მხოლოდ თავისი ბუნებით, მთებით, მისი 8 ათასწლიანი ღვინის ისტორიით და ულამაზესი ხალხით, არამედ, ის ყველაზე სტუმართმოყვარე, ყველაზე ცოცხალი ერია მსოფლიოში. ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც თამამად შეგვიძლია ღვინის აკვანი ვუწოდოთ. კახეთი მართლაც რომ ღვინის აკვანია და სხვადასხვა მიზეზთა გამო, დარწმუნებული ვარ, სწორედ აქ დაიწყო ყველაფერი. სწორედ აქ დაიწყო ადამიანმა ცხოვრებისა და სიხარულის ზეიმი, ჩვენ ვსაუბრობთ სასმელზე, რომელიც 8 ათასი წლისაა და რომელიც აქ წარმოიშვა. ღვინო სწორედ აქ იღებს სათავეს. საქართველო არის ღვინის ყველა მწარმოებლის მიერ მოსანახულებელი ადგილი. მას ღვინის წარმოების 8-ათასწლიანი ისტორიაა აქვს.“ კონფერენციის ფარგლებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ დაამტკიცა „საქართველოს დეკლარაცია ღვინის ტურიზმის შესახებ“, დოკუმენტი ასახავს ღვინის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს, სექტორის ხედვასა და მიმართულებებს.

საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია გურმანთა ტურიზმი, ეთნო, ეკო, კულტურული, რელიგიური და პილიგრიმული ტურები. საქართველო ერთ-ერთი უძველესი აუტოკეფალური ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც მრავალი საუკუნის წინ აშენებულ ეკლესია-მონასტრებსა და სალოცავებში არა ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდე ინახება, სათამაშო ტურიზმი, ერთი პერიოდი აქტიურად განიხილებოდა წყალტუბოში ლას-ვეგასის ტიპის სამორინეთა კომპლექსის ჩამოყალიბების საკითხი, თუმცა წინსვლა უმნიშვნელოა, ვინაიდან სათამაშო კომპლექსი მხოლოდ სამორინეს არ გულისხმობს, მას სერიოზული თანხმობები დასასვენებელ-გასართობი ინფრასტრუქტურა უნდა ახლდეს, რასაც სოლიდური ინვესტიციები სჭირდება და ამ ეტაპზე ნოლიდან დაწყება არავისათვის არ იქნება მიმზიდველი, ბიზნეს და პროფესიული ტურები საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება.


ამ მიმართულების განვითარებისათვის ძალზედ აქტუალურია საერთაშორისო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, გამოფენების და ა.შ. მოწყობა, განსაკუთრებით, თუ მათ პერიოდული და რეგულარული ხასიათი მიეცემა, რაც გაზრდის პრესტიჟს და სულ უფრო მეტ და სერიოზულ მონაწილეს მოიზიდავს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებლებისათვის ავიატრანსპორტით სარგებლობის გაადვილებას და გაიაფებას – ინფრასტრუქტურის და მომსახურების ხარისხის განვითარების ყველა ასპექტში. 2016 წლის ჯამური მონაცემებით საერთაშორისო რეისების რაოდენობამ 15,318 შეადგინა. ზრდა წინა წელთან შედარებით +12%-ია. რაც შეეხება მგზავრებს, 2016 წლის ჯამური მონაცემებით მათი რაოდენობა 2,840,455 შეადგენს, ზრდა წინა წელთან შედარებით +26%-ია. მგზავრთა ნაკადის ზრდა განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის შემდეგ შეიმჩნევა.

ქუთაისის აეროპორტიდან ყველაზე მეტი მიმართულებით ფრენებს ავიაკომპანია „ვიზიარი“ ახორციელებს და ბილეთების ფასი საგრძნობლად დაბალია, რომელიც დაახლოებით, 25 ევროდან იწყება.

დიაგრამა 1.

საქართველოს აეროპორტების სტატისტიკა



წყარო: საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 2017

უმჯობესდება აეროპორტის სერვისებიც. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაახლოებით ერთ წელიწადში მზად იქნება აეროპორტამდე მიმავალი რკინიგზაც, რომელიც მგზავრებს პირდაპირ აეროპორტში მიიყვანს.

ცხრილი 1. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა ნაკადის წლიური სტატისტიკა

წელი	რაოდენობა
2015	183 804
2016	182 026

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას თუ მოვიშველიებთ, ქუთაისის აეროპორტში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია ევროპის მიმართულებით გადაადგილებული საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი აპრილში (იხ. ცხრილი 2.)

ცხრილი 2. მგზავრთა ნაკადი ევროპის მიმართულებით/ევროპიდან და პროცენტული ცვლილება


წელი	2016	წინა თვესთან შედარებით	2017	წინა თვესთან შედარებით
მარტი	8 975	134.9%	11 578	114.05%
აპრილი	12 560	139.9%	19 943	172.24%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის ოფიციალური მონაცემებით, აპრილში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა საერთო რაოდენობამ 36 207 შეადგინა (წინა წელს ეს მაჩვენებელი 16 881 იყო). თუ ამ მონაცემს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას შევადარებთ, გამოვა, რომ ქუთაისის აეროპორტში მგზავრთა ნახევარზე მეტი ევროპასთან დაკავშირებული ვიზიტორია.

დიაგრამა 2.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2017

საერთაშორისო შემოსვლები, პირველი 10 ქვეყანა

	ქვეყანა	2015	2016	ცვლილება	ცვლილება %
1	აზერბაიჯანი	1,393,257	1,523,075	129,818	9.3%
2	სომხეთი	1,468,888	1,496,246	27,358	1.9%
3	თურქეთი	1,391,721	1,254,089	-137,632	-9.9%
4	რუსეთი	926,144	1,037,564	111,420	12.0%
5	უკრაინა	141,734	172,631	30,897	21.8%
6	ირანი	25,273	147,915	122,642	485.3%
7	ისრაელი	59,487	92,213	32,726	55.0%
8	ყაზახეთი	36,777	48,809	12,032	32.7%
9	პოლონეთი	41,425	44,388	2,963	7.2%
10	გერმანია	36,826	40,889	4,063	11.0%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2016 წელს საქართველოს 6 350 825 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც, 2015 წელთან შედარებით, 449 731-ით მეტია (ზრდამ 7.6% შეადგინა). 2016 წელს 19 %-ით გაიზარდა იმ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა, რომლებმაც საქართველოში 24 საათი და მეტი დაყვეს და მათმა რაოდენობამ 2 714 773 შეადგინა, რაც 432 802-ით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტების სხვა ტიპებს, საერთო რაოდენობის 36.5% ერთდღიან ვიზიტებს შეადგენდა, ხოლო ვიზიტების 20.8% ტრანზიტის მიზნით შესრულდა. საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი - 83.6% (5,310,974) მეზობელი ქვეყნებიდან განხორციელდა, მხოლოდ 16.4% (1,039,851) შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. 2016 წლის ჯამური მონაცემებით ლიდერი აზერბაიჯანია 1,523,075 საერთაშორისო ვიზიტით (ზრდა +9.3%). ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2016 წელს 263,076 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4.1%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით +8.6%. საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების უმრავლესობა 82% (5,181,658) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,066,378 (17%). ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი 1,262,359 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 20%). მას მოსდევს 18%-ით სადახლო და წითელი ხიდი 18%-ით (იხ. ცხრილი 5.).

თურქეთი ხუთეულში ერთადერთია, საიდანაც მგზავრთა ნაკადი 9.9 %-ით შემცირდა. ამასთან, რუსეთიდან საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა მილიონს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 2016 წელს ქვეყანაში შემოსული ვიზიტორებიდან 2 715 ათასი ტურისტი (ვიზიტორი, რომელიც ქვეყანაში 24 საათზე მეტი დროით რჩება) იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19%-ით აღემატება. მნიშვნელოვანია, რომ პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში ვიზიტების რაოდენობის ზრდის კუთხით 2016 წლის განმავლობაში გამოირჩეოდნენ ლატვია (+24 %), ლიტვა (+16 %), ჩეხეთი (+15 %), ბულგარეთი (+12 %) და გერმანია (+11%). განსაკუთრებული ზრდა კი ფიქსირდება აღმოსავლეთის ქვეყნებიდან: ირანი (+485%), ინდოეთი (+199 %), საუდის არაბეთი (+116 %), ფილიპინები (+89 %), ომანი (+75 %) და ჩინეთი (+46 %). შესაბამისად, გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდანაც. 2016 წლის სამი კვარტალის ჯამური მონაცემებით, შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1.7 მილიარდი აშშ დოლარი.

ცხრილი 4.

საერთაშორისო შემოსვლების ტიპების მიხედვით (2012წ.-2017წ.)

	2012	2013	2014	2015	2016	2017 (იანვარი/აპრილი)	ცვლილება % 2016- 2017
სულ	4,428,221	5,392,303	5,515,559	5,901,094	6,360,503	1,776,719	+11,1%
24 საათი და მეტი	1,789,592	2,065,296	2,229,094	2,281,971	2,720,970	736,265	+26,9%
ერთდღიანი ვიზიტი	1,883,670	2,138,216	2,172,429	2,218,288	2,318,189	709,947	-18%
ტრანზიტი	754,959	1,188,791	1,114,036	1,400,835	1,321,344	330,507	+11,3%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2017

ცხრილი 5.

საერთაშორისო შემოსვლები, პირველი 10 ქვეყანა (2016წ.-2017წ.აპრილი)


ქვეყანა	2016 (იანვარი-აპრილი)	2017 (იანვარი-აპრილი)	ცვლილება	ცვლილება %
აზერბაიჯანი	459,038	481,374	22,336	+4,9%
სომხეთი	334,811	383,676	48,865	+14%
თურქეთი	390,523	329,894	-60,629	-15,5%
რუსეთი	219,186	272,119	52,933	+24,1%
ირანი	20,125	65,861	45,736	+227,3%
უკრაინა	40,529	48,727	8,178	+20,2%
ისრაელი	11,124	18,559	7,435	+66,8%
ინდოეთი	6,858	16,443	9,585	139,8%
ყაზახეთი	8,763	10,349	1,586	+18,1%
გერმანია	6,940	9,940	3000	+43,2%

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2017

დოლარამდე (ზრდა +11.7 %), რაც 177 მილიონი აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2006 წლიდან დღემდე საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, თუმცა 2014 წელს პროცენტული ზრდის ტემპი მკვეთრად (2.3%-მდე) შემცირდა, (იხ.დიაგრამა 3.)2015 წლიდან ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და ვიზიტორთა პროცენტული ზრდის ტემპმა 7% შეადგინა.

დიაგრამა 3.

საერთაშორისო შემოსვლები




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

თუმცა, 2015-2016 წლების ტენდენცია 2014 წლამდე არსებულ ნიშნულთან შედარებით მაინც დაბალია. ვიზიტორთა რაოდენობა და პროცენტული ზრდა 2016 წლის სამი კვარტალის ჯამური მონაცემებით, წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 7.3 % შეადგინა. (იხ.დიაგრამა 5.) ზრდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, +10.5 %-ია.

დიაგრამა 5.

ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

კარგად გააზრებული, დაგეგმილი, დანერგილი სტრატეგია ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე ტურიზმის სტრატეგიის ძირითად მიმართლებებად ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი:

ცხრილი 6.

ტურიზმის სტრატეგია (2015წ.-2025წ.)

ინდიკატორი	2015	2016 ბიზნა	2016 ფაქტიური	2025
საერთაშორისო მოგზაურები	5,901,094	6,280,273	6,360,503	11,000,000
შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან	19 მლრდ. აშშ დოლარი	22 მლრდ. აშშ დოლარი	22 მლრდ. აშშ დოლარი	66 მლრდ. აშშ დოლარი
ტურიზმის წილი მშპ-ში	6.7%	6.9%	7.1%	7.9%
ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში საშუალო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა	158,515	171,099	არ გამოკვეთილდა	301,284
ვიზიტორის საშუალო დანახარჯი	328 აშშ დოლარი	345 აშშ დოლარი	345 აშშ დოლარი	600 აშშ დოლარი
ბაჩყარების საშუალო ხანგრძლივობა	5	5.3	6.5	7
პირდაპირი უსხოური ინვესტიციები (ტურიზმი და მომთხრობა სექტორები)	723 მლნ. აშშ დოლარი	760 მლნ. აშშ დოლარი	760 მლნ. აშშ დოლარი	1,178 მლნ. აშშ დოლარი
თურქეთის, უკრაინის, თურქმენეთისა და ლსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსავლებში	92%		88%	70%
სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსავლებში	8%		12%	30%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება ვიზიტების რაოდენობის, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით; ეფექტიანი მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან; შიდა ტურიზმის სტიმულირება; კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით; ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენებით ტურიზმში უნიკალური ავთენტური გამოცდილების შექმნა; საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა; მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის, ასევე, სექტორის განვითარების შეფასების მასშტაბის გაფართოება და გაუმჯობესება;

რაც შეეხება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, 2016 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, (იხ.ცხრილი 7.)ტურიზმის სფეროდან დაახლოებით 1.7 მილიარდი აშშ დოლარი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 12%-ით აღემატება.


ცხრილი 7. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები (ათასი აშშ დოლარი)

წლები	ოდენობა	პროცენტული ცვლილება
2011	954 908	45%
2012	1 410 902	48%
2013	1 719 700	22%
2014	1 787 140	4%
2015	1 935 915	8%
2016 (9 თვე)	1 684 915	12%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2017

დიაგრამა 4.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი ვალუტის შემომავალ ნაკადებში (2000-2015 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2017


როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველო ქვეყნების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც ტურიზმიდან შემოსავლები მთლიანი შემომავალი სავალუტო ნაკადების მნიშვნელოვანი

ნაწილია. შესაბამისად, მოცემული მიმართულებით ცვლილებებს ვალუტის კურსზე გავლენა აქვს. მონაცემები მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო 2000-2008 წლებში და 7.5%-დან (2004 წელი) 11.1%-მდე (2000 წელი) მერყეობდა. 2009 წლიდან (10.1%) ის ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2014 წელს მაქსიმალურ წლიურ მაჩვენებელს, 18.6%-ს მიაღწია. მიმდინარე წელს მხოლოდ ორი კვარტლის მონაცემებია ცნობილი და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის წილმა მთლიან შემომავალ სავალუტო ნაკადებში პირველ და მეორე კვარტალში შესაბამისად 16% და 21% შეადგინა. წილის ზრდა სხვა წყაროებიდან უცხოური ვალუტის ნაკადების კლებამ (მაგალითად, ექსპორტიდან და ფულადი გზავნილებიდან) განაპირობა. ტურიზმიდან შემოსავლების ზრდადი აბსოლუტური მნიშვნელობის ფონზე, 2012 წლიდან აღნიშნული შემოსავალი სულ უფრო ნაკლები ტემპით იზრდება და 2014 წელს ზრდამ პერიოდის მინიმუმი (4%) შეადგინა (იხ. გრაფიკი 2). მიმდინარე წლის ორ კვარტალში კი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდამ მხოლოდ 2% შეადგინა და ექსპორტის და ფულადი გზავნილების კლებით გამოწვეული უცხოური ვალუტის დანაკლისის დასაბალანსებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ყოველივე ეს ლარის გაცვლით კურსზე უარყოფითად აისახა.

თუ 2015 წელს ქვეყანას 5 901 094 ვიზიტორი ეწვია, 2016 წელს ეს რიცხვი 6, 360 503 აღწევდა, ანუ 8 % -ით მეტს, ვიდრე წინა წელს. ამ მონაცემებს თუ 9 თვიან მონაკვეთში შევხედავთ, კიდევ უფრო სახარბიელო მდგომარეობაა.

დიაგრამა 6.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მხოლოდ 2017 წლის ინვარ-სექტემბერში ქვეყანამ 5 822 835 ვიზიტორი მიიღო, აქედან ტურისტთა წილი, ანუ იმ ადამიანთა ოდენობამ, ვინც ქვეყანაში 24 საათზე მეტი დაჰყო 2, 783 594 ვიზიტორი შეადგინა, რაც 28 %-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ხოლო ქვეყანამ 2017 წლის მეორე კვარტალში ტურიზმიდან 1 მლრდ დოლარზე მეტის შემოსავალი მიიღო. თუმცა, მსგავს პოზიტიურ სტატისტიკასთან ერთად, ხშირად ისმის კრიტიკაც. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველომ, Portal Numbeo-ს (Numbeo მსოფლიოში ერთ-

ერთი უდიდესი მონაცემთა ბაზაა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებისა და ქვეყნების მომხმარებელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით ყალიბდება.) შედგენილი Crime Index 2017-ის რეიტინგის თანახმად, უსაფრთხოების თვალსაზრისით საუკეთესო შედეგები აჩვენა. მსოფლიოს უსაფრთხო ქალაქების რეიტინგში 2017 წელს, 378 ქალაქს შორის თბილისი მე-19 ადგილზე განთავსდა და რეგიონის ქალაქებს გაუსწრო. თბილისში დანაშაულის ინდექსმა 19,96 შეადგინა, ხოლო უსაფრთხოების – 80,04. შედარებისთვის ერევანი 88-ე ადგილზეა, ხოლო ბაქო – 71-ეზე. რიგ ქვეყნებში უსაფრთხოების ინდექსი რამდენიმე ქალაქის მიხედვით შეადგინეს. მაგალითად, თურქეთში ყველაზე უსაფრთხო ქალაქია ბურსა (29-ე ადგილი). იზმირი 67-ე ადგილზეა, ანტალია – 93-ეზე, ანკარა – 179-ეზე, ხოლო სტამბული – 246-ეზე. რუსეთში ყველაზე უსაფრთხო ქალაქია სანქტ-პეტერბურგი (42,28 ქულა). მოსკოვი 205-ე ადგილზე განთავსდა, ნოვოსიბირსკი – 239-ზე, ეკატერინბურგი – 261-ზე.

ტურიზმის დარგის პროგრესირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ინოვაციური პროცესებია. ინოვაციები ტურიზმში უნდა განიხილებოდეს როგორც პერმანენტული, გლობალური და დინამიური პროცესი. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად და სეგმენტირებულად გავუწიოთ ორგანიზება ტურისტის თავისუფალი დროის გატარებას, რომელიც ტურისტის მოთხოვნის მიხედვით შეცვლის სტანდარტულ მიწოდებას.

მამასადამე როგორც ვხედავთ, ტურიზმის დარგის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია აღნიშნული სფეროს ინფრასტრუქტურის და საკადრო რესურსების სათანადო დონეზე აყვანა, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერა, მთელი სექტორის გარკვეული სისტემატიზაცია და ინტეგრირება ერთიან საინფორმაციო-მარეგულირებელ ქსელში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ტურიზმის სექტორის მდგომარეობა და გამოწვევები“ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2017
2. „2016 წლის ანგარიში“ - გამოწვევები“ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2017
3. აბესაძე ნ. ქინქლაძე რ. ჩიტალაძე ქ. „ტურიზმის სტატისტიკა“, თბ., საქართველო, 2017წ.
4. მეტრეველი, მ. (2011), ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, ფავორიტი პრინტი, თბ., საქართველო, 2014წ.
5. გაბიძაშვილი ბ. ახვლედიანი ნ. „თეორიულ მეთოდოლოგიური კვლევები ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, 2010წ.

Economic-statistical analysis of the sphere of tourism and its basic directions

Nona Akhvlediani

*Assosiated Professor of Economic
Department of the Akaki Cereteli Qutaisi State University*

Naira Virsaladze

*Assosiated Professor of Economic
Department of the Akaki Cereteli Qutaisi State University*

Ivliia Oniani

*Assosiated Professor of Economic
Department of the Akaki Cereteli Qutaisi State University*

Abstract

The statistical research and analysis of the tourism market of Georgia is a necessary condition for exposure its current trends in terms of development and exploitation of the tourism potential. Having insufficient statistical data and conducting public marketing research by the state structures do not provide detection of the key directions of tourism potential development in Georgia and its informational improvement.

The development of tourism has great importance for Georgia not only from socio-economic point of view, but also for popularization of the history of the nation, the rich cultural heritage as well as popularity of the centuries-old unique traditions of the Georgian people in the world. Responsible and sustainable tourism should become the main qualitative feature of the Georgian tourism market, which ensures high level of its efficiency and success.

To improve the competitiveness of the neighboring countries, it is necessary to focus on tourism policy in the tourism market and provide economic-statistical analysis of existing problems, which in turn will promote business of tourism .It is significant to provide appropriate development of physical infrastructure and personnel in quantitative and qualitative terms. Legislative and financial support is important for such development. In addition, it is necessary to develop systematization of this whole sector to integrate them into a single information-regulatory network.

Key words: Tourism, visitor, growth rate, strategy.

ახალი პროდუქტების გაყიდვის პროგნოზირების ზოგიერთი მოდელი

სიმონ გელაშვილი

ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფესორი
თსუ ეკონომიკური და სოციალური
სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი
ელ. ფოსტა: simon.gelashvili@tsu.ge

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ბეისის მოდელი და მის საფუძელზე შემუშავებული ზოგიერთი კონკრეტული მოდელის გამოყენების პირობები და მასშტაბები ახალი პროდუქტების პროგნოზირების პროცესში. წარმოდგენილი და ინტერპრეტირებულია შედარებით მოკლევადიანი

სასიცოცხლო ციკლის მქონე (10-12 თვე) პროდუქციის ბაზარზე შეღწევის გრაფიკები. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი პროდუქციის შემთხვევაში გრძელვადიანი დროითი მწკრივები იშვიათია, ამიტომ ასეთი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებაში უფრო მიზანშეწონილია თვისებრივი (სუბიექტური) მეთოდების (მაგალითად, დელფის ან გონებრივი შტურმის) გამოყენება. მაგრამ უკეთესი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია სტატისტიკური და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია. სათანადო ინფორმაციისა და საკმარისი სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობის პირობებში კი მნიშვნელოვანია ასევე კოლაბორაციული პროგნოზირების გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება, დროითი მწკრივები, ბეისის მოდელი, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი, კოლაბორაციული პროგნოზირება.

ძირითადი შინაარსი

ნებისმიერი პროდუქტის გაყიდვის პროგნოზირება მოითხოვს მისი წარსული გაყიდვების მოცულობის შესახებ მონაცემთა გამოყენებას, რომელიც თითქმის ყოველთვის ხელმისაწვდომია კონკრეტული კომპანიის პროფესიონალებისთვის (მათ შორის პროგნოზირების სპეციალისტებისთვისაც). სპეციალურ ლიტერატურაში განხილული მეთოდები მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზების გაანგარიშების საშუალებას იძლევა (მაგალითად, იხ. 1, 3, 4, 5, 11, 12 და სხვ.). თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა პროდუქტი ახალია და მისი გაყიდვების მოცულობაზე არ არსებობს საკმარისი მონაცემები. რა თქმა უნდა, ასეთი ინფორმაციის გარეშე იგი არ ექვემდებარება ზუსტ სტატისტიკურ პროგნოზირებას. ნათელია, რომ თითოეულ პროდუქტს გააჩნია სიცოცხლის სხვადასხვა ციკლი, რომლის შესწავლაც დაგვეხმარება პროგნოზირებაში. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დასაწყისში მას ყიდულობს მხოლოდ ე. წ. “ინოვატორული” მომხმარებელი. გაყიდვების მოცულობა მცირეა და ნელა მატულობს. ამ ეტაპის მიწურულს გაყიდვების მოცულობა ზრდას იწყებს. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზრდის პროცესში გაყიდვების მოცულობა დიდია და მომხმარებლების რაოდენობა იზრდება. ბაზარზე პროდუქტი აღწევს მოწიფულობის ეტაპს, ხდება ბაზრის გაჯერება და მზარდი გაყიდვების მოცულობა ნელ-ნელა იკლებს. ამ დროს მწარმოებელი იწყებს მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას გაყიდვების სტიმულირებისთვის, თუმცა ადრე თუ გვიან, იძულებული ხდება ამოიღოს პროდუქტი გაყიდვიდან, ან მოახდინოს მისი სრულყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და იგი დიდადაა დამოკიდებული მრეწველობის და, საერთოდ, ქვეყნის განვითარების დონეზე. მაგალითად, მოდური პროდუქცია გაცილებით ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები. თანამედროვე ტექნოლოგიური პროდუქტების (მაგალითად, მობილური ტელეფონების) გაყიდვების პიკი მაქსიმუმ 10-12 თვეს გრძელდება ბაზარზე. დაბალტექნოლოგიურ პროდუქტებთან შედარებით, მათი ბაზარზე ბუმის ციკლი მნიშვნელოვნად მცირეა.


ამჟამად მსოფლიოში ახალი პროდუქტების პროგნოზირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა ანალოგიური პროგნოზირების, მარკეტინგული კვლევისა და სხვა თვისებრივი მეთოდები. თანამედროვე ეტაპზე ახალი პროდუქტების პროგნოზირებისას ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, ბეისის მოდელი, რომელიც უკვე კარგადაა აპრობირებული განვითარებულ ქვეყნებში. იგი თავდაპირველად შემუშავებული იქნა ხანგრძლივი მოხმარების პროდუქციისათვის; თუმცა ეს მოდელი ამჟამად უკვე

გამოიყენება ახალი, ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი და გაყიდვების მოცულობაზე მონაცემების არმქონე პროდუქტების პროგნოზირებისთვისაც.

ბეისის მოდელი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოდელია ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებისათვის. პირველად ამ მოდელის შესახებ სტატია 1969 წელს გამოქვეყნდა. მისი მნიშვნელობა იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ამ მოდელის შესახებ სტატია ხელახლა დაიბეჭდა ჟურნალში „მენეჯმენტის მეცნიერება“ 2004 წლის დეკემბერში.¹⁴ ამ მოდელის საფუძველზე შეიქმნა პროდუქციის დიფუზიის (ბაზარზე შეღწევის) მრუდები, რომელიც მე-2 გრაფიკზე მოცემული მრუდის მსგავსია.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი (მათ შორის სტატისტიკური) მეთოდები ნაკლებად გამოყენებადია ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი მეთოდები წარსული პერიოდის მონაცემებს, ანუ დროით მწკრივებს ეყრდნობა. ახალი პროდუქციის შემთხვევაში კი გრძელვადიანი დროითი მწკრივები იშვიათია. ამიტომ ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებისათვის უფრო მიზანშეწონილია თვისებრივი მეთოდების გამოყენება. მაგრამ უკეთესი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია სტატისტიკური და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია. სათანადო ინფორმაციისა და საკმარისი სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობის პირობებში კი უპრიანია, მაგალითად, დელფის მეთოდის გამოყენება. ამგვარი მიდგომა გამოყენებული იქნა კ. გოლდფიშერის მიერ „Nabisco Foods Group“ კომპანიაში მუშაობისას. გოლდფიშერმა ამ შემთხვევაში, ანუ ახალი პროდუქტის გაყიდვების პროგნოზირებისას, გამოიყენა ასევე სტატისტიკური მეთოდიც ე. წ. საშუალოების გადაადგილება.

გრაფიკი 1. ახალი პროდუქტის ბაზარზე შეღწევის მრუდი (CD პლევრები)



¹⁴ Frank M. Bass, "A New Product Growth Model for Consumer Durables," Management Science 50, no. 125 (December 2004), pp. 825-832.

გრაფიკი 2. ახალი პროდუქტის ბაზარზე შეღწევის მრუდი (კალკულატორები)



წყარო: 1 და 2 მრუდები აღებულია შემდეგი საიტიდან: www.andorraweb.com/bass

ზემოთ მოტანილი გრაფიკები ნათლად ასახავს, რომ საწყისი სტადიის (პროდუქტის წარდგენა) შემდეგ გაყიდვები შედის ზრდის სტადიაში და მის შემდგომ კი, ანუ სიმწიფის სტადიაში გაყიდვები უკვე მაქსიმუმს აღწევს. ბოლო ეტაპზე პროდუქციის გაყიდვები კლებას იწყებს და, შესაბამისად, ბაზარს ტოვებს. ამ ციკლში მეტად მნიშვნელოვანია სიმწიფის პერიოდის სიდიდე, რის გამოც ბიზნესის სფეროს მენეჯერები ხშირად ქირაობენ მარკეტოლოგებს სიმწიფის სტადიის მაქსიმალური გახანგრძლივებისათვის. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ეხება როგორც პროდუქციის გარკვეულ ბრენდს, სახეობას, ასევე პროდუქტის ფორმას, დიზაინს და ა. შ. გასაგებია, რომ მრუდის ფორმა განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტისა და დარგების მიხედვითაც.

პროგნოზების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, თუ კონკრეტული პროდუქტი სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება. პროგნოზირების სტატისტიკური მეთოდების გამოყენება უკვე შესაძლებელია ზრდის საშუალო ეტაპიდან. პროგნოზირების პრობლემა ჩვეულებრივ არსებობს პროდუქტის წარდგენის სტადიაზე. ამ ეტაპზე სტატისტიკურ მეთოდებს ნაკლები გამოყენება აქვს (რეტროსპექტული მონაცემების სიმცირის გამო) და ძირითადად მარკეტინგული და თვისებრივი კვლევის მეთოდები გამოიყენება.

ბეისის მიერ შემუშავებულ მოდელს ფორმალიზებულად შემდეგი სახე აქვს: ¹⁵

$$S_t = pm + (q - p)Y - (q/m)Y^2, \text{ სადაც}$$

S_t - გაყიდვების მოცულობა დროის t პერიოდისათვის;

p - დროის $t=0$ პერიოდისათვის საწყისი შესყიდვის ალბათობა; იგი ასახავს ინოვაციების მნიშვნელობას და მას ინოვაციის კოეფიციენტი ეწოდება;

m - საწყისი შესყიდვების რაოდენობა პროდუქტის სასიცოცხლო პერიოდის მანძილზე (რეალურად გაუყიდავი პროდუქციის გამოკლებით);

q -ყიდვისადმი მიდრეკილების კოეფიციენტი; იგი გამოითვლება იმ მომხმარებლების რაოდენობით, რომლებმაც უკვე იყიდეს პროდუქტი;

¹⁵ გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. თეორიული ნარკვევები. „მერიდიანი“, თბ., გვ. 170.

p-ს, q-სა და m-ის მნიშვნელობების გამოთვლა ხდება რეგრესიული ანალიზის გზით.

a, b და c-ს რეგრესიით შესაძლებელია p, q და m-ის მნიშვნელობების გამოთვლა. აქვე შევნიშნავთ რომ $a = pm$, $b = q-p$, $c = -q/m$.

ბეისის მოდელის მიხედვით გვექნება: $p = a/m$, $q = -mc$, $m = (-b \pm [b^2 - 4ac]^{0.5})/2c$.¹⁶


ბეისის მოდელში სამი პარამეტრის მნიშვნელობების გაანგარიშება საკმაოდ შრომატევადია. თუ პროდუქტი ახალია და მის შესახებ არა გვაქვს საკმარისი მოცულობის რეტროსპექტული სტატისტიკური ინფორმაცია, მაშინ შესაძლებელია ავიღოთ მსგავსი პროდუქტის გაყიდვების მონაცემები. მაგალითად, მობილური ტელეფონის შემთხვევაში შეგვიძლია ავიღოთ წინა მოდელის გაყიდვების მონაცემები. თუ პროდუქტის საწყისი, სატესტო ნიმუში უკვე გატანილია ბაზარზე, გაყიდვების ოთხი ან ხუთი მონაცემითაც შესაძლებელია პარამეტრების გამოთვლა. გაყიდვების ზრდის კვალობაზე გაიზრდება მონაცემთა რაოდენობაც და სათანადო გამოთვლებიც სულ უფრო დაზუსტდება.¹⁷

თანამედროვე გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცვლილებების ეპოქაში ბევრ პროდუქტს ბაზარზე შედარებით მოკლევადიანი სასიცოცხლო ციკლი აქვს. ეს განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებს შეეხება. ასეთია, მაგალითად, მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა. თითქმის ყოველთვის ტელეფონების ახალ მოდიფიკაციებზე აპლიკაციები ჩნდება. მსგავს პროდუქტებს 12-დან 24 თვემდე სასიცოცხლო ციკლი აქვს. შესაბამისად ეს ნიშნავს იმას, რომ პროგნოზირებისათვის ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად გვაქვს. ასევე, ამგვარი სწრაფი ცვლილებების გამო პროგნოზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას

იძენს სასურველი გაყიდვების მოცულობისა და მოგების მიღების კუთხით.

ამ სახის პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის მრუდს შესაძლებელია მე-2 ნახაზზე მოცემული მრუდის ფორმა ჰქონდეს. ბაზარზე წარდგენისას გაყიდვების ტემპი შედარებით მაღალია, მაგრამ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ იწყებს ჯერ შენელებას, შემდგომ სტაბილურდება და ამის შემდეგ კი იწყებს უკვე სწრაფი ტემპით კლებას. აღნიშნული შემთხვევა 20-თვიანი პერიოდისათვის ქვემოთ მოცემულია გრაფიკზე 3.

გრაფიკი 3. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ტიპური მრუდი მოკლევადიანი ციკლის პროდუქტისათვის



¹⁶ სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. წიგნი I. „მერიდიანი“, თბ., 325 გვ.

¹⁷ Jim Burrell and Dorothea Kuettner, “Forecasting for Short-lived Products: Hewlett-Packard’s Journey,” Journal of Business Forecasting 21, no. 4 (Winter 2002-03), pp. 9-14.

თვეები

მოცემული გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ ახალი პროდუქტის სიმწიფის სტადია მოიცავს დაახლოებით 10–11 თვეს და ამის შემდეგ პროდუქციის გაყიდვები უკვე კლებას იწყებს და, შესაბამისად, ბაზარს ტოვებს.

თანამედროვე ბიზნესში ადგილი აქვს მრავალმხრივ ურთიერთობებს მის მონაწილეებს (სუბიექტებს) შორის. ამიტომ ცალკეული პროცესების პროგნოზირება არასაკმარისია ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. ბიზნესში ორმხრივი და მრავალმხრივი პროგნოზირების მიდგომის გამოყენება ასტიმულირებს სტრატეგიულ თანამშრომლობას. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტის შესახებაც: იმის გაცნობიერება, რომ მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგნოზირების ინსტრუმენტების გამოყენებით, ხელს უწყობს ჯაჭვის მონაწილეებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას. ასეთი თანამშრომლობის ერთგვარი მოდელი შემუშავებული იქნა აშშ-ში „მრავალინდუსტრიული კომერციული სტანდარტების ასოციაციის მიერ“ (VICS). ეს სტანდარტი ცნობილია, როგორც კოლაბორაციული პროგნოზირების დაგეგმვა (CPFR).¹⁸ მასში აღწერილია მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებს შორის კოორდინაციის, კომუნიკაციისა და კოოპერირების საკითხები. ზოგადი ფორმით ეს პროცესი შემდეგნაირად აღიწერება: მწარმოებელი, რომელიც ამზადებს სამომხმარებლო პროდუქციას, აკეთებს მის პროგნოზს. შემდგომ ამ პროგნოზის შედეგების გადაცემა ხდება იმ საცალო მოვაჭრეებზეც, რომლებიც საბოლოო რგოლს წარმოადგენენ პროდუქციის მომხმარებლებთან ურთიერთობაში. ეს საცალო მოვაჭრეები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ მწარმოებლებს გაყიდვებისა და მოხმარების შესახებ ინფორმაციით. უკუკავშირის გზით მიღებულ ინფორმაციას კი საბოლოოდ მწარმოებელი იყენებს პროგნოზების განახლებისათვის.¹⁹ ასეთი გზით ბიზნესის პროგნოზირება ორი მხარის კოლაბორაციული სახის ხდება.

კოლაბორაციული სახის პროგნოზირებას შემდეგი დადებითი მახასიათებლები აქვს:

1. ტექნიკური და საწარმოო სიმძლავრეების მოცდენის დაბალი მაჩვენებელი. ეს მიიღწევა იმით, რომ საწყისი პროგნოზის შედეგები გადაეცემა მიწოდების ჯაჭვის სხვა მონაწილეებს, რაც მათთვისაც უზრუნველყოფს ზემოთ ნახსენები მაჩვენებლის დაბალ დონეს.

2. პროდუქციის წარმოებისა და ტრანსპორტირების შემცირებული ხარჯები. როდესაც მწარმოებლებს აქვთ ინფორმაცია მათი პროდუქციის გაყიდვების მოცულობაში მოულოდნელი ცვლილებების (ვთქვათ, შემცირების) შესახებ, ისინი იწყებენ პროდუქციის არხებში განაწილებისა და პროდუქციის მიწოდების დაუგეგმავ ცვლილებებს. სწორად გათვლის შემთხვევაში ამ ცვლილებებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი მოგება მოიტანოს.

3. პროდუქციის შემცირებული დეფიციტის მაჩვენებლები. თუ მომხმარებლები მზად არიან შეისყიდონ საქონელი, მაგრამ მიმწოდებელს არა აქვს საკმარისი მარაგები, მაშინ მომხმარებელი მიწოდების სხვა არხებს გამოძებნის. ამგვარი შემთხვევები, საბოლოო ჯამში, მწარმოებელზე უარყოფით გავლენას იქონიებს შესაძლო გაყიდვების დანაკარგებისა და კლიენტების მოთხოვნის ნაკლებად დაკმაყოფილების დონის გამო.

4. მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება და უწყვეტი ბიზნესი. მყიდველებმა უმრავლეს შემთხვევაში იციან, რომ მათი მოთხოვნა ხშირად ციკლურ ხასიათს ატარებს. ასეთ შემთხვევებში, თუ მწარმოებელი მზადაა სწრაფად უპასუხოს ამ ციკლურ

¹⁸ Lisa H. Harrington, “Retail Collaboration: How to Solve the Puzzle”, *Transportation and Distribution*, May 2003, pp. 33-37

¹⁹ გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. თეორიული ნარკვევები. „მერიდიანი“, თბ., გვ. 41.

ცვლილებებს, მაშინ მისადმი ნდობის ხარისხი და გრძელვადიანი თანამშრომლობის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება.

5. უკეთესი მზაობა პროდუქციის წინსვლის სტიმულირების მიმართულებით. პროდუქციის ბაზარზე წინსვლის სტიმულირება პროდუქციის გაყიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ შემთხვევაში აუცილებელია ისეთი პროდუქციის სტიმულირება, რომელზეც არის ან უახლოეს მომავალში იქნება მოთხოვნა.

6. უკეთესი მზაობა ახალი პროდუქციის წარდგენისათვის. ახალი პროდუქციის ბაზარზე გამოშვება მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც რიგი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. უკვე შესამჩნევი საჭიროებების დაკმაყოფილების გზით ახალ პროდუქტს შესაძლოა მნიშვნელოვანი წარმატება ხვდეს წილად.

7. საბაზრო ცვლილებებზე ოპერატიული რეაქცია. ხშირად საბაზრო ცვლილებები ეგზოგენური ფაქტორებით არის გამოწვეული (სამთავრობო კონტროლი, კულტურული პრეფერენციები და ა. შ.). სამომავლო ცვლილებებზე დროული პასუხი მწარმოებელს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას აძლევს.

ჩამოთვლილი უპირატესობების განხილვის შემდეგ, ალბათ, გასაკვირი არც არის, რომ ბევრმა ცნობილმა კომპანიამ თავის პრაქტიკაში კოლაბორაციული პროგნოზირება დანერგა. ასეთი კომპანიების მაგალითებია: **Wal-Mart, Kmart, Whirlpool, Fuji Photo Film, Good Year**

და კიდევ ბევრი სხვა. კოლაბორაციული პროგნოზირების დანერგვამ ამ კომპანიებს მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა. მაგალითად, კომპანიამ „**True Value**“ თავისი მომსახურების დონე (ხარისხი) 10-დან 40 პროცენტამდე გააუმჯობესა, ხოლო ხარჯები 10-15 პროცენტით შემცირდა.²⁰ ასეთი შედეგის მიღწევას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტატისტიკური პროგნოზირების თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ. დღევანდელ ბიზნეს გარემოში კომპიუტერული ტექნოლოგიები უკვე ფართოდ ხელმისაწვდომია. დაახლოებით 20-30 წლის წინ, როდესაც კომპიუტერული ტექნოლოგიები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზე იმყოფებოდა, მხოლოდ მსხვილ ბიზნესს მიუწვდებოდა ხელი მათ გამოყენებაზე. დღეს ვითარება მკვეთრად განსხვავებულია. მაღალი შესაძლებლობების კომპიუტერების გამოყენების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა: მიკროკომპიუტერები და კომპიუტერული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია თითქმის ყველა იმ ბიზნეს სუბიექტისათვის, რომელიც დაინტერესებულია თავის საქმიანობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. კვლევის მიხედვით,²¹ 1966 წლისათვის, გამოკითხული კომპანიების 68 პროცენტი იყენებდა კომპიუტერებს პროგნოზირებისათვის. 1986 წლისათვის კი გამოკითხული კომპანიების უკვე 93 პროცენტი²² იყენებდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებს პროგნოზების შემუშავებისათვის. ამჟამად კი ყოველგვარი გამოკვლევების ჩატარების გარეშეც ყველასათვის ცხადია, რომ მსხვილი კომპანიების 100 პროცენტი იყენებს კომპიუტერებს პროგნოზირებისათვის.

მაშასადამე, თანამედროვე პირობებში პროგნოზირების პროცესში პერსონალური კომპიუტერები არსებით როლს ასრულებენ. კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ხელმისაწვდომობამ გააადვილა პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება. სხვა შემთხვევაში და ზოგადად, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ხელით მეტად

²⁰ Peter A. Buxaum, "Psyched Up," Operations & Fulfillment, Mar.1, 2003.

www.opsandfulfillment.com/warehouse/fulfillment_psyched.

²¹ Spyros Makridakis, Steven C. Wheelwright, and Victor E. Mcgee. Forecasting: Methods and Applications, 2nd ed., (New York: John Wiley & Sons, 1983), p. 782.

²² Barry Keating and Holton Wilson, "Forecasting: Practicing and Teachings," Journal of Business Forecasting 6, no. 3 (Winter 1987-88), p. 12.

შრომატევადია. ამ მეთოდების უმრავლესობა სტატისტიკურია, თუმცა ამჟამად უკვე ფართოდ გამოიყენება ასევე ეკონომეტრიკული მოდელებიც. მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ამჟამად უკვე შექმნილია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები. ამ პროგრამების ფასი მერყეობს 2000 დოლარიდან რამდენიმე ათეულ ათას დოლარამდე. თანამედროვე კომპიუტერული პროგრამა შესაძლებლობას იძლევა თეორიულად განხილული და მათგან შერჩეული პროგნოზირების ნებისმიერი მეთოდი გამოყენებული იქნეს საპროგნოზო ობიექტის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობლიობისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია პროგნოზის შემუშავებისათვის. „პროგნოზირებაში დიდი პრობლემა მარტივად გასაგებია: ერთადერთი ხერხი, რომლითაც შეგვიძლია განვჭვრიტოთ რაიმეს კეთების შესაძლებლობა მომავალში, ესაა ცოდნა იმისა, თუ როგორ განხორციელდება ის.”²³

პერსონალური კომპიუტერების, მათ შორის პორტატული და მაგიდის კომპიუტერების, გამოყენება პროგნოზირებაში შესაძლებელი გახდა ასევე მათი სიმძლავრისა და ფუნქციების ზრდის კვალობაზე. უკვე მათი მეშვეობით შესაძლებელია მონაცემთა დიდი ბაზების დამუშავება. მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა პროგნოზირების პროფესიონალური (სპეციალური) პროგრამები საკმოდ მოკლე დროში აითვისოთ. „პერსონალური კომპიუტერების გამოყენებამ პროგნოზირების პროცესში, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ეკონომისტებს დამატებითი შესაძლებლობები შესძინა. საკვანძო კომპიუტერების (ცენტრალური სერვერები - ავტორი) გამოყენების შემცირებამ პროგნოზირების პროცესში სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი კლება მოიტანა. აღნიშნული მდგომარეობა თანაბრად ვრცელდება კერძო სექტორზეც”.²⁴

კოლაბორაციული პროგნოზირების გამოყენებისას საინტერესო საკითხია პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის იმ სუბიექტების მიმართ მიდგომა, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას ინფორმაციის გაცვალაში. თუ მწარმოებელი აწვდის თავის პროდუქციას ორ მომხმარებელს, რომელთაგან მხოლოდ ერთი უგზავნის მას მონაცემებს, საბოლოოდ რომელ მათგანს უნდა გაუზიაროს მწარმოებელმა პროგნოზირების შედეგები? ამ შემთხვევაში მწარმოებლისათვის პრეფერენციული უნდა იყოს პირველ მომხმარებელზე პროდუქციის უპირატესი მიწოდება. ასეთ პირობებში მეორე მომხმარებელი მიწოდების უწყვეტობას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.²⁵ ამ პრობლემის მიმართ კომპანიებმა განსხვავებული მიდგომა გამოიჩინეს. მათმა ნაწილმა თავიანთ პროდუქციაზე ფასების სტრუქტურირება მთელ მის მომხმარებლებზე გაავრცელა. სხვებმა კი პრეფერენციული მიწოდებისა და მოქნილი ფასების სისტემა გამოიყენეს მხოლოდ იმ მომხმარებლების მიმართ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინფორმაციის წარდგენაში. რა თქმა უნდა, მეორე შემთხვევაში ბიზნეს სუბიექტებს უფრო მეტი სტიმული მიეცა მომწოდებელი კომპანიებისათვის ინფორმაციის წარდგენაზე.

დასკვნა

ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებისათვის რაოდენობრივი (მათ შორის სტატისტიკური) მეთოდები ნაკლებად გამოიყენებადია, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი მეთოდები წარსული პერიოდის მონაცემებს, ანუ დროით მწკრივებს ეყრდნობა. ახალი

²³ უელი დ. ნ. (2016). ეკონომიკური ზრდა. მესამე გამოცემის თარგმანი ინგლისურიდან. თსუ, თბ., 556

²⁴ Jon David Vashe, “Forecasting Process as Used by California legislative Analyst’s Office,” *Journal of Business Forecasting*, 6, no. 2 (Summer 1987), pp. 12

²⁵ გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. თეორიული ნარკვევები. „მერიდიანი”, თბ., გვ. 43.

პროდუქციის შემთხვევაში კი გრძელვადიანი დროითი მწკრივები იშვიათია. ამიტომ ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებისათვის უფრო მიზანშეწონილია თვისებრივი მეთოდების გამოყენება. მაგრამ უკეთესი შედეგი მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია სტატისტიკური და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია.

თანამედროვე ეტაპზე ახალი პროდუქტების პროგნოზირებისას ფართოდ გამოიყენება ბეისის მოდელი, რომელიც უკვე კარგადაა აპრობირებული განვითარებულ ქვეყნებში. იგი თავდაპირველად შემუშავებული იქნა ხანგრძლივი მოხმარების პროდუქციისათვის, თუმცა ეს მოდელი ამჟამად უკვე გამოიყენება ახალი, ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი და გაყიდვების მოცულობაზე მონაცემების არმქონე პროდუქტების პროგნოზირებისთვისაც.

ახალი პროდუქციის გაყიდვების პროგნოზირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლაბორაციული პროგნოზირება, რომელიც ემყარება მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის სათანადო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პრაქტიკას. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ეს პროცესი ძლიერ გაადვილებულია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო ხელმისაწვდომობის გამო. ამან კი შესაძლებელი გახდა პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. მათი უმრავლესობა სტატისტიკურია, თუმცა ამჟამად უკვე ფართოდ გამოიყენება ასევე ეკონომეტრიკული მოდელებიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს. (2017). სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. წიგნი I. „მერიდიანი“, თბ., 325 გვ.
2. გელაშვილი ს. (2012). ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. „მერიდიანი“, თბ., 206 გვ.
3. გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. თეორიული ნარკვევები. „მერიდიანი“, თბ., 198 გვ.
4. გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“ შრომების კრებული. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბ., გვ.
5. უელი დ. ნ. (2016). ეკონომიკური ზრდა. მესამე გამოცემის თარგმანი ინგლისურიდან. თსუ, თბ., 556 გვ.
6. Bass, F.M. A New Product Growth Model for Consumer Durables. „Management Science“, 50, no. 125 (December 2004), pp. 825-832.
7. Burrell, J. and Kuettnner, D. Forecasting for Short-lived Products: Hewlett-Packard's Journey. „Journal of Business Forecasting“, 21, no. 4 (Winter 2002-03), pp. 9-14.
8. Buxbaum, P.A. „Psyched Up,“ Operations & Fulfillment, Mar.1, 2003. www.opsandfulfillment.com/warehouse/fulfillment_psyched.
9. Vashe, J.D. Forecasting Process as Used by California legislative Analyst's Office. „Journal of Business Forecasting“, 6, no. 2 (Summer 1987), pp. 12.
10. Harrington, L.H. Retail Collaboration: How to Solve the Puzzle. „Transportation and Distribution,“ May 2003, pp. 33-37
11. Makridakis, S., Wheelwright, S. C. and Victor E. Mcgee (1983). Forecasting: Methods and Applications, 2nd ed., New York: John Wiley & Sons, p. 782.
12. Keating, B. and Wilson, H. Forecasting: Practicing and Teachings. „Journal of Business Forecasting“, 6, no. 3 (Winter 1987-88), p. 12.

Some Models of Forecasting of Selling New Products

Simon Gelashvili

Full Prof., Head of the Department of
Economic and Social Statistics, TSU

E-mail: simon.gelashvili@tsu.ge

Abstract

The article discusses the bass model and based on this, the specific conditions and extent of the use of certain concrete models are developed in the process of predicting new products. The graphs of access to the market for a relatively short term life cycle (10-12 months) are presented and interpreted. Therefore, in the case of new products, long-term time series are rare, so it is advisable to predict the sales of such products, using qualitative (subjective) methods (for example, Delphi Method or Brain Storm). But better results are achieved when statistical and qualitative methods are combined. The use of cooperative forecasting is also important in terms of the lack of appropriate information and sufficient statistical data.

Keywords: Forecasting, time series, Bass model, the product life cycle, collaborative forecasting.

სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირება და განვითარება გერმანიაში

სიმონ გელაშვილი

ეკონ. მეცნ. დოქტ., პროფესორი

თსუ ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის
ხელმძღვანელი

ლევან სილაგაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში წარმოდგენილია გერმანიის სახელმწიფო სტატისტიკის ფორმირებისა და განვითარების მოკლე ისტორია, მოცემულია ოფიციალური და არაოფიციალური (სახელმწიფო და არასახელმწიფო) სტატისტიკური ორგანოების ჩამონათვალი და მათი ძირითადი სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სტატისტიკის ორგანიზაციული პრინციპების განხილვას და მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს.

ფართოდაა გაანალიზებული გერმანიაში თავისუფალი სტატისტიკური გამოკვლევების სპეციფიკა, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები. გამოყოფილია ოჯახებისა და რესპონდენტების ის წრე, რომელიც პრობლემური აღმოჩნდა არასავალდებულო კითხვებზე პასუხების მისაღებად.

საკვანძო სიტყვები: ოფიციალური სტატისტიკა, ფედერალური სტატისტიკა, მიკროცენზი, სპეციალური კვლევა, საბანკო სტატისტიკა.

შესავალი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მაღალგანვითარებული სტატისტიკის სისტემა გააჩნია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს კანონზომიერებაა, რადგან ისტორიულად სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, სწორედ გერმანიაში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში და სტატისტიკა, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო საგანი, ისტორიაში პირველად სწორედ გერმანელი მეცნიერის, ფილოსოფიისა და სამართლის პროფესორის გოტფრიდ ახენვალის მიერ იქნა წაკითხული 1746 წელს მარბურგის უნივერსიტეტში, ხოლო ორი წლის შემდეგ – გოტინგენის (Göttingen) უნივერსიტეტში.²⁶ გოტფრიდ ახენვალი დაიბადა 1719 წელს პრუსიაში, პატარა ქალაქ ელბინგში. 1738-1742 წლებში ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიასა და იურისპრუდენციაში იენის, ჰალეს და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. პოსტ-სადოქტორო (ჰაბილიტაციის) დისერტაცია დაიცვა მარბურგის უნივერსიტეტში, ხოლო მანამდე მაგისტრის ხარისხი მიღებული ჰქონდა ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1748 წლიდან გ. ახენვალი იყო გოტინგენის უნივერსიტეტის დოცენტი და შემდეგ პროფესორი. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტატისტიკას იგი განიხილავდა როგორც სახელმწიფო მეცნიერებას, ანუ სახელმწიფოსმცოდნეობას

(Staatswissenschaft). იგი წერდა, რომ „ევროპის სხვადასხვა ქვეყნის იურიდიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის მაჩვენებლების ურთიერთშედარებას

სტატისტიკა ნათლად აჩვენებს...“.²⁷ გოტფრიდ ახენვალი გარდაიცვალა 1772 წელს ქალაქ

გოტინგენში. უდავოა, რომ მსოფლიოში სტატისტიკის საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის.

ძირითადი შინაარსი

ოფიციალური სტატისტიკის სისტემის ჩამოყალიბება გერმანიაში დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში. პირველი ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა 1805 წელს იმდროინდელ პრუსიის იმპერიაში სახელწოდებით „პრუსიის სტატისტიკის ბიურო“. შემდგომ მას მოჰყვა ბავარიისა და ვიურტემბერგის სტატისტიკის ბიუროების შექმნა (შესაბამისად 1808 და 1820 წლებში). ერთ-ერთი პირველი ოფიციალური სტატისტიკის სამსახური იყო ასევე 1834 წელს ჩამოყალიბებული გერმანიის ერთიანი საბაჟო სტატისტიკის სამსახური. როგორც ცნობილია, 1872 წელს გაერთიანდა გერმანიის სხვადასხვა სამეფოები (ლანდები) და შეიქმნა გერმანიის იმპერია. მისი შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაცია სახელწოდებით „საიმპერიო სტატისტიკური სამსახური“. იმავედროულად, ცალკეულ ლანდებში არსებული სტატისტიკის ბიუროები შენარჩუნებული იქნა. საიმპერიო სტატისტიკურმა სამსახურმა დამოუკიდებლად იარსება 1918 წლამდე: ამ წელს იგი შეუერთდა გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს, თუმცა დამოუკიდებელ ორგანიზაციებად დარჩნენ ლანდების სტატისტიკის ბიუროები. ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა სტატისტიკის ისეთი დარგები, როგორცაა სახელმწიფო ფინანსების, ფასების, შინამეურნეობების სტატისტიკა და სხვ.

1933 წელს, გერმანიის ხელისუფლებაში ადოლფ ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, სახელმწიფო სტრუქტურებში ძირეული ცვლილებები განხორციელდა, რაც

²⁶ John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884, s. 74

²⁷ John, V. s. 75.

დამახასიათებელი იყო დიქტატორული მართვის სისტემისათვის. ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გადაიქცა პოლიტიკურ ინსტრუმენტად და, მათ შორის, სტატისტიკის სამსახურიც. თვით ლანდების სტატისტიკის სამსახურებიც უშუალოდ იმპერიის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ დადგენილ სამუშაოებს ასრულებდნენ. ასეთი ნეგატიური სიტუაცია გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე, ანუ 1945 წლამდე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მთელი ტერიტორია დაიყო სხვადასხვა საკონტროლო (სამხედრო-ადმინისტრაციულ საოკუპაციო) ზონებად, კერძოდ: საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ზონებად. შესაბამისად, 1945 წელს საბჭოთა არმიის საოკუპაციო ზონაში, ანუ აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, რომლის მთავარი ოფისი მდებარეობდა ბერლინში.

ანალოგიურად, 1946 წელს დიდი ბრიტანეთის საკონტროლო ზონაში, ანუ ძირითადად ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, ასევე შეიქმნა სტატისტიკის სამმართველო, რომლის ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქ. ჰამბურგში. 1948 წელს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საკონტროლო ტერიტორიებზე შეიქმნა ე. წ. „გაერთიანებული

ეკონომიკური ზონების სტატისტიკური სამმართველო“, რომლის ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ქ. ვისბადენში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) შექმნის შემდეგ (1950 წელი) ჩამოყალიბდა ახლანდელი ფედერალური სტატისტიკური სამმართველო (ქ. ვისბადენი) და შესაბამისად, მიწების (ლანდების) სტატისტიკური სამმართველოები. იმავე წელს ფედერალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის პირველი აღწერა (რა თქმა უნდა, იმდროინდელი გფრ-ის საზღვრებში). ანალოგიურად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) შექმნის შემდეგ, ანუ 1951 წელს ჩამოყალიბდა გდრ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ბერლინში და, შესაბამისად, რეგიონების ტერიტორიული სტატისტიკური სამმართველოები. გერმანიის ორივე სახელმწიფოში ოფიციალური სტატისტიკის ასეთი სისტემა ფუნქციონირებდა გერმანიის გაერთიანებამდე, ანუ 1991 წლამდე. 1991 წელს გდრ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუერთდა გფრ-ის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს, რომლის ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ქ. ვისბადენში (და ახლაც იქ არის), თუმცა ზოგიერთი ცენტრალური ქვედანაყოფი ფუნქციონირებს ბონსა და ბერლინშიც.

1950 წლიდან დღემდე (2018 წლის დასაწყისი) ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჰყავდა 11 პრეზიდენტი და მათგან იყო ასევე ქალიც (დოქტორი ჰილდეგარდ ბარტელსი), რომელიც 8 წლის განმავლობაში (1972-1980 წლები) ხელმძღვანელობდა მას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი პრეზიდენტი იყო პროფესორი გერჰარდ ფიურსტი. მეტად საყურადღებო ფაქტია ის, რომ გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს პრეზიდენტი იმავდროულად არის ფედერალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 2017 წლის მაისში, როდესაც გფრ-ის მთავრობამ დაამტკიცა „ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს სტრატეგია და პროგრამების გეგმა 2017-2021 წლებისათვის“. ²⁸ აღნიშნულ დოკუმენტში ძირითად მიმართულებებად გამოყოფილია შემდეგი:

²⁸ Strategie- und Programmplan für die Jahre 2017 bis 2021. Statistisches Bundesamt, Wiesbaden, 2017.

1. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს განვითარება და კვლევები;
2. სტატისტიკის წარმოებისა და კომუნიკაციის გაფართოება;
3. ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს 2017-2021 წლების პროგრამა.

აღნიშნულ დოკუმენტში მრავალრიცხოვან საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერული კვლევებისა და სტატისტიკური მეთოდების განვითარებასა და სრულყოფას, სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამების შექმნასა და მათი გამოყენების გაფართოებას, კითხვარებისა და სტატისტიკური ფორმულარების სრულყოფას, მომხმარებლებთან კომუნიკაციის გაფართოებას, მუშაობის კოორდინაციას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის და სხვ. ამ დოკუმენტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მთავრობის, პარლამენტისა და საზოგადოების უზრუნველყოფაზე მრავალფეროვანი და ხარისხიანი „სტატისტიკური პროდუქციით“.

ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს გარკვეული ოფიციალური ორგანო, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა სტატისტიკის წარმოების ვალდებულება. ამის ახსნა თუნდაც იმით არის შესაძლებელი, რომ პერმანენტული სტატისტიკური გამოკვლევების ჩასატარებლად საჭიროა დიდი რაოდენობით ფინანსური რესურსები და სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ოფიციალურ ორგანოს შეუძლია კანონით მინიჭებული უფლებებით აიძულოს რესპოდენტები დროულად მიაწოდონ მას მისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია. სწორედ ეს არის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკას შორის.

პრინციპში, ნებისმიერ დაწესებულებას აქვს უფლება ჩაატაროს სტატისტიკური გამოკვლევა, ანუ ყველას აქვს უფლება “აწარმოოს სტატისტიკური ინფორმაცია”. მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ სათანადო კანონებისა და შესაბამისი უფლება-მოვალეობების სრული დაცვის პირობებში.

ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკა გერმანიაში

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებს მიეკუთვნება:²⁹

– ორგანოები, რომლებიც სპეციალურად გამოიყოფა სახელმწიფო აპარატში სტატისტიკური სამუშაოების ჩასატარებლად. ასეთია, მაგალითად: ფედერალური სტატისტიკური სამმართველო, მიწების (ლანდების) სტატისტიკური სამმართველოები და მუნიციპალიტეტების სტატისტიკური ორგანოები;

– სახელმწიფო ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურები, რომელთა ფუნქციაა სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და განზოგადება, ანუ ისეთი ოფიციალური ორგანოს სტატისტიკური ქვედანაყოფები, რომელთა პირველად (ძირითად) ამოცანებში არ შედის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება. მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკი, ფედერალური შრომის ბირჟა და სხვა.

აქვე უნდა გავმიჯნოთ ე. წ. დამოუკიდებელი და დამოკიდებული ოფიციალური სტატისტიკა. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია “ორგანიზაციის გარე სტატისტიკა”, რაც დაკავშირებულია ამ ორგანოს მიერ ჩატარებულ სტატისტიკურ კვლევებთან (მაგალითად, გერმანიის ფედერალური ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკა) და არ არის დაკავშირებული “ადმინისტრაციული სტატისტიკის” სპეციალური გამოკვლევების

²⁹ გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 54

ჩატარებასთან (მაგალითად, შრომის ბაზრის სტატისტიკა, რომელსაც ამუშავებს ფედერალური შრომის ბირჟა). ადმინისტრაციული სტატისტიკა ისეთი ინფორმაციაა, რომელიც შეგვიძლია მოვიპოვოთ რომელიმე ოფიციალური ორგანოს სამუშაო დოკუმენტებიდან ან ინტრანეტიდან. იგი შეიძლება იყოს ან არ იყოს გამოქვეყნებული. ეს მონაცემები ჩნდება მოცემული ორგანოს მიერ თავისი სამუშაოებს შესრულების პროცესში და მისი შეგროვება არ არის დაკავშირებული გარკვეული ან სპეციალური სტატისტიკური სამუშაოების ჩატარებასთან. ამ ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, სტატისტიკის სამმართველომ ან სხვა ორგანოებმა შეიძლება გამოიყენონ ეს ინფორმაცია და გამოაქვეყნონ იგი აგრეგირებული ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სტატისტიკა იგივე ოფიციალური სტატისტიკაა და მას იგივე შეზღუდვები გააჩნია (მაგალითად, კონფიდენციალობის დაცვა). ის არ უნდა აგვერიოს ინფორმაციის ღია წყაროებთან და საჯარო რეგისტრთან.

ოფიციალური სტატისტიკის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ტარდება იურიდიული კანონების და ბრძანებების საფუძველზე, რის გამოც ოფიციალურ ორგანოს შეუძლია აიძულოს რესპონდენტს უპასუხოს მის კითხვებს. ამასთან ერთად, ეს ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაასაჯაროონ ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან. სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევების უმრავლესობას ატარებენ სახელმწიფო ორგანიზაციები, ხოლო არაოფიციალური სტატისტიკა, თავის მხრივ, ამუშავებს ოფიციალური სტატისტიკის მიერ მიღებულ მონაცემებს, რათა პასუხი გასცეს სხვადასხვა კითხვას. იგი არ არის შეზღუდული მხოლოდ მონაცემების გადმოცემით, იგი ასევე აანალიზებს და იყენებს განსხვავებულ მეთოდებს, ფორმულებსა და სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებს. მაშასადამე, თანამედროვე გერმანიაში არსებობს გარკვეული შრომის დანაწილება ოფიციალურ და არაოფიციალურ სტატისტიკებს შორის. ასეთი სისტემის შექმნის არგუმენტი იყო ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უნდოდათ შეექმნათ ისეთი სტატისტიკური ორგანოები, რომლებზეც ცალკეული პოლიტიკოსები ვერ მოახდენდნენ ზეგავლენას. შრომის ასეთი დაყოფა გულისხმობს იმას, რომ სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება ეკისრება სხვადასხვა ორგანიზაციას, ექსპერტთა კავშირებს და ზოგ შემთხვევაში კი ოფიციალური ორგანოების სპეციალურ განყოფილებებს. ცხადია, რომ ასეთ სიტუაციაში ბალანსი შეიძლება მიღწეული იქნეს სხვადასხვა ორგანიზაციის ჯანსაღი კონკურენციის გამწვავების ხარჯზე, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთ შემთხვევაში ოფიციალურ სტატისტიკას შეეკვეცა და ჩვეულებრივ რეგისტრაციად გადაქცევა ემუქრება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიაში ოფიციალური სტატისტიკის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ქვეყნის საერთო ქონება (ინფორმაციული ინფრასტრუქტურა), რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს იგი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არაოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაციებს მიეკუთვნება:³⁰

- 1) სხვადასხვა ეკონომიკური კავშირები და გაერთიანებები (მაგალითად, გარკვეული “დარგის” საწარმოების კავშირი);
- 2) პროფესიული კავშირებისა და პარტიების სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური და სხვა ინსტიტუტები (მაგალითად, პროფკავშირების სამეცნიერო-კვლევითი სოციალურ-

³⁰ გელაშვილი ს. 2015, გვ. 57.

ეკონომიკური ინსტიტუტი, საწარმოთა ფედერალური კავშირის გერმანული ინსტიტუტი და სხვა);

3) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ორიენტირებული არიან საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის შესწავლაზე;

4) სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც უმეტესად შექმნილი არიან როგორც სახელმწიფო, ან არასახელმწიფო ორგანიზაციები და აქვთ ოფიციალური იურიდიული პირის სტატუსი (მაგალითად, გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი ბერლინში, მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი კილში, მიუნხენის უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი, რეინ-ვესტფალიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი ესენში, ჰამბურგის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი ჰალეში და სხვ.);

5) თავისუფალი, მაგრამ თავისი არსით მაინც “ნახევრად ოფიციალური” ორგანიზაციები. ასეთია, მაგალითად, საერთო ეკონომიკური განვითარების ექსპერტთა კავშირი და სხვ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ორგანიზაციული პრინციპები

ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების საქმიანობა გერმანიაში ემყარება სამ მთავარ პრინციპს. ესენია:

1) საგნობრივი ცენტრალიზაცია (დამოუკიდებელი სტატისტიკის პრევალირება), ანუ საგნობრივი კონცენტრაცია;

2) რეგიონული დეცენტრალიზაცია;

3) კანონიერების პრინციპი (ყოველი გამოკითხვის ჩატარება კანონით უნდა იყოს სანქცირებული).

პირველი პრინციპი: საგნობრივი ცენტრალიზაცია. საგნობრივი ცენტრალიზაციის ქვეშ იგულისხმება სტატისტიკის წარმოებაზე ორიენტირებული ორგანოს არსებობა, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ყველა მიმართულება. ბევრ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთი და ანგლოსაქსური ქვეყნები) ეს პრინციპი არ არის დაცული. სტატისტიკური ორგანოები ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს და ატარებენ ნებისმიერ სტატისტიკურ გამოკვლევას, მათ შორის სოფლის მეურნეობის სტატისტიკას, ფინანსების სტატისტიკას, ტრანსპორტის სტატისტიკას და ა. შ. ამით ისინი ცდილობენ მოახდინონ თავიანთი მუშაობის რაციონალიზაცია. საგნობრივ ცენტრალიზაციას მივყავართ იმ შედეგამდე, რომ დიდი მოცულობის ინფორმაცია

კონცენტრირებულია ერთ ადგილზე. ასეთი სპეციფიკური სახელწოდებით - “განუყოფელი სტატისტიკა”, რომელიც არღვევს საგნობრივი ცენტრალიზაციის პრინციპს, შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე დარგში, როგორცაა: საბანკო სტატისტიკა (ატარებს გერმანიის ფედერალური ბანკი), სადაზღვევო საქმის სტატისტიკა, შრომის ბაზრის სტატისტიკა (ატარებს ფედერალური შრომის ბირჟა), სახელმწიფო სოციალური დახმარებისა და სოფლის მეურნეობის რამდენიმე ქვესექტორში, ასევე ჯანდაცვაში, განათლებაში და სამართლებრივ სტატისტიკაში.

მეორე პრინციპი: რეგიონული დეცენტრალიზაცია. ეს პრინციპი დაკავშირებულია გერმანიის სახელმწიფოს ფედერალურ მოწყობასთან. ფედერალური სტატისტიკური სამმართველო ფორმალურად ფედერალურ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია, მაგრამ ის არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ქ. ვისბადენში, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილები (ანუ ფილიალები) განთავსებულია ბერლინსა და ბონში. იგი პირველ რიგში პასუხისმგებელია სტატისტიკის ფედერალურ

დონეზე (ფედერალური სტატისტიკის) წარმოებაზე და უზრუნველყოფს მის მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ მომზადებას, ასევე შედეგების გამოქვეყნებას. მაგრამ პრაქტიკული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება ფედერალურ დონეზე და თავისთავად “მიწების” დონეზეც უმეტესად ეკისრება “მიწების” სტატისტიკურ სამმართველოებს (ზოგჯერ მუნიციპალიტეტთან მჭიდრო კავშირში). გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი სფეროს სტატისტიკა, როგორცაა: საერთაშორისო და საბითუმო ვაჭრობის სტატისტიკა, საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა და სხვა (ამგვარი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მთლიანად ეკისრება სტატისტიკის ფედერალურ სამმართველოს). გერმანიაში მიიჩნევენ, რომ ეს სისტემა იდეალურია, რადგან “მიწების” სტატისტიკური ორგანოები უკეთ არიან გათვითცნობიერებულები საკუთარი ტერიტორიების თავისებურებებში.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტატისტიკის ფედერალური სამმართველოს დაქვემდებარებაში, „ლანდების“ სტატისტიკური სამმართველოების გარდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა (მათ შორის კვლევითი ინსტიტუტები). ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, მოსახლეობის კვლევის ფედერალური ინსტიტუტი, რომელიც დემოგრაფიის მიმართულებით ერთ-ერთი მძლავრი კვლევითი ორგანიზაციაა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

- 1) ოჯახისა და ბავშვთა დემოგრაფიული კვლევა;
- 2) დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები;
- 3) მიგრაცია;
- 4) პროფესიული მობილობა;
- 5) მოსახლეობის დაბერება;
- 6) მეთოდოლოგია;
- 7) მონაცემთა დამუშავება-სისტემატიზაცია.

მოსახლეობის კვლევის ფედერალური ინსტიტუტი რეგულარულად უშვებს სხვადასხვა პუბლიკაციებს და გერმანიის დემოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად ატარებს თემატურ კონფერენციებს დემოგრაფიის პრობლემებზე.³¹

მესამე პრინციპი: კანონიერების დაცვა. კანონიერების პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერ გამოკითხვას უნდა გააჩნდეს იურიდიული საფუძველი კანონის სახით. გამონაკლისია ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც აიღება თავისუფალი წყაროებიდან და საჯარო რეგისტრებიდან. კანონი განსაზღვრავს გამოკითხვების მიზნებს, პროგრამას და დანახარჯებს. გამონაკლისის სახით კვლევის ჩასატარებლად საკმარისია მიღებული იქნას სათანადო ნორმატიული აქტი ხანგრძლივობით სამ წლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე ნორმატიული აქტის საფუძველზე სტატისტიკური გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს არა ნებისმიერ სფეროში. სტატისტიკური გამოკვლევების მომზადების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს საცდელი გამოკითხვა, რომლის მიზანია შეირჩეს გამოსაკითხ პირთა შერჩევითი ერთობლიობა, დადგინდეს კითხვარების ვარგისიანობა და ა.შ. ასეთი საცდელი კვლევები არ მოითხოვს ნორმატიული აქტის მიღებას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ცალკეული გამოკვლევისთვის მიღებული უნდა იქნეს სპეციალური კანონი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ოფიციალური სტატისტიკის საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მის ორგანოებზე, არამედ საკანონმდებლო და

³¹ ამ სტატის თანაავტორი ს. გელაშვილი 2001-2012 წლებში 4-ჯერ მონაწილეობდა ამ კონფერენციებში და დღემდე სისტემატურად იღებს სპეციალურ პუბლიკაციებს მათგან.

სამთავრობო ორგანოებზე, ანუ პარლამენტსა და სამინისტროებზე. მხოლოდ ამ დაწესებულებებს შეუძლია სტატისტიკური აღწერისა და გამოკითხვის ჩატარების ბრძანების ან სხვა იურიდიული აქტის გამოცემა. ასეთ სამართლებრივ აქტში ჩაიწერება გამოკითხულთა წრე, მათი მაქსიმალური რაოდენობა, გამოკითხვის დრო, გამოკითხვის დანახარჯები და სხვა. კანონის მიღების გრძელი პროცედურა უზრუნველყოფს მოცემული გამოკვლევის შესახებ ყოველი რაციონალური მოსაზრების გათვალისწინებას.

კანონში სტატისტიკის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა გერმანიაში 1980 წელს, მე-6 მუხლის IV პარაგრაფში ასევე გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რომ შეჩერებული იქნას სტატისტიკური კვლევა ნორმატიული აქტის საფუძველზე ხანგრძლივობით სამ წლამდე. იგივე კანონის მე-6 მუხლის III პარაგრაფში გათვალისწინებულია შესაძლებლობა შეჩერებული იქნას სტატისტიკური კვლევა ნორმატიული აქტის საფუძველზე ხანგრძლივობით ოთხ წლამდე, ასევე გამოკვლევის გადატანა სხვა დროისათვის, გამოკითხულთა რაოდენობის შემცირება, გამოკითხვის ზოგიერთ კითხვაზე პასუხების აუცილებლობის (ვალდებულების) მოხსნა და ა. შ.

იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომელთა ეკონომიკაც დაფუძნებულია კონკურენციასა და კერძო საკუთრებაზე, სტატისტიკური მონაცემების მიწოდება,

ერთის მხრივ, ხოლო კონფიდენციალობის დაცვა, მეორეს მხრივ, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, ხოლო მოპოვებული მონაცემების შედეგად საერთო სურათი (კრებსითი, ჯამური მაჩვენებლები) ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაშინ როდესაც არადემოკრატიულ ქვეყნებში მდგომარეობა საპირისპიროა: ასეთ ქვეყნებში სტატისტიკის შედეგები უმეტეს შემთხვევებში განიხილება როგორც სახელმწიფო საიდუმლოება და არ ხდება მათი გამოქვეყნება.

როგორც წესი, რესპოდენტი ვალდებულია მიაწოდოს კვლევის ჩამტარებელ ორგანოს სწორი, სრული, უსასყიდლო და დროული ინფორმაცია. თავისთავად არ არის სწორი, მოსთხოვო ეს რესპოდენტებს (განსაკუთრებით მეწარმეებს) და ამასთან, არ მისცე კონფიდენციალობის დაცვის გარანტია. ინფორმაციის კონფიდენციალობას გერმანიაში იცავს სისხლის სამართლის ზოგადი კოდექსი (სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე პარაგრაფი).³² ამ პარაგრაფის თანახმად, დაცულ პირთა შორის არიან არა მხოლოდ გამოკითხულები, არამედ ის პირებიც, რომლებსაც შეიძლება შეეხოს ამ გამოკითხვის დეტალები (ამ შემთხვევაში ეს ასევე ეხება შტატგარეშე აღმწერებს, ანუ რეგისტრატორებსაც). ამასთან, ინფორმაციის დამალვა არის ადმინისტრაციული კანონდარღვევა და შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით 10 000-მდე ევროს ოდენობით, მაშინ როდესაც კერძო (ინდივიდუალური, მაიდენტიფიცირებელი) ინფორმაციის გამოქვეყნება არის უკვე სისხლის სამართლის დანაშაული.

კონფიდენციალობის დაცვას არ ექვემდებარება ყველასათვის ცნობილი ფაქტები, ასევე გამოკითხულთა მისამართები. დუბლირების თავიდან ასაცილებლად ასევე შესაძლებელია პირადი ინფორმაციის გადაცემა სხვა სახელმწიფო ორგანოებისადმი, რესპოდენტების ვინაობის დაკონკრეტების გარეშე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში (რომელიმე ოფიციალური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე) ასევე შესაძლებელია რესპოდენტების ვინაობის გამხელაც. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი კანონში და თვით კითხვარზე იქნება აღნიშნული ამ ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა და ამის შესაძლო მიზეზები. მხოლოდ ისეთი მონაცემების გამოქვეყნებაა შესაძლებელი, რომელთა

³² Der Verhaltenskodex für Europäische Statistiken: Für die Nationalen und Gemeinschaftlichen Statistischen Stellen. Angenommen vom Ausschuss für das Europäische Statistische System 28. September 2011 (<http://ec.europa.eu/eurostat/quality/>); Bundesdatenschutzgesetz (BDSG). Ausfertigungsdatum: 30.06.2017

მიხედვით ვერ ისაუბრებ რომელიმე კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის მდგომარეობაზე, ანუ ინფორმაცია უნდა იყოს კრებსითი (როგორც მინიმუმ, სამი რესპოდენტის პასუხების ჯამს მაინც უნდა შეადგენდეს). ამის შედეგია ის, რომ ცალკეული რეგიონების თუ მცირე დარგების სტატისტიკა არ არის კარგად განვითარებული.

აქ განხილულ ორგანიზაციულ პრინციპებს დიდი ზეგავლენა გააჩნიათ ოფიციალური სტატისტიკური სამსახურების მეთოდებსა და პროგრამაზე, თემებზე, რომლებსაც ეხება ან არ ეხება სტატისტიკური გამოკითხვები, მიღებული ინფორმაციის აქტუალობასა და სისწორეზე, ყოველ გამოკვლევასთან დაკავშირებულ დანახარჯების მოცულობაზე და მრავალ სხვა ასპექტზე.

გერმანიაში თავისუფალი სტატისტიკური გამოკვლევების ზოგადი მიმოხილვა

ზოგიერთ ადამიანს შეიძლება შეექმნას წარმოდგენა, რომ თავისუფალი გამოკითხვა არის ყველაზე “რბილი სახე” გამოკითხვებს შორის. ამ თემის ირგვლივ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა უამრავი პრობლემა, რომელიც თან სდევს თავისუფალ გამოკვლევას. ასეთი ტიპის გამოკვლევებს დიდი ადგილი უკავიათ ოფიციალური სტატისტიკის შედგენის საკითხში, რადგან ბევრ კითხვაზე რესპოდენტი არ არის ვალდებული უპასუხოს ინტერვიუერს. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც კვლევის საგანი განსაკუთრებით რთულია და ასევე მაშინ, როდესაც სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისათვის საჭიროა რესპოდენტების მზადყოფნა თანამშრომლობისათვის. თავისუფალი კვლევების მაგალითად შეიძლება მოგვევლინოს მოსახლეობის (შინამეურნეობები) შემოსავლებისა და დანახარჯების კვლევა. ხშირად ასეც ხდება, რომ ასეთი გამოკვლევების შედეგი არაზუსტია, ან არ არის რეპრეზენტატიული. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ გამოსაკითხი ერთობლიობის ის ნაწილი, რომელმაც უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე, თავისი შემადგენლობით შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მთლიანი ერთობლიობისაგან. მაგალითად, შეიძლება მოხდეს ისე, რომ შემოსავლების და დანახარჯების შესახებ კვლევაში მხოლოდ ისინი მიიღებენ მონაწილეობას, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს საკუთარ დანახარჯებს, ანუ უფრო მეტად დამზოგველია, ვიდრე ის ნაწილი, რომელმაც არ იცის, თუ რამდენი დანახარჯი ჰქონდა. თავისუფალ გამოკითხვასაც სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი და ამ გამოკვლევების ინდივიდუალური შედეგების ანონიმურობის დაცვაც ასევე აუცილებელია. არსებობს გარკვეული საშუალებები აღურიცხავი პასუხების შეცდომის გასაბათილებლად, თუმცა ეს საშუალებები უმეტესად ეყრდნობა ალტერნატიული გამოკითხვის შედეგებს და თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ ამ მეთოდების ეფექტიანობა საეჭვოა. თუ არ არსებობს მაჩვენებლების “სისწორის” კრიტერიუმი, შედეგების გადასწორებამ შეიძლება უფრო დიდ შეცდომამდე მიგვიყვანოს. და თუკი ასეთი “სისწორის” კრიტერიუმები არსებობს, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებულები იმაში, რომ ასეთი კორექტირებებით მიღებული პასუხები დაემთხვევა სავალდებულო გამოკითხვით მიღებულ შედეგებს. ამ პრობლემისგან უნდა გავმიჯნოთ პასუხების დაგვიანებით მიწოდება რეგულარული გამოკითხვის პროცესში, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია სპეციალური ინდექსების (კოეფიციენტების) შემოტანით. როდესაც გვაქვს რამდენიმე რესპოდენტის მიერ გაუცემელი პასუხები, შეგვიძლია დანარჩენების შედეგები გავავრცელოთ ამ ერთეულებზეც, რა თქმა უნდა, თუკი საუბარია საკმარისად მცირე საწარმოებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი ზომით ვერ ზემოქმედებენ ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სტატისტიკური იმპუტაციის

სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა მაგალითად, სტატისტიკური საშუალო სიდიდეები, „უახლოესი მეზობლის“ პრინციპი, პროგნოზული იმპუტაცია და სხვ.³³

ოფიციალური სტატისტიკის საიმედოობის გარანტი არის მისი იურიდიულად სავალდებულო ხასიათი და სწორედ ეს გარემოება გვამძლევს საფუძველს ვუწოდოთ მას „ოფიციალური“. საცდელმა გამოკვლევებმა, რომლებიც მრავალი ჩატარდა გერმანიაში, აჩვენა, რომ მაქსიმალური კვოტა, რომელსაც უნდა ველოდეთ თავისუფალი გამოკვლევებისგან, არის 65%. პირველ საცდელ გამოკვლევაში ამ კვოტამ შეადგინა მხოლოდ 50%. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში და სკანდინავიის ქვეყნებში ეს კვოტა მერყეობს 81%-დან 95%-მდე.³⁴ ამასთან, ამ ქვეყნებში ინფორმაცია პასუხის გაცემაზე უარის მთქმელების შესახებ შეიძლება მივიღოთ ოფიციალური რეგისტრებიდან. გერმანიაში პასუხის გაცემის მზადყოფნის დაბალი დონე ჯერ კიდევ ვრცელდება ასევე საწარმოებზეც. ასე, მაგალითად, დანახარჯების სტრუქტურის შესწავლისას გამოკვლევის შედეგები (იმ მიმართულებებში, სადაც ასეთი გამოკითხვა თავისუფალია) ვერ გავრცელდება მთელ ერთობლიობაზე. მიკროცენზების პრაქტიკამ აჩვენა, რომ არასავალდებულო კითხვებზე პასუხის გაცემის მზადყოფნა განსაკუთრებით დაბალია დიდ ქალაქებში და ახალგაზრდებში.³⁵

სავალდებულო გამოკითხვის ჩატარებისას, ჩვეულებრივ ფიქსირდება მოსახლეობის შედარებით მაღალი აქტიურობა (დაახლოებით 97%). ამასთან, 82%-მა ზეპირად უპასუხა კითხვებს, 6%-მა არჩია ანკეტის წერილობით შევსება, ხოლო 9%-მა გადაუგზავნა შევსებული ანკეტა „ლანდის“ სტატისტიკურ სამმართველოს.³⁶

სავალდებულო და არასავალდებულო კითხვების ერთად თავმოყრამ არა მხოლოდ გამოიწვია გამოკითხულთა შორის გაუგებრობა, არამედ პირდაპირ უზიძგა არასავალდებულო კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის არიდებისკენ. რადგან გამოკითხვის დაწყებამდე ინტერვიუერი ვალდებულია უთხრას გამოსაკითხ პირს კითხვის თავისუფალი (არასავალდებულო) ხასიათის შესახებ, ხშირად მას შესაძლებლობაც კი არა აქვს გამოკითხვის არსი გააცნოს მოქალაქეს. როგორც ჩანს, პასუხების გაცემის თავისუფლების მინიჭებას უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვა, ვიდრე ამას ვინმე ელოდა. მაგალითად, კითხვის თავისუფალმა ხასიათმა მოგზაურობის შესახებ (1995 წლის მიკროცენზი) გამოიწვია ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის ბევრი შემთხვევა. განსაკუთრებით ბევრი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა იმ პირებისა და ოჯახებისგან, რომლებიც ბევრს მოგზაურობენ. ამის გარდა, მთლიანად იყო ამოღებული კითხვა მოგზაურობასთან დაკავშირებული დანახარჯების შესახებ. თუმცა, რადგან ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია საგადასახდელი ბალანსის სწორი შედგენისათვის და ზოგადად ტურიზმის განვითარების პერსპექტივების გამოსაკვლევადაც, განიხილება ამ კითხვის დაბრუნება ანკეტაში. პასუხის გაცემის ვალდებულება მოხსნილი იყო ასევე მიკროცენზის კითხვაზე ქორწინების წელთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ყველა მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია ქორწინების ხანგრძლივობასთან, მოსახლეობის მოსალოდნელ აღწარმოებასთან და ოჯახებისთვის გაწეული დახმარებისა და დოტაციების თანხების რაოდენობასთან, აღარ არის სანდო. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ამ ინფორმაციის გადასამოწმებელი სხვა რაიმე პირდაპირი წყარო არ არსებობს.

³³ გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 53-54.

³⁴ გელაშვილი ს. 2015, გვ. 68

³⁵ იქვე, გვ. 68.

³⁶ იქვე, გვ. 68

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს “ლანდების” მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევების კოორდინაციას და გაერთიანებას. იგი ასევე ატარებს სამუშაოებს სხვადასხვა ოფიციალური ორგანოების თხოვნით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამოკვლევების შედეგების გამოყენება შეეძლება მხოლოდ ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის წევრებს. შედეგების გაცნობა ყველასათვის უნდა იყოს შესაძლებელი. თუმცა სხვა ქვეყნებთან შედარებით, (მაგალითად, იტალია) გერმანიაში სტატისტიკური კვლევები არ ტარდება კერძო პირების დაკვეთით ან დაფინანსებით.

1987 წელს მიღებული კანონით, გათვალისწინებული იქნა გამოკვლევის ისეთი სპეციალური ინსტრუმენტი, როგორცაა “სპეციალური მიზნებით ჩატარებული კვლევა”, ანუ სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გამოკვლევა. ამით დაიწყო სტატისტიკის მოქნილობის ამაღლების ხელშეწყობა. ამ კანონის თანახმად, სტატისტიკის ორგანოებს უფლება აქვთ ჩაატარონ სპეციალური კვლევები საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ოღონდ მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- სახელმწიფო ორგანოებისათვის სასწრაფოდ საჭირო ინფორმაციის მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ მისაღებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან;
- სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა.

ასეთი გამოკვლევების შემთხვევაში, მათი ჩატარების დროისა და გამოკითხულთა წრის შეზღუდულობიდან გამომდინარე, მისი შედეგები ვერ ჩაითვლება საკმარისად სანდოდ და რეპრეზენტატიულად.

გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, ეხმარება სამი საკონსულტაციო ჯგუფი:

1. სტატისტიკურ მრჩეველთა (ანუ ექსპერტთა) სამუშაო ჯგუფი; იგი ატარებს

კონსულტაციებს სტატისტიკის მეთოდოლოგიურ და თემატურ პრობლემებთან დაკავშირებით. მისი წევრები არიან: ოფიციალური სტატისტიკის, სამინისტროების, წამყვანი მუნიციპალური ასოციაციების, პროფკავშირების, პროფესიული ასოციაციების, სამეცნიერო-კვლევითი ეკონომიკური ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, აგრეთვე ფედერაციის სპეციალური რწმუნებული ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხის მიმართულებით. ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და იყოფა სპეციალიზებულ კომისიებად და სამუშაო სექციებად.

2. სტატისტიკის კოორდინაციისა და რაციონალიზაციის საუწყებთაშორისო კომისია.

იგი კონტროლს უწევს ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაობას ახალი პროექტების მიმართულებით, მათ შორის განსაზღვრავს მათ აუცილებლობას და ხელს უწყობს მათ რაციონალიზაციას.

3. სტატისტიკის ქვედანაყოფების მმართველების კომისია,

რომელიც შეიქმნა და მუშაობს 1975 წლიდან. იგი თვალს ადევნებს ჩატარებული სამუშაოების სისწორეს, ასევე ახორციელებს ევროკავშირის რეკომენდაციების განხილვას და ხელს უწყობს მათ შესრულებას.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკური სამმართველო რეგულარულად აქვეყნებს დიდი მოცულობის სტატისტიკურ მონაცემებს როგორც ნაბეჭდი, ისე განსაკუთრებით ელექტრონული ფორმით. პუბლიკაციები მოიცავს როგორც ფედერალურ ნაერთ მაჩვენებლებს, ასევე ლანდების მონაცემებს. გარდა ამისა, გამოიცემა მრავალი სხვადასხვა სახის თემატური სტატისტიკური კრებული და ბიულეტენი.

დასკვნა

1872 წელს გერმანიაში შეიქმნა საიმპერიო სტატისტიკური სამსახური, რომლის შემდეგაც სწრაფად განვითარდა ოფიციალური სტატისტიკის სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ფინანსების, ფასების, შინამეურნეობების სტატისტიკა და სხვ.

თანამედროვე გერმანიაში გამიჯნულია ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკა და მათ შორის არსებობს გარკვეული შრომის დანაწილება. ოფიციალური სტატისტიკის განმასხვავებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი იწარმოება იურიდიული კანონების და ბრძანებების საფუძველზე, რის გამოც ოფიციალურ ორგანოს შეუძლია აიძულოს რესპონდენტს უპასუხოს მის კითხვებს. არაოფიციალური სტატისტიკა კი იყენებს ოფიციალური სტატისტიკის მიერ მიღებულ მონაცემებს, აანალიზებს მათ, რათა პასუხი გასცენ სხვადასხვა კითხვას. ამასთან ერთად, როგორც ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკური ორგანოები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალობა და არ გაასაჯაროონ ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირთან. ასეთი სისტემის შექმნის მიზანი იყო ის, რომ უნდა შექმნილიყო ისეთი სტატისტიკური ორგანოები, რომლებზეც პოლიტიკური ზეგავლენა ვერ მოხდებოდა.

პრაქტიკული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება ფედერალურ დონეზე და თავისთავად “ლანდების” დონეზეც, უმეტესად ეკისრება “ლანდების” სტატისტიკურ სამმართველოებს. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი სფეროს სტატისტიკა, როგორცაა: საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა და სხვა. ამგვარი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მთლიანად ეკისრება სტატისტიკის ფედერალურ სამმართველოს. გერმანიაში მიიჩნევენ, რომ ეს სისტემა იდეალურია, რადგან “ლანდების” სტატისტიკური ორგანოები უკეთ ერკვევიან საკუთარი რეგიონების სპეციფიკაში.

1987 წელს მიღებული კანონით, გათვალისწინებული იქნა გამოკვლევების ისეთი სპეციალური ინსტრუმენტი, როგორცაა “სპეციალური მიზნებით ჩატარებული კვლევა”, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ოფიციალური სტატისტიკის მოქნილობა. ამ კანონის თანახმად, სტატისტიკის ორგანოებს უფლება მიეცა ჩაატარონ სპეციალური კვლევები საკანონმდებლო ბაზის გარეშე, ოღონდ მხოლოდ შემდეგი ორი მიზნისათვის: 1) სახელმწიფო ორგანოებისათვის სასწრაფოდ აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ მისაღებ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან და 2) სამეცნიერო და მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა.

სრული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ დავასკვნათ: თანამედროვე გერმანიას მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. „მერიდიანი“, თბ., 2015.
2. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. „მერიდიანი“, თბ., 2017.
3. Atanelishvili, T. GEORGIAN EXPERIENCE IN FUNCTIONING OF STATE STATISTICS BODY. Ecoforum jurnal. Vol. 5, №2, 2016.
4. John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884.
5. Bundesdatenschutzgesetz (BDSG). Ausfertigungsdatum: 30.06.2017. Statistisches Bundesamt.

6. Der Verhaltenskodex für Europäische Statistiken: Für die Nationalen und Gemeinschaftlichen Statistischen Stellen. Angenommen vom Ausschuss für das Europäische Statistische System 28. September 2011 (<http://ec.europa.eu/eurostat/quality>).

7. Strategie- und Programmplan für die Jahre 2017 bis 2021. Statistisches Bundesamt, Wiesbaden, 2017.

8. www.destatis.de

Formation and Development of Official Statistics in Germany

Simon Gelashvili
Full Prof. , TSU;

Levan Silagadze
PhD Student, TSU

Abstract

The article presents a brief history of the development and the formation of a German official statistics, the official and unofficial (public and private) list of statistical agencies and their major works, special attention is given to the organizational principles of statistics and the protection of data confidentiality.

The specifics of Germany's free statistical studies, its positive and negative aspects are widely analyzed. The circle of families and respondents, which is problematic to answer non-binding questions, is outlined.

Keywords: Official Statistics, Federal Statistics, Micro Census, Special Research, Banking Statistics.

ინფორმაციოლოგიური რევოლუციების ისტორიული ეპოქების მეცნიერული კვლევის საკითხისათვის

გიორგობიანი მაია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ, ასისტენტ-პროფესორი
Maia.Giorgobiani@tsu.ge

ანოტაცია

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ინფორმაციოლოგია, მოიცავს რა მრავალდონიან ქვესისტემათა სიმრავლეს, სხვა მეცნიერებებისა და სამეცნიერო განყოფილებების სახით, წარმოადგენს ყოველის განმაზოგადებელ (გენერალიზაციურ) მეცნიერებას სამყაროს წარმოქმნისა და განვითარების საწყისი მიზეზებისა და წყაროების შესახებ. ასე, რომ ინფორმაციოლოგია წარმოგვიდგება როგორც მეცნიერებათა მეცნიერება, ითვლება ბუნების და საზოგადოების ერთიანობის და განვითარების გენერალიზაციურ იდეოლოგიად და აგრეთვე სამყაროში პლანეტათაშორისო და გალაქტიკათაშორისო გაერთიანების კვლევის და ძიების საფუძვლად;

- ინფორმაციოლოგიის სათავე, მისი რევოლუციური ეპოქები და მათი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები. აქ განხილულია თითოეული ინფორმაციოლოგიის რევოლუციური ეპოქის ხანა, მისი გამომწვევი მიზეზებითა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით;

- ინფორმაციოლოგიის როლი მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში;
- ინფორმაციოლოგიის განვითარების პერსპექტივა

ინფორმაციოლოგიამ ისევე როგორც პტოლემევისა და კოპერნიკის სამყაროს სისტემებმა, ასევე განიცადა მეცნიერულ-რევოლუციური გარდევები სამყაროს ინფორმაციოგენურ ვაკუუმში. თუ კოპერნიკის სისტემამ თავდაყირა დააყენა პტოლემევის სისტემა, ინფორმაციოლოგიამ დაახლოებით იგივე მოახდინა კოპერნიკის სისტემის მიმართ, ინფორმაციის პირველადობის და მატერიის მეორადობის დამტკიცებით, რომ სამყაროს უსაზღვრო ინფორმაციოგენური ვაკუუმური სივრცე წარმოადგენს მატერიის შექმნის საფუძველს და არა პირიქით.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციოლოგია, ინფორმაციოლოგიის რევოლუციური ეპოქები, განვითარების ტაპები, პერსპექტივა.

ინფორმაციოლოგია შედგება ორი სიტყვისაგან: ინფორმაცია და ლოგია და ნიშნავს: ინფორმაციულ მეცნიერებას, ანუ მეცნიერებას ბუნებრივი და ხელოვნური ინფორმაციის შესახებ. ინფორმაციოლოგია წარმოადგენს ყოვლის განმაზოგადებელ (გენერალიზაციურ) მეცნიერებას სამყაროს წარმოქმნისა და განვითარების საწყისი მიზეზებისა და წყაროების შესახებ. ამიტომ იგი წარმოადგენს რა მეცნიერებათა მეცნიერებას, ითვლება ბუნებისა და საზოგადოების ერთიანობის და განვითარების გენერალიზაციურ იდეოლოგიად და აგრეთვე სამყაროში პლანეტათაშორისო და გალაქტიკათაშორისო გაერთიანების კვლევის და ძიების საფუძველად. ინფორმაციოლოგია - ესაა მესამე ათასწლეულში მსოფლიო საზოგადოების ოპტიმალური მეცნიერული განვითარების ფუნდამენტური საფუძველი და გენერალიზაციური ერთიანი მეცნიერება ბუნების და საზოგადოების მიკრო და მაკროდინამიური პროცესების ყველა ინფორმაციული მოვლენის შესახებ.

ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის ი. იუზვიშინის მიერ ინფორმაციოლოგია განმარტებულია, როგორც „ფუნდამენტურ მეცნიერებათა მეცნიერება, რომელიც აერთიანებს ყველა ინფორმაციულ გამოკვლევას და ახდენს ყველა მეცნიერების ინტეგრაციას.“

ინფორმაციოლოგია - ეს არის მიკრო და მაკრო სამყაროს ყველა ინფორმაციული პროცესებისა და მოვლენების კვლევის, პრაქტიკული და თეორიული მასალის განზოგადების გენერალიზებული მეცნიერება ერთიანი ინფორმაციული თვალთახედვით.

ინფორმაციოლოგია პროცესებს, მოვლენებს და ინფორმაციულ მასალას იხილავს ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერთკავშირში და ურთიერთმოქმედებაში მატერიალიზაციისა და დემატერიალიზაციის განივთებული და გაუნივთებელი ატრიბუტებით.

ინფორმაციოლოგიის ძირითადი დანიშნულებაა:

ჰირველი, მეცნიერული კვლევის ყველა პროცესის, საგნისა და შედეგის ინტეგრირებული გაერთიანება ერთ განზოგადებულ მეცნიერულ სისტემის ჩარჩოში სისტემათაშორისი ურთიერთკავშირისა და მეცნიერებათაშორისი ურთიერთმოქმედების ბაზაზე;

მელრე, კვლევის ობიექტების და მათი საგნობრივი წარმოდგენის აღწერა ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებისა და ფორმების და ინფორმაციული პროცესების სახით;

მესამე, კვლევის უნივერსალური მეთოდოლოგიის, საშუალებების, ენისა და მეცნიერებათაშორისო ურთიერთობების დამუშავება;

მეოთხე, ინფორმაციული სისტემების, ბუნების, საზოგადოების მიკრო და მაკრო სამყაროს ობიექტებისა და მოვლენების გამოკვლევა თვისობრივად ახალ, მაღალ მეცნიერულ დონეზე ინფორმაციოლოგიის ზოგადი უნივერსალური კანონების საფუძველზე.

ინფორმაციის განხილვის იდეა, როგორც მისი შემადგენლობის ერთიანი მთლიანი წარმონაქმნისა და როგორც გამოკვლევის ერთიანი პროცესის ურთიერთდამოკიდებული

ელემენტებისა, განცვიფრებას იწვევს თავისი სიმარტივით და, რაც მთავარია, განხორციელებით.

სხვადასხვაგვაროვანი და სხვადასხვატიპობრივი გამოყენებითი მეცნიერებების ინტეგრირებული გაერთიანების იდეა ერთ გენერალიზებულ წარმონაქმნში, ერთი შეხედვით, მართლაც მარტივად მოჩანს - თუ განვიხილავთ ყველა მეცნიერულ გამოკვლევას როგორც ერთიანი მეცნიერული პროცესის ელემენტებს, ხოლო კვლევის შედეგებს - განზოგადებულ ინფორმაციულ სიმრავლეებს. მაგრამ მეცნიერებათა სიმრავლის უბრალო მექანიკური გაერთიანება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მეცნიერებას, როგორც მთლიან წარმონაქმნს. ნებისმიერი მეცნიერება ყალიბდება როგორც ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი მეცნიერული კვლევის უნიკალური სისტემა, რომელსაც გააჩნია ერთიანი საგნობრივი სისტემა, ზოგადი მიდგომები, პრინციპები, ერთგვაროვანი საშუალებები და კვლევის ერთიანი ენა. ამიტომ აქ არ არსებობს არავითარი საფუძველი ფორმალური მექანიკური გაერთიანებისა. რაღა თქმა უნდა, ინფორმაციოლოგიის შექმნა და ფორმირება ხორციელდება ინფორმაციოლოგიური მიდგომის ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისად, რომელშიც სისტემური, სისტემათაშორისი, ლოკალური და სხვა ცნობილი პრინციპები წარმოადგენენ მსოფლიო თანამეგობრობის ინფორმაციულ-ფიქტური მრავალდონიანი სივრცის აგების კერძო პრინციპებს.

მეცნიერული კვლევების ერთიან ჩარჩოში გაერთიანების იდეა გულუბრყვილოდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე შეიმჩნეოდა უკუ, ანუ მეცნიერების დიფერენციაციის პროცესი, რომელსაც ჰქონდა კანონზომიერებების ყველა ნიშანი - კვლევისა და მისი შედეგების პროცესების სიმრავლის გაფართოებით (ინფორმაციის, მონაცემების, ცოდნის) მიმდინარეობდა მეცნიერებათა გამიჯვნა ცოდნისა და სამეცნიერო დისციპლინების სულ უფრო ახალი დარგების გამოყოფით. თითოეულ ასეთ მეცნიერებას ჰქონდა თავისი დანიშნულება, გამოყენების სფერო, კვლევის საშუალებები და ენა, იძენდა თავის შემოქმედებით და გამოყენებით მნიშვნელობას, ფორმდებოდა კვლევის ლოგიკურად ჩაკეტილი სისტემის სახით და იკავებდა სამყაროს შემეცნების სფეროში შესაბამის ნიშას.

მეცნიერების დიფერენციაციის, უნიფიკაციისა და გამიჯვნის ასეთი პროცესები გვეჩვენება არა მხოლოდ კანონზომიერად, არამედ გარდაუვალად და პრაქტიკულად შეუქცევადად. თანამედროვე მსოფლიოში ადვილი არ არის წარმოვიდგინოთ ისეთი ფუნდამენტური მეცნიერებები, როგორც მათემატიკა ან ინფორმატიკაა შემეცნების ერთიანი სისტემის ხარისხში მათი მრავალრიცხოვანი განყოფილებისა და ნაწილების კანონზომიერი ურთიერთკავშირის ერთობლიობაში, რომლებიც იძენენ სულ უფრო დიდ საკუთარ დანიშნულებას, ავტონომიას და გარკვეულ მოწყვეტასაც. მით უფრო, ეს გვეჩვენება რთულად და არა ჭეშმარიტად განზოგადებული მეცნიერების ჩარჩოში.

ყველაზე საინტერესოა, რომ მეცნიერების ასეთი ინტეგრაცია ნამდვილად შესაძლებელია. მხოლოდ იგი ხორციელდება არა მექანიკური გაერთიანების გზით ერთ მრავლობით განსხვავებულ და მრავალგვაროვან კვლევის პროცესებში, არამედ გენერალური მეცნიერების შესაბამისი ატრიბუტების ინფორმაციოლოგიური და სისტემური ინტეგრაციისა და ფორმირების გზით.

ინფორმაციოლოგია განიხილება როგორც ერთიანი გენერალური მეცნიერული სისტემა, რომელსაც თავის შემადგენლობაში აქვს მრავალდონიანი ქვესისტემების სიმრავლე, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მეცნიერებებს და სამეცნიერო განყოფილებებს. შესაბამისი წესით წარმოგვიდგება ინფორმაციული სისტემაც, კვლევის შედეგები, ინფორმაციული ცოდნა, სისტემათა სისტემა და ცოდნის სისტემების სიმრავლის ინტეგრირებული გაერთიანება. სწორედ ცოდნის ასეთი წარმოდგენა აძლევს მათ უფლებას განიხილონ ერთიან მთლიან ღია წარმონაქმნის ხარისხში (თვისობრიობაში).

ინფორმაციოლოგია წარმოადგენს ყოვლის განმაზოგადებელ (გენერალიზაციურ) მეცნიერებას სამყაროს წარმოქმნისა და განვითარების საწყისი მიზეზებისა და წყაროების შესახებ. ამიტომ იგი წარმოადგენს რა მეცნიერებათა მეცნიერებას, ითვლება ბუნების და საზოგადოების ერთიანობის და განვითარების გენერალიზაციურ იდეოლოგიად და აგრეთვე სამყაროში პლანეტათაშორისო და გალაქტიკათაშორისო გაერთიანების კვლევის და ძიების საფუძვლად. ინფორმაციოლოგია – ესაა მესამე ათასწლეულში მსოფლიო საზოგადოების ოპტიმალური მეცნიერული განვითარების ფუნდამენტური საფუძველი და გენერალიზაციური ერთიანი მეცნიერება ბუნების და საზოგადოების მიკრო და მაკროდინამიური პროცესების ყველა ინფორმაციული მოვლენის შესახებ.

ინფორმაციოლოგია, დაფუძნებული ბუნებრივ და ხელოვნურ (არაბუნებრივ) ინფორმაციაზე და სამყაროს ინფორმაციოგენურ ვაკუუმურ არსზე, გადაიქცა მსოფლიოს საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ერთადერთ გენერალიზაციურ იდეოლოგიად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: ინფორმაციოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, საიდან იღებს სათავეს, რა მეცნიერული მიღწევები უდევს საფუძვლად მის რევოლუციურ ეპოქებს და როგორია მისი განვითარების ტენდენციები და კანონზომიერებები?

პირველი ინფორმაციოლოგიური რევოლუცია მოხდა ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე, პტოლომეს მიერ შექმნილი სამყაროს გეოცენტრული სისტემის საფუძველზე, რომელიც მანამდე არსებული სამყაროს სურათისაგან (სამ ვეშაპზე ან სამ სპილოზე დამყარებული) განსხვავებით იყო სამეცნიერო სულიერი გარღვევა ფიზიკაში, მათემატიკაში, მექანიკაში და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და აგრეთვე რელიგიაში, მუსიკაში, მხატვრობაში და სხვა სფეროებში.

მეორე ინფორმაციოლოგიური რევოლუცია მოახდინა კოპერნიკმა, თავისი ფუნდამენტური ნაშრომით „ციური სფეროების ბრუნვის (ტრიალის) შესახებ“, რომელიც მასობრივი ტირაჟით გამოიცა 1543 წელს. ეს ფაქტობრივად იყო ინფორმაციულ-კოსმოსური გარღვევა სამყაროში მზის სისტემის გავლით. სამყაროს კოპერნიკისეული სურათი გახდა საფუძველი კაცობრიობის ისეთი გენიოსების მრავალი აღმოჩენისა, როგორებიც იყვნენ ნიუტონი, კოპერნიკი, გალილეი, ლორენცი, ციოლკოვსკი, ჩიჟევისკი, ეინშტეინი, რეზერფორდი, ხარიტონი, ოპენჰეიმერი, კოროლიოვი, ბორი და მრავალი სხვა.

მესამე ინფორმაციოლოგიური რევოლუცია დაიწყო დაახლოებით გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციის დაბადებით, კომპიუტერების სწრაფქმედების გაზრდით, ინფორმაციის განაწილებითი დამუშავებით, ლოკალური ინფორმაციული სისტემებისა და ქსელების გამოჩენით, სათანამგზავრო კავშირების დანერგვით და განვითარებით და ა. შ. ინფორმაციული რევოლუციების განვითარების შუალედი XX ათასწლეულის 80-იან წლებზე მოდის, როდესაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა თავისი განვითარების ინფორმაციოლოგიურ გზაზე გავიდა, აირჩია საზოგადოების ინფორმაციულ-ფიჭური წყობა, რომელშიც პრიორიტეტულს წარმოადგენს არა ბუნებრივი, არა შრომითი და ფინანსური რესურსები, არამედ ინფორმაციოლოგიური რესურსები და ტექნოლოგიები დაფუძნებული განვითარებულ ფიჭურ, რადიო და სათანამგზავრო ტელეკომუნიკაციურ კავშირებზე, ინფორმაციაზე, კომპიუტერიზაციაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, კოსმონავტიკაზე, მულტიმედიაზე, ინტერნეტზე და ა. შ. გასული საუკუნის 90-იან წლებში გლობალურ კოსმოსურ მასშტაბებში ინფორმაციის მძლავრი განვითარების საფუძველზე იბადება ინტეგრირებული მეცნიერებათა მეცნიერება – ინფორმაციოლოგია. ამავე პერიოდში იბეჭდება იუზვიშინის „ინფორმაციოლოგიის

საფუძვლების” მონოგრაფიის პირველი და მეორე, ხოლო ოდნავ მოგვიანებით მე-3 და მე-4 გამოცემები.

ინფორმაციოლოგიამ, ისევე, როგორც პტოლემევის და კოპერნიკის სამყაროს სისტემებმა, ასევე განიცადა მეცნიერულ-რევოლუციური გარღვევები სამყაროს ინფორმაციოლოგიურ ვაკუუმებში. თუ კოპერნიკის სისტემამ თავდაყირა დააყენა პტოლომეს სისტემა, ინფორმაციოლოგიამ დაახლოებით იგივე მოახდინა კოპერნიკის სისტემის მიმართ, **ინფორმაციის პირველადობისა და მატერიის მეორადობის დამტკიცებით, რომ სამყაროს უსაზღვრო ინფორმაციოგენური ვაკუუმური სივრცე წარმოადგენს მატერიის შექმნის საფუძველს და არა პირიქით..**

1996 წელს ინფორმაციოლოგიის საფუძვლების ფუძემდებელმა შემოგვთავაზა სამყაროს ინფორმაციოგენური ვაკუუმური სურათი, რომლის საფუძველი – ინფორმაციოგენური ვაკუუმი – წარმოშობს მატერიას და ავსებს სამყაროს სივრცეს. ამრიგად, მატერია წარმოშობილი ვაკუუმისგან, ძირითადად მისგან შედგება, რაც დამტკიცებულია ექსპერიმენტულად.

ინფორმაციოლოგია არ ეწინააღმდეგება არც ფიზიკას, არც ქიმიას, არც ასტრონომიას, არც ბიოლოგიას და არც სხვა სოციალურ, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებას, რადგან ყველა ისინი იქმნებოდა ბუნების კანონებზე და ამიტომ რჩებიან ინფორმაციოლოგიის, როგორც მთელი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების ერთგულებად.

ინფორმაციოლოგია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მეცნიერების და ტექნიკის, ეკონომიკის ყველა სფეროს და კაცობრიობის საქმიანობის ყველა ასპექტის შემდგომ განვითარებაში.

ამრიგად, ინფორმაციოლოგია ჩამოყალიბდა მეცნიერების ისეთ მიმართულებად, რომლის შესწავლა და განვითარება ამდიდრებს სხვა მეცნიერებას. თითოეული მეცნიერების მიმართ ინფორმაციოლოგია გვევლინება კვლევის შესაძლო მეთოდის სახით. ბუნებისა და საზოგადოების ნებისმიერი მასობრივი მოვლენისა და პროცესის კონკრეტული სახის შესწავლისას გამოიყენება ინფორმაციოლოგიის ერთიანი (ზოგადი) პრინციპები, მეთოდები, მიდგომები და კანონები. სხვა მეცნიერებებში ინფორმაციოლოგიის ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი და უზარმაზარი შემეცნებითი როლის ძალით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი მეცნიერება – ეს სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაციოლოგიის ნაწილი (განყოფილება), რომელიც ავსებს და ავითარებს მას (ინფორმაციოლოგიას).

ექვვარეშეა, რომ ინფორმაციოლოგია განვითარდება როგორც ზემასშტაბური მეცნიერებათა მეცნიერება. იგი მომავალში გვპირდება შემდგომ დაზუსტებით შევსებას, დამატებას და გლობალურ-კოსმიურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მალრაძე. ინფორმაციული მენეჯმენტი, დამხმარე სახელმძღვანელო. გამომც. სამართალი, თბილისი, 2013
2. Andrew B. Whinston. Economis and Information Systems. Volume 1. Handbook. Emerald Group Publishing Limited, 2006
- M. Khosrowpour. Managing Information Technology in a Global Environment. Pennsylvania State University at Harrisburg, USA, 2001

For the question of the scientific study of the historical epochs of informatiological revolutions

MAIA GIORGOBIANI, ASSISTANT PROFESSOR,
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

Abstract

Informatiology, like Ptolemaic and Copernican systems, was also subject to scientific-revolutionary breakthrough in the information vacuum of the universe. If Copernican system turned Ptolemaic system upside down, informatiology had nearly the same effect for Copernican system by proving the primacy of information and secondariness of material suggesting that the limitless information vacuum space of the universe is the basis for the material to form and not on the contrary.

Keywords: informatiology, revolutionary epochs of informatiology, stages of development, perspectives

საბაჟო სტატისტიკის განვითარებისა და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპები საქართველოში

მერი დაუშვილი, თსუ დოქტორანტი

ელ. ფოსტა: meriko.daushvili@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საბაჟო სტატისტიკის განვითარებისა და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილების ეტაპები საქართველოში. გადმოცემულია საქართველოში საბაჟო საქმის განვითარების ისტორიული ასპექტები. დეტალურადაა მიმოხილული საბაჟო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ეტაპები ცალკეული პერიოდების მიხედვით. განხილულია საბაჟო საქმიანობის თავისებურებები 1918-1921 წლების, 1921-1991 და XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, რაც საქართველო გახდა სუვერენული სახელმწიფო. დახასიათებულია საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბების ეტაპები: 1990-1991, 1992-1996 წლებში, 1997 წლიდან 2007 წლამდე და 2007 წლიდან დღემდე პერიოდების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო, ეტაპი, სტატისტიკა, ისტორია, განვითარება.

საბაჟო საქმიანობა ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე გადიოდა აზია-ევროპის დამაკავშირებელი საქარავნე გზა.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, ფეოდალურ საქართველოში გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „ხარკი“, „ზუერი“, „ბაჟი“, „ქირა“, „ტვირთის ხარკი“. „ზუერი“ პირველად მოხსენიებულია სახარების ქართულ თარგმანში, ბიბლიაშიც არის ნახსენები „მეზაჟე“.

ფეოდალურ საქართველოში გადასახადების აკრეფას ხელმძღვანელობდა საგანგებო მოხელე – შურტა, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესი (სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე, მეჭურჭლეთა უფროსი (მაშინდელი ფინანსთა მინისტრი). მეფეების მიერ გაცემული სიგელები კერძო პირებს, დიდგვაროვნებს ანიჭებდა თანამდებობასთან დაკავშირებული შემოსავლების აკრეფის უფლებას. როგორც აღვნიშნე, საბაჟო საქმე ნახსენებია ბიბლიაშიც. სახარებიდან ცნობილია, რომ მოციქული მათე – ოთხთავის პირველი წიგნის ავტორი – იყო მეზვერე, ანუ

გადასახადების (ბაჟის) ამკრეფი. იესომ დაინახა კაცი, რომელიც საბაჟოსთან იჯდა, სახელად მათე, და უთხრა მას „გამომყევი“, ისიც წამოდგა და გაჰყვა მას (მათე, 9). „და, ჰა, იყო კაცი ვინმე ზაქე – მებაჟეთა უფროსი და მდიდარი. სურდა მას იესოს ხილვა და, რადგანაც ტანად დაბალი იყო, წინ გაიქცა და ლეღვის ხეზე ავიდა. იესომ აიხედა მაღლა და უთხრა: „ზაქე, ჩამოდი სწრაფად, დღეს შენს სახლში უნდა დავრჩე“... (ლუკა, 19).

ცნობილმა მაჰმადიანმა ეკონომიკურმა მოაზროვნემ, აბუ იუსუფმა (731-798) წიგნში „დაბეგვრის შესახებ“ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები დაბეგვრის თაობაზე. მისი აზრით, საგადასახადო სისტემის ცენტრალიზებული ადმინისტრირება შეამცირებდა კორუფციას. აბუ იუსუფი ემხრობოდა საგადასახადო შემოსავლების გამოყენებას სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისათვის.

ქართულ წყაროში გამოთქმა „ბაჟი“ პირველად მე-11 საუკუნეში გვხვდება. ესაა გიორგი მეორის სიგელი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1072-1089).³⁷

საბაჟო საქმის განვითარებას, გარკვეული თვალსაზრისით, ემსახურებოდა 1783 წელს გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი., რომლის მიხედვით, ქართველ ვაჭრებს ეძლეოდათ რუსეთში თავისუფალი აღებ-მიცემობის უფლება და ყველა ის შეღავათი, რომლებითაც თვითონ რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. რა თქმა უნდა, ქართული მხარეც კისრულობდა გარკვეულ ვალდებულებას – შეღავათებს რუსი ვაჭრებისთვისაც. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა. რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი წლები მეტად არაერთგვაროვანი იყო. ამ დროს უკავშირდება რუსეთის იმპერატორის მიერ გამოცემული ოთხი განკარგულება, რომლითაც ქართველ თავად-აზნაურობას აეკრძალა მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ბაჟის აღება. 1831 წლის 6 მარტს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა დებულება „ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და ბაჟების საქმის მოწესრიგების შესახებ“, რომლის საფუძველზე, თანდათანობით გაუქმდა ადგილობრივი ფეოდალური საბაჟოები და დამკვიდრდა რუსეთის იმპერიის ერთიანი საბაჟო სამსახური.

თუ თვალს გადავავლებთ ისტორიულ წარსულს, ქართული სამართლის ძეგლებიდან გადასახადების რეგულირებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ტაშისკარის ბაჟის ნუსხა (ის თარიღდება 1753-1754 წლებით), რომელიც შედგება ერთი პირის მიერ დაწერილი ორი მცირე მოცულობის საბუთისაგან.

ტაშისკარი მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართველ აზაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ტაშისკარის გამოვლით ვაჭრებს, რომლებსაც ოსმალეთიდან შემოჰქონდათ საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში, დაწესებული ჰქონდათ გადასახადები, რომლის ამოღება ევალებოდა პაატა და ნიკოლოზ აზაშიძეების ერთგულ და სანდო პიროვნებას, ბეჟან ნახუცრიშვილს.³⁸ „ადრეულ ფეოდალურ საქართველოში თვითონ ფეოდალები აწესებდნენ გადასახადებს, რომლებიც მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. მოგვიანებით კი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში შეტანილი ქართული სამართლის ძეგლით – „დასტურლამალით“ – ფეოდალების მიერ გადასახადების დაწესება აიკრძალა და ამ წიგნის 362-ე მუხლით ცალკე გამოიყო 21 სახელმწიფო გადასახადი, რომლებსაც მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ბეგარა (სახელმწიფო ვალდებულების შესრულება პირადად ან დაქირავებული პირის მიერ, შემსრულებელს თან უნდა ჰქონოდა იარაღი და საგზალი), კოდის

³⁷ გ. იმედაშვილი, საბაჟო საქმე. თბ., 2009. გვ. 20.

³⁸ მესხია ი., გოცირიძე მ., ლელაძე რ., საგადასახადო ქრესტომათია, დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო მოხელეთა ატესტაციისათვის. თბ., 2004, გვ. 72.

პური (სახელმწიფო გადასახადი ხორბლით ან ქერით (წელიწადში კომლზე 4 კოდი (10 ლიტრი – 1 კოდი პური), საბალახე (გადასახადი ცხვრით. 100 ცხვარზე 1 ცხვარი. დაბეგვრის სუბიექტი – საქონლის პატრონი), ნადირობის (ნადირის მორეკვა, ღამით დარაჯობა), საურავი (ფულადი გადასახადი 14 შაქრის ოდენობით)... გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა: შრომადამიმაგრებითი რენტა, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა.

ამრიგად, საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა უპირატესობას ანიჭებდა გადასახადის ნატურალურ ფორმას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ფულადმა ფორმამ შეცვალა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ზვერი“ – „ზუერი“ ბაჟს, ქირას, ხარკს ნიშნავს. „საზუერი“ – საბაჟოს.³⁹ ფეოდალური საქართველოს ეკონომიკაში ბაჟი არაპირდაპირი გადასახადი იყო. როგორც აღვნიშნეთ, საბაჟო საქმეს სპეციალური მოხელე – შურტა – ასრულებდა. მოგვიანებით კი მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა. საქართველოში არსებობდა არაპირდაპირი გადასახადების სამი ფორმა: ბაჟი, აქციზი და სახაზინო მონოპოლიები.

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, საქართველოს უბველესი დროიდან ჰქონდა

სავაჭრო ურთიერთობები სპარსეთთან, არაბეთთან, საბერძნეთთან, რომის იმპერიასთან და ა. შ. აღსანიშნავია ვაჭრობა რუსეთთან, რომელიც ე. წ. „ოსეთის გზის“ აღდგენის შემდეგ განსაკუთრებით გაცხოველდა მე-18 საუკუნიდან. ცარიზმი ატარებდა საკუთარ საბაჟო პოლიტიკას. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქვეყანა, ფაქტობრივად, ჩამოშორდა საბაჟო საქმეს. ამ დროისათვის საბაჟო ორგანოები ფორმალურადაც კი არ არსებობდა საქართველოში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე – 1921 წელს – სწრაფი ტემპით დაიწყო საბაჟო საქმის მოწესრიგება, მაგრამ რადგან საქართველომ მალევე დაკარგა დამოუკიდებლობა, ეს საქმიანობა შეწყდა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს საბაჟო საქმიანობა აღარ უწარმოებია დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

თუ შევაფასებთ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს 1918-1921 წლებში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროს მთავარი იყო ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 30 აგვისტოს მიღებული კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა საბაჟო ორგანოთა სტრუქტურა, კომპეტენცია, მათი ამოცანები და ფუნქციები.

შემდგომი პერიოდი უკავშირდება 1921-1991 წლებს, როდესაც საქართველო შედიოდა სსრკ-ში ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკად და, შესაბამისად, ამ დროის საქართველოში საბაჟო საქმე აღარ განვითარებულა. ქართველი მებაჟეები დასაქმებული იყვნენ ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტების საბაჟო საგუშაგოებზე, რომლებიც სტრუქტურულად ექვემდებარებოდა სოჭის საბაჟო განყოფილებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახური. 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“. საბაჟო საქმემ და საბაჟო სამსახურმა, ბუნებრივია, საბაჟო სტატისტიკამ, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. ამავე წლებში შეიქმნა და დამკვიდრდა საბაჟო კანონმდებლობა. ქვეყანაში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ორი მკვეთრად გამოხატული გარემოება გამოვლინდა: ერთი მხრივ, საქართველო გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკური და, მაშასადამე, საბაჟო სივრცის სრულუფლებიან წევრად; მეორე

³⁹ იმედაშვილი გ., საბაჟო საქმე. თბ., 2009, გვ. 7.

მხრივ, ძველი სისტემის ნგრევამ შექმნა უამრავი პრობლემა ეკონომიკური საზღვრების დაცვის კუთხით. რეალობა იყო ისეთი, რომ არ არსებობდა არანაირი გამოცდილება, არანაირი კადრები, არც ინსტიტუციონალური ბაზა. არადა ცნობილია, რომ მთავარი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა საბაჟო სისტემა, არის, ერთი მხრივ, დასაქმებულთა კვალიფიკაცია და, მეორე მხრივ, ტექნიკური აღჭურვილობა. ინფორმაციის ოპერატიულად დამუშავებისათვის დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბაჟო სისტემა მოქცეულია ერთიან კომპიუტერულ ქსელში, რომლის მუშაობა ხორციელდება ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით.

ოპერატიულ პროგრამებსა და სპეცტექნიკას, ასევე, მნიშვნელობა აქვს საბაჟო ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებაში. მესამე ბაზა – ეს არის სრულფასოვანი მენეჯმენტი, რომელიც საბაჟო ინსტიტუტის არსებობას სჭირდება; მეოთხე ელემენტი, რომლის საფუძველზეც ფუნქციონირებს საბაჟო ინსტიტუტი, არის ნორმატიული აქტები.⁴⁰

ფაქტია, რომ თავად საქართველოს საბაჟო სამსახური, როგორც ასეთი, არ არსებობდა, სანამ ქვეყანამ სახელმწიფო დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. ამიტომ საბაჟოს ისტორია და საბაჟო სტატისტიკის განვითარება, პრაქტიკულად, სწორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. საბაჟო ურთიერთობა არის ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა გაცვლით განპირობებული განაწილების პროცესში გაცვლის მონაწილეებსა და განაწილების უფლების მქონე სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.⁴¹ ამით განსხვავდებოდა საქართველო სხვა პოსტრევოლუციური ქვეყნებისაგან (მაგალითად, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ა.შ.), რომლებსაც თავიანთი საბაჟო და გამართული სტატისტიკა ჰქონდათ. სწორედ გამოცდილების არარსებობის გამო შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები. თავიდან საბაჟო გადასახადები თითქმის არ იკრიფებოდა. ეს იყო ქვეყნისათვის უმძიმესი პერიოდი (90-იანი წლების დასაწყისი), როდესაც მძვინვარებდა სასურსათო კრიზი. მოშლილი იყო სავაჭრო ურთიერთობები. ქვეყანა ძირითადად იმპორტის ხარჯზე ვითარდებოდა. ამის გამო გადასახადი იმპორტზე დაწესდა დაბალი (2%), ხოლო ექსპორტზე - შედარებით მაღალი (8%). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა სტიმულს არ აძლევდა საექსპორტო პროდუქციას, ანუ არ ახალისებდა, განვითარებისკენ არ უბიძგებდა თავის წარმოებას.

ამავე დროს, 90-იანი წლების დასაწყისში საგარეო ვაჭრობაში შემოღებული იყო ძალიან ბევრი აკრძალვა, კვოტირებისა და ლიცენზირების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, საბაჟო იმასაც აკონტროლებდა, თუ რამდენად იყო შემოტანილი საქონელი კვოტირებული და ჰქონდა თუ არა ლიცენზია შემომტანს. ანუ მთელი მექანიზმი, თავიდან ბოლომდე, დაკავშირებული იყო კორუფციასთან. პირველად 1995 წელს დაისვა საკითხი, რომ უნდა მომხდარიყო საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ე.ი. თანდათან, მეთოდურად, საერთოდ გაუქმებულიყო კვოტირება, ხოლო ლიცენზირება და აკრძალვები დასულიყო მინიმუმამდე. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული მხოლოდ კლასიკური აკრძალვებისა და შეზღუდვების დანერგვის პროცესი გაიჭიმა და გაგრძელდა თითქმის 3 წელი.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ საბაჟო საქმიანობა მნიშვნელოვნად გაამარტივა. ამ პროცესებზე უდავოდ დიდი გავლენა იქონია ერთიანი საიმპორტო გადასახადის შემოღებამ 12%-ის ოდენობით, აგრეთვე, ექსპორტის გათავისუფლებამ გადასახადების (დღგ-ის და აქციზის) გადახდისაგან.

ამრიგად, 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო საბაჟო სამსახურის შენება, შესაბამისად, ხდებოდა საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი შეიძლება რამოდენიმე ეტაპად დავყოთ:

⁴⁰ ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტენოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002. გვ. 109.

⁴¹ იქვე, გვ. 40.

პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1991 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი - კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებშიც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოების ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი მოიცავს 1992-1996 წლებს. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის შექმნა და მისი სრულყოფა და ის დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის, საქართველოს კანონის „საბაჟო გადასახადის“ შესახებ დებულებების, ინსტრუქციების მიღებასთან. მთავარი მიღწევა მაინც 1992 წელს მიღებული პირველი საბაჟო კოდექსი იყო.

მესამე ეტაპი დაიწყო 1997 წლიდან 2007 წლამდე. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საბაჟო კოდექსი, ე.ი. 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა რიგით მეორე საბაჟო კოდექსი; იმავე წელს მიღებულ იქნა, ასევე, საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები.⁴²

მეოთხე ეტაპი იწყება 2007 წელს, როდესაც მიღებულ იქნა რიგით მესამე საგადასახადო კოდექსი და ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რითაც დაიწყო საბაჟო სფეროს შემდგომი სრულყოფის პროცესი, რომელიც გრძელდება დღესაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დაუშვილი მ., საბაჟო სტატისტიკის ფორმირების ეტაპები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ შრომების კრებული. თბ., 2014;
2. დაუშვილი მ., საინდექსო მეთოდის გამოყენების სპეციფიკა საბაჟო სტატისტიკაში. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. №1, თბ., 2017;
3. დაუშვილი მ., საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები. ჟურნალი ეკონომისტი. №3-4, თბ., 2017;
4. იმედაშვილი გ. საბაჟო საქმე. თბ., 2009;
5. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჩიკვაძე თ, საგადასახადო საქმე. თბ., 2007
6. მესხია ი., გოცირიძე მ., ლელაძე რ., საგადასახადო ქრესტომათია, დამხმარე სახელმძღვანელო საგადასახადო მოხელეთა ატესტაციისათვის. თბილისი. 2004.
7. ჯგერენაია ე., საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბ., 2002.
8. ურიდია გ., რუხაია ფ., საბაჟო საქმის თეორია. თბ., 2009

⁴² იმედაშვილი გ., საბაჟო საქმე. თბ., 2009. გვ. 8.

Development of Customs Statistics and the Stages of Customs Legislation Amendments in Georgia

Meri Daushvili
PhD Student

Abstract

The article discusses the development of customs statistics, the stages of customs legislation amendments and the historical aspects of customs affairs in Georgia. The different periods of customs definitions are described in details in the article. It also examines the characteristics of customs affairs in 1918-1921 years, 1921-1991 and after 1990s when Georgia became a sovereign state. The following stages of customs legislation are also described: 1990-1991, 1992-1996, the period from 1997 to 2007 and from 2007 until nowadays.

Keywords: customs, phase, statistics, history, development

მდგრადი ენერგეტიკის სტატისტიკური ასპექტები საქართველოში

გოგიტა თოდრაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი
ელ. ფოსტა: gtodradze@gmail.com

ანოტაცია

მდგრადი ენერჯია უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. გარდა ამისა იგი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კლიმატურ ცვლილებებზე.

თანამედროვე ენერჯო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრა, ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და განათლების გარკვეული დონისათვის მიღწევა. მდგრადი ენერჯია ხელს უწყობს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, იძლევა ცხოვრების დონის და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ენერგოეფექტურობა მოქალაქეებს ეხმარება ხარჯების დაზოგვაში. ამასთან, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ენერგოეფექტურობა იცავს გარემოს და აძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, აუმჯობესებს მწარმოებლურობას და ამცირებს სათბური გაზების ემისიას. ენერჯიაზე მოთხოვნის შემცირებით, ენერგოეფექტურობა განახლებად ენერჯიას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. ენერგოეფექტურობაში ინვესტირება კი ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ენერჯო უსაფრთხოებას.

განახლებადი ენერჯიის განვითარება საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. განახლებადი წყაროებიდან ენერჯიის წილის ზრდით ერთის მხრივ, ესაძლებელია სათბური გაზების ემისიისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის დაცვა საწვავის ფასების არასტაბილურობისაგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ქვეყანა არსებითად არის დამოკიდებული ენერგორესურსების იმპორტზე.

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად უსვამს ხაზს ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა მნიშვნელოვნობას. მდგრად ენერგიასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები გადამწყვეტ როლს ასრულებს ენერგეტიკის სექტორში არსებული ტენდენციების ანალიზის თვალსაზრისით. გარდა ამისა, დეტალური, სრულყოფილი, დროული და სანდო სტატისტიკა მეტად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული მდგომარეობის მონიტორინგის თვალსაზრისით როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე და დაკავშირებულია გლობალური პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა კლიმატური ცვლილებები და ენერგეტიკული უსაფრთხოება. სტატისტიკა ენერგორესურსების წარმოების, გადამუშავების, მიწოდების, მოთხოვნის, ვაჭრობისა და მოხმარების შესახებ წარმოადგენს საფუძველს გონივრული ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ენერგორესურსი, ენერგეტიკა, სტატისტიკა, ინვესტიცია.

მდგრადი ენერგეტიკა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ამასთან, იგი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კლიმატურ ცვლილებებზე.

მდგრად ენერგეტიკაში მოიაზრება მოსახლეობისთვის თანამედროვე ენერგო სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში ენერგოეფექტურობის გააუმჯობესება და უფრო მეტი განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება. მდგრად ენერგეტიკას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ცხოვრება, ქვეყნის ეკონომიკა, საზოგადოების დამოკიდებულება და პლანეტა. უფრო მეტიც, მის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ენერგო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრა, ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და განათლების გარკვეული დონისათვის მიღწევა. მდგრადი ენერგეტიკა ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ამასთან იძლევა მოსახლეობის ცხოვრების დონის და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ენერგოეფექტურობა მოქალაქეებს ეხმარება ხარჯების დაზოგვაში. ამასთან, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაში და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ენერგოეფექტურობა იცავს გარემოს და აძლიერებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, აუმჯობესებს მწარმოებლურობას და ამცირებს სათბური გაზების ემისიას. ენერგიაზე მოთხოვნის შემცირებით, ენერგოეფექტურობა განახლებად ენერგიას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. ენერგოეფექტურობაში ინვესტირება კი ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

განახლებადი ენერგიის განვითარება საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წილის ზრდით ერთის მხრივ შესაძლებელია სათბური გაზების ემისიისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ქვეყნის დაცვა საწვავის ფასების არასტაბილურობისაგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ქვეყანა არსებითად არის დამოკიდებული ენერგორესურსების იმპორტზე. გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივ აირზე და ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე.

საქართველოში ენერგორესურსების წარმოება ფარავს მასზე მოთხოვნის ერთ მესამედს. ნავთობპროდუქტები, გაზი და ქვანახშირი საქართველოში იწარმოება ძალიან მცირე რაოდენობით. საქართველოს ენერგორესურსების შიდა წარმოება (1.3 მილიონი ტონა ნავთობის ექვივალენტი) ძირითადად მოდის ჰიდრო რესურსებზე (0.7 მილიონი ტონა ნავთობის

ექვივალენტი), აგრეთვე ბიოსაწვავზე და ნარჩენებისაგან წარმოებულ ენერგიაზე (0.4 მილიონი ტონა ნავთობის ექვივალენტი).

რაც შეეხება ენერგორესურსების მოხმარებას, 2015 წელს საქართველომ მოიხმარა 4.6 მილიონი ტონა ნავთობის ექვივალენტი ენერგორესურსი. საქსტატის მონაცემებით, ბუნებრივი გაზი ქვეყნის უმთავრესი ენერგორესურსია, რომელსაც მოხმარებაში 43%-იანი წილი უჭირავს. ბუნებრივი გაზის უმთავრესი მომხმარებელია შინამეურნეობების სექტორი.

სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს ნავთობპროდუქტები - 26%-იანი წილით, 16% მოდის ჰიდროენერგიაზე, 9%- ბიოსაწვავსა და ნარჩენებისაგან წარმოებულ ენერგიაზე, ხოლო დარჩენილი 6% - ქვანახშირის წილად მოდის.

2015 წელს, 2000 წელთან შედარებით საქართველოში ენერგორესურსების მოხმარება 1.5-ჯერ გაიზარდა. ამასთან, ტრანსპორტის სექტორი ქვეყანაში ენერგორესურსების ყველაზე მსხვილი მომხმარებელია

ქვეყანაში წლის განმავლობაში 10 ტერავატ/საათზე მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება ხორციელდება (2015 წლის მონაცემებით). წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით 4/5 მოდის ჰიდროენერგიაზე, ხოლო დანარჩენი - ბუნებრივ გაზზე. საქართველოში განახლებადი ენერგიის წილი მთლიან ელექტროენერგიაში მსოფლიოში ყველაზე მაღალია და 2015 წლის მდგომარეობით 78%-ს შეადგენდა.

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად უსვამს ხაზს ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა მნიშვნელოვნობას. მდგრად ენერგეტიკასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები გადაწყვეტ როლს ასრულებს ენერგეტიკის სექტორში არსებული ტენდენციების ანალიზის თვალსაზრისით. იმავდროულად, დეტალური, სრულყოფილი, დროული და სანდო სტატისტიკა მეტად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული მდგომარეობის მონიტორინგის თვალსაზრისით როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე და დაკავშირებულია გლობალური პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორც კლიმატური ცვლილებები და ენერგეტიკული უსაფრთხოება. სტატისტიკა ენერგორესურსების წარმოების, გადამუშავების, მიწოდების, მოთხოვნის, ვაჭრობისა და მოხმარების შესახებ წარმოადგენს საფუძველს გონივრული ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისათვის.

2013 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ენერგეტიკის სტატისტიკის განვითარებისა და საერთაშორისოდ აღიარებულ სტატისტიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თუმცა, ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემებზე მზარდი მოთხოვნის შესაბამისად, კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს და გაუმჯობესდეს სტატისტიკის შესაძლებლობები, რათა სრულად აღმოიფხვრას სისტემაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები. ეს განსაკუთრებით ეხება ყოველთვიური და მოკლევადიანი ენერგეტიკული სტატისტიკის მიმართულებას.

2016 წლის 14 ოქტომბერს საქართველო გახდა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, რაც ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, შექმნას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ენერგეტიკული სექტორი, განავითაროს კონკურენტული ბაზარი, გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო, აამაღლოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი და ხელი შეუწყოს განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასა და ენერგოეფექტურობას.

მეორეს მხრივ, ენერგეტიკული გაერთიანების წევრობით საქართველო იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნები, ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.

აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ქმედებები უკვე განხორციელდა 2017 წლის განმავლობაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქსტატის მიერ სტატისტიკურ სამუშაოთა 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით უკვე გათვალისწინებულია მიმდინარე წლიდან

ყოველთვიური და ოპერატიული ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოება და გავრცელება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული დარგის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

მომხმარებლებს სჭირდებათ უფრო და უფრო მეტი სტატისტიკური მონაცემები, დეტალურ მეტამონაცემებთან ერთად, რაც ერთის მხრივ აუცილებელია სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის, ხოლო მეორეს მხრივ მომხმარებელში ამყარებს რწმენას, რომ წარმოდგენილი მონაცემები არის სანდო, უტყუარი და მაღალი ხარისხის.

გარდა ზემოთქმულისა მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემების მომხმარებელთა ინფორმირებულობა, თუ როგორ აწარმოებენ სტატისტიკოსები ენერგეტიკის სტატისტიკასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რა სახის მონაცემებია ხელმისაწვდომი, რა ტიპის სირთულეები არსებობს და რა არის ძირითადი გამოწვევები.

ბოლო წლების განმავლობაში მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნის ზრდის კვალდაკვალ, რეგულარულად იზრდება მდგრადი ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა სახეობები, შესაბამისად იზრდება მათი გამოყენება და ფართოვდება მომხმარებელთა არეალიც. მიუხედავად ამისა, ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემაში არსებობს გარკვეული ხარვეზებიც, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ ეტაპზე კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული სისტემაში ჩართული დაწესებულებების კონკრეტული ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებასთან და შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალურმა სტატისტიკამ მომხმარებელთათვის მონაცემების მიწოდებასთან ერთად უზრუნველყოს მონაცემთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა, ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სისტემის შემდგომ განვითარებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ დაახლოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკური პუბლიკაცია - "საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი", თბილისი 2017, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) No 1099/2008: „ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ“.
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ანგარიში. 2015 წლის ანგარიში.
4. განახლებადი ენერჯის ანგარიში, 2015, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)
5. G. Todradze, Sustainable Energy Statistics in Georgia, Tbilisi, 2017
6. First Biennial Update Report on Climate Change, Tbilisi 2016, UNDP, GEF, WEG, Environmental Information and Education Centre.
7. GHGs National Inventory Report of Georgia 2010-2013, Tbilisi 2016, UNDP, GEF, WEG, Environmental Information and Education Centre.
8. <http://geostat.ge/>
9. <http://www.se4all.org/>

Statistical Aspects of Sustainable Energy in Georgia

Gogita Todradze

Academic Doctor of Economics

Abstract

Sustainable energy plays very important role for sustainable development and social-economic well-being. It can be considered also as a significant contributor to climate change.

Without access to modern energy, it is not possible to reducing poverty, improving health and reach of certain level of education. Sustainable energy facilitates social and economic development, offering opportunity for improved lives and economic progress.

Energy efficiency helps citizens to save money, contributes to the development of economy and improves quality of life. Energy efficiency is environment-friendly and leads to further strengthening of energy security of country. It improves productivity, reduces greenhouse gas emissions and costs for all citizens. By reducing energy demand, efficiency also makes renewable energy more affordable. Investing in energy efficiency is very important for job creation, it fosters economic growth and improves energy security.

Development of renewable energy is one of the main priorities of the Georgian energy sector. Increase the share of energy from renewable sources can reduce greenhouse gas emissions and local pollution, improve economy and insulate countries from fuel price volatility, especially when country is an energy import dependent.

All above mentioned clearly highlights the importance of energy statistics data. Statistics on sustainable energy plays crucial role for monitoring and analyzing of tendencies, existing in the energy sector. Moreover, detailed, complete, timely and reliable statistics are very essential to monitor the energy situation at a country level as well as at an international level and is linked to such important issues of global policy, as climate change and energy security. Energy statistics on supply, trade, stocks, transformation and demand are indeed the basis for any sound energy policy decision.

Keywords: Energy, Statistics, Investment.

სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი საქართველოში

ქეთევან მარშავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ, ემერიტუსი

ელ.ფოსტა: kmarshava@yahoo.com

ირაკლი მაკალათია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ბთუ, ასოცირებული პროფესორი

ელ.ფოსტა: iraklimakalatia@yahoo.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სიღარიბის დონის სტატისტიკური მაჩვენებლები დინამიკაში და ამ მაჩვენებლების სოციალური მნიშვნელობა. განვიხილავთ სიღარიბის დონის გამოთვლის მეთოდოლოგიურ ცვლილებებს, ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ სიღარიბისა და საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს 1999-2003 წლებში, ხოლო 2004 წლიდან სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლების განვითარებას დინამიკაში. სტატიაში მოცემულია აბსოლუტური სიღარიბის გამოთვლის ახალი სტანდარტები და მეთოდოლოგია, ნაჩვენებია მისი ცვლილებები და სოციალური მდგომარეობის

ანალიზი საქართველოში. სტატიაში ასევე მიმოვიხილავთ გაეროს მეთოდოლოგიის მიხედვით სიღარიბის ზღვრებს და სიღარიბის დონეს საქართველოში და შედარებულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. სტატიის დასკვნაში განვიხილავთ სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, დასახულია სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის გზები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, აბსოლუტური სიღარიბე, ფარდობითი სიღარიბე, საარსებო მინიმუმი.

სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემებად რჩება. მიუხედავად მსოფლიო გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა, ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პროცენტულად, სიღარიბის ყველაზე მაღალი დონეა საჰარის სამხრეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებში. სიღარიბის მაღალი დონეა ასევე აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში. ევროპის კონტინენტზე სიღარიბის შედარებით მაღალი დონით წარმოდგენილი არიან აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნები. სიღარიბის შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ევროპის, კერძოდ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები. რაც შეეხება სიღარიბის დონის მიხედვით კონტინენტების განაწილებას, სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე აფრიკის, ხოლო ყველაზე დაბალი დონე ევროპის კონტინენტზეა. ამასთან, ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

მოსახლეობის ცხოვრების დონე განსხვავებულია როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნის შიგნითაც, ვინაიდან შემოსავლებისა და ცხოვრების დონის სხვა მაჩვენებლებით საზოგადოების ფენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჯინის კოეფიციენტის მაღალი დონეა ძირითადად დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შემოსავლების დიფერენციაცია უმეტეს შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების დონესთან არის დაკავშირებული, ამასთან მას ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტრადიციები და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება განსაზღვრავს.


სიღარიბე ფარდობითი ცნებაა, შესაბამისად სიღარიბის მაჩვენებლები დამოკიდებულია იმ დეფინიციებსა და მეთოდოლოგიაზე, რასაც იყენებენ კონკრეტული ქვეყნები თუ კვლევითი ორგანიზაციები. აქედან გამომდინარე როდესაც ქვეყნდება სიღარიბის დონის შესახებ მონაცემები, აუცილებელია ამ რიცხვების ეკონომიკურ შინაარსში კარგად გარკვევა და არა გაუაზრებელი პოპულისტური განცხადებების გაკეთება.

განვიხილოთ სიღარიბის დონის მაჩვენებლები საქართველოში, მათი განვითარება დინამიკაში და სიღარიბის დონის გამოთვლის მეთოდოლოგიური ცვლილებები.


აბსოლუტური და შეფარდებითი სიღარიბე

ოფიციალური სტატისტიკით 1997 წლიდან 2003 წლამდე სიღარიბის დონე 44,2%-დან გაიზარდა 54,5%-მდე, რაც ნათლად აჩვენებს იმ პერიოდის საქართველოს ცხოვრების დონეს, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბეში იყო, მაგალითად 2003 წელს მოსახლეობის 54,5% იმყოფებოდა სიღარიბეში, რომელთა შემოსავალი 130,7 ლარზე ნაკლებს შეადგენდა, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის სურათს კიდევ უფრო მძიმედ გვიხატავს.

დიაგრამა 1. სიღარიბის დონე საქართველოში (საარსებო მინიმუმის მიმართ), 1997-2003 წლები⁴³



დიაგრამა 2. საარსებო მინიმუმი საქართველოში, 1997-2003 წლები⁴⁴ (ლარი)



2005 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მიხედვით, 2004 წელს სიღარიბის დონე შემცირდა 2.5%-ით და შეადგინა 52.0%. 2006 წელს გამოცემულ სტატისტიკურ წელიწდეულში კი სიღარიბის დონის შესახებ გაჩნდა ახალი რიცხვები, რომლის მიხედვითაც 2004 წლის პირველივე კვარტალში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 32.8%, ხოლო საშუალოდ 2004 წლისათვის სიღარიბის დონე შეადგენდა 35.7%-ს, რაც 1.5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ეს მაჩვენებელი იყო 2005 წლის სტატისტიკურ წელიწდეულში.

შევადაროთ 2005 წლისა და 2006 წლის სტატისტიკურ წელიწდეულებში გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის აბსოლუტური მნიშვნელობები. 2004 წელს სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი (საარსებო მინიმუმი) ერთ შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცზე გაანგარიშებით 137.1 ლარიდან 84.3 ლარამდე შემცირდა, ხოლო 52 ლარით შემცირებულ საარსებო მინიმუმთან მოსახლეობის ფაქტობრივი შემოსავლების შედარებამ კი გამოიწვია საქართველოში სიღარიბის დონის 1.5-ჯერ შემცირება (ცხრილი 1).

ცხრილი 1. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი (ლარი), 2002-2005 წლებში⁴⁵

მაჩვენებლები \ წლები	2002	2003	2004	2005
საარსებო მინიმუმი (2005 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემებით)	125.4	130.7	<u>137.1</u>	-
საარსებო მინიმუმი (2006 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემებით)	-	-	<u>84.3</u>	92.6

⁴³ იხ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული _ 1999, გვ. 76; 2000, გვ. 81; 2002, გვ. 81; 2004, გვ. 87

⁴⁴ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული _ 1999, გვ. 73; 2000, გვ. 80; 2002, გვ. 80; 2004, გვ. 85; 2007, გვ. 69; 2010, გვ. 51 და http://geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo

⁴⁵ იხ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2005, გვ. 88; 2006, გვ. 69.

2004 წლიდან 2017 წლამდე სიღარიბის დონის მაჩვენებლები გამოითვლებოდა მხოლოდ მედიანური მოხმარების 60%-ისა და მედიანური მოხმარების 40%-ის მიმართ და არც ერთი მაჩვენებელი არ გაიანგარიშებოდა საარსებო მინიმუმის მიმართ. მიუხედავად იმისა რომ 2017 წლიდან დაინერგა ახალი მაჩვენებელი „სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი” მისი გაანგარიშება მაინც არ ხდება საარსებო მინიმუმის მიმართ, შესაბამისად არც 2004 წლიდან 2017 წლამდე და არც 2017 წლის შემდეგ სიღარიბის დონე არ იანგარიშება საარსებო მინიმუმის მიმართ, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საქართველოში რეალურად არ გვაქვს ღარიბი მოსახლეობის რაოდენობისა და სიღარიბის დონის ამსახველი ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 2. ფარდობითი სიღარიბე საქართველოში, 2007-2016

	007	008	009	010	011	012	013	014	015	016
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)	1.3	2.1	1.0	2.7	3.0	2.4	1.4	1.4	0.1	0.6
მედიანური მოხმარება (ლარი)	26.0	49.6	48.0	61.6	81.7	91.6	17.0	33.2	36.7	42.1


სიღარიბის დონის განხილვა მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ გვიჩვენებს, რომ სიღარიბის დონე მცირდება, მაშინ როცა იზრდება სიღარიბის ზღვარი მედიანური მოხმარების სახით. თუმცა ეს მაჩვენებელი არ უნდა გამოვიყენოთ ცხოვრების დონის შესაფასებლად დინამიკაში, რადგან სოციალური ნიშნით ის მოსახლეობის მოხმარების უთანაბრობის გამომხატველია და არა კეთილდღეობის მაჩვენებელი. შემოსავლებისა და ხარჯების ზრდასთან ერთად ცხადია მაღლა იწევს მედიანური მოხმარების ზღვარი, რომელიც მოხმარების დონის მიხედვით მუდმივად 50/50-ზე ჰყოფს მოსახლეობის რიცხოვნობას, შესაბამისად სიღარიბის დონეც მის მიმართ დგება და ის მუდმივად 20%-ის ფარგლებში იქნება $\pm 5\%$ -იანი გადახრით. ასევე ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდება სხვა ქვეყნების მიმართაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რაც უფრო განვითარებული იქნება ქვეყანა შესაბამისად მისი მოსახლეობის მოხმარების მედიანური სიდიდე გაიზრდება და პირიქით, ხოლო შეფარდებითი მაჩვენებელი იმავე საზღვრებში იმოდრავებს, როგორც საქართველოს შემთხვევაში, ამიტომ მედიანური მოხმარების მიმართ სიღარიბის დონის განხილვა, როგორც დინამიკაში ისე სხვა ქვეყნებთან შესადარისობის კუთხით არ არის გამოსადეგი.

მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ სიღარიბის დონის შეფასებისას უნდა ვიმსჯელოთ 2 მიმართულებით, ა) რაც უფრო უახლოვდება ეს მაჩვენებელი მინიმალურ ზღვარს, მით უფრო მცირდება მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებელი და ბ) რაც უფრო იზრდება მედიანური მოხმარების აბსოლუტური მაჩვენებელი, შესაბამისად იზრდება ცხოვრების დონეც ქვეყანაში, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიანური მოხმარების აბსოლუტური მაჩვენებელი უნდა იზრდებოდეს მაღალი ტემპით, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ნორმალური ცხოვრების დონის მისაღწევად.

2017 წლიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ანგარიშობს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილს. როგორც დიაგრამაზე ვხედავთ (დიაგრამა 3) სიღარიბის დონე 2004-2010 წლებში იზრდებოდა, ხოლო 2010 წლიდან გვაქვს

კლების ტენდენცია. თუმცა მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა აბსოლუტურ მაჩვენებელზე გადის სიღარიბის ზღვარი. როგორც საქსტატის პრეს-რელიზში იყო მოცემული „სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლის გამოთვლისას, სიღარიბის ზღვარის გაანგარიშება ეფუძნება შრომისუნარიანი მამაკაცისთვის რეკომენდებული კალორიების მინიმალური რაოდენობის ღირებულებას.“ მინიმალური კალორიების რაოდენობა კი განსაზღვრულია 2300,0 კკალორით რაზეც ეფუძნება საარსებო მინიმუმის გამოთვლა, ამ გათვლებით სიღარიბის ზღვარის აბსოლუტური სიდიდე 2016 წლისთვის იქნებოდა 112,1 ლარი (160,1*0,7 რადგან მინიმალური სასურსათო კალათის წილი საარსებო მინიმუმში შეადგენს 70%-ს). თუმცა მოძიებული მასალებისა და პირადი წერილის საფუძველზე მეთოდოლოგია მდგომარეობს შემდეგში: „გამოთვლაში მონაწილეობს II-IV დეცილებში მყოფი შინამეურნეობების მიერ მოხმარებული ყველა სახის სასურსათო პროდუქტების კალორიების რაოდენობა და შესაბამისი სასურსათო ხარჯები. დეცილები გაიანგარიშება სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით, ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე.“ სიღარიბის აბსოლუტური ზღვარის გამოთვლისას განხილული ეს ორი მეთოდი ერთმანეთს არის აცდენილი და მეთოდოლოგიის გამჭირვალობაზე ეჭვსაც ბადებს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ სურსათზე გაწეული საშუალო ხარჯები შეადგენდა 67 ლარს, ხოლო საარსებო მინიმუმი - 160,1 ლარს, ადვილი მისახვედრია, რომ სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი ამ ფარგლებში იმოდრავებს და ის ფაქტი, რომ მოსახლეობის 21,3% თავისი შემოსავლებით არ აღემატება საარსებო მინიმუმს, საქართველოში სიღარიბის პრობლემის სიმწვავეზე მიუთითებს.

დიაგრამა 3. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი,⁴⁶ 2004-2016 (%)



მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით გამოთვლილი სიღარიბის დონის შედარება საქართველოსა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში⁴⁷

მსოფლიო ბანკი ქვეყნებში სიღარიბის დონის გაზომვისას სარგებლობს 3 აბსოლუტური ზღვარით:

- საერთაშორისო სიღარიბის ზღვარი - 1,9 დოლარი ვალუტის მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით;
- საშუალო შემოსავლების ქვედა კლასი - 3,2 დოლარი ვალუტის მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით;
- საშუალო შემოსავლების ზედა კლასი - 5,5 დოლარი ვალუტის მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით.

მსოფლიო ბანკის მიერ მოცემული ამ აბსოლუტური სიღარიბის ზღვრების მიხედვით ითვლიან სიღარიბის დონეებს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, რომ

⁴⁶ http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo

⁴⁷ <http://www.worldbank.org/>

ეს მეთოდოლოგია თანაბრად ვრცელდება ყველა ქვეყანაზე, სიღარიბის დონის აღნიშნული მაჩვენებელი არის შესადარისი.


ცხრილი 3. სიღარიბის დონე საქართველოში 2016 წელი, მსოფლიო ბანკის ანგარიში, 2017 (ოქტომბერი)⁴⁸

	<i>სიღარიბე</i>	<i>% და აბსოლუტური რაოდენობა</i>
1	სიღარიბის ადგილობრივი მაჩვენებელი (საქართველო)	21.3% (0,8 მილიონი ადამიანი)
2	საერთაშორისო სიღარიბის ზღვარი	8.3% (310,3 ათასი)
3	საშუალო შემოსავლების ქვედა კლასი	25.6% (1,0 მილიონი)
4	საშუალო შემოსავლების ზედა კლასი	54.6% (2.0 მილიონი)

საქართველოში სიღარიბის მინიმალურ ზღვარზე ანუ დღეში 1,9 დოლარზე ნაკლები შემოსავალი მოსახლეობის 8.3%-ს აქვს, ხოლო საშუალო შემოსავლების ზედა კლასის მიხედვით, ანუ დღეში 5,5 დოლარზე ნაკლები მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ აქვს. საინტერესოა სიღარიბის დონის რა შეფასება გვაქვს რეგიონში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში.

მოცემული მაჩვენებლებით ერთ-ერთი უარესი შედეგი აქვს საქართველოს, მიუხედავად იმისა რომ თურქმენეთსა და უზბეკეთის მონაცემები არ გვაქვს, ამ ქვეყნებში სიღარიბის დონე ტრადიციულად მაღალია და რამდენჯერმე აღემატება საქართველოს მაჩვენებელს. პირველ ადგილზე დგას ბელარუსი, სადაც კვლევის შედეგად სიღარიბის დონე არ ფიქსირდება. როგორც დიაგრამიდანაც ჩანს, სიღარიბე არ კარგავს აქტუალობას, ის კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში და განსაკუთრებით თვალშისაცემია პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებისას.

დიაგრამა 4. სიღარიბის დონე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სიღარიბის ზღვარი 1,9 დოლარი



⁴⁸ http://databank.worldbank.org/data/download/poverty/B2A3A7F5-706A-4522-AF99-5B1800FA3357/9FE8B43A-5EAE-4F36-8838-E9F58200CF49/60C691C8-EAD0-47BE-9C8A-B56D672A29F7/Global_POV_SP_CPB_GEO.pdf

სიღარიბის ერთ-ერთი მაჩვენებელია ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ზომავს შემოსავლების უთანაბრობას, მიჩნეულია, რომ რაც უფრო უახლოვდება ჯინის კოეფიციენტი 1-ს მით უფრო იზრდება შემოსავლებს შორის უთანაბრობა.

მსოფლიოს ბანკის მონაცემებით საქართველოში 2016 წელს ჯინის კოეფიციენტი შეადგენდა 0,39-ს.⁴⁹ მოცემული მაჩვენებელი საშუალო დონისაა, რაც არ მიუთითებს იმაზე რომ საქართველოში შემოსავლები ძალზედ უთანაბროდაა გადანაწილებული, შესაბამისად მდგომარეობა არ უნდა ჩაითვალოს კრიტიკულად. ჯინის ინდექსის საზღვრები დაყოფილია 5 ჯგუფად: ა) 0,29-მდე ბ) 0,29 – 0,36 გ) 0,36 – 0,42 დ) 0,42 – 0,47 ე) 0,47-ზე მაღალი. ამ განაწილებაში საქართველოს მაჩვენებელი რანგით მე-3 კატეგორიაშია. რაც შეეხება მის შედარებას მეზობელ ქვეყნებთან, რუსეთში ჯინის ინდექსი შეადგენდა 0,38-ს, ხოლო სომხეთში - 0,32-ს. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი მხოლოდ ფულადი შემოსავლების მიხედვით 0,43-ს შეადგენს, შედარებით მაღალია ვიდრე ჯინის მთლიანი მაჩვენებელი. ასევე უთანაბრობა გვხვდება მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების გადანაწილების განხილვისას, სადაც ჯინის კოეფიციენტი 0,39-ია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები უთანაბროდაა გადანაწილებული, დიფერენციაციის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია, თუმცა მდგომარეობა არ არის საგანგაშო და ის კრიტიკულ ზღვარზე არ დგას.⁵⁰

ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ საზოგადოებაში პრობლემას ის კი წარმოადგენს, თუ როგორ ნაწილდება მსოფლიო სიმდიდრე, არამედ პრობლემა წარმოებაშია, ის რომ ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ვერ ხდება წარმოება და ეკონომიკური ზრდა იმ დონემდე, რომ მოახდინოს ღარიბების გამდიდრება და მდიდრებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსების მიწოდება, რომ მათ კიდევ უფრო განავითარონ მათი ბიზნესი, წარმოება და შექმნან მეტი სამუშაო ადგილები. მართალია ჯინის კოეფიციენტის 1-თან მიახლოება კატასტროფულ შედეგებსა და სიღარიბეს გამოიწვევს, მაგრამ არც 0-თან თანაფარდობაა იდეალური მდგომარეობა. ამიტომაც ჯინის კოეფიციენტის სოციალური და ეკონომიკური ნიშნით შეფასებისას, ორიენტირი უნდა გვქონდეს სიმდიდრის გამრავლება და არა შეზღუდული რესურსების პირობებში მიღებული შემოსავლების თანაბრად გაყოფა-განაწილება.⁵¹

დასკვნა

სტატიაში განვიხილეთ სიღარიბის დონის ცვლილებები წლების განმავლობაში, ხოლო ზოგადი სურათი რაც შეიქმნა, არის ის, რომ საქართველოში სიღარიბე დღემდე აქტუალურ და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებთან შედარებით თანამედროვე პერიოდში სიღარიბის დონის აბსოლუტური მნიშვნელობა შემცირებულია, ეს ცხოვრების დონის ზრდის არგუმენტად არ გამოდგება, ვინაიდან წლებთან ერთად მატულობს ცხოვრების ხარისხიც და მზარდია ადამიანთა მოთხოვნილებები, ის პროდუქტები (მაგ; მობილური ტელეფონი) რაც ძველ პერიოდში ფუფუნების საგნად იყო მიჩნეული, დღეს ყოველდღიური და პირველადი მოხმარების ნივთებია. ამიტომაც პერიოდულად უნდა მოხდეს სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლის გამოთვლის მეთოდოლოგიური ცვლილებები, ისე რომ

⁴⁹ <http://povertydata.worldbank.org/poverty/country/GEO>

⁵¹ დ. შავლობაშვილი. სიღარიბე და სოციალური თანასწორობა, კავკასიის ეკონომიკური და ეკონომიკურ პოლიტიკური კვლევის ცენტრი, თბ., 2005.

ზუსტად, იმ კონკრეტული პერიოდისა და ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურად ასახავდეს სიღარიბის ზღვარს.

საქართველოში სიღარიბის დამლევის მრავალი სამთავრობო დოკუმენტი შექმნილა, რაზეც დიდი თანხებიც იხარჯება, თუმცა შედეგად სიღარიბის საერთო სურათი რეალურად არ იცვლება. ამისთვის აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს არა მოსახლეობიდან მიღებული სიმდიდრის ეფექტიან გადანაწილებაზე, არამდე თავად ამ ქვეყნის მოქალაქეები უნდა ქმნიდნენ სიმდიდრეს. ქვეყანაში ჯერაც არ არის დამკვიდრებული კერძო საკუთრება, არ გვყავს კერძო მესაკუთრეები რომელთა საკუთრებაში არსებულ კაპიტალს ექნებოდა მაღალი ფასი და შესაძლებლობას მისცემდა მის მფლობელს, რომ მის საკუთრებაში არსებული კაპიტალით მოეზიდა ფინანსები, შეექმნა ბიზნესი, დასაქმებულიყო და დაესაქმებინა სხვა ადამიანები. რეალურად კი გვაქვს ის, რომ ძირითადი მესაკუთრე ქვეყნის ბუნებრივი რესურსების არის სახელმწიფო, რომელიც ან ვერ იყენებს ეფექტიანად ან საერთოდ არ აქვს ჩართული ეს რესურსები ეკონომიკაში. ქვეყნის ბაზარზე ძირითადად საქმიანობენ მონოპოლიური გაერთიანებები, შესაბამისად არ გვაქვს კონკურენტული გარემო, რაც უზრუნველყოფდა საქართველოში მაღალი ხარისხის პროდუქტს მომხმარებლებისთვის მისაღებ ფასად.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სიღარიბის დამლევა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისთვის კი აუცილებელია ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება. საქართველოს მთავრობის მხრიდან გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, დასაქმების დონის ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დ. შავლობაშვილი. სიღარიბე და სოციალური თანასწორობა, კავკასიის ეკონომიკური და ეკონომიკურ პოლიტიკური კვლევის ცენტრი, თბ., 2005;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2005, თბ., 2006,
- თბ., 2007, თბ., 2008, თბ., 2009.
- <http://geostat.ge/>
- <http://www.worldbank.org/>

Analysis of poverty statistics in Georgia

Ketevan Marshava

Doctor of Economic Sciences,
TSU, Emeritus

Irakli Makalatia

Ph.D in Economics,
BTU, Associated Professor

Abstract

In the article “Analysis of poverty statistics in Georgia” is considered the poverty level of statistical indicators, reflecting in the dynamics.

There are Shown changes of poverty level and subsistence minimum from 1997 to 2003, relative poverty indicators from 2004 there have done social value. In the article we also consider trend of absolute poverty and its calculation methodology. Based on the data of World Bank we discuss and compare Georgian poverty level indicators to Post Soviet countries.

In the last section ways for overcoming of poverty are provided together with recommendations that government should follow in order to reduce poverty and increase standard of living in the country.

Key words: Georgia, Absolute Poverty, Relative Poverty, Subsistence Minimum.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და მისი შედეგები

ქეთევან მარშავა

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი, თსუ
kmarshava@yahoo.com

შორენა ფარჯიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, ბტუ
shorenaparjiani@gmail.com

ანოტაცია

მთავრობის მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტს წარმოადგენს კერძო სექტორის განვითარება. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სამი წლის ანგარიშის მიხედვით ხელი მოეწერა 323 ახალ პროექტს 786 მილიონ ლარზე მეტი საინვესტიციო ღირებულებით, რომელიც ითვალისწინებდა 13,000 სამუშაო ადგილის შექმნას. გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა მთელი ქვეყნის მასშტაბით 8,412 ფინანსური ბენეფიციარისა და 38 მლნ ლარის მთლიანი საინვესტიციო მოცულობებით. სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით 130-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა

საერთაშორისო სავაჭრო მისიებში, რაც ითვალისწინებდა საქართველოს საექსპორტო პოტენციალის

ზრდას, ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მოცემულ სტატიაში განხილულია სახელმწიფო პროგრამით განხორციელებული საქმიანობის შედეგები, ამასთან ნაჩვენებია, რომ გარკვეული მონაცემების არსებობის მიუხედავად, ფაქტობრივად უცნობია პროგრამის პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, საგარეო ვაჭრობა, დასაქმება.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის არაერთგზის დეკლარირებულ პრიორიტეტს წარმოადგენს კერძო სექტორის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება [1] [2].

2014 წლის ივნისიდან ⁵² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებენ სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ [3]. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების გაფართოება-გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. პროგრამის მიმართულებებია: ფინანსური ხელმისაწვდომობის გამარტივება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფა (სახელმწიფოს მფარველობაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა უსასყიდლოდ-წინასწარ შედგენილი ნუსხიდან-აპლიკანტის მიერ იდენტიფიცირებული ნაკვეთის მიხედვით) და საკონსულტაციო მომსახურება (ტრენინგები (მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის დაგეგმარება, საექსპორტო ბაზრების მოძიება), სამეწარმეო უნარები, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტი და სხვა შესაბამისი სტანდარტების დანერგვა; ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება/დანერგვის ხელშეწყობა).

2018 წლის თებერვლის თვის მონაცემებით პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, კერძოდ, ინდუსტრიული, სოფლის მეურნეობის, სასტუმროს და ქონების გადაცემის კომპონენტების⁵³ ფარგლებში მხარდაჭერილია 337 პროექტი, ინვესტიციის ჯამური მოცულობა 820 მლნ. ლარს აღემატება, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა 13 500-ზე მეტია [7]. მათ შორის, 2017 წლის ჯამური ანგარიშის მიხედვით სახელმწიფო პროგრამის შედეგები 2014-2017 წლებში, შემდეგნაირია: სულ მხარდაჭერილია 323 პროექტი, ინვესტიციის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 786 მლნ ლარი, გაცემული სესხების მოცულობამ - 406 მლნ ლარი, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობამ - 13 000 [6].

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი მიმართულებაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრამა გამიზნულია, როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის [4] [5] [6].

სახელწიფოს მხარდაჭერა კომერციულ ბანკებთან მიმართებაში ითვალისწინებს შემდეგს:

- ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება არაუმეტეს
- 10%-ით ლარში გაცემულ სესხებზე პირველი 24 თვის განმავლობაში;
- უზრუნველყოფის თანადაფინანსება სესხის 50%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან 48 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 2 500 000 ლარისა);

⁵² 2014-2016 წლებში მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები - სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებდნენ. 2017 წლიდან ეს პროგრამა ერთი ქოლგის, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბრენდის ქვეშ მოექცა;

⁵³ იგულისხმება საშუალო და მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერი პროექტები;

- სესხის მინიმალური ოდენობა არის 150 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ოდენობა - 5 000 000 ლარი.

სალიზინგო კომპანიების საკრედიტო პირობები შემდეგნაირია:

- წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება 12%-მდე პირველი 24 თვის განმავლობაში;
- პროექტის საწყისი ღირებულება უნდა იყოს მინიმუმ 100 000 ლარის, ხოლო მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 ლარს.

პროგრამაში ჩართვის პირობები გულისხმობს:

- საბოლოო პროდუქტი უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის მიერ მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთა ნუსხაში;
- სესხის მოცულობის არანაკლებ 80% უნდა მოხმარდეს ძირითადი საშუალებების შექმნას;
- ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოების დაწყება კრედიტის/ლიზინგის საგნის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში;
- არსებული საწარმოს შემთხვევაში წარმოების დაწყება უნდა მოხდეს კრედიტის/ლიზინგის საგნის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში;
- სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 150 000 ლარს, ხოლო მაქსიმალური 5 000 000 ლარს.

„აწარმოე საქართველოში“ - ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში დადებული შედეგები ასე გამოიყურება: 2014-2017 წლებში სულ მხარდაჭერილი იყო 210 პროექტი (მარტო, 2017 წელს - 64 პროექტი), მათ შორის ახალი ბიზნესი - სტარტაპი იყო 83 (2017 წელს - 25), ხოლო უკვე არსებული ბიზნესის მხარდაჭერა მოხდა 127 შემთხვევაში (2017 წელს - 39). სახელმწიფო სესხის მოცულობამ აღნიშნული მიმართულებით შეადგინა 306 394 016 ლარი (2017წ. - 88 209 924), ხოლო სახელმწიფოს ხელშეწყობით კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენდა 491 600 514 ლარს (2017წ.-178 149 924). დასაქმების თვალსაზრისით მითითებულია 9 000 ახალი სამუშაო ადგილი (2017წ.-2 100) [6].

შეიძლება ითქვას, რომ 1 სამუშაო ადგილის სტიმულირება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს უჯდება 34 043.8 ლარი.

პროგრამის მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალია თბილისში (60,5%) შემდეგ ქვემო ქართლში (9,5%), მცხეთა-მთიანეთში (7,6%), იმერეთში (6,7%), აჭარაში (6,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (4,8%). სექტორულ ჭრილში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წარმოდგენილია საკვები და სასმელი პროდუქტები (29%), სამშენებლო მასალები (27%) და ქაღალდი და შესაფუთი მასალა (13%) [6].

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ერთ-ერთი მიმართულებაა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა, რომელიც 2016 წლიდან დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. ახალი კომპონენტის ფარგლებში პროგრამა გულისხმობს მეწარმეებს შესაძლებლობას მისცეს რეგიონებში⁵⁴ განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას. პროგრამა მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს და საკონსულტაციო მომსახურებას. ამასთანავე, შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ. „ფრანჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით [4] [5] [6].

⁵⁴ პროგრამა ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, თბილისისა და ბათუმის გარდა.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხრიდან დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად:

- სესხის თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე;
- სესხის თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით;
- საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ხარჯების ანაზღაურება.

სესხის თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე გულისხმობს:

- სახელმწიფოს მხრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსება ლარში გაცემულ სესხზე პირველი 2 წლის განმავლობაში;
- სესხის მინიმალური მოცულობა – 200 000 ლარი;
- სესხის მაქსიმალური მოცულობა – 2 000 000 ლარი;
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პირველი 4 წლის განმავლობაში, სესხის მოცულობის 50%-ით, არაუმეტეს 1 000 000;
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება. 2017 წლის ჯამური ანგარიშის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსებულია 37 პროექტი (მათ შორის, 2017 წელს – 22 პროექტი), სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხის მოცულობა არის 44 825 720 ლარი, კერძო სექტორის მხრიდან განხორციელებული ინვესტიციების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 108 028 050 ლარი. 37 პროექტიდან 30 იყო ახალი ბიზნესი, ხოლო 7 პროექტი დაკავშირებული იყო ძველ ბიზნესთან. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში დამატებული ოთახების რაოდენობამ სულ შეადგინა 1100, დასაქმების მაჩვენებელმა – 1200 [6] [7].

სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის კომპონენტში რეგიონების მიხედვით ლიდერობენ კახეთი (9 პროექტი, 282 ახალი ოთახი), სამცხე-ჯავახეთი (8 პროექტი, 235 ახალი ოთახი), მცხეთა-მთიანეთი (6 პროექტი, 292 ახალი ოთახი), სამეგრელო-ზემოსვანეთი (5 პროექტი, 124 ახალი ოთახი) [6] [7].

არსებული მონაცემებით თუ ვიანგარიშებით, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროგრამის ფარგლებში 1 სამუშაო ადგილის შექმნა სახელმწიფოს უჯდება მინიმუმ 37 354.8 ლარი, ხოლო 1 დამატებული ოთახი – 40 750.7 ლარი.

2016 წლიდან „აწარმოე საქართველოში“ პროგრამას დაემატა ახალი მიმართულება – კინონდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტი „გადაიღე საქართველოში“, რომელიც ქვეყანაში გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-იდან 25%-მდე ანაზღაურებას გულისხმობს (ქვეყანაში გადაღებებზე გაწეული ხარჯების 20%-იან ანაზღაურებაზე დამატებითი თანადაფინანსება 5%-მდე ხდება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი შეიცავს საქართველოს პოპულარიზაციის ელემენტებს და გაივლის ე.წ. „კულტურულ ტესტს“) [5] [6] [7].

კინონდუსტრიის წახალისების კომპონენტს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით.

კონკრეტული პროდუქტის გადაღების პროცედურების დაჩქარებისა და კინომწარმოებლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს მთავრობა დამატებით ტექნიკურ დახმარებას უწევს კინომწარმოებლებს შემდეგი მიმართულებებით:

- ლოკაციის შერჩევა;
- სამთავრობო უწყებებისაგან ნებართვების მიღება;
- სხვადასხვა უწყებასთან კომუნიკაცია და კოორდინაცია.

პროგრამაში მონაწილეობის ძირითადი მოთხოვნები შემდეგნაირია:

- აუცილებელია პროგრამის ბენეფიციარი იყოს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;
- ანაზღაურების მექანიზმის ასამოქმედებლად პროექტები უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით: მხატვრული ფილმი, სატელევიზიო ფილმი, ტელესერიალი ან მისი მინი-სერიალი (მათ შორის პილოტური), ანიმაცია, დოკუმენტური ფილმი, სარეკლამო ვიდეო პროდუქცია, რეალითი შოუ, მუსიკალური კლიპი;
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველს მოპოვებული უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად პროექტის ღირებულების არანაკლებ 50%;
- ხარჯები პირდაპირპროპორციულად უნდა უკავშირდებოდეს ფილმის გადაღების პროცესს;
- 1 000 000 ლარამდე ასანაზღაურებელი თანხა იქნება ავტომატურად დამტკიცებული. იმ პროექტებისთვის კი, რომელთა ღირებულებაც აღემატება აღნიშნულ თანხას, აუცილებელია საქართველოს მთავრობის მხრიდან დასტურის მიღება;
- საქართველოში ფილმის წარმოების დასრულება აუცილებელია პროგრამაში ჩართვიდან 24 თვის განმავლობაში.

პროგრამის ჯამური შედეგები 2017 წლის ანგარიშის მიხედვით ასე გამოიყურება: სულ მხარდაჭერილია 10 პროექტი, მთლიანი საინვესტიციო ღირებულება შეადგენდა 17,8 მლნ. ლარს და დასაქმების მაჩვენებელმა მოიცვა 1 852 ადამიანი [6].

შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება დიზაინერების ხელშეწყობის კუთხითაც. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით მარტო 2016 წელს საქართველოს 20-ზე მეტი საერთაშორისო მყიდველი ეწვია და გაეცნო ადგილობრივი დიზაინერების ნამუშევრებს [7].

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის შექმნიდან არსებობს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულება. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. პროგრამა გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ისე არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მექანიზმი გულისხმობს: ერთი მეწარმე სუბიექტის თანადაფინანსებას მაქსიმუმ 5 000 ლარით, ორი მეწარმე სუბიექტის - 10 000 ლარით, სამი მეწარმე სუბიექტის - 15 000 ლარით.

პროგრამა უზრუნველყოფს ყველა ბენეფიციარს თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური მხარდაჭერით. საკონსულტაციო მხარდაჭერის მექანიზმი გულისხმობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, ტრენინგებს ბიზნესგეგმების შედგენაში და ბიზნესის ადმინისტრირებაში.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20% თანხობრივ თანამონაწილეობას; აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა

საყურადღებოა, რომ დღეისათვის ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნესების 98%-ს მცირე საწარმოები შეადგენენ, რომლებიც არსებული სამუშაო ძალის 47%-ს ასაქმებენ, მაგრამ მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, აღნიშნული ბიზნესების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 20%-ს არ აღემატება, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. არსებული ვითარების გამომწვევ მიზეზად ბიზნესის მხრიდან მუდმივად სახელდება ფინანსებზე შეზღუდული წვდომა და ინფორმაციის თუ ცოდნის ნაკლებობა [12].

სახელმწიფო პროგრამის შედეგების მიხედვით 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობამ შეადგინა 5 313 პროექტი (მათ შორის 2017 წელს - 2 109 პროექტი), აქედან სტარტაპი იყო 51%-ის შემთხვევაში, ხოლო პროექტების 49% გულისხმობდა არსებული ბიზნესების გაფართოება-გადაიარაღებას. საერთო რაოდენობის 62%-ის შემთხვევაში მხარდაჭერილ იქნა ინდივიდუალური საკუთრების პროექტი, ხოლო 38%-ის შემთხვევაში - ამხანაგობა [6].

პროგრამის ფარგლებში გაცემული სახელმწიფო გრანტის მოცულობამ გადააჭარბა 38 მლნ ლარს (2017 წელს -15,7 მლნ ლ.). პროგრამას ჰყავს 8 412 ბენეფიციარი, მათ შორის 40% ქალია.

5313 პროექტიდან 40,4% (2 148) ეკუთვნის არასასოფლო-სამეურნეო მომსახურების წარმოებას, 23,4% - არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, 13,1% - სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წარმოებას და 23,1% - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას [6].

გრანტების საშუალო მოცულობა 1 ბენეფიციარზე შეადგენს 4 595 ლარს, ხოლო გრანტების საშუალო მოცულობა 1 პროექტზე - 7 276 ლარს. პროექტების საშუალო საინვესტიციო მოცულობა ანგარიშის მიხედვით არის 9 311 ლარი. შესაბამისად, მიკრო და მცირე ბიზნეს სექტორში სახელმწიფო გრანტების შედეგად 1 სამუშაო ადგილის შექმნაზე დაახლოებით 2,7 ათასი ლარი იხარჯება (დატრენინგებული ბენეფიციარების მიხედვით), ხოლო კერძო ინვესტიციასთან ერთად მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორში საშუალოდ 3,4 ათას ლარად საქმდება ადამიანი.

აწარმოე საქართველოში - მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის შედეგები [6]

ინდიკატორები	2014-2017 წწ.		2017 წ.	
	სულ	(%)	სულ	(%)
პროექტები	5 313		2 109	
გრანტების მოცულობა	38 656 512		15 707 037	
ბენეფიციარების რაოდენობა	8 412		3 498	
ქალი ბენეფიციარები	3 347	40%	1 411	40%
მამაკაცი ბენეფიციარები	5 065	60%	2 087	60%
გადამზადებული ბენეფიციარები	14 574		5 694	
არასასოფლო-სამეურნეო მომსახურება	2 148	40%	912	43%
არასასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	1 242	23%	493	23%
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	694	13%	252	12%
სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	1 229	23%	452	21%
არსებული გაფართოება-ხელშეწყობა	2 583	49%	1 038	49%
სტარტ-აპი	2 730	51%	1 071	51%
გრანტების საშუალო მოცულობა 1 ბენეფიციარზე	4 595		4 490	
გრანტების საშუალო მოცულობა 1 პროექტზე	7 276		7 448	
პროექტების საშუალო საინვესტიციო მოცულობა	9 311		9 613	
პროექტების მთლიანი საინვესტიციო მოცულობა	49 471 485		20 273 096	
ამხანაგობა	1 999	38%	839	40%
ინდივიდუალური საკუთრება	3 314	62%	1 270	60%

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა 2014-2017 წლებში იყო 14, მათ შორის, 11 იყო სტარტაპი, ხოლო 3 - არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღება.

გაცემული სესხის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 55 112 797 ლარი, ხოლო სახელმწიფოს მხარდაჭერით კერძო სექტორის მიერ განხორციელებულმა ჯამურმა ინვესტიციამ - 107 868 714 ლარი. დასაქმების მაჩვენებლად მითითებულია 800 კაცი [6] [10].

პროგრამის გეოგრაფიას თუ გადავხედავთ, 14 მხარდაჭერილი პროგრამიდან 4 ხორციელდება თბილისში (მათ შორის 2 პროექტი დამტკიცდა 2017 წელს), სამ-სამი - სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში, ხოლო კახეთში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში - თითო-თითო პროექტი [6].

სექტორულ ჭრილში ლიდერობენ სასათბურე (36%), რძის გადამამუშავებელი (14%) და სამაცივრე (13%) მეურნეობები [6].

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბრენდის ქვეში სულ მხარდაჭერილია 91 პროექტი, 28 453 769 ლარის საბაზრო ღირებულების ქონების გადაცემით და 132 826 368 ლარის საინვესტიციო მოცულობით. დასაქმების თვალსაზრისით აღნიშნული პროექტები ქმნის 5 400 ახალ სამუშაო ადგილს [6] [11].

რეგიონების მიხედვით 91 პროექტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: 21 პროექტი თბილისში ხორციელდება, 18 - ქვემო ქართლში, 10 - სამეგრელო-ზემო სვანეთში. 9-9 მხარდაჭერილი პროექტი გეოგრაფიულად ეკუთვნის იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთს, 7-7 - შიდა ქართლსა და აჭარას, 5 - გურიას, 3 - სამცხე-ჯავახეთს, თითო-თითო - კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთს [6].

საქმიანობის სახეობებიდან 39%-ით ლიდერობს სამშენებლო მასალები, რასაც მოჰყვება სოფლის მეურნეობა 21%-ით და ტანსაცმელი და საფეიქრო ნაწარმი 15 %-ით [6].

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საექსპორტო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. სახელმწიფოს მხარდაჭერით საერთაშორისო გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილეობის გზით კომპანიებს საშუალება ეძლევათ სამიზნე ბაზრებზე წარადგინონ საკუთარი პროდუქცია, დაამყარონ ახალი კონტაქტები, გაამყარონ არსებული თანამშრომლობა და შეისწავლონ ახალი საბაზრო ტენდენციები [6].

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ამოცანებია:

- საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაცია;
- საექსპორტო ბაზრების, პროდუქტების და სერვისების დივერსიფიცირება;
- ექსპორტის წილის ზრდა ექსპორტის წახალისების კუთხით

სააგენტო მეწარმეებს სთავაზობს შემდეგ მექანიზმებს:

- საერთაშორისო გამოფენებზე ქართული კომპანიების მონაწილეობა;
- სავაჭრო მისიების ორგანიზება;
- განათლებაზე ხელმისაწვდომობა (ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი);
- საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის მიწოდება (კონსულტაციები);
- კატალოგის გამოცემა და სავაჭრო ვებ-პორტალზე www.tradewithgeorgia.com

რეგისტრაცია.

პროგრამის შედეგებს თუ გადავხედავთ, 2015 წელს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით 113-მა მონაწილემ 9 ქვეყნის 7 საერთაშორისო გამოფენაში და 8 საერთაშორისო ფორუმსა და სავაჭრო მისიაში მიიღო მონაწილეობა [4].

2016 წელს, მეწარმეობის განვითარების სააგენტო 150 კომპანიას დაეხმარა. პროგრამის ფაეგლებში 75 მლნ ლარის ღირებულების პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, მათ შორის ევროკავშირის ზონაში განხორციელებული ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 40 მლნ ლარი. პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციართა მიერ განხორციელებული ექსპორტი იყო


20 მლნ ლარის ღირებულების. სააგენტოს დახმარებით ქართულ კომპანიებს სხვადასხვა შესაძლებლობა მიეცათ, მათ შორის ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების თუ სხვა ტიპის კონსულტაციების გაწევის კუთხით [5].

2017 წელს ექსპორტის სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები მონაწილეობას იღებდნენ და წარდგენილი იყვნენ შვიდი ქვეყნის ათ ღონისძიებაში. პროგრამის მიერ მხარდაჭერილი იყო 135 საექსპორტო კომპანია. საექსპორტო კონტრაქტების მთლიანი ღირებულება კი შეადგენდა 7 855 600 აშშ დოლარს [6].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს თუ გადავხედავთ, საგარეო ვაჭრობის ნაწილში 2014 წლიდან უარყოფითი სალდო არ შემცირებულა, პირიქით - გაიზარდა. 2015 და 2016 წლებში 2014 წლის მონაცემთან შედარებით შემცირებულია, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მონაცემები, რის მთავარ მიზეზადაც სახელდება ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება აშშ დოლართან მიმართებით. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მონაცემები მომატებულია.

როდესაც ვსაუბრობთ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შედეგებზე, მნიშვნელოვანია როგორც მთლიანად საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს დინამიკა, ასევე ექსპორტის მაჩვენებლები რეექსპორტის გამოკლებით. გრაფიკს თუ დავაკვირდებით, 2015 წელს 2014 წლის მაჩვენებელთან მიმართებით ექსპორტის კლება გამოხატული, 2016 წელს ფიქსირდება უმნიშვნელო მატება წინა წელთან შედარებით, ხოლო 2017 წლის წინასწარი მონაცემებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო 8 წლის დინამიკაში (\$2063 მლნ).


საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი) [12]



მაკროინდიკატორებიდან ასევე საინტერესოა სამუშაო ძალის მაჩვენებლები. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2014 წელს შეადგენდა 1 991,1 ათას კაცს, 2015 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 30,4 ათასი კაცით, 2016 წელს კვლავ შემცირდა 23,2 ათასი კაცით. უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელს შეადგენდა 246 ათას კაცს, 2015 წელს მაჩვენებელი შემცირდა 4,4 ათასი კაცით, ხოლო 2016 წელს - 6,5 ათასი კაცით. შესაბამისად, უმუშევრობის დონე 2014 წელს თუ იყო 12,4%, 2015 წელს შემცირდა 12%-მდე, ხოლო 2016 წელს - 11,8%-მდე, თუმცა აღნიშნული დონის ცვლილების მაჩვენებელი უფრო მეტად განპირობებული იყო სამუშაო ძალის რაოდენობის ცვლილებით და არა უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელს იყო 1745,2 ათასი, 2015 წელს მაჩვენებელი გაიზარდა 34,7 ათასით (მათ შორის სამუშაო ძალის ზრდა - 30,4 ათასი; უმუშევარი მოსახლეობის შემცირება 4,4 ათასი), ხოლო 2016 წელს შემცირდა 16,6 ათასით (მათ შორის სამუშაო ძალის შემცირება 23,2 ათასი; უმუშევარი მოსახლეობის შემცირება 6,5 ათასი).

სამუშაო ძალა, დასაქმება და უმუშევრობა (ათასი კაცი) [12]



სამწუხაროდ, შეიძლება ითქვას, რომ განხილული მონაცემები არ ასახავს იმ შედეგებს, რასაც უნდა ველოდოთ სახელმწიფო პროექტის „აწარმოე საქართველოში“ გაცხადებული და დეკლარირებული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრამა 2014 წლიდან ამოქმედდა და 3 წელი არასაკმარისი დროა შედეგების სეულყოფილი ანალიზისთვის, თუმცა, არსებული დრო საკმარისია პროგრამის მონიტორინგისთვის, არსებული ხარვეზების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რაც მწირია.

დასკვნა

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ გარკვეული მონაცემების არსებობის მიუხედავად, დღეისათვის ფაქტობრივად უცნობია როგორც პროგრამის პირდაპირი შედეგები, ასევე მისი არაპირდაპირი ზეგავლენა ეკონომიკაზე.

სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობა შეუძლებელს ხდის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ობიექტური შეფასებას. მაგალითად, უცნობია ამ პროგრამის ფარგლებში დახარჯული თანხები იყო თუ არა წარმატებული. საერთაშორისო გამოცდილებას თუ გადავხედავთ, განვითარებულ ქვეყნებში ყოველი 10 სტარტაპიდან 8-9 პირველივე წელს კოტრდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ პრაქტიკაში ბიზნესის განვითარება უფრო რთულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, მაღალია ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბიზნეს სექტორის ნაწილი ვერ აგრძელებს საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ყოველწლიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება მასში ჩართული მეწარმეებიდან გამომდინარე, არ აღირიცხება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი მხარდაჭერილი კომპანია გაკოტრდა, ხოლო რამდენი აგრძელებს მუშაობას; რომელ სფეროში რა თანხის ინვესტირებაა საშუალოდ საჭირო 1 სამუშაო ადგილის შესაქმნელად და სად უფრო სტაბილურია დასაქმება. უცნობია, რომელი მიმართულებით უფრო ხარჯეფექტურია სახელმწიფო ფინანსების მიმართვა, რომელი სფერო ჯობია რომ გააქტიურდეს: ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, სასტუმროების, თუ სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწორი მენეჯმენტისა და ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია სრულყოფილი და გამჭვირვალე სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი;
2. სამთავრობო პროგრამა 2016-2020: „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, ნოემბერი, 2016, თბილისი;
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მინისტრის ბრძანება N1-1/217, 29/05/2017
4. მეწარმეობის განვითარების სააგენტო, წლიური ანგარიში 2015წ.;
5. მეწარმეობის განვითარების სააგენტო, წლიური ანგარიში 2016 წ.;
6. Enterprise Georgia, Annual Report 2017;
7. www.enterprisegeorgia.gov.ge
8. www.filminggeorgia.ge
9. www.tradewithgeorgia.com
10. www.apma.ge
11. www.nasp.gov.ge
12. www.geostat.ge

GOVERNMENT PROGRAM “PRODUCE IN GEORGIA” AND ITS RESULTS

Ketevan Marshava

Doctor of Economic Science

Emeritus, TSU

kmarshava@yahoo.com

Shorena Pharjiani

Ph.D in Economics

Associated Professor, BTU

shorenapharjiani@gmail.com

Abstract

The Government of Georgia has prioritized the development of the private sector. Following more than three years after the government of Georgia introduced the “Produce in Georgia” program. Since its implementation, “Produce in Georgia” has signed 323 new projects, generating total employment of 13,000 with an investment value of more than GEL 786M. Additionally, Enterprise Georgia has successfully implemented micro and small business support programs across the country. With 8,412 financial beneficiaries and total investment volumes reaching GEL 38M, this program is generating undeniable impact. When it comes to export promotion, and with support from Enterprise Georgia, more than 130 companies have participated in international trade missions. By exhibiting their products, they have promoted the export potential of Georgia, enhanced their competitiveness, and increased export volumes.

In this article is shown that, despite the existence of certain data on the activities carried out within the state program, it is actually unknown the direct results of the program as well as its indirect impact on the economy.

Keywords – State program “Produce in Georgia”; External trade; Employment.

ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური ზრდა

ქეთევან მარშავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი, თსუ
ელ. ფოსტა: kmarshava@yahoo.com

გიგა კიკორია
თსუ დოქტორანტი

ანოტაცია

ტურიზმი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ინდუსტრიას ბოლო ათწლეულების განმავლობაში. საერთაშორისო ტურიზმის მიერ წარმოქმნილი შემოსავლები ეკონომიკური ზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საციცოცხლო ფაქტორი გახდა ბევრ განვითარებად ქვეყანაში. მაგალითად, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (2010) მიხედვით, ტურისტული დანიშნულების ადგილებისა და ინვესტიციების ზრდის კვალდაკვალ, თანამედროვე ტურიზმს სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესში წამყვანი როლი უჭირავს. ეს ყოველივე გამოიხატება ახალი სამუშაო ადგილებისა და საწარმოების შექმნაში, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებში.⁵⁵

თემის აქტუალობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.⁵⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს და აღწეროს ტურიზმის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და შეიმუშაოს რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტურისტი, ვიზიტორი, ეკონომიკური ზრდა, შემოსავლები.

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს. დღესდღეობით ტურიზმი საერთაშორისო მასშტაბით მოიცავს ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის ფართო სპექტრს და ყველა სოციალურ კლასს. იგი პირდაპირ კავშირშია თანამედროვე საზოგადოების განვითარებასთან და მიზნად ისახავს ადამიანური მოთხოვნილებები დაუკავშიროს შესაბამისი კულტურის განვითარებას, რათა შეიქმნას ადამიანებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და მომავალში მივიღოთ უკეთესი საზოგადოება.

ყოველწლიურად ტურისტების უზარმაზარი რაოდენობა კვეთს სახელმწიფო საზღვრებს და ამ საქმიანობას გლობალურ ხასიათს აძლევენ. ეკონომიკური ეფექტის გარდა, ტურიზმი მნიშვნელოვან სოციალურ გავლენას ახდენს ევროპელი საზოგადოების ცხოვრების დონეზე. მისი, როგორც სოციალური მოვლენის წარმატება გამოიხატება იმაში, რომ მის საფუძველში დევს ადამიანის უცვლელი მოთხოვნილებების – გარე სამყაროს შეცნობის – დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ტურიზმი უზრუნველყოფს ევროკავშირის ქვეყნებს შორის კულტურული დიალოგის განვითარებას. ევროკავშირის ტურიზმის განვითარებას განაპირობებს ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკურ-

⁵⁵ The International Journal of Business and Finance Research Volume 6 Number 1 2012


⁵⁶ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015

გეოგრაფიული ფაქტორები. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები გულისხმობს: საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტენდენციას, აუცილებელი სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, მჭიდრო კავშირს ევროკავშირის ქვეყნებს შორის და ასევე მჭიდრო კავშირს მსოფლიოს სხვა ტურისტულ რეგიონებთან.

ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში: ბოლო წლების განმავლობაში, არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2015 წელს მაქსიმუმს - 5.9 მილიონს მიაღწია. 2010-2015 წლებში, ვიზიტორთა საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 25% შეადგინა. ასევე გაიზარდა 24 საათზე მეტი დროით დარჩენილი არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობა 17%-ით. 2016 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში 2.6 მილიონი უცხოელი ვიზიტორი ჩამოვიდა, 13%-ით უფრო მეტი, ვიდრე 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში. 24 საათზე მეტი დროით შემოსული ვიზიტორების რიცხვი ასევე გაიზარდა 18%-ით. 2015 წელს, 24 საათზე მეტი დროით ჩამოსული სტუმრების რაოდენობა 2%-ით გაიზარდა, 2014 წელთან შედარებით. ერთი დღით ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობამაც 2%-ით მოიმატა, ხოლო ტრანზიტით ჩამოსულთა რაოდენობა 26%-ით.

ქვემოთ მოცემულია წლების მიხედვით საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლების ამსახველი გრაფიკი, რომელსაც მზარდი ტენდენცია გააჩნია და ბოლო 10 წლის განმავლობაში 11-ჯერ არის გაზრდილი. უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან ერთად ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.


გრაფიკი 1.1 საერთაშორისო შემოსვლები (ვიზიტი) სულ



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

გრაფიკი 1.2 ასახავს 2005 წლიდან 2016 წლამდე არსებულ შემოსავლებს ათას დოლარებში. საერთაშორისო შემოსავლები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ამ უკანასკნელის მიხედვით მოვახდენთ ეკონომეტრიკული მოდელის აგებას, რომელიც დამოკიდებულ ცვლადად განიხილავს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, ხოლო დამოუკიდებელ, ანუ ფაქტორულ ცვლადებად საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლებს და ტურიზმის სფეროში შექმნილ დამატებით ღირებულებას.


გრაფიკი 1.2 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან.



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ტურიზმის გავლენის ასახვა ეკონომიკურ ზრდაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ვიზიტორებზე, ანუ საერთაშორისო შემოსვლებზე და ტურიზმში არსებული საქონლითა და მომსახურებით შექმნილ დამატებით ღირებულებაზე. სწორედ ამიტომ, ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით გავარკვევთ, თუ რა გავლენას ახდენენ ეს ცვლადები ერთმანეთზე. დამოკიდებულ ცვლადად განვიხილავთ საერთაშორისო შემოსავლებს, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ვიზიტორთა შემოსვლებსა და ტურიზმის სფეროში შექმნილ დამატებით ღირებულებაზე.

გრაფიკი 1.3 ტურიზმის სფეროში დამატებული ღირებულება, სულ



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

მნიშვნელოვანია ასევე იმის ანალიზი, თუ რა სახის საქონელსა და მომსახურებას მოიხმარენ ტურისტები და როგორ აისახება ეს ქვეყნის ვალუტაზე. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული საქსტატის ოფიციალური მონაცემები გარე ტურიზმის შესახებ, რომელიც დაწვრილებით და ამომწურავ ინფორმაციას იძლევა მოხმარებული საქონელსა და მომსახურებაზე. თუმცა გარკვეული დასკვნის გასაკეთებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლის მიხედვით ძირითად ღირებულებას ქმნის ტრანსპორტი და ტურისტული კომპანიები. საქართველოში არსებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი იმპორტირებულია და შესაბამისად, მისი მოხმარება დიდ გავლენას ვერ ახდენს ვალუტის კურსის გამყარებაზე. ტურისტული კომპანიები ძირითადად უზრუნველყოფენ ტურისტთა გადაადგილებასა და მათი საცხოვრისით უზრუნველყოფას. ეს ყოველივე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდეს ეკონომიკაში.

შემოსავლების ზრდის ეკონომეტრიკული მოდელის ანალიზი.

ჩვენი მოდელის წყვილური რეგრესიის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

$$Y_i = \beta_0 + \beta_1 X_1 + \beta_2 X_2 + u_i,$$

სადაც Y_i აღნიშნავს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, X_1 არის საერთაშორისო შემოსვლები სულ, ხოლო X_2 კი დამატებითი ღირებულება ტურიზმის სფეროში. ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა დამოკიდებულია ქვეყანაში საერთაშორისო შემოსვლების რაოდენობასა და დამატებით ღირებულებაზე. წყვილური რეგრესიის ასაგებად გამოყენებულია პროგრამა ექსელი.

თავდაპირველად **კორელაციურ ანალიზს** განვიხილავთ და შესაბამისად კორელაციის კოეფიციენტს, რომელიც ზომავს წრფივ დამოკიდებულებას ცვლადებს შორის და მოთავსებულია -1 დან 1 შუალედში. ჩვენ ვიყენებთ მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტს, რომელიც არის კვადრატული ფესვი დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2 -დან. ცხრილში მოცემულია პროგრამა ექსელში გამოთვლილი საბოლოო ფანჯარა.

ცხრილი 1.1 რეგრესიული ანალიზი.

რეგრესიის სტატისტიკა	
მრავლობითი R (კორელაციის კოეფიციენტი)	0.999430268
R^2 (დეტერმინაციის კოეფიციენტი)	0.998860861
კორექტირებული R^2	0.998576076
სტანდარტული შეცდომა	26552.37
დაკვირვებათა რაოდენობა	11

წყარო: ავტორების გამოთვლები ექსელში

როგორც ცხრილი 1.1-დან ჩანს, მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს კვადრატულ ფესვს დეტერმინაციის კოეფიციენტიდან ტოლია 0,999-ის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი ცვლადი (შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან, საერთაშორისო შემოსვლები და დამატებითი ღირებულება) ერთმანეთთან დადებით კორელაციაში იმყოფება. დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=0.998$, რაც ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 99% ვარიაციისა, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში აიხსნება საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლებითა და ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულებით.

ცხრილი 1.2 პირსონის კორელაციის კოეფიციენტი.

	შემოსავალი	საერთაშორისო ვიზიტორები	დამატებული ღირებულება
შემოსავალი	1		
საერთაშორისო ვიზიტორები	0.998368353	1	
დამატებული ღირებულება	0.9539351	0.939718307	1

წყარო: ავტორების გამოთვლები ექსელში

კორელაციის კოეფიციენტი საერთაშორისო ვიზიტორებსა და საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს შორის არის 0,998 რაც ძალიან მაღალია და ასახავს დადებით და იდეალურ წრფივ კავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობის განსაზღვრისას. ასევე მაღალია კორელაციის კოეფიციენტი ტურიზმის სფეროში შექმნილ დამატებით ღირებულებასა და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალს შორის. იგი ტოლია 0,95-ის და შესაბამისად ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვან წრფივ გავლენას ახდენს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობაზე.

რეგრესიული ანალიზი. რეგრესიის ჩვენ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$Y = -169359,8 + 0,282 * (\text{საერთაშორისო ვიზიტორები}) + 0,254 * (\text{დამატებითი ღირებულება})$, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გავზრდით საერთაშორისო შემოსვლების, ანუ ვიზიტორების რაოდენობას პირობითად 1000 ერთეულით, მაშინ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საშუალოდ 282 აშშ დოლარით გაიზრდება, ხოლო თუ ტურიზმის სფეროში შექმნილ დამატებით ღირებულებას გავზრდით 1000 ერთეულით, მაშინ ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლები საშუალოდ 254 აშშ დოლარით გაიზრდება.

ცხრილი 1.3 t სტატისტიკა და P შეფასება

	კოეფიციენტები	სტანდარტული შეცდომა	t სტატისტიკა	P შეფასება
კოეფიციენტი	-169359.8235	52648.45001	-3.216805498	0.012298009
საერთაშორისო ვიზიტორები	0.282222545	0.011296936	24.98222006	0.000000007
დამატებითი ღირებულება	0.254507137	0.065935996	3.859911931	0.004809522

წყარო: ავტორების გამოთვლები ექსელში

ჰიპოთეზის ტესტირება. შესავალში აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო შემოსვლები და დამატებითი ღირებულება. შესაბამისად, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ შეფასებული β_i პარამეტრები მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეკონომეტრიკული მოდელი რეალობასთან რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს. დავუშვათ ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ვიზიტორები არ არის მნიშვნელოვანი ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდისთვის. შესაბამისად გვექნება: $H_0: \beta_1=0$, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა: $H_1: \beta_1 \neq 0$. ამისათვის გამოვიყენებთ სტიუდენტის t განაწილებას, ვინაიდან ჩვენი დაკვირვებათა რაოდენობა მოიცავს 11 წელს (<30). პროგრამა ექსელში ვიყენებთ 95%-იან ნდობის ინტერვალს და შესაბამისად 5%-იან მნიშვნელოვნების დონეს. სხვა სიტყვებით $\alpha=0,05$. საერთაშორისო

ვიზიტორებისთვის გამოთვლილი t სტატისტიკა=24,9. თუ განაწილების ცხრილში მოვძებნით თავისუფლების $n-3$ ხარისხისა და $t_{\alpha/2}$ მნიშვნელობას, ვნახავთ, რომ t ცხრილური მნიშვნელობა არის 2,306. თეორიიდან კი ცნობილია, რომ როდესაც t გამოთვლილი აღემატება ცხრილურ t -ს მნიშვნელობას აბსოლუტური მნიშვნელობით, უარყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას და ვღებულობთ ალტერნატიულ ჰიპოთეზას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შეფასებული β_1 კოეფიციენტი, სხვა სიტყვებით საერთაშორისო შემოსვლები მნიშვნელოვანია. მეორე გზა ამის დასამტკიცებლად არის α და P კოეფიციენტების შედარება. ჩვენს შემთხვევაში β_1 კოეფიციენტისთვის $P=0,00000007 < \alpha=0,05$, რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას და ვღებულობთ ალტერნატიულს. შესაბამისად, საერთაშორისო ვიზიტორები მნიშვნელოვანი ცვლადია ჩვენს მოდელში. იგივენაირად დავუშვათ ნულოვანი ჰიპოთეზა, რომ დამატებითი ღირებულება არ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების განსაზღვრისათვის. გვექნება $H_0: \beta_2=0$, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა: $H_1: \beta_2 \neq 0$. ვნახავთ, რომ $|t_{\beta_2}|=3,85 > t_{\text{ცხრ}}=2,306$ და ასევე $P=0,0048 < 0,05$ რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას და ვღებულობთ ალტერნატიულს. შესაბამისად, β_2 კოეფიციენტი, ანუ ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულება მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების განსაზღვრისათვის.

მოდელის მნიშვნელოვნების შეფასება. მოდელის მნიშვნელოვნების შეფასება გვიჩვენებს თუ რამდენად გააჩნია მას ამხსნელი ხასიათი. ამისათვის უნდა დავუშვათ ნულოვანი ჰიპოთეზა: $H_0: \beta_0 = \beta_1 = \beta_2 = 0$ რაც ნიშნავს, რომ მოდელი არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო ალტერნატიული ჰიპოთეზა: H_1 მინიმუმ β_0, β_1 ან $\beta_2 \neq 0$, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელი მნიშვნელოვანია.

ცხრილი 1.4 მოდელის მნიშვნელოვნება

	თავისუფლების ხარისხი	კვადრატების ჯამი	MS	F	მნიშვნ. F
რეგრესია	2	4945669952933.97	2.47283E+12	3507.42425	0.000000000002
ნაშთი	8	5640230096	705028762		
ჯამი	10	4951310183029.64			

წყარო: ავტორების გამოთვლები ექსელში

ცხრილიდან ჩანს, რომ რეგრესიის განტოლებით ახსნილი გაფანტულობა $4945669952933.97 > 5640230096$ მეტია აუხსნელ გაფანტულობაზე, რომელიც რეგრესიის განტოლების მიღმა დარჩენილი გარემოებითაა განპირობებული. ცხრილის ბოლო სვეტში მდებარე F კოეფიციენტი არის ძალიან დაბალი, იგივე P კოეფიციენტი, რომელიც ნაკლებია 0,05-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უარყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, ვღებულობთ ალტერნატიულს და ჩვენი მოდელი მნიშვნელოვანია.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მოდელში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლების რაოდენობა, ასევე ტურიზმში შექმნილი დამატებითი ღირებულება, რომელზეც არის დამოკიდებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რაც ლოგიკურიცაა და ეკონომიკური შინაარსიც გააჩნია. ვინაიდან ვიზიტორების შემოსვლების გარეშე ტურიზმის სფეროდან მიღებული ფინანსური კეთილდღეობა არ იარსებებს. ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულებაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების განსაზღვრისათვის, ვინაიდან განთავსებისა და კვების ობიექტებში, ისევე როგორც ტურისტულ მომსახურებაში დახარჯული

თანხა მნიშვნელოვნად ზრდის ტურისტული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საშუალოდ 254 აშშ დოლარით ზრდის მას ყოველ დამატებით 1000 ერთეულ ლარზე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარებული ქვეყნის შემთხვევაში დამატებითი ღირებულების ზრდა საშუალოდ უნდა აღემატებოდეს ვიზიტორების შემოსვლით შექმნილ შემოსავლებს, რაც ასე არაა საქართველოს შემთხვევაში, ეკონომეტრიკული მოდელის თანახმად. შესაბამისად, მოდელმა გვიჩვენა ისიც, რომ საქართველო ძირითადად დამოკიდებულია ვიზიტორთა რაოდენობაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი წამყვანი დარგია, თუმცა გამომდინარე ქვეყნის ნაკლები ცნობადობიდან და ეკონომიკური მდგომარეობიდან, მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან შემოდინებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე. უვიზო რეჟიმი გრძელვადიან პერიოდში მეტი ტურისტის შემოსვლის წინაპირობაა, თუმცა მას დიდი ეფექტი არ გააჩნია მოკლევადიან პერიოდში. ჯერჯერობით არ გვაქვს კონკრეტული მონაცემები უცხოელი ტურისტების შესახებ, თუ რაში ხარჯავენ ისინი თანხას, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოში პროდუქტის ძირითადი ნაწილი არის იმპორტირებული და შესაბამისად, ეს დიდ ასახვას ვერ ჰპოვებს ეკონომიკურ ზრდაზე.

შემოსავლების ზრდის ეკონომეტრიკული მოდელის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტურიზმის სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულება და შემოსული ტურისტების ნაკადი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების განსაზღვრისათვის იმდენად, რამდენადაც ყოველ 1000 ერთეულზე საშუალოდ 254 აშშ დოლარით ზრდის მას. შესაბამისად დამატებითი ღირებულების გაზრდითა და ადგილობრივი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

ინფრასტრუქტურული პროექტები ძირითადად დედაქალაქზეა ორიენტირებული და არ იძლევა ქვეყნის მთლიანი მასშტაბით სასტუმროების ბაზრიდან მიღებული საშუალო შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობას. თუმცა სასტუმროების მატებასთან და ხარისხის გაზრდასთან ერთად, მოსალოდნელია საშუალო დანახარჯების ზრდა ერთ ტურიტზე. ჯერჯერობით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ არ არის გამოქვეყნებული ტურისტული კომპანიების კვლევა, რაც კიდევ უფრო ართულებს საკითხის ღრმა შესწავლასა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

საერთაშორისო ტურისტების რაოდენობის ზრდისათვის აუცილებელია მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას სხვადასხვა ასპექტებზე. მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად, როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით ქვეყანამ სხვადასხვა გამოწვევები უნდა დაძლიოს.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. თბილისი 2015.
2. ქეთევან ქველამე. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა ტურიზმის დარგში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2016

3. ევროსტატი, ტურიზმის სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ევროსტატის გამომცემლობა, 2014
4. კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია, სასტუმროების ბაზრის კვლევა, კოლიერს საქართველო, თბილისი 2016
5. სიმონ გელაშვილი. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012
6. იური ანანიაშვილი. ეკონომეტრიკა. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012
7. ნინო აბესაძე, რუსუდან ქინქლაძე, ქეთევან ჩიტაღაძე. სტატისტიკა ტურიზმისათვის. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012
8. Damodar N Gujarati, Basic Econometrics, Fourth Edition, The McGraw–Hill Companies, 2004
9. E. M. Ekanayake; Aubrey E. Long; TOURISM DEVELOPMENT AND ECONOMIC GROWTH IN DEVELOPING COUNTRIES; The International Journal of Business and Finance Research; Volume 6; Number 1; 2012
10. Eurostat; Methodological manual for tourism statistics, 2014 edition
11. www.colliers.ge
12. www.eurostat.com
13. <https://english-magazine.org/english-reading/english-for-travel/483-a-brief-history-of-tourism-travel-english>
14. <https://gnta.ge/ge/>
15. www.nbg.gov.ge
16. www.geostat.ge
17. <ftp://ftp.repec.org/opt/ReDIF/RePEc/ibf/ijbfre/ijbfr-v6n1-2012/IJBFR-V6N1-2012-5.pdf>
18. http://www3.weforum.org/docs/WEF_TTCR_2017_web_0401.pdf

Tourism development and economic growth

Ketevan Marshava

Doctor of Economic Sciences

Giga Kikoria

PhD Student, TSU

Abstract

Tourism is one of the leading industries of the global economy over the last decades. Revenues generated by international tourism have become a vital factor in economic growth and international economic relations in many developing countries. For instance, according to the World Tourism Organization (2010), modern tourism has a leading role in socio-economic progress, along with the growth of tourism destination places and investments. All of this is reflected in the creation of new jobs and enterprises, infrastructure development and income derived from exports.

The topic is actual because, according to Strategy 2025, the task of the State of Georgia is to develop and implement a plan that enables rich natural and cultural resources to become a world class tourist product and unique impressions. These will attract more high-paid tourists from EU countries, North America, the Middle East and Asia. Based on the above, the aim of the paper is to study and describe the interdependence between tourism development and economic growth based on existing statistical data and elaborate recommendations.

Key words: Tourism, tourist, visitor, economic growth, revenue.

შინამეურნეობების სექტორის საკვანძო მაჩვენებლების როლი მაკროეკონომიკურ ანალიზში

მარინე მინდორაშვილი
ოსუ ეკონომიკური და სოციალური
სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: maia.mindorashvili@tsu.ge

ანოტაცია

სექტორული ანგარიშები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) შემადგენელი ნაწილია, სადაც ინსტიტუციური ერთეულების ეკონომიკური ნაკადები და მარაგები მათი ეკონომიკური ქცევისა და ფუნქციების შესაბამის სექტორებშია კლასიფიცირებული. ეას-ის სექტორული ანგარიშების შემუშავება მოსახლეობის ცხოვრების დონის ელემენტების, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მდგომარეობის გამოკვლევისა და ანალიზის გაღრმავების საშუალებას იძლევა. შინამეურნეობების ანგარიშები სექტორულ ანგარიშებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ის საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავენ შინამეურნეობები საბოლოო მოხმარებაზე ან დაზოგვაზე. სტატიაში დასაბუთებულია შინამეურნეობების საკვანძო ინდიკატორების - საბოლოო მოხმარების ხარჯების, დაზოგვისა და განკარგვადი შემოსავლის სტატისტიკის წარმოებიდან მიღებული სარგებელი საქართველოსთვის მაკროეკონომიკურ ანალიზსა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მონიტორინგის, ეკონომეტრიკული მოდელირებისა და საერთაშორისო შედარებებისთვის.

საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობა, საბოლოო მოხმარება, დაზოგვა, განკარგვადი შემოსავალი.

ევროსტატის უკანასკნელი მონაცემებით, ევროკავშირის მშპ-ის უდიდესი ნაწილი არაფინანსურ კორპორაციებში იწარმოება, მეოთხედზე ცოტა ნაკლები - შინამეურნეობებში (ძირითადად, საკუთარ სახლში ცხოვრების პირობითი რენტის სახით) და არაკორპორირებულ საწარმოებში, 15 პროცენტი სახელმწიფო მართვის ორგანოებზე მოდის, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი - ფინანსურ კორპორაციებზე. კორპორაციებსა და სახელმწიფო მართვის ორგანოებში წარმოებული დამატებული ღირებულების დიდი ნაწილი შინამეურნეობებისკენ მიემართება შრომის ანაზღაურებისა და სოციალური შენატანების სახით. ამიტომ, ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი წილი შინამეურნეობებში რჩება, რაც შემდგომში მიღებული და გაცემული ტრანსფერტების სალდოს ხარჯზე განკარგვად შემოსავლად გარდაიქმნება. სწორედ ეს არის ის განკარგვადი რესურსი, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს საბოლოო მოხმარებაზე ან დაზოგვისთვის. სახელმწიფო მართვის ორგანოებთან ერთად, შინამეურნეობები მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავენ საბოლოო მოხმარებაზე, რაც ამცირებს მათ მონაწილეობას დაზოგვის პროცესში და ზრდის ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების წარმომადგენლობას ამ პროცესში. არაფინანსური სექტორის განკარგვადი შემოსავალი არაფინანსური ინსტიტუციური ერთეულების მთლიანი დაზოგვის ტოლია, რაც გაუნაწილებელი მოგებისა და ბუღალტრული ამორტიზაციის ჯამის ეკვივალენტურია. ევროსტატის მიხედვით, ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ეკონომიკის სექტორებიდან შინამეურნეობებზე (30%) და არაფინანსურ კორპორაციებზე (50%) მოდის ძირითადი კაპიტალის დაგროვების სახით.

ეას-ის მიხედვით, შინამეურნეობების წმინდა დანაზოგი მიიღება შინამეურნეობების მთლიანი განკარგვადი შემოსავლიდან საბოლოო მოხმარების ხარჯების გამორიცხვისა და საპენსიო ფონდებში განთავსებული წმინდა კაპიტალის დამატებით. ამასთან, ის ინვესტიციების

მთავარი შიდა წყარო და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ძირითადად, ეას-ში შინამეურნეობების დაზოგვის დონე/კოეფიციენტი გამოიყენება, რომელიც შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალთან მიმართებაში იზომება პროცენტულად.

ეას-ში კორპორაციების, სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების (შმაკო) სექტორებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ - საქონლისა და მომსახურების წარმოება, შინამეურნეობების შემთხვევაში კი უფრო რთულდება. სახელდობრ, თუ შინამეურნეობის წევრები დასაქმებულები არიან, მიღებულ შემოსავლებს ისინი იყენებენ საქონლისა და მომსახურების შესაძენად ან ფინანსურ აქტივებში ინვესტირებისთვის. გარდა ამისა, თუ შინამეურნეობის წევრებს საოჯახო ბიზნესი აქვთ (კაფე, მაღაზია, ტაქსით მომსახურება, ფერმა და ა.შ.) ისინი ამ ტიპის არაკორპორირებული საწარმოებიდან შერეულ შემოსავალს იღებენ. ამასთან, ეას-ში შინამეურნეობები საბინაო მომსახურებასაც ეწევიან (რეალურს ან იმპუტირებულს).

აქედან გამომდინარე, შინამეურნეობების ანგარიშებში ორი ძირითადი ფუნქცია იკვეთება: ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების გამოშვება და მეორე მხრივ, შემოსავლის გადანაწილება მოხმარებასა და დაზოგვას შორის. სტატისტიკური კუთხით ამ ორი ფუნქციის განსხვავება არ ხდება, თუმცა, ზოგადად შესაძლებელია ტრანსაქციების (რომელიც ეხება წარმოებას, შუალედურ მოხმარებას, შრომის ანაზღაურებას და გადასახადებს წარმოებაზე) გადანაწილება „წმინდა“ შინამეურნეობასა და არაკორპორირებულ საწარმოებს შორის. ცალკეულ ქვეყნებში (საფრანგეთი, აშშ) ქვეყნდება არაკორპორირებული საწარმოების არასრული ანგარიშები. თუმცა, პრაქტიკულად შეუძლებელია სრული ანგარიშების წარდგენა „წმინდა“ შინამეურნეობებისა და არაკორპორირებული საწარმოების მიხედვით.

ეკონომისტებისთვის შინამეურნეობების მომხმარებლურ ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან შინამეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების მოცულობა პირდაპირ და მყისიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. თვით შინამეურნეობების მოხმარება კი დამოკიდებულია შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალსა და მის გადანაწილებაზე მოხმარებასა და დაზოგვას შორის. ცხრილში 1. ნაჩვენებია საქართველოს მშპ-ის სტრუქტურის დინამიკა დანახარჯების მუხლების მიხედვით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში:

ცხრილი 1. საქართველო: მშპ-ის საბოლოო გამოყენება

	2013	2014	2015	2016
მთლიანი შიდა პროდუქტი (დანახარჯების მეთოდი)	100.0	100.0	100.0	100.0
შინამეურნეობების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	69.4	69.0	66.1	62.5
შმაკოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	2.1	2.0	2.1	2.1
სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	16.7	16.7	17.9	18.4
მთლიანი კაპიტალის ფორმირება	24.8	29.8	31.5	32.7
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	44.7	42.9	44.7	43.6
(-)საქონლისა და მომსახურების იმპორტი	-57.6	-60.5	-62.3	-59.3

წყარო: საქსტატის მონაცემთა ბაზა <http://pc-axis.geostat.ge/>

ზოგადად, მშპ-ის ზრდა ან კლება საბოლოო გამოყენების ერთი ან რამდენიმე კომპონენტის ხარჯზე ხდება. თუმცა, საქართველოს შინამეურნეობების, შმაკოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების, მთლიანი კაპიტალის ფორმირებისა და წმინდა ექსპორტის ხარჯების დინამიკიდან აშკარაა, რომ შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯების წილი დომინანტურია და ის მშპ-ის 60%-ს, 2013-14 წლებში კი - 70%-საც შეადგენდა.

შესაბამისად, ამ აგრეგატს გადამწყვეტი გავლენა აქვს საქართველოს მშპ-ზე. ევროკავშირსა და ევროზონაში ეს მაჩვენებელი 55-57%-ის ფარგლებშია, ეთგოს ქვეყნებში 60-61%, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით - 59%-ია. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების წილი ევროპულს უახლოვდება. შინამეურნეობების მიერ საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯები ძირითადად ყოველდღიური მოხმარების საქონლისა და მომსახურების შესყიდვებისგან შედგება (ტანსაცმელი, საკვები, გრძელვადიანი მოხმარების საგნები, ტრანსპორტი, პერსონალური მომსახურება და ა.შ.), რასაც ემატება:

- იმპუტირებული რენტა, რომელსაც „იხდიან“ შინამეურნეობები საკუთარ სახლში ცხოვრებისთვის;
- შინამეურნეობების მიერ წარმოებული საქონლის გამოშვების (განსაკუთრებით შინამეურნეობაში მოხმარებული მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის) შეფასებული ღირებულება;
- ნატურალური ანაზღაურების სახით მიღებული საქონელი და მომსახურება.

მეორე მხრივ, შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებში არ შედის:

- საცხოვრებელი ბინებისა და სახლების შეძენა - რაც ძირითად კაპიტალს წარმოადგენს და კაპიტალის ანგარიშში ჩაიწერება (ეს მუხლი თავისთავად საინტერესოა, რადგან ჯერ-ჯერობით საქართველოს შინამეურნეობებში დაზოგვის ერთადერთი, მაგრამ ძალიან მიახლოებითი ინდიკატორია);
- სხვა ტიპის შენობებისა და მოწყობილობების შეძენა (ძირითადად საოჯახო საწარმოებისთვის), რაც ასევე შინამეურნეობების ძირითადი კაპიტალის დაგროვებას მიეკუთვნება;
- საოჯახო ფირმების მიერ შუალედური მოხმარების საქონლის შესყიდვები (მაგ. თესლი და სასუქი ფერმერებისთვის, საღებავები და ფუნჯები დეკორატორებისთვის, საწვავი და სათადარიგო ნაწილები ტაქსისტებისთვის და ა.შ.). შუალედური მოხმარების ეს მუხლები შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიშის გამოყენებას წარმოადგენს;
- „ფასეულობების“ წმინდა შეძენა (მინუს გაყიდვები). ეას-ში ოქროს მონეტების, ანტიკვარიატის, იშვიათი მარკებისა და ხელოვნების ნიმუშების შეძენა განიხილება როგორც მყიდველის მიერ განხორციელებული ინვესტიცია „ფასეულობის მარაგის“ შესაქმნელად, რომლის ღირებულება სავარაუდოდ დროთა განმავლობაში გაიზრდება (ან მინიმუმ, არ შემცირდება). ამ მუხლის სტატისტიკა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც არ ქვეყნდება მისი გაანგარიშების სირთულის გამო.

შინამეურნეობების მოხმარების მატების ან კლებისთვის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს დამოკიდებულია შინამეურნეობების შემოსავლების დინამიკაზე ან ჰოლდინგური მოგება/ზარალის ინვესტირებაზე ფინანსურ აქტივებსა და/ან უძრავ ქონებაში. მიუხედავად ამისა, მოხმარების დონეს დიდად განაპირობებს ის, თუ რა მოლოდინები აქვს შინამეურნეობას ახლო მომავალთან დაკავშირებით - კერძოდ, გაიზრდება თუ დაიკლებს მათი შემოსავლები, უმუშევრობის რისკი ან ინფლაცია. მშპ-ზე სამომხმარებლო ქცევის გავლენამ ეკონომისტებს უბიძგა უფრო ღრმად შეესწავლათ შინამეურნეობების სამომხმარებლო ინდიკატორები: აქვთ თუ არა მომავლის იმედი, აპირებენ თუ არა ახლო მომავალში შესყიდვების განხორციელებას და გაუმჯობესდა თუ გაუარესდა უკანასკნელ პერიოდში მათი ფინანსური მდგომარეობა. სასურველია, ასეთი ტიპის კვლევები საქართველოში ხშირად ტარდებოდეს, თუმცა როგორც წესი, საარჩევნო პერიოდის მოახლოებას უკავშირდება ხოლმე და ამიტომ ყოველთვის პოლიტიკურ შემადგენელთან ერთად განიხილება. 2016 წლის ნოემბერში NDI-ის მიერ ხუთი ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ახალციხე) მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, მომავალი წლისთვის ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით

ოპტიმისტური მოლოდინები ჰქონდა ქალაქის მოსახლეობის 40-50%-ს (ზუგდიდის გარდა, მხოლოდ 23%) რამაც საერთო ჯამში ეროვნულ დონეზე 38% შეადგინა.

რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას, შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული შემოსავლების მიხედვით, საქართველოში შემოსავლები მუდმივად იზრდება. უკანასკნელი მონაცემებით, 2016 წელს 2006 წელთან შედარებით შინამეურნეობების საშუალოთვიური შემოსავლები თითქმის გასამმაგდა, თუმცა თუ ამ მაჩვენებელს ინფლაციით გავაკორექტირებთ, მხოლოდ გაორმაგებას გვიჩვენებს. სავარაუდოდ, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს შინამეურნეობის სექტორის სამომხმარებლო განწყობა ახლო მომავალში არ შეიცვლება (ყოველ შემთხვევაში, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მაინც).

ასევე მნიშვნელოვანია შინამეურნეობების სექტორის ადგილის გარკვევა ქვეყნის საბოლოო მოხმარების სტრუქტურაში. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია შინამეურნეობებისა და შმაკობის საბოლოო მოხმარების გაერთიანება. საერთაშორისო სტატისტიკაში ეს მიღებული პრაქტიკაა. საქართველოში შმაკობის სექტორი ძალიან მცირეა (მშპ-ის 2%), ამიტომ მისი ჩართვა შინამეურნეობების მოხმარებაში დიდ გავლენას არ ახდენს საბოლოო შედეგზე. ასევე, შმაკობის მიზანი შინამეურნეობების მომსახურებაა და მათი დიდი ნაწილი შინამეურნეობების მიერაა დაფინანსებული. და ბოლოს, ეას-ის რეკომენდაციით შმაკობის სექტორის ანგარიშები ცალკე უნდა გაკეთდეს, თუმცა, საერთაშორისო შედარებების პრაქტიკაში სტატისტიკოსებს ხშირად უწევთ შინამეურნეობებისა და შმაკობის გაერთიანება. რაც შეეხება საქართველოს შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების ხვედრით წილს ეკონომიკის საბოლოო მოხმარებაში, სახეზეა უმნიშვნელო შემცირება 80-დან 78%-მდე, რაც სახელმწიფო მართვის ორგანოების საბოლოო მოხმარების ხარჯების 2%-იანი მატებით კომპენსირდება.

ცხრილი 2. სექტორული საბოლოო მოხმარება. საქართველო და ევროკავშირი, %

	2013	2014	2015	2016
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	100.0	100.0	100.0	100.0
შინამეურნეობებისა და შმაკობის ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, საქართველო	81.1	81.0	79.2	77.9
შინამეურნეობებისა და შმაკობის ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, ევროკავშირი	73.2	73.2	73.4	73.4
სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, საქართველო	18.9	19.0	20.8	22.1
სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, ევროკავშირი	26.8	26.8	26.6	26.6

წყარო: <http://pc-axis.geostat.ge/>; <https://data.worldbank.org/indicator/NE.CON.PETC.ZS?locations=GE>

ევროკავშირში შინამეურნეობებისა და შმაკობის ხარჯების წილი საბოლოო მოხმარებაში 73.2-73.4%-ის ფარგლებშია. მიუხედავად ევროკავშირთან 8-6%-იანი სხვაობისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეს ინდიკატორი თანდათან მცირდება და ევროპულთან დაახლოების გზით მიდის. შესაბამისად, იზრდება სახელმწიფო მართვის ორგანოების ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე.

მშპ-ის საბოლოო გამოყენების სტრუქტურაში მეორე მნიშვნელოვანი აგრეგატია მთლიანი კაპიტალის ფორმირება, რომლის ხვედრითი წილი ბოლო პერიოდში 25-დან 33%-მდე გაიზარდა საქართველოში. მთლიანი კაპიტალის ფორმირების უდიდესი ნაწილი პირდაპირ არის დაკავშირებული შინამეურნეობებთან, რადგან მოიცავს ბინების შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს, რაც შინამეურნეობების ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების

შემადგენელი ნაწილია. თუ კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის მუხლებს გადავხედავთ, აღმოვაჩინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელი დანიშნულების შენობებზე მთლიანი დანაზოგის მხოლოდ 10 პროცენტი იხარჯება. ეს ინვესტიცია ნაწილობრივ შინამეურნეობების დანაზოგიდან ფინანსდება. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ეს აგრეგატი დაღმავალი ტრენდით მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ხასიათდება და ის მშპ-ის 21%-ია, დანარჩენ შემთხვევებში ტრენდი აღმავალია და ის აღწევს: დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში 31%-ს, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში 26%-ს, დაბალ საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში 27%-ს, საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში 31, ხოლო ზედა საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში - 32%-ს. საქართველო დაბალ საშუალო შემოსავლიან ქვეყნებს მიეკუთვნება, როგორცაა სომხეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ტუნისი, ნიგერია და ა.შ., თუმცა, მისი დაზოგვის წილი მშპ-ში თითქმის 6 პუნქტით აღემატება ამ ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს.

ასევე საინტერესოა საკუთრივ შინამეურნეობების დანაზოგის ხვედრითი წილი მთლიან დანაზოგში. ეს აგრეგატი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეთგო-ს ქვეყნების მთლიან დანაზოგში (50%-ზე მეტი), უფრო მაღალია ევროკავშირში (52%), მაგრამ რადიკალურად განსხვავებულ ტენდენციებს ვაკვირდებით იაპონიის ეკონომიკაში (ცხრილი 3).

ცხრილი 3. იაპონია: შიდა ეკონომიკის წმინდა დანაზოგის სექტორული დაყოფა,%

	1980	1990	2000	2010	2015	2016
მთლიანად ეკონომიკა	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
კორპორაციები	28.3	14.7	61.3	504.9	435.7	177.4
სახელმწიფო მართვის ორგანოები	10.1	34.8	- 29.0	-479.7	-320.0	-87.4
შინამეურნეობები და შმაკოები	61.5	50.5	67.7	74.8	-15.7	10.0

წყარო: https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=SNA_TABLE13#


შინამეურნეობების დანაზოგით შესაძლებელია როგორც სხვა სექტორების ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების დაფინანსება (მანქანა-მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, გზები, რკინიგზები, საკომუნიკაციო ქსელი და ა.შ.), ისე ნაწილობრივ შინამეურნეობებისაც (მაგ. საცხოვრებლის შექმნა). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაფიქსირდა შინამეურნეობების დანაზოგსა და მშპ-ის ზრდას შორის. თუმცა, ამ მხრივ აშშ გამონაკლისს წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შინამეურნეობების შედარებით დაბალი დანაზოგის ფონზე, მშპ-ის მეტ-ნაკლებად სტაბილური მატება ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირების მაღალი ტემპებით კომპენსირდებოდა. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ აშშ-ის ეკონომიკა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი იყო, ანუ აშშ-ის ინვესტიციები საზღვარგარეთის შინამეურნეობების მიერ ფინანსდებოდა.

ტრადიციულად, იაპონიაში შინამეურნეობებისა და შმაკოების დანაზოგების ხვედრითი წილი ეკონომიკის წმინდა დანაზოგში მაღალი იყო (50-70%), თუმცა 2010 წლისთვის მან დაახლოებით 75% შეადგინა, რაც პოსტკრიზისულმა სიტუაციამ განაპირობა. ამ პერიოდში სამთავრობო დეფიციტმა (უარყოფითი დანაზოგი) და კორპორაციების მოგებამ (დადებითი დანაზოგი) არნახულ დონეს მიაღწია.

2007-09 წლების კრიზისის შემდეგ, იაპონიამ მხოლოდ 2014 წლისთვის შეძლო ეკონომიკის წმინდა დანაზოგის დაახლოება ქვეყნის 2010 წლის ნიშნულისთვის, ხოლო 2015 წლისთვის -

გაასამმაგა. თუმცა, 2000 წლიდან მოყოლებული, იაპონიის შინამეურნეობების დანაზოგის წილი შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალში მცირდებოდა, რაზეც მეტყველებს ნახაზი 1:

ნახაზი 1. იაპონიის შინამეურნეობების დანაზოგის წილი შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალში 2000-2015 წლებში, %



წყარო: <https://data.worldbank.org/indicator/NE.CON.PETC.ZS?locations=GE>


გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ 2010 წლის შემდეგ მცირდება იაპონიის შინამეურნეობების განკარგვად შემოსავლის მატების ტემპიც (2.10-დან 1.05%-მდე). ამასთან, დაზოგვა გრძელვადიან პერიოდში გვევლინება ინვესტიციების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად, მოკლევადიან პერიოდში კი დაზოგვის სწრაფმა მატებამ შეიძლება რეცესია გამოიწვიოს საბოლოო მოხმარების ხარჯების შემცირების ხარჯზე. მოხმარებასა და დაზოგვას შორის პროპორციების დადგენის დროს გასათვალისწინებელია კარგად ცნობილი „მომჭირნეობისა“ და „დაზოგვის“ პარადოქსები, რომელთაგან პირველის არსი იმაშია, რომ თუ ყველა ერთბაშად დაზოგავს, ეს მოთხოვნას რეცესიამდე მიიყვანს, ხოლო უკანასკნელისა - იმაში, რომ ადამიანები უფრო მეტს ზოგავენ, როდესაც მიაჩნიათ რომ ეს დაზოგვისთვის ცუდი დროა და ნაკლებს - როდესაც ფიქრობენ, რომ დაზოგვისთვის კარგი პერიოდია!

ევროსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, დაზოგვის დონე (შინამეურნეობების დანაზოგის წილი შინამეურნეობების განკარგვად შემოსავალში) ევროკავშირის მასშტაბით დაახლოებით 11%-ია, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაზოგვისადმი გაზრდილი მიდრეკილებით ხასიათდება შემდეგი ქვეყნები: შვეიცარია (23%), ლუქსემბურგი (20%), შვედეთი (19%), გერმანია (17%), საფრანგეთი (14%). ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნებს კრიზისის პირობებშიც არ შეუმცირებიათ ეს კოეფიციენტი და ზოგ შემთხვევაში გაზარდეს კიდევ. სამწუხაროდ, საქართველოში რთულია შინამეურნეობების დაზოგვის დონის შესახებ რამდენადმე ზუსტი ინფორმაციის მიღება სექტორული ანგარიშების უქონლობის გამო.

მაკროეკონომიკურ დონეზე დანაზოგი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის უზრუნველყოფს ოჯახების ფინანსურ უსაფრთხოებას სამუშაოს დაკარგვის ან ავადმყოფობის დროს და ნაწილობრივ ფარავს მოხუცებულობის პენსიას. ეთგო-ს ქვეყნებში აღნიშნული რისკებისგან თავის დასაზღვევად შექმნილი სოციალური დაცვის სისტემები რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან აქ იზრდება ხანდაზმულთა რაოდენობა. უკანასკნელ წლებში ჩატარებული ეკონომიკური კვლევების საფუძველზე ეთგო-ს ეკონომისტები რეკომენდაციას აძლევენ მთავრობებს, რომ შესაბამისი სტიმულირებით საშუალება მისცენ შინამეურნეობებს თვითონ დააფინანსონ პენსიები.

ეთგო-სგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში საქართველოში 65+ კატეგორიის მოსახლეობა მცირდება (ნახაზი 2), თუმცა დაბალი პენსია ვერ უზრუნველყოფს ასაკოვანი მოსახლეობის ღირსეულ ცხოვრებას.


ნახაზი 2. 65+ ასაკის მოსახლეობის დინამიკა საქართველოში (2013-16 წწ.)



წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo

ტრადიციულად, საქართველოში დანაზოგის წილი მშპ-ში მაღალი არ არის და არათანაბარი დინამიკით გამოირჩევა (ნახაზი 3). უკანასკნელი წლების მონაცემები (19-20%) იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა დაზოგვისადმი მიდრეკილების სტიმულირება, რაც მთავრობის მხრიდან დაგროვებითი პენსიის მოდელის შემოღებაში გამოიხატა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს მსგავს დაბალ საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში დანაზოგის წილი მშპ-ში 27-29%-ს შეადგენს, ეთგოს ქვეყნებში 21-22%-ია, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით - 24.4%.

ნახაზი 3. მთლიანი დანაზოგის წილი საქართველოს მშპ-ში, %




წყარო: <http://pc-axis.geostat.ge/>; <https://data.worldbank.org/indicator/GC.XPN.TOTL.GD.ZS>

მესამე საკვანძო ინდიკატორი, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავალი, წარმოადგენს შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯებისა და დანაზოგის ჯამს. როგორც ვნახეთ, ამ ორი კომპონენტის ზრდა სასურველია რამდენიმე მიზეზის გამო: შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯების ზრდა ასტიმულირებს მშპ-ის მატებას, ხოლო დანაზოგის ზრდა - ინვესტიციების ნაწილობრივ დაფინანსებას და ამავე დროს უმსუბუქებს ტვირთს სოციალური დაცვის სისტემებს. ცხადია, ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შინამეურნეობების შემოსავლების მატებით, ხოლო ეს მატება დიდწილად ეკონომიკური შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების ფუნქციაა.

ნახაზზე 4 ნაჩვენებია ევროკავშირისა და ევროზონის ქვეყნების შინამეურნეობების მთლიანი განკარგავადი შემოსავლისა და საბოლოო მოხმარების მატების ტემპების შედარება. თუ პირველი გადააჭარბებს უკანასკნელს, მაშინ შინამეურნეობების ეკონომიის ტემპი იზრდება. შესაბამისად, დაზოგვის მოკლევადიანი მატება ხშირად ეკონომიკური განვითარების პესიმისტურ პროგნოზებს უკავშირდება. როგორც წესი, ცვლილებების გამომწვევ მიზეზებად გვევლინება შრომის ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთის ვარიაციები.

ნახაზი 4. შინამეურნეობების მთლიანი განკარგავადი შემოსავლისა და საბოლოო მოხმარების მატების ტემპების შედარება ევროკავშირში და ევროარეში



წყარო: <http://ec.europa.eu/eurostat/web/sector-accounts/data/annual-data>

როგორც ნახაზიდან ჩანს, იმის გარდა, რომ ევროკავშირში შინამეურნეობების განკარგავადი შემოსავლის მატების ტემპები თითქმის ორჯერ აღემატება ევროზონისას, მნიშვნელოვანია განკარგავადი შემოსავლისა და მოხმარების ტემპებს შორის სხვაობაც (თითქმის 2%). ევროარეში ეს ტემპები ერთმანეთს უახლოვდება, ევროკავშირში კი რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. ამასთან, აქ 2016 წელს განკარგავადი შემოსავლის დრამატული კლებაც დაფიქსირდა.

მაკროეკონომიკურ ანალიზში ანალოგიური ტიპის ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შინამეურნეობების განკარგავადი შემოსავლისა და ძირითად კაპიტალში (ძირითადად, საცხოვრებელ ბინებში) განხორციელებული ინვესტიციების მატების ტემპების შედარებითაც.

როგორც ვხედავთ, განვითარებულ ქვეყნებში შინამეურნეობების საკვანძო ინდიკატორების ანალიტიკური შესაძლებლობები ფართოდ გამოიყენება, რაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ბაზაზე მიიღწევა. საქართველოში ამ ტიპის სტატისტიკის არსებობა ძირულ გარდაქმნას მოახდენს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ეფექტური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ, ეთგო (ქართული თარგმანი) თსუ, 2015.
2. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf
3. საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2016 წლის ნოემბრის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ.
4. System of National Accounts 2008. European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development OECD, United Nations, World Bank. NY 2009. <https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/sna2008.pdf>
5. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_GEO_vf.pdf
6. <http://pc-axis.geostat.ge/>
7. <https://data.worldbank.org/indicator/NE.CON.PETC.ZS?locations=GE>
8. https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=SNA_TABLE13#
9. http://appsso.eurostat.ec.europa.eu/nui/show.do?dataset=nasa_10_ki&lang=en

The Role of Key Indicators of the Household Sector in Macroeconomic Analysis

Marine Mindorashvili

TSU Associate Professor, Department
of Economic and Social Statistics

Abstract

Sector accounts are an integral part of the SNA, where economic flows and stocks of institutional units are classified into the sectors according to their functions and economic behavior. Elaborating of sector accounts gives the opportunity to deepen analyzing the living standards of the population and the situation in individual sectors of economy. Alongside other sectors, household accounts will allow us to answer the question how much of the income they spend on final consumption or savings. The important role of main household indicators – final consumption expenditures, savings and disposable income - for macroeconomic analysis in Georgia, economic policy development and monitoring, econometric modeling and international comparisons are discussed in this article.

Keywords: *Households, final consumption, savings, disposable income.*

წარმოების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები საქართველოში სექტორების მიხედვით

მარინე მინდორაშვილი
ოსუ ეკონომიკური და სოციალური
სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: maia.mindorashvili@tsu.ge

ინგა ბენაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, საქსტატი
ელ.ფოსტა: ibenashvili@yahoo.com

ანოტაცია

წარმოების ანგარიშის სექტორულ ჭრილში შედგენა-გაანალიზება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკაში. გამოშვების, შუალედური მოხმარების და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი მოდის არაფინანსური კორპორაციების სექტორზე (60 %-ის ფარგლებში), შემდეგ შინამეურნეობებისა და სამთავრობო სექტორებზე. წარმოების უმცირესი წილი კი შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორს განეკუთვნება.

2016 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომიკის სექტორებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემდეგნაირად ნაწილდება: არაფინანსური კორპორაციების სექტორი - 57,7 %, შინამეურნეობების სექტორი - 26,0 %, სამთავრობო სექტორი - 12,3 %, ფინანსური კორპორაციების სექტორი - 3,3 %, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი - 0,8 %.

საკვანძო სიტყვები: წარმოების ანგარიში, გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება, სექტორი.

ქვეყნის ეკონომიკის სექტორული გაანალიზება დღეისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია ჯერ კიდევ არ მოიპოვება საქართველოში. საქსტატში გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს ამ მიმართულებით, მაგრამ რიგი ობიექტური მიზეზის გამო სექტორული ანგარიშების შედგენა არ ხორციელდება. 1996 წლიდან დაწყებული დღემდე სექტორული ანგარიშები არ შედგენილა. 2010-2016 წლებში გვექონდა ზოგიერთი სექტორული ანგარიშის (წარმოების, შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშები მთლიანად ეკონომიკისა და სექტორების მიხედვით 2010 წელს; არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიში 2014 წელს; შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიში 2016 წელს) შედგენის მცდელობა. წინამდებარე ნაშრომი ამ მცდელობის ერთგვარი გაგრძელებაა და ამჯერად წარმოების ანგარიშით შემოიფარგლება. გაანგარიშებები გაკეთებულია 2016 წლის წლიური მონაცემების საფუძველზე.

წარმოების ანგარიში ქვეყნის საწარმოო დონისა და შესაძლებლობების მაჩვენებელი ანგარიშია. იგი პირველი ანგარიშია ინტეგრირებულ ეროვნულ ანგარიშებში, რომელშიც რესურსების მხარეს გვაქვს მთლიანი გამოშვება, ხოლო გამოყენების მხარეს - შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. აღნიშნული ანგარიშის შემადგენელი სამივე კომპონენტი დეტალურადაა განხილული სტატიაში 2016 წლის წლიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

წარმოების ანგარიშის შესადგენად სექტორულ ჭრილში გამოვიყენეთ საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის მონაცემთა ბაზა, შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მონაცემები, მთლიანი შიდა პროდუქტის, შუალედური მოხმარებისა

და მთლიანი გამოშვების დეტალური სტრუქტურის სტატისტიკური მონაცემები, რესურსებისა და გამოყენების ცხრილები. შესაბამისი საქმიანობების სახეებისთვის და სექტორებისთვის ერთი ან რამდენიმე ბაზაა გამოყენებული საჭიროებისამებრ. გათვალისწინებულია ასევე დაუკვირვებადი გამოშვება.

სექტორულ ჭრილში წარმოების ანგარიშის შესადგენად გამოვიყენეთ გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული დეტალური ინფორმაცია. მოვახდინეთ წარმოების ჯვარედინი კლასიფიკაცია, რის შედეგადაც თითოეული 45 სახის საქმიანობის მიხედვით დეტალიზებული შედეგი (გამოშვება) შევუსაბამეთ ინსტიტუციურ სექტორს. ჯვარედინი კლასიფიკაცია გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით წარმოების შედეგების განაწილებას სექტორების მიხედვით. მაგალითად, საგანმანათლებლო მომსახურებას ეწევა როგორც სამთავრობო სექტორი (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები), ასევე სამეწარმეო სექტორი (კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები), ხოლო რეპეტიტორების საქმიანობა შინამეურნეობებში ჰპოვებს ასახვას.

შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შუალედური მოხმარების წილები მთლიან გამოშვებაში. დამატებული ღირებულება კი გავიანგარიშეთ დამაბალანსებელი მუხლის სახით, როგორც სხვაობა გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის.

წარმოების ანგარიშის რესურსებისა და გამოყენების მხარის შემადგენელი კომპონენტების (გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების) დეტალური განხილვის შემდეგ შევადგინეთ წარმოების ანგარიში აგრეგატული ფორმით.

წარმოების ანგარიში ეკონომიკის სექტორების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 1:

ცხრილი 1. წარმოების ანგარიში ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წელს (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	S11	S12	S13	S14	S15	S1
	არაფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	მთლიანად ეკონომიკა
რესურსები						
გამოშვება საბაზისო ფასებში	29459,2	1773,8	5 969,6	13943,0	516,6	51 662,3
გადასახადები პროდუქციაზე (-) სუბსიდიები პროდუქციაზე	4744,3	14,6	8,1	106,1	0,0	4 873,2
სულ	34 082,8	1 788,5	5 959,8	14 022,7	513,1	56 366,9
გამოყენება						
შუალედური მოხმარება მთლიანი დამატებული ღირებულება/მთლიანი შიდა პროდუქტი	14448,3	682,5	1 781,1	5185,7	240,9	22 338,4
სულ	34082,8	1788,5	5959,8	14022,7	513,1	56 366,9


არაფინანსური კორპორაციების სექტორი ყველაზე დიდი მწარმოებელია ქვეყნის ეკონომიკაში. აღნიშნული სექტორის გამოშვების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 60 %-ის ფარგლებში მერყეობს წლიდან წლამდე. 2016 წლის მონაცემების საფუძველზე არაფინანსური კორპორაციების სექტორის გამოშვების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 60,5%-ს შეადგენდა. აღნიშნული სექტორის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკის უდიდესი მწარმოებელია შინამეურნეობების სექტორი, რომლის გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში 24,9%-ს შეადგენდა. იმავე წელს დანარჩენი სექტორების წარმოების პროცენტული წილი მთლიან გამოშვებაში შემდეგნაირად ნაწილდებოდა: სამთავრობო სექტორი - 10,6 %, ფინანსური კორპორაციების სექტორი - 3,2 %, ხოლო შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი - 0,9 %.

შუალედური მოხმარების სექტორული განაწილების სტრუქტურა 2016 წლისათვის ასეთია: არაფინანსური კორპორაციების სექტორის შუალედური მოხმარების წილი ქვეყნის მთლიან შუალედურ მოხმარებაში 64,7 %-ს შეადგენდა, შინამეურნეობების შუალედური მოხმარების წილი - 23,2 %-ს, სამთავრობო სექტორის წილი - 8,0 %-ს, ფინანსური კორპორაციების სექტორის წილი - 3,1 %-ს, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორის წილი - 1,1 %-ს.

უმნიშვნელოვანესია ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის აგრეგატული მაჩვენებლის ფორმირებაში მონაწილე ეკონომიკის სექტორებში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების შესახებ. 2016 წელს არაფინანსური კორპორაციების სექტორში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებელმა 19 634,4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 57,7 %-ია; დანარჩენი სექტორების წვლილი შემდეგია: შინამეურნეობების სექტორი - 8 837,1 მლნ. ლარი (მშპ-ს 26,0 %), სამთავრობო სექტორი - 4 178,7 მლნ. ლარი (მშპ-ს 12,3 %), ფინანსური კორპორაციების სექტორი - 1 106,0 მლნ. ლარი (მშპ-ს 3,3 %), შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი - 272,2 მლნ. ლარი (მშპ-ს 0,8 %).

მთლიანი შიდა პროდუქტის სექტორულ განაწილებას თვალსაჩინოს ხდის ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.

დიაგრამა 1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული სტრუქტურა ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წელს



და ბოლოს, დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სექტორულ ჭრილში განხილვა მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, რაც წარმატებით გამოადგებათ როგორც ხელისუფლების ორგანოებს შესაბამისი პოლიტიკის შესამუშავებლად და განსახორციელებლად, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს. ვფიქრობთ, ეს სტატია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სექტორული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით. ის დიდ დახმარებას გაუწევს თეორეტიკოს და პრაქტიკოს სტატისტიკოსებს შესაბამის საქმიანობაში. ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია შესაძლოა გამოყენებული იქნეს საქსტატის მიერ სექტორული ანგარიშების შედგენისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

System of National Accounts 2008, European Commission, International Monetary Fund, Organization for economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, p. 662

http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/nad/gamoSveba%20detaluri.xls

http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/nad/Sualeduri%20detaluri.xls

http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/nad/damatebuli%20Rirebuleba%20detaluri.xls

Compilation Issues of Production Account by Sectors in Georgia

Marine Mindorashvili

TSU Associate Professor, Department
of Economic and Social Statistics

Inga Benashvili

PhD in Economics, Geostat

Abstract

Compilation of Production Account by sectors is important nowadays in Georgia. The Non-financial corporations sector has a highest share of output, intermediate consumption and value added in the total economy of a country. Then comes Households sector, General government sector, Financial corporations sector and Non-profit institutions sector serving households.

The share of gross value added by sectors in Gross Domestic Product of Georgia in 2016 are following: Non-financial corporations sector – 57,7 %, Households sector – 26.0 %, General government sector – 12.3 %, Financial corporations sector – 3,3 %, Non-profit institutions sector serving households – 0.8 %.

Keywords: *Production account, output, intermediate consumption, value added, sector.*

პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდებით საქართველოს მთლიანი ინვესტიციების სამომავლო მნიშვნელობების გამოთვლის შესაძლებლობები

მიქელაძე გიორგი

თსუ დოქტორანტი

ელ. ფოსტა: G.Mikeladze@hotmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდები და აღნიშნული მეთოდების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. ემპირიულ კვლევებში გამოყენებულია 2003-2017 წლების საქართველოს მთლიანი რეალური ინვესტიციების კვარტალური მნიშვნელობები, რომელიც გამოთვლილია მშპ დეფლატორის მეშვეობით.

სტატიაში რაოდენობრივი პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდით გამოთვლილია საქართველოს რეალური მთლიანი ინვესტიციების 2018 წლის I კვარტლის საპროგნოზო მნიშვნელობები. მინიმალური საპროგნოზო მნიშვნელობა მიიღება საშუალოს მეთოდით, რომელიც 1519.36 (მლ.ლ.) წარმოადგენს, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა დრეივის მეთოდით მიიღება და 3144.45 (მლ.ლ.)-ს შეადგენს.

საკვანძო სიტყვები: ექსტრაპოლაციის მეთოდი, დროითი მწკრივების მეთოდი, წამყვანი ინდიკატორების მეთოდი.

შესავალი

მონაცემთა სამომავლო მნიშვნელობის განსაზღვრისთვის ნაშრომში განხილულია პროგნოზირების განსხვავებული მეთოდები და მათი გამოყენების შესაძლებლობები. სტატისტიკური პროგნოზირების მრავალი მეთოდი და კლასიფიკაცია არსებობს, თუმცა აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია პროგნოზირების შედარებით ცნობილი მეთოდები და მათი კლასიფიკაციები. პროგნოზირების მეთოდები პირობითად იყოფა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებად. რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება მონაცემთა პროგნოზირებაში გულისხმობს არსებულ და დაკვირვებად მონაცემთა მიხედვით საძიებელი ობიექტის სამომავლო მნიშვნელობის განსაზღვრას. ხარისხობრივი მეთოდის გამოყენების დროს საპროგნოზო მნიშვნელობის განსაზღვრა ხდება შესაბამისი დარგის ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებების გათვალისწინებით. ნაშრომში დეტალურად არის განხილული რაოდენობრივი მეთოდები და დადგენილია, რომ ხარისხობრივი მეთოდების გამოყენება საქართველოს რეალობისთვის არ არის მიზანშეწონილი რიგი პრობლემების გამო, შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული რაოდენობრივი მეთოდები.

ძირითადი ტექსტი

მონაცემთა სამომავლო მნიშვნელობის განსაზღვრისთვის აუცილებელია განვიხილოთ პროგნოზირების განსხვავებული მეთოდები და მათი გამოყენების შესაძლებლობები.

სტატისტიკური პროგნოზირების მრავალი მეთოდი და კლასიფიკაცია არსებობს [გელაშვილი ს., 2017], თუმცა აღნიშნულ ნაშრომში განხილულ იქნება პროგნოზირების შედარებით ცნობილი რაოდენობრივი მეთოდები და მათი მეშვეობით გაკეთებული იქნება სამომავლო მნიშვნელობის პროგნოზი.

ექსტრაპოლაცია: ამ მეთოდის მიხედვით საპროგნოზო მონაცემები გაიანგარიშება, არსებული (წარსული) მონაცემთა განვითარების ტენდენციების და კანონზომიერების გადატანით

მომავალში. კერძოდ ამ მეთოდის მთავარ დაშვებას წარმოადგენს მონაცემთა განვითარების ტენდენციის შენარჩუნება მომავალში. ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მოკლევადიან პერიოდში, ვინაიდან დინამიკური მწკრივების მონაცემები ნათლად გამოხატული და მდგრადია. აღნიშნული მეთოდი აერთიანებს მარტივ მეთოდებს, რეგრესიას, მცოცავ საშუალოსა და ექსპონენციალურ მოსწორებას [თოთლაძე ლ.,2015].

მარტივი მეთოდები: პროგნოზირების ამ კატეგორიაში მოიაზრება საშუალოს, მიამიტურ, სეზონურ-მიამიტურს და დრეიფის მეთოდი.

საშუალოს მეთოდი: ამ მეთოდის მიხედვით საპროგნოზო მონაცემი გაინგარიშება, როგორც ისტორიული მონაცემების საშუალო არითმეტიკული [გელაშვილი ს., 2017]. თუ არსებულ (ისტორიულ) მონაცემებს ავლნიშნავთ Y_1, Y_2, \dots, Y_T , მაშინ საპროგნოზო მაჩვენებელი იქნება:

$$Y_{T+H|T} = \frac{1}{T} \sum_{i=1}^T Y_i$$

ეს მეთოდი შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც დროით მწკრივის ასევე, კროს-სექციური მონაცემების ანალიზისთვის.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მთლიანი რეალური ინვესტიციების საპროგნოზო მნიშვნელობა 2018 წლის I კვარტალში საქართველოს მაგალითზე იქნება:

$$I_{T+1|T} = \frac{1}{60} \sum_i^{60} = 1I_i = 1519.36 \text{ (მლნ. ლ.)}$$

მიამიტური მეთოდი: აღნიშნული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ დროითი მწკრივის მონაცემებისათვის. საპროგნოზო მნიშვნელობა განისაზღვრება, ბოლო დაკვირვების წერტილის მნიშვნელობის მიხედვით. თუ ისტორიულ მონაცემებს ავლნიშნავთ როგორც Y_1, Y_2, \dots, Y_T , მაშინ საპროგნოზო მნიშვნელობა Y_T იქნება. აღნიშნული მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ღირებულია ეკონომიკური და ფინანსური დროითი მწკრივების პროგნოზირებისთვის.

მიამიტური მეთოდით პროგნოზირებისას მთლიანი ინვესტიციების რეალური საპროგნოზო რეალური მნიშვნელობა 2018 წლის I კვარტალში ტოლი იქნება 2017 წლის IV კვარტალის მნიშვნელობის, რაც 3107.35 მლნ. ლ.-ს შეადგენს.

სეზონურ-მიამიტური მეთოდი: ეს მეთოდი გამოიყენება იმ მონაცემთა საპროგნოზო მნიშვნელობის დასადგენად, რომელთაც მაღალი სეზონურობა ახასიათებთ. ამ მეთოდით გამოთვლილი საპროგნოზო მნიშვნელობა ტოლია იგივე წინა სეზონის ბოლო მნიშვნელობის.

Y_{T+H-m} სადაც m -სეზონის ნიშანს აღნიშნავს, ხოლო $k = \left[\frac{H-1}{m} \right] + 1$. ამ მეთოდის მიხედვით თუ

გვინტერესებს მაგალითად ცვლადის მნიშვნელობა თებერვლის თვეში იგი ტოლი იქნება წინა თებერვლის დაკვირვებადი (არსებული) მონაცემისა.

სეზონურ მიამიტური პროგნოზირებისას მთლიანი ინვესტიციების რეალური საპროგნოზო რეალური მნიშვნელობა 2018 წლის I კვარტალში ტოლი იქნება 2017 წლის I კვარტალის მნიშვნელობის, რაც 1591.28 მლნ. ლ.-ს შეადგენს.

დრეიფის მეთოდი: ამ მეთოდის გამოყენება ეფუძნება დაშვებას, რომ ცვლილებები ხანგრძლივ პერიოდში ითვლება ისტორიულ მონაცემებში გამოვლენილ საშუალო ცვლილებად. შესაბამისად საპროგნოზო მნიშვნელობა $n+h$ პერიოდისთვის გაინგარიშება შემდეგნაირად [თოთლაძე ლ.,2015]:

$$Y_T + \frac{h}{T-1} \sum_{i=2}^h (Y_i - Y_{i-1}) = Y_h + h \left(\frac{Y_T - Y_1}{T-1} \right)$$

ფაქტიურად ეს ექვივალენტურია იმისა, რომ დაკვირვების პირველ და ბოლო მონაცემზე გავავლოთ წრფე და მოვახდინოთ მისი ექსტრაპოლირება მომავალში.

დრეიფის მეთოდის გამოყენებით 2018 წლის I კვარტალის მთლიანი რეალური ინვესტიციების საპროგნოზო მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგნაირად:

$$I_T + \frac{h}{T-1} \sum_i^h = 2(I_T - I_{T-1}) = I_n + h \left(\frac{I_T - I_1}{T-1} \right) = 3107.35 + 1 \left(\frac{3107.35 - 918.42}{60 - 1} \right) = 3144.45 \text{ (მლნ. ლ.)}$$

რეგრესია: რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენების არსი პროგნოზირებისთვის მდგომარეობს შემდეგში: ვაგებთ მოდელს, სადაც ფაქტორულ ცვლადის როლში გვევლინება დროის გამომსახველი ცვლადი. აღნიშნული მოდელის შეფასებით ვღებულობთ კოეფიციენტებს, ხოლო შემდეგ ნაბიჯზე მიღებული შედეგების მიხედვით ვითვლით შედეგობრივი ცვლადის სამომავლო მნიშვნელობას. მაგალითად თუ მოდელს აქვს შემდეგი სახე [თოთლაძე ლ., 2015]:

$$y_t = b_0 + b_1 t + u_t$$

ამ მოდელის შეფასებისას განვსაზღვრავთ b_0 და b_1 ხოლო შემდეგ ეტაპზე t ფაქტორის მნიშვნელობად ავიღებთ მომავალ პერიოდს და გამოვითვლით შედეგობრივი ცვლადის საპროგნოზო მნიშვნელობას y_{t+1} .

საქართველოს მაგალითზე მოდელის ემპირიული რეალიზაციით ვღებულობთ:

ცხრილი 1: ინვესტიციების რეგრესიის მოდელი დროითი ფაქტორის გათვალისწინებით

Dependent Variable: I
 Method: Least Squares
 Date: 04/08/18 Time: 14:49
 Sample: 2003Q1 2017Q4
 Included observations: 60

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
T	20.55813	3.257904	6.310232	0.0000
C	892.3337	114.2669	7.809209	0.0000

R-squared	0.407068	Mean dependent var	1519.357
Adjusted R-squared	0.396845	S.D. dependent var	562.7297
S.E. of regression	437.0330	Akaike info criterion	15.03066
Sum squared resid	11077874	Schwarz criterion	15.10047
Log likelihood	-448.9198	Hannan-Quinn criter.	15.05797
F-statistic	39.81902	Durbin-Watson stat	1.331556
Prob(F-statistic)	0.000000		

$$I_t = 892.3337 + 20.55813 * t + u_t$$

მოდელი სტატისტიკურად ვარგისია ($F > F$ კრ.) ამასთან მიიღება H_1 ჰიპოთეზა 1%-იანი მნიშვნელოვნების დონით კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შესახებ. აღსანიშნავია ფაქტი,

რომ დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტების მნიშვნელობები (0.41; 0.4) არცთუ მაღალია.

აღნიშნული მეთოდით 2018 წლის I კვარტალის რეალური მთლიანი ინვესტიციების მნიშვნელობა ტოლი იქნება:

$$I_{61} = 892.3337 + 20.55813 * 61 = 2146.37963 \text{ (მლნ. ლ)}$$

მცოცავი საშუალოს მეთოდი: ეს მეთოდი გამოიყენება მოკლევადიან დროით მწკრივებში, სადაც მკვეთრად არ არის გამოკვეთილი განვითარების ტენდენცია (ტრენდი). მცოცავი საშუალოს მეთოდის გამოყენებისას დროითი მწკრივების ფაქტიური დონეები იცვლება გაანგარიშებული დონეებით, რომლებსაც მნიშვნელოვნად ნაკლები მერყეობა ახასიათებთ. ამასთან გაანგარიშება ხორციელდება განსაზღვრული ინტერვალის ჯგუფის მონაცემთათვის და ყოველი შემდეგი ჯგუფი იქნება ერთი დონით გადანაცვლებული [გელაშვილი ს., 2017]. ამ ოპერაციის განხორციელებას მწკრივის მოსწორებას ეძახიან, ხოლო გაანგარიშების დროს თითქოს საშუალო მნიშვნელობა მიცოცავს ერთი პერიოდიდან მეორისკენ, რის გამოც იგი ცნობილია როგორც მცოცავი საშუალოს მეთოდი. მცოცავ საშუალოს მეთოდის გამოყენებისას ირჩევა „ფანჯარა“ ანუ ის მნიშვნელობა თუ რამდენი მონაცემის გასაშუალოება მოხდება ახალი დონეების მისაღებად. მ რიგის მცოცავი საშუალო მოიცემა შემდეგი სახით:

$$T_t = \frac{1}{m} \sum_{j=-k}^k y_{t+j}$$

სადაც $m=2k+1$.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას შესაძლოა შევხდეთ მის მოდიფიკაციებს, რომელებიც მიმართულია პროგნოზირების სიზუსტის გაზრდისთვის. მაგალითად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მცოცავი საშუალო, რათა საშუალო გახდეს სიმეტრიული. მაგალითისთვის, თუ მოსწორება მოხდა 4 რიგით, მისი სიმეტრიულობისთვის შესაძლოა მიღებული მონაცემები კიდევ მოვასწოროთ 2 რიგით. შესაბამისად, მისი სიზუსტე შედარებით მაღალი იქნება. თუ კვლევისას დგინდება, რომ მწკრივის დონეებს აქვთ განსხვავებული მნიშვნელობა, შესაძლოა მწკრივის ახალი დონეების მისაღებად მარტივი

საშუალო არითმეტიკულის ნაცვლად გამოყენებულ იქნას საშუალო შეწონილი.

საქართველოს მაგალითზე 3 რიგის მცოცავი საშუალოს გამოყენებით მთლიანი რეალური ინვესტიციების მნიშვნელობების ახალ დონეებს ექნებათ შემდეგი სახე:


ცხრილი 2: 3 რიგიანი მცურავი საშუალოს მნიშვნელობები

წელი	კვარტალი	MA(3) მნიშვნელობა	წელი	კვარტალი	MA(3) მნიშვნელობა
2003	I		2010	III	1298.978
2003	II	1014.246	2010	IV	1263.37
2003	III	1139.414	2011	I	1212.967
2003	IV	1147.989	2011	II	1320.305
2004	I	1136.984	2011	III	1653.665
2004	II	1091.882	2011	IV	1643.869
2004	III	1210.125	2012	I	1621.225
2004	IV	1181.614	2012	II	1672.703

2005	I	1225.979	2012	III	1891.849
2005	II	1265.768	2012	IV	1624.809
2005	III	1468.24	2013	I	1456.465
2005	IV	1425.273	2013	II	1403.086
2006	I	1313.329	2013	III	1690.524
2006	II	1267.6	2013	IV	1613.451
2006	III	1420.461	2014	I	1701.101
2006	IV	1456.623	2014	II	1754.046
2007	I	1387.46	2014	III	2115.579
2007	II	1587.174	2014	IV	1989.511
2007	III	1687.649	2015	I	1965.93
2007	IV	1632.82	2015	II	1902.788
2008	I	1352.511	2015	III	2246.706
2008	II	1227.544	2015	IV	2101.798
2008	III	1393.118	2016	I	2102.196
2008	IV	1049.622	2016	II	1981.443
2009	I	786.7954	2016	III	2454.232
2009	II	521.7088	2016	IV	2255.114
2009	III	732.3307	2017	I	2226.094
2009	IV	781.5512	2017	II	1995.132
2010	I	847.5225	2017	III	2500.489
2010	II	975.4013	2017	IV	

განგარიშებული დონეების განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე მოსალოდნე-
ლია ინვესტიციების ზრდა მომდევნო პერიოდებში.

ცხრილი 3: 3 რიგიანი მცურავი საშუალოს დროში განვითარების ტენდენცია



ექსპონენციალური მოსწორება: ექსპონენციალური მოსწორების მეთოდი არის კომპრომისი
მიამიტურ და საშუალო არითმეტიკული მეთოდისა. კერძოდ მიამიტური მეთოდის დროს
მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ დაკვირვებად მნიშვნელობას, როდესაც არითმეტიკულის
დროს ყველა დაკვირვებას თანაბარი მნიშვნელობა აქვს. ექსპონენციალური მოსწორების დროს
დაკვირვებად ემპირიულ მონაცემებს განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია კვლევისათვის.

ექსპონენციალური მოსწორების მეთოდი პირობითად შესაძლებელია დავყოთ, როგორც
მარტივ და შეწონილ მეთოდად.

მარტივი ექსპონენციალური მოსწორებისას საპროგნოზო მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც მიმდინარე და წინა დაკვირვებების წრფივ კომბინაციად და მას შემდეგი სახე გააჩნია [თოთლაძე ლ.,2015]:

$$Y_{T+1|T} = aY_T + a(1-a)Y_{T-1} + a(1-a)^2Y_{T-2} + \dots$$

სადაც $0 \leq a \leq 1$ მოსწორების პარამეტრია. თუ მოსწორების პარამეტრი ახლოსაა 0-თან მაშინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაკვირვებებს რომლებიც შორს არიან დროში, როდესაც ის ახლოსაა 1-თან მაშინ - ბოლო დაკვირვებებს. აღსანიშნავია ფაქტი რომ პროგნოზირების ამ მეთოდის წონები ქმნიან გეომეტრიულ პროგრესიას რომელთა ჯამი 1-ის ტოლია.

შეწონილი ექსპონენციალური მოსწორების მეთოდის დროს საპროგნოზო მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც მიმდინარე ემპირიული მნიშვნელობის და წინა საპროგნოზო მნიშვნელობის შეწონილ საშუალოდ (წრფივ კომბინაციად).

$$Y_{T+1|T} = aY_T + (1-a)Y_{T|T-1}$$

სადაც $0 \leq a \leq 1$ მოსწორების პარამეტრია. შეწონილ ექსპონენციალური მოსწორების მეთოდის სრული პროცესი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$Y_{2|1} = aY_1 + (1-a)I_0$$

$$Y_{3|2} = aY_2 + (1-a)Y_{2|1}$$

$$Y_{4|3} = aY_3 + (1-a)Y_{3|2}$$

... ..

$$Y_{T+1|T} = aY_T + (1-a)Y_{T|T-1}$$

სადაც $I_0 Y_{2|1}$ -ის გაანგარიშების პროგნოზის საწყისი მნიშვნელობაა.

აღნიშნულ განტოლებათა სისტემაში რეკურენტული ჩასმის ხერხით ვღებულობთ:

$$Y_{T+1|T} = \sum_{j=0}^{T-1} a(1-a)^j Y_{T-j} + (1-a)^T I_0$$

ექსპონენციალური მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია შეფასდეს მოსწორების a პარამეტრი, რაც მკვლევარის შეხედულებაზეა დამოკიდებული. შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სუბიექტური მოსაზრება ასევე, მონაცემთა ბაზეზე ძიების მეთოდი.

მარტივი ექსპონენციალური მოსწორებით, როდესაც $a = 0.3$, საქართველოს მთლიანი რეალური ინვესტიციების საპროგნოზო მნიშვნელობა 2018 წლის I კვარტლში იქნება:

$$I_{2018I,33} = 0.3 * I_{2017IV,33} + 0.3 * 0.7 * I_{2017III,33} + 0.3 * 0.49 * I_{2017II,33} + \dots = 2446.86$$

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში მეტად გამოყენებად მნიშვნელობას $a = 0.3$ წარმოადგენს. ამასთან, შეწონილი ექსპონენციალური მოსწორების გამოყენება ეფუძნება დაშვებას პირველი პროგნოზის შესახებ. ვინაიდან პროგნოზირება ხდება ბოლო ეტაპზე დამატებითი დაშვების შემოტანა მეტად გააუარესებს საპროგნოზო მნიშვნელობას.

წამყვანი ინდიკატორების მეთოდი: მაკროეკონომიკაში ინდიკატორები შესაძლებელია დავაჯგუფოთ, როგორც წინმსწრე, მიმდინარე და ლაგურ ინდიკატორებად. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დროში ორ ან მეტ ინდიკატორს შორის კავშირი. წინმსწრე ინდიკატორების ცვლილებას მოსდევს გარკვეულ ინდიკატორთა დროში ლაგური მოქმედება. მაგალითად საპროცენტო განაკვეთის ან მომხმარებელთა ნდობის ინდექსის ცვლილებით შესაძლებელია ვივარაუდოთ ეკონომიკური ზრდის ან კლების ტენდენცია. რაც შეეხება მიმდინარე ინდიკატორებს ისინი იცვლებიან დროში ერთდროულად და ეკონომიკურ პროგნოზირებაში მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. ლაგურ ინდიკატორს ახასიათებს ინდიკატორთა ცვლილების დროში დაყოვნება ისინი ფართოდ გამოიყენება მთლიანი შიგა პროდუქტის წინასწარი მონაცემების გადამოწმების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ წინმსწრე ინდიკატორების გამოყენება საპროგნოზო მნიშვნელობისთვის მოითხოვს მკვლევარის მიერ ინდიკატორთა შორის კავშირ-ურთიერთობების წინასწარ გამოვლენას და ეტალონური ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მეთოდის გამოყენება საჭიროებს წინასწარ დიდი რაოდენობის კვლევების ჩატარებას და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მკვლევარის სუბიექტური აზრი დაამახინჯებს კვლევის შედეგებს.

დროითი მწკრივების მეთოდი: დროითი მწკრივებით პროგნოზირების ერთიანი მეთოდი არ არსებობს, ვინაიდან საკვლევი ცვლადის მომავალი მნიშვნელობის პროგნოზირებისთვის უნდა აიგოს მოდელი. შესაბამისად მოდელები შესაძლებელია ტრუქტურულად მეტად განსხვავებულები აღმოჩნდნენ. პროგნოზირებისთვის ხშირად გამოყენებად მოდელს მიეკუთნება ARMA მოდელი მისი სიმარტივიდან გამომდინარე. დროითი მწკრივების მეთოდის პროგნოზირებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ინფორმაციული სიმრავლე საკვლევი ობიექტის შესახებ. დროით მწკრივებით კვლევაში იგულისხმება, რომ ინფორმაციული სიმრავლე (I_t) t მომენტისათვის შეიცავს y_t -ს და მის ყველა წინა ლაგს. შესაბამისად გვექნება

$$I_T = \{y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots, y_{-\infty}\}$$

ზოგადად პროგნოზი $\hat{y}_{T+h|T}$ წარმოადგენს ამ ინფორმაციული სიმრავლის ცვლადების ფუნქციას. მრავალი ფუნქციებიდან ასეთი ფუნქციის არჩევის კრიტერიუმს წარმოადგენს პროგნოზის შეცდომის კვადრატის მათემატიკური ლოდინის მინიმიზირება [ანანიაშვილი ი., 2014]:

$$E\left\{\left(y_{T+h} - \hat{y}_{T+h|T}\right)^2 \middle| I_T\right\}$$

დამტკიცებულია, რომ y_{T+h} -სთვის საუკეთესო პროგნოზს იმ პირობებში, როცა დროის T მომენტში მოცემულია ინფორმაციული I_T სიმრავლე, წარმოადგენს y_{T+h} -ის პირობითი მათემატიკური ლოდინი. პირობითი მათემატიკური ლოდინის $E\{y_{T+h}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots\}$ აღსაწერად როდესაც y_t აღიწერება ARMA პროცესით სასურველია განვიხილოთ AR(1) პროცესი

$$y_t = \theta y_{t-1} + \varepsilon_t$$

y_{T+1} -თვის გვექნება

$$y_{T+1} = \theta y_T + \varepsilon_{T+1}$$

მაშასადამე,

$$y_{T+1|T} = E(y_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = E(\theta y_T + \varepsilon_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = \theta y_T + E(\varepsilon_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = \theta y_T$$

ვინაიდან ε_{T+1} თეთრი ხმაურის პროცესი არაპროგნოზირებადია.

y_{T+2} -სათვის

$$y_{T+2|T} = E(y_{T+2}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = E(\theta y_{T+1} + \varepsilon_{T+2}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = \theta E(y_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = \theta^2 y_T$$

ზოგადად ვლემბულობთ

$$y_{T+h|T} = \theta^h y_T$$

აღსანიშნავია რაც დიდია h საპროგნოზო ფუნქცია $y_{T+h|T}$ ნულისკენ ანუ γ -ის საშუალო მნიშვნელობისკენ მიისწრაფის, ვინაიდან $\|\theta\| < 1$ ანალოგიური წესით გამოთვლება საუკეთესო პროგნოზი არანულოვანი μ საშუალოს მქონე AR(1) პროცესითვის [ანანიაშვილი ი., 2014].

$$y_{T+h|T} = E(y_{T+h}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = \mu + \theta^h (y_T - \mu)$$

ახლა განვიხილოთ MA(1) პროცესი

$$y_t = \varepsilon_t + a\varepsilon_{t-1}$$

ამ შემთხვევაში გვექნება

$$y_{T+1|T} = E(y_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = E(\varepsilon_{T+1} + a\varepsilon_T|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = a\varepsilon_T$$

სადაც იგულისხმება, რომ ε_T დაკვირვებადია, ეს დაშვება კანონიერია თუ MA პროცესი შებრუნებადია [ანანიაშვილი ი., 2014].

MA(1) პროცესის შებრუნებადობის შემთხვევაში სრულდება შემდეგი პირობა:

$$\varepsilon_t = \sum_{j=0}^{\infty} (-a)^j y_{t-j}$$

აქედან გამომდინარე გვექნება:

$$y_{T+1|T} = a \sum_{j=0}^{\infty} (-a)^j y_{T-j}$$

ორი ტაქტის შემდეგ გაკეთებული პროგნოზი იქნება:

$$y_{T+2|T} = E(y_{T+2}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) + aE(\varepsilon_{T+1}|y_T, y_{T-1}, y_{T-2}, \dots) = 0$$

როგორც ვხედავთ MA(1) პროცესის 2 ტაქტით ან მეტით პროგნოზირება არა ინფორმაციულია.


აღნიშნული მსჯელობების გათვალისწინებით ARMA(p,q) მოდელის საპროგნოზო მნიშვნელობების ზოგად ფორმულას ექნება შემდეგი სახე [ანანიაშვილი ი., 2014]:

$$y_{T+h|T} = \theta y_{T+h-1|T} + \varepsilon_{T+h|T} + a\varepsilon_{T+h-1|T} = \theta y_{T+h|T} = \theta^h y_T + \theta^{h-1} a \sum_{j=0}^{h-1} (-a)^j (y_{T-j} - \theta(y_{T-j-1}))$$

აღსანიშნავია ფაქტი, რომ ARMA(p,q) მოდელით მიღებული პროგნოზის ეფექტიანობას შესაძლებელია მივაღწიოთ დროის შედარებით ბევრ ტაქტში.

საქართველოს მაგალითზე ინვესტიციების დასახასიათებლად ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს AR(1), რომელსაც აკაკის და შვარცის კრიტერიუმის მინიმალური მნიშვნელობა გააჩნია.

ცხრილი 4: AR(1) მოდელით პროგნოზირება



Forecast: EQ02_DYN	
Actual: I	
Forecast sample: 2003Q1 2018Q4	
Adjusted sample: 2003Q2 2018Q4	
Included observations: 59	
Root Mean Squared Error	333.0248
Mean Absolute Error	252.9909
Mean Abs. Percent Error	24.31397
Theil Inequality Coefficient	0.102700
Bias Proportion	0.002377
Variance Proportion	0.073014
Covariance Proportion	0.924609

აღნიშნული მეთოდით საპროგნოზო მნიშვნელობა 2018 წლის 1 კვარტალში იქნება 1831 (მლნ. ლარი). აღსანიშნავია, რომ მოდელი შეიცავს თავისუფალ წევრს და კვარტლების აღმნიშვნელ ფიქტიურ ცვლადებს, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვნები არიან

ცხრილი 5: AR (1) მოდელის ემპირიული რეალიზაცია

Dependent Variable: I
 Method: Least Squares
 Date: 04/09/18 Time: 19:47
 Sample (adjusted): 2003Q2 2017Q4
 Included observations: 59 after adjustments
 Convergence achieved after 3 iterations

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	1157.909	216.3006	5.353239	0.0000
@TREND	23.25859	5.872371	3.960680	0.0002
@QUARTER=1	-722.0087	77.70432	-9.291745	0.0000
@QUARTER=2	-412.5556	87.08931	-4.737155	0.0000
@QUARTER=3	-185.8516	75.75733	-2.453250	0.0175
AR(1)	0.624033	0.112394	5.552188	0.0000
R-squared	0.774046	Mean dependent var	1529.542	
Adjusted R-squared	0.752729	S.D. dependent var	561.9544	
S.E. of regression	279.4393	Akaike info criterion	14.19959	
Sum squared resid	4138576.	Schwarz criterion	14.41087	
Log likelihood	-412.8880	Hannan-Quinn criter.	14.28206	
F-statistic	36.31213	Durbin-Watson stat	2.399179	
Prob(F-statistic)	0.000000			

ამასთან გენერალური ერთობლიობიდან გადახრის კოეფიციენტები ახლოს არიან 0-თან, რაც პროგნოზირების მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

დასკვნა

სტატიაში საქართველოს მაგალითზე განხილულია პროგნოზირების ცნობილი რაოდენობრივი მეთოდები ექსტრაპოლაცია, დროითი მწკრივები და წამყვანი ინდიკატორები. ემპირიულ კვლევებში გამოყენებულია საქართველოს მთლიანი ინვესტიციების რეალური კვარტალური მნიშვნელობები, რომლებიც გამოთვლილია მშპ დეფლატორის მეშვეობით. კვლევებით დგინდება, რომ პროგნოზირების განსხვავებული მეთოდებით რეალური მთლიანი ინვესტიციების 2018 წლის I კვარტალის სხვადასხვა საპროგნოზო მნიშვნელობები მიიღება. კერძოდ, საშუალოს მეთოდით მიიღება 1519.36 (მლ.ლ.), მიამიტური მეთოდით - 3107.35 (მლ.ლ.), სეზონურ-მიამიტური მეთოდით - 1591.28 (მლ.ლ.), დრეიფის მეთოდით - 3144.45 (მლ.ლ.), მარტივი ექსპონენციალური მოსწორებით - 2446.86 (მლ.ლ.), რეგრესიით - 2146.38 (მლ.ლ.), დროითი მწკრივებით (AR (1)) - 1831(მლ.ლ.).

პროგნოზირების წამყვანი ინდიკატორების მეთოდის გამოყენება საქართველოს მაგალითზე რეკომენდირებული არ არის, ვინაიდან საპროგნოზო მნიშვნელობისთვის მეთოდი მოითხოვს მკვლევარის მიერ ინდიკატორთა შორის კავშირ-ურთიერთობების წინასწარ გამოვლენას და ეტალონური ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს წინასწარ დიდი რაოდენობის კვლევების ჩატარებას და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მკვლევარის სუბიექტური აზრი დაამახინჯებს კვლევის შედეგებს. ასევე შეწონილი ექსპონენციალური მეთოდის გამოყენებით მიიღება დაბალი ხარისხის საპროგნოზო მნიშვნელობა, ვინაიდან მეთოდი საჭიროებს დამატებით დამუშავების გაკეთებას საწყის პროგნოზის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რაც მეტად შეამცირებს პროგნოზირების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., სალექციო კურსი. მაკრომოდელირება 1. 2014
2. გელაშვილი ს., სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. წიგნი I. თბ., 2017.
3. თოთლაძე ლ., სალექციო კურსი. ეკონომიკური პროგნოზირების მოდელები და მეთოდები. 2015.
4. მიქიაშვილი ნ., სალექციო კურსი. გამოყენებითი ეკონომეტრიკა. 2015.
5. Wooldridge, Jeffrey M. Introductory econometrics: A modern approach. Nelson Education, 2015.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მშპ და ეროვნული შემოსავალი, ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე http://geostat.ge/?action=page&p_id=115&lang=geo

Possibility to calculate the Future value of Georgia's total investment with quantitative Methods of Forecasting

Giorgi Mikeladze
PhD Student

Abstract

Paper discusses quantitative methods of forecasting and opportunities of the practical realization according to Georgian economy. In research 2003-2017 quarterly empirical data of real total Investment is used which is calculated through GDP deflator and total Investment amount.

Real total Investment volume of Georgia in I quarter of 2018 is estimated of various quantitative methods of forecasting. Minimum forecasting value of investment is estimated by average method, which is 1519.36 (ml.Gel), since maximum value is 3144.45 (ml.Gel) which is estimated by drift method.

Keywords: Extrapolation method of forecasting, time series method of forecasting, leading indicators method of forecasting.

საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასება

მარინა მუჩიაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს

ასოცირებული პროფესორი

ელ. ფოსტა: Marina.muchiashvili@tsu.ge

ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებამ 2012 წლის შემდგომ პერიოდში, ასევე ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მოცულობების ზრდამ აქტუალური გახადა საქართველოს ვალის მდგრადობის შეფასების საკითხი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში. საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი (MAC DSA) გვიჩვენებს, რომ ვალის მდგრადობის ყველა ინდიკატორი რეალისტური სცენარის მიხედვით დასაშვებ ჭერებს ქვემოთ რჩება. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას შეიძლება საფრთხე შეექმნას სხვადასხვა სახის შოკების შემთხვევაში (მათგან გამოიყოფა ლარის დევალვაციისა და ეკონომიკის ზრდის ტემპების მკვეთრი დაცემის შემთხვევები). ფისკალური მდგრადობის შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე, ქვეყნის ვალის სტრუქტურისა და ირიბი ვალდებულებების გათვალისწინებაც. ქვეყნის გრძელვადიანი ვალის მდგრადობის უყურუნველყოფისათვის დასაბუთებულია ქვეყნის ხარჯვითი პოლიტიკის არსებითი ხასიათის კორექტირების აუცილებლობა საშუალოვადიან პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური მდგრადობა, სახელმწიფო ვალის მდგრადობა

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ბიუჯეტის დეფიციტების პერმანენტული ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ვალის მოცულობა. შესაბამისად, სახელმწიფო ვალის მდგრადობის შესწავლის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებებით ბოლო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან 10 წლის შემდეგაც ვალის მოცულობები ყოველწლიურად იზრდება და მსოფლიოს მხოლოდ 113 ქვეყნის მთლიანი მაჩვენებლის მიხედვით ეს სიდიდე მსოფლიოს მშპ-ს დაახლოებით 2,3-ჯერ აღემატება, ამასთან, მთლიან ვალში დაახლოებით 2/3 კერძო სექტორის წილად მოდის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი ვალის მჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს - 17,4 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას მნიშვნელოვანი ზომით აღემატება. საქართველოს მთლიან ვალში კერძო სექტორის წილად დაახლოებით 2/3 მოდის.

საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურა სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით თავისებურებებით ხასიათდება. მასში საგარეო ვალის წილად მოდის 78 პროცენტი. აქედან გამომდინარე, ვალის მდგრადობა ლარის კურსის გაუფასურების შემთხვევაში სერიოზული საფრთხის წინაშე დგება.

სახელმწიფო ვალის მიღწეული დონიდან, ვალის სტრუქტურის თავისებურებიდან გამომდინარე, ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შეფასება, ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი რისკების გამოვლენა და მართვა დღეისათვის ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილება.

სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი

ფისკალური მდგრადობის შეფასების საყოველთად მიღებული განსაზღვრება ეკონომისტებს შორის დღემდე არ არსებობს⁵⁷. თუმცა, შედარებით გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით სახელმწიფო ვალი განიხილება როგორც მდგრადი, თუკი დაცულია პერიოდთაშორისი გადახდისუნარიანობის პირობა, ანუ ვალი მდგრადია, თუ მომავალი წლების პირველადი ბალანსების მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულება სრულად ფარავს ვალის თავდაპირველ (საწყის) დონეს.⁵⁸

სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარების მიზანია მთავრობის უნარის შეფასება მოემსახუროს ვალდებულებებს სამუშაოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში. ამ მიზნით ხდება მდგრადობაზე ზემომქმედი რისკ ფაქტორების გამოვლენა და მართვა. ანალიზი ხორციელდება საბაზისო და ალტერნატიული სცენარების მიხედვით. დაშვებები ეხება სხვადასხვა მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ცვლადებს. ეს ცვლადები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

⁵⁷ 1. მ. მუჩიაშვილი. ფისკალური მდგრადობის შეფასება. საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ მასალები. 2014 წლის 23-23 ოქტომბერი, თბილისი, 2014.გვ. 350-354.

2. M. Muchiashvili (co-author): "Fiscal sustainability Analysis (Republic of Georgia). Journal "Economist", #1, Tbilisi, 2016. pp. 79-88.

⁵⁸ 3. Public sector Debt Statistics: Guide for Compilers and users, IMF, 2013.

ფისკალური ცვლადები	მაკროეკონომიკური ცვლადები
სახელმწიფო სექტორის ვალი	ნომინალური მშპ
სახელმწიფო სექტორის ბალანსი	რეალური მშპ
სახელმწიფო სექტორის ხარჯები პროცენტი	ლარის გაცვლითი კურსი/აშშ დოლარზე (პერიოდის ბოლოს)
სახელმწიფო სექტორის შემოსავლები საგარეო ვალი (გამოსახული ეროვნულ ვალუტაში)	ლარის გაცვლითი კურსი/აშშ დოლარზე (პერიოდის საშუალო სიდიდე)
მოკლევადიანი სახელმწიფო სექტორის ვალი საგარეო ვალზე საპროცენტო განაკვეთი	მშპ დეფლატორი

პრაქტიკული თვალსაზრისით ვალის მდგრადობის შეფასება ხდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. სახელმწიფო ვალი განიხილება, როგორც მდგრადი სიდიდე, იმ შემთხვევაში, თუკი: ა) სახელმწიფო ვალი/მშპ -თან, ბ) სახელმწიფო ვალი/ექსპორტთან, გ) სახელმწიფო ვალი/ბიუჯეტის შემოსავლებთან, დ) სახელმწიფო ვალის მომსახურება/ექსპორტთან, ე) სახელმწიფო ვალის მომსახურება/ბიუჯეტის შემოსავლებთან და ვ) ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ-თან საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში არის სტაბილური, კლებადი და საკმარისად დაბალი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის შესაბამისად (MAC DSA) საქართველოს ვალის ტვირთის ინდიკატორები და მათი ზედა ზღვრები შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრება⁵⁹:

პირველი, ე.წ. კრედიტუნარიანობის ინდიკატორები:

-სახელმწიფო ვალი/მშპ-ში <60%.

-სახელმწიფო ვალი/ექსპორტი < 200%.

-სახელმწიფო ვალი/ბიუჯეტის შემოსავლები <300%.

მეორე, ე.წ. ლიკვიდურობის ინდიკატორები:

-სახელმწიფო ვალის მომსახურება/ექსპორტი < 25%.

-სახელმწიფო ვალის მომსახურება/ ბიუჯეტის შემოსავლები < 35%.

ვალი/მშპ-თან ინდიკატორის მიხედვით, სახელმწიფო ვალი ფასდება როგორც არამდგრადი, თუკი ეს მაჩვენებელი პერმანენტულად იზრდება /ან ინარჩუნებს ძალიან მაღალ დონეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასევე, თუ იგი დინამიკაში მცირდება, მაგრამ მაინც მაღალი რჩება, რადგან ამ შემთხვევაშიც ასოცირდება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ძალიან მაღალ რისკებთან, ვალის გარდაუვალ რესტრუქტურირებასთან და შესაძლო დეფოლტთანაც კი.

იმის გამო, რომ საქართველო, სხვა მცირე ზომის ღია ეკონომიკების მსგავსად, ხშირად განიცდის გარე და შიდა შოკების ზემოქმედებას, თუ სახელმწიფო ვალი/ მშპ-ს თანაფარდობა მიუახლოვდება დასაშვებ ჭერებს, ეს მდგომარეობა შეფასდება, როგორც არამდგრადი.

ვალის დინამიკის შესაფასებლად გამოიყენება ფორმულა:

$$d_t = \frac{1 - r_t}{1 + g_t} d_{t-1} - p b_t,$$

სადაც,

r_t -რეალური საპროცენტო განაკვეთი t წელს.

d_t - ვალი t წელს.

⁵⁹ IMF, DSA framework for MAC/ M. Allen, 2005

g_t -ზრდის ტემპი

d_{t-1} -ვალი t-1 წელს.

pb_t -თავდაპირველი ბალანსი t წელს.

მაშასადამე, ვალი/მშპ-ს თანაფარდობაზე მოქმედ ძირითად ფაქტორებად განიხილება: თავდაპირველი ბალანსი (primary balance), ვალის თავდაპირველი (საწყისი) ზომა, რეალური საპროცენტო განაკვეთი და ეკონომიკის ზრდის ტემპი.

თითოეული ცვლადის ზეგავლენა ვალის/მშპ-ს დინამიკაზე სხვადასხვა ხასიათისაა.

კერძოდ, მაღალი თავდაპირველი ბალანსი სახელმწიფო ვალი/მშპ შემცირებას, მაღალი საწყისი სახელმწიფო ვალი ვალი/მშპ-ს ზრდას, მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთი r სახელმწიფო ვალი/მშპს ზრდას მაღალი ზრდის ტემპი (g) (მოქმედებს მშპ-ის ზრდაზე) სახელმწიფო ვალი/მშპ-ს შემცირებას განაპირობებს.

ღია ეკონომიკაში ვალის დინამიკაზე (დელტა D-ზე) (ავტომატური ვალის დინამიკაზე)- ($D_t - D(t-1)$ -ზე)) ზემოქმედი ფაქტორები კი მოიცემა შემდეგი ფორმულით:

$$d_t - d_{t-1} = \frac{i_t^w - \pi_t(1 + g_t)}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} - \frac{g_t}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} + \frac{\varepsilon_{ia,t-1}}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} - pb_t + ot_t$$

სადაც,

i_t^w -შიდა და საგარეო ნომინალური გაცვლითი კურსების შეწონილი საშუალოა,

ε_t -გაცვლითი კურსის გაუფასურების დონე.

a_t -უცხოურ ვალუტაში სესხის წილი.

g_t -მშპ-ს ზრდის ტემპი.

d_t -მთლიანი ვალი წელს.

d_{t-1} - მთლიანი ვალი წელს

pb_t -თავდაპირველი ბალანსი წელს.


ot_t -სხვა ნაკადები, მაგალითად პრივატიზაციიდან შემოსულობები და სხვა.

$\frac{i_t^w - \pi_t(1 + g_t)}{(1 + g_t)(1 + \pi_t)}$ -რეალური საპროცენტო განაკვეთის წვლილია.

$\frac{g_t}{(1 + g_t)(1 + \pi_t)}$ -რეალური მშპ-ს ზრდის წვლილი.

$\frac{\varepsilon_{ia,t-1}}{(1 + g_t)(1 + \pi_t)}$ -გაცვლითი კურსის დაცემის წვლილი.

საიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფო ვალის დინამიკასა და ეფექტურ რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის, ასევე, სახელმწიფო ვალის დინამიკასა და გაცვლითი კურსის გაუფასურებას შორის პირდაპირ პროპორციული კავშირია. ასევე, და სხვა ნაკადების (მაგალითად, შემოსავლები პრივატიზაციიდან) კონტრიბუციაც დადებითია ვალის დინამიკის განტოლებაში. ხოლო სახელმწიფო ვალის დინამიკასა და რეალურ ზრდის ტემპს შორის უკუპროპორციული კავშირია. ამასთან, ვალის დინამიკაში თავდაპირველ ბალანსის კონტრიბუცია მინუს ნიშნით შედის.



გრაფიკიდან ჩანს, რომ 2012 წლის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ვალი/ მშპ-თან თანაფარდობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერიოდში საჭიროა ტრენდის მიმართულების შეცვლა და ვალი/მშპ-ს მაჩვენებლების თანდათანობითი შემცირება. ამასთან, ეს დონე უნდა შენარჩუნდეს ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობის პირობების დაცვა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ვალის მდგრადობის ანალიზში გამოყენებულია საბაზისო და ალტერნატიული სცენარები და ამ სცენარებში შესაბამისი დაშვებებია მოდელში შესატან მაკროეკონომიკურ ცვლადებზე (რეალური მშპ ზრდა, გაცვლითი კურსი, მშპ დეფლატორი, საპროცენტო განაკვეთები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სხვა).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული ვალის მდგრადობის ანალიზი⁶⁰ რეალისტური სცენარის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ვალის მდგრადობის ყველა ინდიკატორი დასაშვებ ჭერებს ქვემოთაა. მიუხედავად ამისა, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს მაგალითზე სახელმწიფო ვალი/ მშპ-თან მაჩვენებლის გაუარესებაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსისა და ზრდის ტემპების ცვლილებებით გამოწვეულმა შოკები.

ეკონომიკური სიტუაციების პესიმისტური სცენარის მიხედვით განვითარების შემთხვევის (ცალკეული სახის ძლიერი შოკების), ან ერთროულად რამდენიმე ძლიერი შოკის ზემოქმედების შედეგად, ან შოკების ხანგრძლივ პერიოდში ზემოქმედების დროს ვალის მდგრადობის ყველა ინდიკატორი საშუალოვადიან პერიოდში გადააჭარბებს დასაშვებ ჭერებს და შესაბამისად, ამ შემთხვევებში საფრთხე შეექმნება ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვალის მდგრადობის შეფასებისათვის ზემოთ აღნიშნული მოდელი იყენებს ინფორმაციას მხოლოდ სახელმწიფო ვალის შესახებ და არ მოიცავს სახელმწიფო კორპორაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების(სსიპ) ვალის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, რეალურად სსიპ-ები წარმოადგენენ კვაზი- სახელმწიფო კორპორაციებს, თუმცა ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, საჭიროა მათ მიერ აღებული ვალების კონსოლიდაცია სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში. რაც კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფო ვალის ტვირთს და გაამწვავებს ვალის მდგრადობის შენარჩუნების პრობლემას საქართველოში.

⁶⁰ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: „ მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2018-2027“ , თბილისი, 2017.

ვალის მდგრადობის ზემოთმოცემულ ანალიზთან მნიშვნელოვანია მოხდეს ვალის მდგომარეობის შეფასება ვადიანობისა და სავალუტო სტრუქტურის კუთხით. აღნიშნულისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაანგარიშებული უნდა შევნიშნოთ, რომ ვალის მდგრადობის შეფასებისათვის ზემოთ აღნიშნული მოდელი იყენებს ინფორმაციას მხოლოდ სახელმწიფო ვალის შესახებ და არ მოიცავს სახელმწიფო კორპორაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების(სსიპ) ვალის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, რეალურად სსიპ-ები წარმოადგენენ კვაზი-სახელმწიფო კორპორაციებს, თუმცა ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, საჭიროა მათ მიერ აღებული ვალების კონსოლიდაცია სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში. რაც კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფოს ვალის ტვირთს და გაამწვავებს ვალის მდგრადობის შენარჩუნების პრობლემას საქართველოში. ვალის მდგრადობის ზემოთმოცემულ ანალიზთან მნიშვნელოვანია მოხდეს ვალის მდგომარეობის შეფასება ვადიანობისა და სავალუტო სტრუქტურის კუთხით. აღნიშნულისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გაანგარიშებული უნდა შევნიშნოთ, რომ ვალის მდგრადობის შეფასებისათვის ზემოთ აღნიშნული მოდელი იყენებს ინფორმაციას მხოლოდ სახელმწიფო ვალის შესახებ და არ მოიცავს სახელმწიფო კორპორაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების(სსიპ) ვალის შესახებ ინფორმაციას. თუმცა, რეალურად სსიპ-ები წარმოადგენენ კვაზი-სახელმწიფო კორპორაციებს, თუმცა ისინი დაფინანსებას იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად, საჭიროა მათ მიერ აღებული ვალების კონსოლიდაცია სახელმწიფო ვალის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში. რაც კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფოს ვალის ტვირთს და გაამწვავებს ვალის მდგრადობის შენარჩუნების პრობლემას საქართველოში.

შესადარი ნიშნულების ზღვრები ცალკეული ინდიკატორებისათვის რისკების შესაფასებლად ⁶¹. მათ შორის საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ორი ინდიკატორი: უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში და მოკლევადიანი სახელმწიფო ვალის ცვლილება.

მოკლევადიანი სახელმწიფო ვალის ცვლილების მაჩვენებლის მიხედვით იგი არ ხვდება დასაშვებ ინტერვალს ზემოთ ⁶². კერძოდ, ბოლო ორ წელიწადში მოკლევადიანი ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში შემცირდა და ის დასაშვებ ზღვარს ქვემოთაა. თუმცა, 78% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც ინტერვალის ზედა მაჩვენებელს (60%) მნიშვნელოვნად აღემატება. ვალის უმეტესი ნაწილის უცხოურ ვალუტაში ფლობა აძლიერებს გაცვლითი კურსის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს ვალის მომსახურებისა და დაფარვის თვალსაზრისით.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტების ანალიზიდან ირკვევა, რომ 2013 წლიდან დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ძირითადად სოციალური ორიენტაციისაა და შესაბამისად, შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში შედარებით ნაკლები თანხები რჩება მომავალი ეკონომიკური ზრდისაკენ უფრო მეტად ორიენტირებული სფეროების: განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

⁶¹ „Staff Guidance Note for Public Debt Sustainability Analysis in Market-Access Countries” IMF 2013

⁶² სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2015 წელი.

ბოლო წლებში ბიუჯეტიდან განხორციელებულ გადასახდელებში 15 %-ზე მეტი კრედიტების წილად მოდის, ბიუჯეტი წლიდან წლანდე დეფიციტურია, რაც ზრდის სახელმწიფო ვალის მოცულობებსა და შესაბამისად, მათი მომსახურების ხარჯებს ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში. ვალის ზრდად ბილიკზე დადგომის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, ფისკალური მდგრადობის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილად მიგვაჩია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელოვანი ზომით კორექტირება (მმართველობითი აპარატის ხარჯების, სსიპ-ს და სხვა ხარჯების შემცირება) და ბიუჯეტის ფინანსური რესურსების უპირატესი წარმართვა ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული სფეროების დაფინანსებისაკენ.

2014 წლიდან დღემდე ქვეყნის ფისკალურ მდგრადობის შენარჩუნებას პრობლემას უქმნის ბიუჯეტის დეფიციტის პერმანენტული ზრდა და ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტის არათანაბარზომიერი განაწილება. ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ასევე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ფისკალური რისკების დროული განსაჯაროება და მართვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მუჩიაშვილი. ფისკალური მდგრადობის შეფასება. საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ მასალები. 2014 წლის 23-23 ოქტომბერი, თბილისი, 2014.
2. M. Muchiashvili (co-author): “Fiscal sustainability Analysis (Republic of Georgia). Journal “Economist”, #1, Tbilisi, 2016. pp. 79-88.16.
3. Public sector Debt Statistics: Guide for Compilers and users, IMF, 2013.
4. IMF, DSA framework for MAC/ M. Allen, 2005.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: „ მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2018-2027“ , თბილისი, 2017.
6. . Staff guidance note for public debt sustainability analysis for MAC. IMF, May, 2013; Public sector debt statistics. Guide for compilers and users. IMF, 2011.
7. სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2015 წელი.

Assessment of Georgia's State Debt Sustainability

Marina Muchiashvili

Doctor of Economics, TSU

Abstract

The decrease of economic growth rates in Georgia and increased fiscal deficit and state debt (both, foreign and internal) of the country in 2012-2017 (moreover, Georgia ranks first in the region with its public debt as % of GDP increase from 2012-2017), have made it actual to assess

the debt sustainability of the country both, in medium-term and long-term perspectives. The analysis evidenced that by 2017, the marginal indicators of fiscal sustainability (public debt/ GDP, state debt/budget revenue and public debt/export) of Georgia remained below the thresholds. Despite this, the fiscal sustainability of Georgia may be threatened in the long-term perspective due to the different shocks (severe currency devaluation being an important factor among them), significant growth of the

future social liabilities, growing scales of subsidies for different branches of economy and increasing gross external debt of Georgia (which already exceeds 100% of GDP). Without urgent adjustments in the fiscal policy, disclosures and management of fiscal risks, in the long run, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses. The article emphasizes that the macroeconomic stability and stable economic growth of Georgia in the medium-term and long-term perspective needs gradual adjustments of the fiscal policy.

Keywords: Public finance, fiscal sustainability, public debt sustainability, fiscal policy.

ფისკალური მდგრადობისა და ფისკალური რისკების სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

მარინა მუჩიაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: Marina.muchiashvili@tsu.ge

სოფიო რუხაძე ეკონომიკის მაგისტრი
ელ.ფოსტა: s.ruxadze3@gmail.com

ანოტაცია

ქვეყნის ფისკალური მდგრადობის ანალიზის ჩატარების მიზანია საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში სახელმწიფოს ვალის ვალდებულებების მომსახურების უნარის შეფასება სხვადასხვა რისკ ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ქვეყნის ვალის მზარდ ბილიკზე დადგომის, ასევე, ქვეყნის კრედიტუნაროდ გამოცხადების, ან სოციალური, განათლებისა და სხვა მნიშვნელოვანი სფეროების პროგრამების დაფინანსების მკვეთრი შეზღუდვისა ან უკიდურეს შემთხვევაში, მათი დაფინანსების შეჩერების უმწვავესი პრობლემები. შესაბამისად, ფისკალური მდგრადობის ანალიზი ემსახურება საბიუჯეტო გამჭვირვალობისა და საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის ზრდას.

ფისკალური მდგრადობის შეფასების მიზნით ნაშრომში წარმოდგენილია ამ სფეროში გამოყენებული თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და მეთოდების მოკლე მიმოხილვა. მათზე დაყრდნობით საბაზისო და ალტერნატიული სცენარების მიხედვით შეფასებულია მთავრობის ვალის მდგრადობა. შეფასებები მიღებულია ვალის მდგრადობაზე საბაზისო (რეალისტური) სცენარისა და სხვადასხვა ტიპის ერთჯერადი შოკების: რეალური მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთისა და ბიუჯეტის დეფიციტის და მრავლობითი შოკ ტესტის მიხედვით.

ანალიზიდან ირკვევა, რომ ერთჯერადი შოკების ზემოქმედებისას ქვეყანა საშუალოვადიან ერიოდში ინარჩუნებს ფისკალურ მდგრადობას, თუმცა, მრავლობითი შოკების შემთხვევაში მდგრადობის ყველა ინდიკატორი სცილდება დასაშვებ ზღვრებს და საფრთხე ექმნება ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური მდგრადობა, სახელმწიფო ვალის მდგრადობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2012-2016 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპების დაბალი დონეები, ასევე, ბიუჯეტის პირველადი დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის (როგორც საგარეო, ასევე შიდა) ზრდა, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო რეგიონში პირველ ადგილზეა სახელმწიფო ვალი/მშპ-ში ზრდის ტემპებით რეგიონში, განაპირობებს საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შეფასების საკითხის აქტუალობას.

თანამედროვე ეტაპზე ფისკალური მდგრადობის შეფასება, ფისკალურ მდგრადობაზე მოქმედი რისკების გამოვლენა და მართვა ნებისმიერი ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილება (1, 2). სააერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის (3, 4, 5, 6) შესაბამისად ფისკალური მდგრადობა სახელმწიფო ვალის მდგრადობით ფასდება, რაც უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში ქვეყანაში და დანარჩენ მსოფლიოში ეკონომიკური სიტუაციის სხვადასხვა სცენარების მიხედვით განვითარების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალის მომსახურების შესაძლებლობების შეფასებას.


სახელმწიფოს ვალის შემადგენლობაში საქართველოში გამოიყოფა: საგარეო ვალი და საშინაო ვალი. 2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით (7, 8) საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი ისტორიულ მაქსიმუმს - 4,6 მილიარდ დოლარს აღწევს. მათ შორის, შიდა ვალი 2,6 მილიარდ ლარს (მთლიანი ვალის 19%-ს), საგარეო სახელმწიფო ვალი კი - 11,2 მილიარდ ლარს შეადგენს. 2016 წლის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 70% შედგებოდა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს დღევანდელ ეტაპზე არსებული რთული და არაპროგნოზირებადი გლობალური ეკონომიკური სიტუაციის მიუხედავად საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან დაცვას და ასევე, ამ ვალის მომსახურების ხარჯების შედარებით დაბალ და ხელმისაწვდომ დონეზე შენარჩუნებას. მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთები და ვალის დაფარვის შეღავათიანი გრაფიკი, ძირითადი თანხების დაბალი ყოველწლიური გადასახდელები არის ის ძირითადი დადებითი ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების შედარებით დაბალ დონეს. მიუხედავად ამისა, ფისკალური წლის განმავლობაში მთლიანად სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე და ძირითადი ნაწილის დაფარვაზე მთლიანი ხარჯების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში წლიდან წლამდე იზრდება. კერძოდ, 2012 წლის 5%-დან 2016 წელს გაზრდილია 9,6% -მდე.

სახელმწიფო ვალის მდგრადობა და მისი შეფასების ძირითადი ინდიკატორები

სახელმწიფო ვალის მდგრადობის შეფასების საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, აკადემიურ წრეში (9,10), შედარებით გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მიჩნეულია, რომ ვალი არის მდგრადი, თუ მომავალი პერიოდების პირველადი პროფიციტის მიმდინარე ღირებულება უტოლდება სახელმწიფო ვალის მიმდინარე ღირებულებას. ეს განსაზღვრება გამომდინარეობს პერიოდთაშორისი (ინტერ-ტემპორალური) საბიუჯეტო შეზღუდვის პირობიდან. აღნიშნული პირობის მიხედვით, სახელმწიფო შესაძლებელია შეფასდეს გადახდისუნარიანად, თუ მისი არსებული პოლიტიკა უზრუნველყოფს დროის გარკვეულ (ან უსასრულო) პერიოდში სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვას მომავალი პერიოდების ბიუჯეტის პროფიციტის ხარჯზე.

აკადემიური განსაზღვრების თანახმად, ვალი არის მდგრადი, თუ დაცულია პერიოდთაშორისი გადახდისუნარიანობის პირობა. ანუ თუ მომავალი პირველადი ბალანსის მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულება ფარავს ვალის არსებულ სიდიდეს.

გრაფიკი 1. პერიოდთაშორისი გადახდისუნარიანობის პირობა




ვალის მდგრადობის პრაქტიკული განსაზღვრების მიხედვით (11, 12, 13, 14, 15) კითვლება, რომ სახელმწიფო ვალი მდგრადია, თუ ქვეყნის კრედიტუნარიანობის, კერძოდ, ვალი/მშპ-თან, ვალი/ექსპორტთან, ვალი/ ბიუჯეტის შემოსავლებთან და ლიკვიდურობის, კერძოდ, ვალის მომსახურება/ექსპორტთან, ვალის მომსახურება/ბიუჯეტის შემოსავლებთან და ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ-თან კოეფიციენტები საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში არის სტაბილური, კლებადი და საკმარისად დაბალი.

ევროკავშირის ქვეყნებში ვალის მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება S0, S1 და S2 ინდიკატორები.

- S0 ავლენს მოკლევადიან ფისკალურ გამოწვევებს და აფასებს, თუ რამდენად მაღალია რისკი მოკლევადიან პერიოდში.
- S1 მეშვეობით გამოითვლება სხვაობები არსებულ ხარჯებსა და შემოსავლებს შორის, რის საფუძველზეც შემდგომ განხორციელდება სტრუქტურული ცვლილებები პირველად ბალანსში.
- S2 უკავშირდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას პროგნოზირებულ შემოსავლებზე მეტად

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის (LIC DSA) მიხედვით ვალის ტვირთის შესაფასებლად გამოიყოფა ე. წ. კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობის ინდიკატორები.

გრაფიკი 2. ვალის ტვირთის ინდიკატორები.



ეს ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

კრედიტუნარიანობის ინდიკატორები:

სახელმწიფო ვალი/მშპ-ში <60%.

სახელმწიფო ვალი/ექსპორტი < 200%.

სახელმწიფო ვალი/ბიუჯეტის შემოსავლები <300%.

ლიკვიდურობის ინდიკატორები:

ვალის მომსახურება/ექსპორტი < 25%.

ვალის მომსახურება/ ბიუჯეტის შემოსავლები < 35%.

პრაქტიკაში ვალის მდგრადობის შესაფასების მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება ვალი/მშპ-თან ინდიკატორი. ამ ინდიკატორის მიხედვით, ვალი არამდგრადია იმ შემთხვევაში, თუ ვალი/მშპ-ს მაჩვენებელი პერმანენტულად იზრდება /ან ინარჩუნებს ძალიან მაღალ დონეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუ ვალი/მშპ-თან დინამიკაში მცირდება, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი რჩება, იგი ასევე ფასდება, როგორც არამდგრადი, რადგან ის საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ასოცირდება მაღალ რისკებთან, ვალის რესტრუქტურის ზაციასთან და ქვეყნის შესაძლო დეფოლტთანაც კი.

საქართველო მიეკუთვნება მცირე ზომის ღია ეკონომიკას და ის, და მისი მსგავსი მცირე ზომის ღია ეკონომიკები ხშირად განიცდიან გარე და შიდა შოკების ძლიერ ზემოქმედებას. შესაბამისად, თუ ასეთ ქვეყნებში ვალი/ მშპ-ს თანაფარდობა ახლოსაა დასაშვებ ჭერებთან, ეს მდგომარეობა ფასდება, როგორც არამდგრადი.

ვალის დინამიკის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$d_t = \frac{1 - r_t}{1 + g_t} d_{t-1} - pb_t,$$

სადაც,

r_t -რეალური საპროცენტო განაკვეთი t წელს.

d_t - ვალი t წელს.

g_t -ზრდის ტემპი

d_{t-1} -ვალი $t-1$ წელს.

pb_t -თავდაპირველი ბალანსი t წელს.

ღია ეკონომიკაში ავტომატური ვალის დინამიკაზე ზემოქმედი ფაქტორები შემდეგი ფორმულით მოიცემა:

$$d_t - d_{t-1} = \frac{i_t^w - \pi_t(1 + g_t)}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} - \frac{g_t}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} + \frac{\varepsilon_t a_{t-1}(1 + i_t^f)}{(1 + g_t)(1 + \pi_t)} d_{t-1} - pb_t + ot_t$$

ფორმულა გვიჩვენებს, რომ:

-ვალის დინამიკასა და ეფექტურ რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის პირდაპირ პროპორციული კავშირია.

-ვალის დინამიკასა და რეალურ ზრდის ტემპს შორის უკუპროპორციული კავშირია, - ვალის დინამიკასა და გაცვლითი კურსის გაუფასურებას შორის პირდაპირ პროპორციული კავშირი.

-ვალის დინამიკაში თავდაპირველ ბალანსის კონტრიბუცია მინუს ნიშნით შედის.

ასევე, და სხვა ნაკადების (მაგალითად, შემოსავლები პრივატიზაციიდან) კონტრიბუცია პლიუს ნიშნით შედის ვალის დინამიკის განტოლებაში.

პირველადი ბალანსი, რომელიც უზღუნველყოფს ვალის სტაბილიზაციას ღია ეკონომიკაში მოიცემა ფორმულით:

$$pb_t = \frac{(r_t^w - g_t) - a_{t-1} \varepsilon_t^w (1 + r_t^f)}{(1 + g_t)} d_t + ot_t$$

განტოლების მარჯვენა მხარეს პირველი შესაკრები არის ვალის ავტომატური დინამიკა (Automatic debt dynamics).

მთავრობის ვალის/მშპ-ში ხვედრითი წილის დინამიკა 2012 წლის შემდეგ ზრდადია. შესაბამისად, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერიოდში საჭიროა ტრენდის მიმართულების შეცვლა და მთავრობის ვალი/მშპ-ს მაჩვენებლების თანდათანობითი შემცირება. ამასთან, ეს დონე უნდა დავიდეს იმ ზომამდე, რომ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი შოკების ზემოქმედების შემთხვევაშიც კი მაქსიმალურად შენარჩუნებული და დაცული იქნეს სახელმწიფოს კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობის პირობები.

2012 წლის შემდგომ პერიოდში ფისკალურ მდგრადობის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან გამოვყოფდით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პერმანენტულ შენარჩუნებას და საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტის არათანაბარზომიერ განაწილებას.

ვალის ტვირთის შემცირების მიზნით მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხარჯების სტრუქტურაში გარკვეული შესწორებების შეტანა. კერძოდ, 2012 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური სფეროს პროგრამების დაფინანსების მოცულობები, რაც არ შეესაბამება და მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპებს. აქედან გამომდინარე, ამ სფეროს დაფინანსების უზრუნველყოფად წლიდან წლამდე წარიმართება ქვეყნის მიერ ახლად აღებული ვალდებულებების დიდი ნაწილი. შესაბამისად, საჯარო ფინანსების ეფექტიანობის ზრდისათვის, რაც ფისკალური მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, საჭიროა საყოველთაო სოციალური პროგრამების ნაცვლად მიზნობრივი ჯგუფების გამოყოფა. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლისა და დაბერების ზრდის კვალობაზე ამ პროგრამების დაფინანსება სახელმწიფოს მომავალში მძიმე ტვირთად დააწევა. შესაბამისად, ასეთი შესწორებების დროული შეტანა ბიუჯეტის ხარჯებში კიდევ უფრო არსებით მნიშვნელობას იძენს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ოპტიმიზაცია გულისხმობს შემოსავლების გადანაწილების ბერკეტიდან მისი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტად გადაქცევას, რაც შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული სფეროების-განათლების, მეცნიერებისა ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის სფეროების დაფინანსების მოცულობების ზრდის შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, თავის მხრივ, თანდათან შეამცირებს სოციალური დახმარებების პროგრამების დღევანდელი მოცულობებით საჭირო დაფინანსების აუცილებლობასაც.

ქვეყნის ვალის მდგრადობის შესაფასებლად მხედველობაშია მისაღები ირიბი ვალდებულებებიც, რაც დაკავშირებულია ქვეყნის მთლიანი ვალის მოცულობასთან, რომლის სიდიდე დღეისათვის 16,5 მილიარდ დოლარს აჭარბებს და შესაბამისად, დაახლოებით 3-ჯერ აღემატება სახელმწიფო ვალის მოცულობას. კერძო სექტორში საგარეო ვალის დაფარვისას პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, რასაც გარკვეულწილად უკვე აქვს კიდევ, მნიშვნელოვნად გაიზარდება მთავრობის ირიბი ვალდებულებები და შესაბამისად, ვალის ტვირთი.

აქედან გამომდინარე, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია არსებული ფისკალური რისკების დროული განსაჯარობა და მათი მართვა და ირიბი ვალდებულებების წარმოშობის შემთხვევაში ვალის ტვირთის ზრდის შესაძლებლობების გათვალისწინებაც.


საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი განხორციელებულია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივად შემუშავებული მოდელის (LIC DSA) საფუძველზე, საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით (16, 17, 18).

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის მიზნით გარკვეულ ცვლადებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან ვალის ტვირთთან, სხვადასხვა დაშვებებით აგებულია სხვადასხვა სცენარი.


საბაზო, ფინანსთა სამინისტროს რეალისტურ მაკროეკონომიკური პროგნოზებზე დაყრდნობით აგებული სცენარის მიხედვით ვალის მდგრადობის ყველა მაჩვენებელი - დასაშვებ ჭერებს ქვემოთ ნარჩუნდება. კერძოდ, საბაზისო სცენარის მიხედვით არსებული საშუალოვადიანი პროგნოზი წარმოდგენილია ნახაზი 2-ის მიხედვით.

ნახაზი 2. მთავრობის ვალი/მშპ-თან (%-ში)- საბაზისო სცენარი




მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის შემცირების-შოკ ტესტის მიხედვით (დაშვება: საბაზისო სცენარს გამოკლებული გასული 10 წლის ფაქტიური მონაცემების საშუალოდან 1 სტანდარტული გადახრა შემცირების მიმართულებით, შოკები გამოყენებულია 2017-2018 წწ-ში. 2019 წლის შემდგომი პერიოდისათვის აღებულია საბაზისო სცენარი) ადგილი აქვს ვალის მდგრადობის ინდიკატორების გარკვეულ გაუარესებას საბაზისო სცენართან შედარებით.

ნახაზი 3. მთავრობის ვალი/მშპ-თან (%-ში)- მშპ-ს შოკ ტესტი




სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი დეფიციტის შოკ ტესტმა (რაც გულისხმობს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას, კერძოდ, საბაზისო სცენარს დამატებული გასული 10 წლის მონაცემების 0,5 სტანდარტული გადახრა.შოკები ვრცელდება 2017-2020 წლებზე) გვიჩვენა ვალის მდგრადობის ინდიკატორების გაუარესება საბაზისო სცენართან შედარებით. ამასთან, ამ შემთხვევაშიც მდგრადობის ინდიკატორები მაინც დარჩნენ დასაშვებ ჭერებს ქვემოთ.

ნახაზი 4. ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის შოკ ტესტი



გაცვლითი კურსის შოკ ტესტმა (ვალუტის კურსის გაუფასურების პირობით, კერძოდ, ლარის დოლართან ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი გაუფასურება 2017 წელს 30%-ით) გვიჩვენა ვალის მდგრადობის ინდიკატორების შედარებით მნიშვნელოვანი ზომით გაუარესება საბაზისო და სხვა შოკ ტესტების მიხედვით აგებულ სცენარებთან შედარებით.

ნახაზი 5. ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი



ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალი/მშპ-თან მაჩვენებლის გაუარესებაზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს გაცვლითი კურსის დაცემისა და მშპ-ის ზრდის ტემპების შემცირებით გამოწვეული შოკები.

ერთდროულად რამდენიმე შოკის ზემოქმედების/ან შოკების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზემოქმედების დროს ვალის მდგრადობის ყველა ინდიკატორი სცილდება დასაშვებ ზღვარს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ირღვევა ფისკალურ მდგრადობის პირობები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვალის მდგრადობის შეფასებისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ სახელმწიფო ვალის მოცულობას. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის მთლიანი ვალი სახელმწიფო ვალს რამდენჯერმე აღემატება. შესაბამისად, ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კერძო სექტორში ვალის დაფარვის პროცესში პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში მკვეთრად იზრდება მთავრობის ირიბი ვალდებულებები, რაც მნიშვნელოვანი ზომით ზრდის სახელმწიფოს ვალის ტვირთს და მკვეთრად ამწვავებს ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პრობლემას საქართველოში.

დასკვნა

საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის სტატისტიკური ანალიზიდან ირკვევა, რომ საბაზო სცენარის მიხედვით განვითარების შემთხვევაში ვალის მდგრადობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში საფრთხე არ ემუქრება. ასევე, ერთჯერადი შოკების ზემოქმედების შემთხვევაშიც ქვეყანა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ინარჩუნებს ფისკალურ მდგრადობას, თუმცა, სხვადასხვა სახის შოკების ზემოქმედების ზომა განსხვავებულია. ყველაზე დიდ ზეგავლენას ვალის მდგრადობაზე ახდენს ვალუტის გაცვლითი კურსის შოკი, სახელმწიფო ვალი საგარეო ვალის მაღალი ხვედრითი წილიდან გამომდინარე. შოკ ტესტებმა გვიჩვენა, რომ ამავე პერიოდებში მრავლობითი შოკების შემთხვევაში მდგრადობის ყველა ინდიკატორი მნიშვნელოვანი ზომით აჭარბებდა დასაშვებ ზღვრებს. ამასთან, მთლიანად ქვეყნის ფისკალური მდგრადობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საგარეო ვალში კერძო სექტორის ვალის მაღალი წილიც. ამ სექტორში ვალის დაფარვის თვალსაზრისით წარმოქმნილი პრობლემები მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო ფინანსებზე ირიბი ვალდებულებების ზეგავლენის ტვირთს და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Public Debt and Growth. Manmoham S. Kumar and Jaejoon Woo. IMF W/P ,2010.
2. Debt and Economic Growth. Hadhek Zouhaier , Mrad Fatuma. International Journal of Economics and Financial Issues. Vol.4, No.2, 2014, pp. 440-448.
3. Staff guidance note for public debt sustainability analysis for MAC. IMF, May, 2013.
4. Public sector debt statistics. Guide for compilers and users. IMF, 2011.
5. Information Note on Modifications to the Fund's Debt Sustainability Assessment Framework for Market Access Countries, Prepared by the Policy Development and Review Department , Mark Allen, July 1, IMF, 2005.
6. Assessing Fiscal Sustainability in Theory and Practice – Nigel Chalk and Richard Hemming IMF working paper, April , 2000.
7. საქართველოს კანონი 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2016.
8. სახელმწიფო ვალი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge.
9. Fiscal Sustainability-Definition, indicators and Assessment of Czech Public Finance Sustainability; Ales Krejdl , 3/2006
10. Measuring Sustainability: Benefits and pitfalls of fiscal sustainability indicators - Debora Valentina Malito , 2014/77.
11. მ. მუჩიაშვილი, "მაკროეკონომიკური სტაბილურობის დონის შეფასება საქართველოში". ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომების კრებული. 2012
12. მ. მუჩიაშვილი. ფისკალური მდგრადობის შეფასება. საერთაშორისო კონფერენციის „ გლობალიზაცია და სტატისტიკა“ მასალები. 2014 წლის 23-23 ოქტომბერი, თბილისი 2014.
13. მ. მუჩიაშვილი. ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 1-2 ივლისი, 2016.
14. M. Muchiashvili (co-author): “Fiscal sustainability Analysis (Republic of Georgia). Journal “Economist”, #1, Tbilisi, 2016. pp. 79-88.
15. Analysis of MT fiscal policy sustainability in Georgia (LIC DSA), PMCG. Tbilisi, June, 2014.
16. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2016-2019 წლებისთვის; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ნოემბერი, 2015 წელი. www.mof.ge.
17. საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2016 წლის ნოემბერი, გვ. 35.
18. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი“. თბილისი, 2016.

Statistical analysis of fiscal sustainability and fiscal risks in Georgia

Marina Muchiashvili, Assoc. Professor Ivane

Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: marina.muchiashvili@tsu.ge

Sopio Rukhadze, Master of Economics

E-mail: s.ruxadze3@gmail.com

Abstract

The decrease of economic growth rates in Georgia and increased primary fiscal deficit and state debt (both, foreign and internal) of the country in 2012-2016 have made it actual to assess the fiscal sustainability of the country both, in medium-term and long-term perspectives.

The analysis evidenced that by 2016, the marginal indicators of fiscal sustainability (public debt/ GDP, state debt/budget revenue and public debt/export) of Georgia remained below the thresholds. Despite this, the fiscal sustainability of Georgia may be threatened in the long-term perspective due to the different shocks (severe currency devaluation being an important factor among them), significant growth of the future social liabilities, growing scales of subsidies for different branches of economy and increasing gross external debt of Georgia (which already exceeds 100% of GDP). Without urgent adjustments in the fiscal policy, disclosures and management of fiscal risks, in the medium-term and long term, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses.

The article emphasizes that the macroeconomic stability and stable economic growth of Georgia in the medium-term and long-term perspective needs gradual adjustments of the fiscal policy.

Keywords: Public finance, fiscal sustainability, public debt sustainability, fiscal policy.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ნატალია რობიტაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

ელ. ფოსტა: robnato@mail.ru

ანოტაცია

მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. იგი კანონზომიერ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. მოსახლეობის დაბერების გლობალურმა პროცესმა, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა. დემოგრაფიული დაბერება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, დაბერება, სიცოცხლის საშალო ხანგრძლივობა, მიგრაცია.

შესავალი

მსოფლიოს მოსახლეობა ბერდება, რადგან ყოველწლიურად იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და კლებულობს შობადობა. შედეგად, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მატულობს მოხუცი ადამიანების წილი, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი კლებულობს. გაეროს პროგნოზით 2050 წლისათვის 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მსოფლიოს მთელს მოსახლეობაში 21,1 %, ხოლო საქართველოში - 35,8% იქნება.

დემოგრაფიული დაბერების ზრდის პროცესი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას იწვევს. გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა 1 170 000-ით შემცირდება.

მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან იგი გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა მხარეზე. დემოგრაფიული დაბერების დეტალური სტატისტიკური ანალიზი საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელიც ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს ჯანდაცვის, განათლების, საპენსიო სისტემის, დაზღვევის და სხვა მხრივ.

არის თუ არა მოსალოდნელი რეალურად მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და რა გავლენას ახდენს მასზე დემოგრაფიული დაბერება? როგორ აისახება დემოგრაფიული დაბერების პროცესი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

ლიტერატურული მიმოხილვა. დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ხანშიშესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდას. დემოგრაფიული დაბერების მიზეზია ხანგრძლივი ცვლილებები მოსახლეობის აღწარმოების ხასიათში. ანსხვავებენ “დაბერებას ქვემოდან”, რომელიც შობადობის კლების შედეგად ბავშვების რაოდენობის შემცირებით განისაზღვრება და “დაბერებას ზემოდან”, რომელიც გამოწვეულია მოხუცებულობის ასაკში მოკვდაობის დონის შემცირებით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით, რასაც მოჰყვება მოხუცი ადამიანების რაოდენობისა და წილის ზრდა. აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიულ დაბერებას ძირითადად განაპირობებს “დაბერება ქვემოდან”. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ნაკლებად მოქმედებს დემოგრაფიულ დაბერებაზე, ვინაიდან მისი განმაპირობებელი მოკვდაობის შემცირება ძირითადად ბავშვების ასაკს ეხება, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

დემოგრაფიული დაბერება შემჩნეულ იქნა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ მისი მნიშვნელობის, მასშტაბებისა და მიზეზების გაცნობიერება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. დემოგრაფიული დაბერების პროცესის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სკალაა ჟ. ბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ე. როსეტის მიერ განვითარებული სკალა:

ეტაპი	60 და უფროსი ასაკის პირთა წილი (%) მთელ მოსახლეობაში	მოსახლეობის დაბერების ეტაპები და დონეები
I	8-ზე ნაკლები	დემოგრაფიული სიყმაწვილე
II	8-დან 10-მდე	სიბერის პირველი კარიბჭე
III	10-დან 12-მდე	საკუთრივ სიბერის კარიბჭე
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე
	12-დან 14-მდე	დემოგრაფიული სიბერის საწყისი დონე
	14-დან 16-მდე	საშუალო დონე
	16-დან 18-მდე	მაღალი დონე
	18 და მეტი	მაღიან მაღალი დონე

აღნიშნული სკალის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაღიან მაღალი დონე ფიქსირდება - 20,6 %, ხოლო 2010 წლისათვის იგი 18,3%-ით განისაზღვრებოდა.


65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისათვის გაეროს დემოგრაფების მიერ შემუშავებულია სამ საფეხურიანი სკალა:

- 4% ნაკლები - ახალგაზრდა მოსახლეობა;
- 4-7% - მოსახლეობა სიბერის კარიბჭეზე;
- 7%-ზე მეტი - დაბერებული მოსახლეობა.⁶³

ამ სკალის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა 2018 წლისათვის დაბერებულად ითვლება (14,6%)

ძირითადი ნაწილი. დემოგრაფიული დაბერების ორი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გამოვეყნოთ: სიკვდილიანობის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა) და შობადობის შემცირება. აღნიშნული ფაქტორები თვალნათლივ არის გამოსახული საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე.

დიაგრამა 1



პირამიდის ანალიზისას დიდი ყურადღება ექცევა როგორც მის ფორმას, ასევე მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების სიდიდეს. შობადობისა და სიკვდილიანობის მაღალი დონის შემთხვევაში პირამიდას ექნება განიერი ფუძე და ვიწრო თხემი. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ქვეყანაში შობადობის დონე არც თუ ისე მაღალია, რადგან როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში 0-4 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა რიცხოვნობას აჭარბებს ზედა ასაკობრივ ჯგუფებში მათი რიცხოვნობა. რაც მიუთითებს წინა წლებში შობადობის მაღალ დონეზე. პირამიდის გაშლილი წვერო კი მიუთითებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.


⁶³ გ. წულაძე, ა. სულაბერიძე, დემოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2015

⁶⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სიკვდილიანობის დონის კლება, განსაკუთრებით ზედა ასაკობრივ ჯგუფებში პირამიდის წვეროს გაფართოებას იწვევს.

მოსახლეობა შეიძლება სამ ნაწილად დავაჯგუფოთ: 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე ნაკლები ასაკის), 15-65 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანი ასაკის) და 65 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის), რომელიც საპენსიო ასაკს წარმოადგენს. შრომისუნარიანი ასაკის პიროვნებას უწევს ორი დანარჩენი ასაკის, როგორც საპენსიო, ასევე შრომისუნარიან ასაკამდე ასაკობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია დიაგრამაზე:

დიაგრამა 2



65

დიაგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უკავია. ასაკობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად სტატისტიკაში გამოიყენება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განზოგადებულ რაოდენობრივ მახასიათებელს. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევავასოთ დემოგრაფიული დატვირთვის დონე და სტრუქტურა ყოველ 1000 შრომისუნარიან პიროვნებაზე. საქართველოს მაგალითზე დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები შემდეგ მნიშვნელობებს ღებულობენ:

ბავშვებით დატვირთვის მაჩვენებელი:

$$2010 \text{ წლისათვის } k_1 = \frac{S_{0-16}}{S_{15-59}} 1000 = 263,9; \quad 2016 \text{ წლისათვის } - 314,1; \quad 2018 \text{ წლისათვის } - 336,2 \text{ ბავშვი.}$$

ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი:

$$2010 \text{ წლისათვის } k_2 = \frac{S_{60+}}{S_{15-59}} 1000 = 283,9; \quad 2016 \text{ წლისათვის } - 328,8; \quad 2018 \text{ წლისათვის } - 347,3$$

ხანდაზმული საერთო დატვირთვის კოეფიციენტი:

$$k_3 = \frac{S_{0-16} + S_{60+}}{S_{15-59}} 1000 = k_1 + k_2 = 547,8; \quad 2016 \text{ წლისათვის } - 642,9; \quad 2018 \text{ წლისათვის } - 683,5 \text{ ბავშვი}$$

და ხანდაზმული

დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება 15 წლამდე ბავშვების, შრომისუნარიანი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ურთიერთშეფარდების საფუძველზე. ეს


⁶⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მარტივი მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენი არასრულწლოვანისა და პენსიონერის უზრუნველყოფა უწევს შრომისუნარიან ადამიანს. დინამიკაში იზრდება როგორც კერძო, ასევე საერთო დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები. ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი აჭარბებს ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტს თავისი მნიშვნელობით.

საერთო დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა პირი, რომელიც 15 წელზე უმცროსია და პენსიონერია არაპროდუქტიულია, ხოლო 15 წლის ასაკიდან 60 წლის ასაკის ჩათვით პროდუქტიული, რაც რეალურად ასე არაა. დაბალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმებულთა შორის მნიშვნელოვანი წილი სწორედ 15 წლამდე და 60 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობას უჭირავს. ამიტომ, დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობის დახასიათება რთულია.

მოსახლეობის დაბერებას ასევე განაპირობებს გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება. თუ შობადობის დონეც დაბალია, შესაბამისად იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ყოველივე გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორც სოციალურზე, ასევე ეკონომიკურზე. საქართველოში 2017 წლის მონაცემების მიხედვით შობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 14.3-ის ტოლია, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 73,5 წლით განისაზღვრება. საქართველოსათვის დემოგრაფიული დაბერების მნიშვნელოვან ფაქტორს მიგრაცია წარმოადგენს.

დიაგრამა 3



დიაგრამაზე თვალნათლივ ჩანს, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება მიგრანტთა ყველაზე დიდი წილი - ეს შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობაა.

⁶⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტყველებს, მაგრამ ხანდაზმული მოსახლეობის წილის მატება ნეგატიურად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. 60 წელზე მეტი მოსახლეობის წილის გაზრდა იწვევს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიულ დატვირთვას. თუ გავითვალისწინებთ შობადობის დაბალ დონესაც და იმასაც, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობაც ბერდება. შესაბამისად, იზრდება ხარჯები საპენსიო უზრუნველყოფასა და სამედიცინო მომსახურებაზე. შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის კლება ასახვას ჰპოვებს დასაქმების მოცულობაზე. შესაბამისად, შემცირდება კაპიტალდაბანდებანი და ინვესტიციები.

დასკვნა

საქართველო დემოგრაფიული დაბერების აქტიურ ფაზაში იმყოფება. შობადობის დაბალი დონე, გარე მიგრაციის ზრდა, სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი მაჩვენებელი ერის დაბერებაზე მეტყველებს. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის კლებასთან ერთად, მატულობს ხანდაზმულთა და კლებულობს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი. დემოგრაფიული პრობლემები კი ნეგატიურად აისახება ქვეყნის როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გაბიაშვილი, „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, თბ 2011
2. მ. ხმალაძე, „დემოგრაფია“, თბ. 2009
3. გ. წულაძე, ა.სულაბერიძე, „დემოგრაფიის საფუძვლები“, თბ.2015
4. ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქინქლაძე, „სოციალური სტატისტიკა“, თბ. 2013
5. <http://www.geostat.ge>

Social-economic aspects of demographic aging of Georgian population

Natalia Robitashvili

Doctor of Business Administration,

Visiting Professor of Batumi Shota Rustaveli State University

Abstract

Demographic aging of the population is an up to date problem nowadays. Demographic aging is increasing a share of elder and old people in the total amount of population. It is considered as expected occurrence. The global process of aging covered all countries of the world, including Georgia.

Demographic aging has a huge effect on the social and economic situation in a country. This is the reason why a detailed statistical analysis is needed to make decisions connected to social interests in a field of health, education, insurance, pension and etc.

Keywords: Demography, aging, duration of life, migration.

რემიტანსების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე

რუსუდან ქინქლაძე,
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

ანოტაცია

ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის მიგრაცია მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და განსაკუთრებით ბიზნესგარემოს ფორმირებაზე. თუმცა, მათ შორის გარკვეული სახის ურთიერთკავშირიც არსებობს. სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება ეკონომიკური თვალსაზრისით, პოზიტიური ხასიათისაა, რამდენადაც მაკრო- და მიკრო დონეზე ქვეყნის საწარმოო ეფექტიანობის ამაღლებას იწვევს. თუმცა, სამუშაო ძალის ქვეყანა-დონორებსა და ქვეყანა-რეციპიენტებს შორის სარგებლისა და დანაკარგების განაწილება არათანაბრად წარმოებს. სამუშაო ძალის თავისუფალი მიგრაცია წარმოშობს პრობლემათა კომპლექსს, რომელიც მეცნიერულ გააზრებას მოითხოვს, კერძოდ, შრომითი მიგრანტების მიერ ძირითად საცხოვრებელ ქვეყანაში გავზავნილი ხელფასისა და ამ საშუალებების მიმღებ-ქვეყანაში სიღარიბის დონესა და შემოსავლების უთანაბრობაზე გავლენა.

მოსახლეობის მიგრაციული პროცესების თანმდევ მოვლენას წარმოადგენს რემიტანსები - საზღვარგარეთ მომუშავეთა (ფიზიკური პირი) სამშობლოში თავიანთი ნათესავებისა და ახლობლებისთვის ინდივიდუალურად გადაგზავნილი ფულადი საშუალებებია, რომელთა მნიშვნელოვან ნაკადებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ყოველ ეკონომიკურ მაჩვენებელზე და განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

დღეისათვის რემიტანსების შესახებ სისტემური კვლევების ჩატარება არასაკმარისია და მიგრანტების ფულადი გზავნილების შესახებ ემპირიული მონაცემები მეტად ბუნდოვანია, ამასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ჯერ კიდევ არაა გადაჭრილი. ფულადი გზავნილების შესახებ მონაცემების ოფიციალურ წყაროს საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს. თუმცა, მას ჯერ კიდევ არ გააჩნია სპეციალური კანონმდებლობა საერთაშორისო ფულადი გადარიცხვების, უცხოურ ვალუტაში რეზიდენტებისა და არარეზიდენტების ტრანსაქციებისა და დანაზოგების შეზღუდვის შესახებ. ასევე, არ იზღუდება უცხოური ვალუტის ნაღდი ფულადი სახით შემოტანა და ქვეყნიდან გატანა. არ არსებობს საკანონმდებლო შეზღუდვა გამავალი გადარიცხვების მოცულობის მიხედვით, იმ დროს როცა შემომავალი გადმორიცხვები რეგულირდება გადმორიცხვების წარმოშობის ქვეყნების კანონმდებლობით ან ფულადი გადმორიცხვების ოპერატორების მიერ შიდა წესებით.

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობის მიგრაცია, რემიტანსები, შემოსავლების უთანაბრო განაწილება, სიღარიბის დონე.

თანამედროვე ეტაპზე მიგრაციული მოძრაობა წარმოების ძალების განვითარების ყველაზე დინამიური პროცესის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც ეკონომიკური ფაქტორი უდევს საფუძვლად. თანამედროვე ეტაპზე მიგრაციული პროცესების განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, მიგრაცია მოსახლეობის ცხოვრების პირობების ცვლილების, მისი პროფესიონალიზმის, კულტურული და მატერიალური დონის ზრდის საშუალებაა.

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის მიგრაციის ძირითად მიზეზთა შორის ერთ-ერთი სამუშაოს ძებნაა, საბოლოო მიზანი კი შემოსავლის მიღება. მიგრანტები, როგორც წესი, რეგულარულად უგზავნიან ფულად საშუალებებს, პროდუქტებსა და სხვა საგნებს თავიანთ ახლობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს სამშობლოში. მიგრანტების მიერ სამშობლოში მათი ოჯახებისათვის ფულადი საშუალებების გაგზავნა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის

შემოსავლებისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა.

ქვეყნის მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ გამომუშავებული უცხოური ვალუტა სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკაში პოზიტიურ როლს ასრულებს. ფულადი გზავნილები ხელს უწყობს მოსახლეობის სიღარიბის შემცირებას. საბანკო სექტორის გავლით ისინი უცხოური ვალუტის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელიც გამგზავნ ქვეყნებს სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის იმპორტირების ან საგარეო ვალის გადახდის საშუალებას აძლევს. ამასთან, იმ შესაძლებლობათა გაცნობიერება, რომლის დახმარებითაც მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები გავლენას ახდენს გამგზავრების ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარებაზე, უფრო მეტად დიდდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენას შეესაბამება ტერმინი რემიტანსები – ინგლისური სიტყვიდან remittance – მომუშავეთა მიერ სამშობლოში გაგზავნილი ფულადი საშუალებებია იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი დროებით მუშაობენ ან ცხოვრობენ.

რემიტანსები – მსოფლიო ეკონომიკაში ახალ მოვლენას არ წარმოადგენს, ისინი მიგრაციის თანმდევი მოვლენაა. მე-19 და მე-20 საუკუნეებში ესპანეთის, იტალიისა და ირლანდიის მოსახლეობა ძლიერ დამოკიდებული იყო რემიტანსებზე. 1946 წელს ესპანეთის მშპ-ში რემიტანსებს 21% ეჭირა. იტალია მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1901 წელს მიიღო კანონი რემიტანსების დაცვის შესახებ, ხოლო 1960 წელს ესპანეთმა ხელი მოაწერა საერთაშორისო შეთანხმებას არგენტინასთან რემიტანსების გაგზავნასა და მიღებაზე დანახარჯების შემცირების შესახებ [1].

რემიტანსების კლასიკური დეფინიციებიდან ერთ-ერთი ფორმირდება როგორც ფულადი საშუალებების გადაგზავნა, რომელსაც საზღვარგარეთ მომუშავეები (ფიზიკური პირი) ინდივიდუალურად უგზავნიან სამშობლოში თავიანთ ნათესავებს და ახლობლებს [1].

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ რემიტანსების ორი ძირითადი სახე:

- გარე რემიტანსები - ერთი ქვეყნიდან მეორეში გაგზავნილი რემიტანსები;
- შიდა რემიტანსები - ქვეყნის შიგნით ერთი რეგიონიდან მეორეში გაგზავნილი რემიტანსები.

საერთაშორისო სვალუტი ფონდი განსაზღვრავს გარე რემიტანსებს და გამოყოფს მის სამ კომპონენტს. კერძოდ:

მომუშავეთა მიერ გაგზავნილი რემიტანსები (Worker's remittances) - ეს არის ფულადი საშუალებების გაგზავნა (ჩვეულებრივ ნაღდი ფულის), რომელსაც ქვეყანა-რეციპიენტებში ერთ წელზე მეტი ხნით მცხოვრები და შესაბამისად თავისი ქვეყნისათვის არარეზიდენტი მომუშავეები აგზავნიან.

მომუშავეთა კომპენსაცია (Compensation to employees) - ყველა შემოსავალი, რომელსაც ქვეყანა-რეციპიენტში (ერთ წელზე ნაკლები ვადით) დროებით მცხოვრები და მომუშავე, შესაბამისად თავიანთი ქვეყნის რეზიდენტები იღებენ.

მიგრანტების ტრანსფერები (Migrant's transfers) - კაპიტალის გაგზავნა (აქტივების ყველა ფორმა) ქვეყანა-დონორებში, თუ მიგრანტები რჩებიან ქვეყანა-რეციპიენტში ერთ წელზე მეტი ვადით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია რემიტანსების ორ ჯგუფად დაყოფა: ტრადიციული რემიტანსები (traditional remittances) და დანარჩენი სახის რემიტანსები (Other remittances).

ტრადიციული რემიტანსები = მომუშავეთა რემიტანსები + მომუშავეთა კომპენსაცია

რემიტანსების სხვა სახეები შედგება საჩუქრებისაგან, მემკვიდრეობისაგან, ალიმენტებისა და მატერიალური დახმარების სხვა სახეებისაგან, რომელსაც არარეზიდენტებისაგან იღებენ შინამეურნეობები მათი შემოსავლის წყაროების ან ტრანსფერების მიზნების მიუხედავად.

არაფიზიკური პირების მიერ გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება და ტრანსფერების სხვა სახეები არ წარმოადგენენ რემიტანსებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შინამეურნეობებისთვისაა განკუთვნილი, რადგანაც მათი გამოგზავნა ხდება იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ან ჰუმანიტარული ორგანიზაციების საშუალებით.

მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობა - ქვეყანაში შინამეურნეობათა და ინდივიდებს შორის შემოსავლების უთანაბრო განაწილების ხარისხია. ეკონომისტთა უმეტესობა ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია შემოსავლების განსაზღვრული დონის უთანაბრობა [2]. ეკონომიკური კვლევების განვითარების მსოფლიო ინსტიტუტმა გამოავლინა, რომ შემოსავლების დონის უთანაბრო განაწილების კრიტიკული მნიშვნელობა ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და, შესაბამისად, ბიზნესგარემოზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის შესახებ თუ რა პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია რემიტანსებს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე. მოცემულ სფეროში ერთ-ერთმა პირველმა კვლევამ - ო. სტარკის, ე. ტელიორისა და შ. იუჯაკის ნაშრომმა აჩვენა, რომ რემიტანსები გამათანაბრებელ გავლენას ახდენდა მექსიკის სოფლის დასახლებებში შემოსავლების უთანაბრობაზე, სადაც მცხოვრებლები უძველესი დროიდან მიგრირებდნენ სხვა ქვეყნებში სამუშაოდ. სოფლებში, სადაც შიდა მიგრაციის დონე უფრო მაღალია ვიდრე საერთაშორისო მიგრაციის, შიდა რემიტანსებმა გაზარდა შემოსავლების უთანაბრობა [3, 4].

რემიტანსების პირდაპირი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იწვევენ შინამეურნეობების შემოსავლების გაზრდას, ამალღებენ მათ რანგს იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებიც გარე რემიტანსებს არ იღებენ.

გარე რემიტანსების მიღებამდე (ან შინამეურნეობი რომელიმე წევრის მიგრაციამდე) მოსახლეობის შემოსავლების საერთო განაწილებაში შინამეურნეობის პოზიციიდან გამომდინარე, რემიტანსებმა შეიძლება გაზარდოს ან შემციროს უთანაბრობა.

განვიხილოთ შემთხვევები, როცა გარე რემიტანსებმა შეიძლება აამაღლოს ან შეამციროს უთანაბრობა:

- თუ გარე რემიტანსების მიმღებ ღარიბ შინამეურნეობებს შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობაში მაღალი წილი უკავია, მაშინ შემოსავლების უთანაბრობა მცირდება;
- თუ გარე რემიტანსების მიმღებ ღარიბ შინამეურნეობებს შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობაში დაბალი წილი უკავია, მაშინ შემოსავლების უთანაბრობა უმნიშვნელოდ მცირდება;
- თუ გარე რემიტანსების მიმღებ არაღარიბ შინამეურნეობებს შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობაში მაღალი წილი უკავია, მაშინ შემოსავლების უთანაბრობა იზრდება;
- თუ არაღარიბ შინამეურნეობებს გარე რემიტანსების მიმღებ შინამეურნეობათა საერთო რიცხოვნობაში დაბალი წილი უკავია, მაშინ შემოსავლების უთანაბრობა უმნიშვნელოდ იზრდება.

დღემდე საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრო განაწილებისა და სიღარიბის დონეზე გარე რემიტანსების გავლენა არ არის შესწავლილი. თუმცა ასეთი ანალიზი აუცილებელია, რადგანაც იგი შესაძლებელს გახდის დავახასიათოთ გარე რემიტანსების

საქართველოში მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობაზე გავლენა, მოვახდინოთ საქართველოსათვის მიღებული შედეგების შედარება სხვა ავტორების კვლევის შედეგებთან, გამოვავლინოთ საერთაშორისო შრომით დანაწილებაში საქართველოს სპეციფიკა, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და, ასევე, გლობალური პროცესების გავლენა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციაზე.

რობერტო ბარრო ამტკიცებს, რომ შემოსავლების უთანაბრობა ანელებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ღარიბ ქვეყნებში და ასტიმულირებს მას მდიდარ ქვეყნებში [5].

არსებობს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის მრავალი მიზეზი. ისინი ძირითადად ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, არახაზოვანი, და კომპლექსურია. ასევე, შეუძლიათ სიღარიბის წარმოშობაც. განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკაში მოსახლეობის სიღარიბისა და შემოსავლების უთანაბრობის ძირითადი მიზეზები უფრო დეტალურად:

1. ბუნებრივი შესაძლებლობები. არსებობს კავშირი ადამიანის ბუნების მიერ ბოძებულ შესაძლებლობასა (ინტელექტი, ძალა, ქარიზმა და სხვ.) და მის კეთილდღეობას შორის. თუ ინდივიდი დაჯილდოვებულია მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობებით, მაშინ იგი შეძლებს იპოვოს სამუშაო როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

2. განათლება ძალიან ძლიერ ზემოქმედებს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობაზე. ეკონომიკის სფეროში, სადაც საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ადამიანები განათლების გარეშე ან საშუალო განათლებით ვერ შეძლებენ იპოვონ მაღალანაზღაურებადი სამუშაო. მაღალი ანაზღაურების წყალობით ქვეყანა-რეციპიენტები ცდილობენ მოიზიდონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. შესაბამისად, ამ სპეციალისტებს აქვთ შესაძლებლობა უფრო დიდი მოცულობის რემიტანსები გააგზავნონ.

3. უპირატესობათა განსხვავებები. არსებობს ალტერნატიული ღირებულება, ანუ არჩევანი ლოკალურ შრომით ბაზარზე დაბალანაზღაურებად სამუშაოს ან სხვა ქვეყანაში გამგზავრებით მაღალი ანაზღაურების მიღებას შორის. ერთნაირი შესაძლებლობების და განათლების დონის მქონე ადამიანები სხვადასხვა არჩევანს აკეთებენ.

4. შრომის ბაზარი - დღეისათვის საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლების უთანაბრობის ძირითადი მიზეზია. ხელფასი განისაზღვრება როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე სხვადასხვა სპეციალისტებზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. თუ ინდივიდს არ შეუძლია იპოვოს სამუშაო ლოკალურ ბაზარზე, მაშინ შეიძლება სხვა ქვეყანაში ან რეგიონში მიგრაციით გადაჭრას ეს პრობლემა თავისი შესაძლებლობების, განათლებისა და სურვილის პირობებში.

5. გლობალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შეიძლება გლობალურიდან ლოკალურ დონეზე გამოიწვიოს შემოსავლების უთანაბრობის პრობლემა. როცა მდიდარი ქვეყანა ვაჭრობს ღარიბთან, დაბალკვალიფიციური მუშაკის ხელფასი მდიდარ ქვეყანაში დაბალი იქნება, ხოლო ღარიბ ქვეყანაში გაიზრდება [6]

6. სქესი, ეროვნება, სარწმუნოება და კულტურა. საზღვარგარეთ მომუშავე ქალებს უფრო მეტი სიძნელის გადატანა უწევთ, ვიდრე მამაკაცებს. ამავე დროს, შრომითი მიგრაცია გართულებულია ეროვნული, რელიგიური და კულტურული განსხვავებების გამო. სქესობრივი, ეროვნული, სარწმუნოებითი და კულტურული ნიშნით დისკრიმინაცია წარმოადგენს უთანაბრობის მიზეზს, რადგანაც ზოგიერთი დამქირავებელი ობიექტურად არ უდგება ყველა პრეტენდენტს შესაძლო ვაკანსიაზე.

7. მონეტარული პოლიტიკა - ინფლაცია და დევალვაცია. ავსტრიულმა ეკონომიკურმა სკოლამ გამოავლინა, რომ სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის შედეგად გამოწვეული ინფლაცია გავლენას ახდენს მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობაზე. ამ თეორიის თანახმად, ინფლაცია იძულებითი ღონისძიებაა, რომელიც მხოლოდ მდიდრებს აწყობთ,

ამასთან, ადიდებს ქვეყანაში მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობას. უცხოური ვალუტის ეროვნულ ვალუტისადმი დევალვაცია ამცირებს შინამეურნეობაში მსყიდველობითუნარიანობას და ამგვარად ასუსტებს გარე რემიტანსების როლს შემდგომში სიღარიბის დონის შესანარჩუნებლად [5].

საჭიროა აღინიშნოს, რომ რადგანაც რემიტანსები წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას და საოჯახო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს, ამ პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელია ორი სუბიექტის - გზავნილის გამგზავნი და მიმღები პირის მონაწილეობა, მათი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედების მექანიზმის რეალიზების უზრუნველყოფაში კი მრავალი მონაწილე.

გლობალიზაციამ და შრომის საერთაშორისო დანაწილებამ დააჩქარა ქვეყანა-რეციპიენტებიდან ქვეყანა-დონორებში ფულადი საშუალებების მოძრაობა. ერთის მხრივ, ეს ფულადი საშუალებები ამცირებენ სიღარიბის დონეს ქვეყანა-დონორებში, მაგრამ სამუშაო ძალის მუდმივი მიგრაციის შედეგად, ეს ქვეყნები კარგავენ საწარმოო პოტენციალს, ამით კი ამუხრუჭებენ ეკონომიკის განვითარებას. მეორე მხრივ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რემიტანსები, როგორც სამუშაო ძალის მიგრაციის შედეგად წარმოშობილი ფაქტორი გამოიყენება ინვესტირებისათვის, რაც ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებას იწვევს. ამდენად, სამუშაო ძალის მიგრაცია ორმხრივად ახდენს მოსახლეობის სიღარიბისა და შემოსავლების უთანაბრობის დონეზე გავლენას. შესაბამისად, ფაქტორების (რემიტანსების მოცულობა და სამუშაო ძალის მიგრაციის ტემპი) სიძლიერე თავად განსაზღვრავს სამუშაო ძალის მიგრაციის გავლენას სიღარიბის დონესა და შემოსავლების უთანაბრობაზე დადებითი იქნება თუ უარყოფითი.

უკანასკნელ წლებში საქართველოდან შრომითი მიგრაცია არა მარტო ძალას იკრებდა, არამედ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზეც კი პროცესის მდგრადობა გამოავლინა. შრომითი მიგრაციის რეალური ალტერნატივა ვერ მოიძებნა. დღეისათვის ნათელია, რომ მიკროდონეზე მიგრანტების დაბრუნება გააუარესებს მათი ოჯახის წევრთა ცხოვრების ხარისხსა და მატრიალურ მდგომარეობას, ხოლო მაკროდონეზე - გამოიწვევს უმუშევრობის დონის ზრდას, გააძლიერებს ზემოქმედებას სოციალური დაცვის სისტემაზე და სხვ.

საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების შემოდინებას ასტიმულირებს. თუმცა, დადებითი ზემოქმედების უფრო დიდი მოლოდინი პირად მოხმარებაზე უნდა ვქონდეს, ვიდრე მშპ-ზე. ამასთან, შიდა სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდამ, რომელიც რემიტანსების შედეგია, შეიძლება დასაქმების გარკვეული ზრდა და, მთლიანობაში, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითი ზემოქმედების მოხდნაც გამოიწვიოს; შექმნას მათი გამოყენების ახალი შესაძლებლობები, როგორცაა - უძრავი ქონების შექმნა, ადამიანურ კაპიტალში დაბანდებები, კერძო ბიზნესის დაწყება და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შექმნა.

საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირების რესურსის სახით რემიტანსების სისტემური მობილიზება ბიზნესგარემოს ფორმირების რეალური წინაპირობა და უახლოესი პერსპექტივაა. აუცილებელია, ფულადი გზავნილები აკუმულირებულ იქნას საბანკო სექტორში, ხოლო ფულადი საშალებები ინვესტირებულ იქნას ეკონომიკაში. ყოველივე ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შრომითი მიგრაციის შეზღუდვაზე რიგი შიდა ფაქტორების ზემოქმედების და მიუხედავად, ფაქტორები, რომელიც მის სტიმულირებას იწვევს, უფრო მეტია და მათი გავლენა უფრო არსებითია. ამიტომ საქართველოდან შრომითმა მიგრაციამ გრძელვადიანი ხასითი მიიღო, ხოლო მიგრანტების ფულადი გზავნილები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტაბილური ფაქტორი გახდა. ამასთან, შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული

ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიღარიბის შემცირებაში. საშუალოდ, საერთაშორისო ფულადი გზავნილების 10%-ნი ხვედრითი წილი მშპ-ში ამცირებს 1,6%-ით მოსახლეობის სიღარიბეს.

საქართველოში ჯერ კიდევ შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები - არის ძირითადად გადარჩენისა და არა განვითარების სტრატეგია. ქვეყნის მთვრობას ჯერ კიდევ სრულყოფილი სახით არ აქვს შემუშავებული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით, გზავნილების გამოყენების პრაქტიკული მექანიზმი.

საქართველოში არსებული მიგრაციული პროცესების მაღალი ინტენსივობა სახელმწიფოსგან მოითხოვს ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პირობებში მიგრაციული პროცესების მართვის მექანიზმების სრულყოფის თვალსაზრისით მოქმედებათა აქტივიზაციას. საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის შესწავლისას მისი პრიორიტეტული მიმართულებიდან უახლოეს პერსპექტივას ეკონომიკური, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ღონისძიებების კომპლექსური რეალიზება წარმოადგენს, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის მიმდინარე და პერსპექტიული სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნილებათა უზრუნველყოფასა და მიგრანტების ლეგიტიმური უფლებების დაცვაზე.

რემიტანსების საქართველოს მშპ-ის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი წილიდან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობის მხრიდან უნდა მოხდეს შრომითი ნაკადების რეგულირება, არა მარტო ცალკეული შინამეურნეობის, არამედ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნის შესაბამისად მიგრანტების ფულადი გზავნილების ეფექტურად გამოყენების სისტემის შემუშავებით. ქვეყნის განვითარების მიზნით, ინვესტირების სტიმულირების ერთ-ერთ ღონისძიებად შეიძლება გამოდგეს ფულადი გზავნილების ორი ძირითადი ტიპი - ოფიციალურსა და არაოფიციალურს შორის ურთიერთკავშირის ცვლილების ღონისძიება ოფიციალურის სასარგებლოდ.

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის შესწავლისათვის ხშირად ცენტრალური ტენდენციის მხოლოდ სამი საზომს იყენებენ: საშუალო არითმეტიკულს, მოდასა და მედიანას, ანუ შინამეურნეობათა საშუალო შემოსავლის დადგენას და შინამეურნეობათა შემოსავლებსა და საშუალო შემოსავლებს შორის განსხვავებათა (გადახრათა) გაანგარიშებას. თუმცა, მხოლოდ ეს მაჩვენებლები არ არის საკამარისი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების, დასახლებული პუნქტის, რეგიონის მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის დონისა და საგარეო რემიტანსების საერთო უთანაბრობაზე გავლენის დახასიათებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ჭელიძე, საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია, თსუ, თბილისი, გვ. 34.
 2. Щепаньский, Я. Элементарные понятия социологии [Текст] /Я. Щепаньский. М., 1969. 151 с.
 3. Karlstrom, U. Urbanization and Industrialization: Modelling Swedish Demoeconomic Development from 1870 to 1914. - Luxemburg, Austria: HAS A, 1980. - WP-80-54: 28-34.
 4. Semmingsen, I. Emigration from Scandinavia // Scandinavian Economic History Review. — 1972. - № 20.
 5. Коулмен, Д. Иммиграция и этнические сдвиги в странах с низкой рождаемостью: третий демографический переход в действии? [Текст] /Д. Коулмен // Миграция и развитие : сб. ст. Науч. серия: Международная миграция населения. Россия и современный мир / гл. ред. В. А. Ионцев. - М. :Би Эль Принт, 2007. - Вып. 20. - С. 12-48.
- Hicks, I. The Theory of Wages. - London : MacMillan, 1932.

Remittances and their impact on unequal distribution of income

Rusudan Kinkladze - Associate Professor
Georgian Technical University,

Abstract

The migration of the population is an important process, that affects the formation of social, economic, and, especially, business environments in every country. Although, they are interconnected in some ways. Free movement of a workforce has a positive nature, economically speaking, while it causes the rise in industrial efficiency on macro, and micro levels, but the distribution of the benefits and the losses between the countries, that are donors and recipients of the workforce, is not equal. The free migration of the workforce creates a number of problems, that require to be thought through on a scientific level, in particular, how the money sent by a foreign worker to his or her home country impacts the income inequality and poverty level there.

Migration processes are usually accompanied by remittance - transfer of money by a foreign worker to an individual in his or her home country. Big amounts of remittance can affect every economic indicator, especially the quality of life.

Methodical researching for remittance is not enough for today, empirical data about the money transfers by the immigrants is blurry, and a lot of problems, concerning the remittances, is still unsolved. The official source for the data about the money transfers is the National Bank, but it still does not have specific law, concerning international money transfer, and the limitations of the transactions and savings in a foreign currency for the residents and non-residents. Also, the amount of the cash in foreign currency, that is carried in and out of the country, is not limited. There is no law that limits the volume of the outbound money transfer, while the volume of the inbound transfers is regulated by the country of origin of the transfer or by the regulations of the money transfer company.

Key words: Migration of the population, Remittances, Inequal distribution of income, level of poverty.

**შობადობის სტატისტიკა საქართველოში:
მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი**

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: merab.khmaladze@tsu.ge

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.
ილია

ანოტაცია

წარსულში, საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, შობადობის დონე განისაზღვრებოდა ქალის ბიოლოგიური შესაძლებლობებით და დაქვრივების დონით. შობადობის მაღალ დონეს ძირითადად განაპირობებდა ბავშვთა შრომის ფართოდ გამოყენება და მაღალი მოკვდაობა ახალგაზრდა ასაკებში. აღნიშნული ფაქტორების მოხსნამ გამოიწვია შობადობის შემცირება. არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვთა შობის შიგა ოჯახური რეგულირება საქართველოში იწყება არა უგვიანეს მე-IX საუკუნის პირველი მეოთხედიდან. აღსანიშნავია, რომ მე-IX საუკუნეში საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო მოსახლეობის აღწარმოების ევროპული, ეკონომიური ტიპი. შობადობის შესამჩნევი შემცირება საქართველოში იწყება 1865 წლის შემდეგ. შობადობის შემდგომი შემცირება გამოიწვია პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა. ამის შემდეგ მოხდა შობადობის დონის გარკვეული ზრდა, რომელიც აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს მე-XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. მთელი განხილული პერიოდის მანძილზე, შობადობის დონე საქართველოში დაბალი იყო როგორც ევროპის (მ.შ. რუსეთი) ქვეყნებთან, ისე სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, მაგრამ უფრო დაბალი იყო მოკვდაობა, რის შედეგადაც ბუნებრივი მატებით საქართველო აღნიშნულ ქვეყნებს არ ჩამოუვარდებოდა.

საკვანძო სიტყვები: შობადობის სტატისტიკა, საქართველო - მე-19 საუკუნე, საქართველო - მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, აღწარმოების ეკონომიკური ტიპი.

წარსულში, საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, შობადობის დონე განისაზღვრებოდა ქალის ბიოლოგიური შესაძლებლობებით და დაქვრივების დონით.⁶⁷ ბავშვთაშობის საშუალო ბიოლოგიურ შესაძლებლობად, ე. ი. ნაყოფიერებად, მიჩნეულია 10-12 ცოცხლადდაბადება ან 12-15 ფეხმძიმეობა მთელი ფერტილური პერიოდის მანძილზე.⁶⁸

ვარაუდობენ, რომ თუ ნაყოფიერების გამოვლენის საუკეთესო პირობები შეიქმნება, შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა შეიძლება 100-105%მდე მიაღწიოს, თუმცა დღემდე შემჩნეული არაა, რომ რომელიმე ქვეყანაში შობადობის დონეს 60-70%-სთვის გადაეჭარბებინოს. აღსანიშნავია, რომ რამდენადაც ნაყოფიერების დონე განისაზღვრება ადამიანის ჯანმრთელობის დონით, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ

⁶⁷ ამ პროცესის თანამედროვე გაგებით შობადობის რეგულირება იწყება XVIII საუკუნის დასასრულს. პირველად ის გავრცელდა საფრანგეთში. შემდეგ თანდათანობით, უმთავრესად XIX საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. იხ.: В.И.Козлов. Этническая демография.М., 1977. с.143.

⁶⁸ Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 329

ნაყოფიერების მაღალი დონის არსებობა წარსულში დღევანდელთან შედარებით. სხვა საკითხია ნაყოფიერების უფრო სრული რეალიზაციისთვის საჭირო პირობების არსებობა წარსულში, რაც შობადობის მაღალ დონეს განსაზღვრავდა.

უპირველეს ყოვლისა, შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის და კერძოდ ბავშვთა მოკვდაობის მაღალ დონეზე. ღარიბ მოსახლეობაზე რაღა უნდა ითქვას, როდესაც ცნობილია, რომ იოჰან სებასტიან ბახს (1685-1750) ჰყავდა 20 შვილი, რომელთაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 10. ინგლისის დედოფალ ანას (1665-1714) ეყოლა 17 შვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთმა ვაჟიშვილმა გადააბიჯა ერთ წელს და ისიც 17 წლის ასაკში მოკვდა. შობადობის მაღალი დონის მიუხედავად, მოუსავლიანობა, ომები, შიმშილი, ეპიდემიები, იწვევდა ისეთ მაღალ მოკვდაობას, რომ შობადობის შედეგი მინიმუმამდე დაჰყავდა. განსაკუთრებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა ეპიდემიებს. შავი ჭირის ეპიდემიამ ევროპაში 1348-1350 წწ. შეიწირა 25-30 მილიონი ადამიანი, ე.ი. მოსახლეობის დაახლოებით 30%. მთელი მოსახლეობის, - მათ შორის ბავშვთა და განსაკუთრებით ჩვილთა მოკვდაობა - ასევე მაღალი რჩება მე-IX საუკუნის მეორე ნახევარშიც. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი ევროპის ქვეყნების უმეტესობაში 22-25% აღემატებოდა, ხოლო რუსეთის ევროპულ ნაწილში, უნგრეთში, სერბიაში, სლოვაკეთში - 40-50% ფარგლებში მერყეობდა. ამავე პერიოდში ჩვილთა მოკვდაობა 116%-დან (ნორვეგიაში) მერყეობდა 372,2%-მდე (ბავარიაში). თბილისის გუბერნიაში ეს მაჩვენებელი ამავე წლებში აღწევდა 221,6%. 1890-იან წლებში ევროპის ქვეყნებში ყოველი 100 დაბადებულიდან 5 წლის ჩათვლით ვერ აღწევდა: ნორვეგიასა და ირლანდიაში 20-მდე, ბელგიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, ელზას-ლოტარინგიაში, შვეიცარიაში, შვედეთში 20-30-მდე, იტალიაში, ავსტრიაში, სლოვაკეთში, პრუსიაში, ბავარიაში, საქსონიაში, ტიურინგიაში, ბადენში, ევროპულ რუსეთში - 30-42-მდე. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ თბილისის გუბერნიაში აღნიშნული მაჩვენებელი 19-ს არ აღემატებოდა¹, რაც იმ დროისათვის საქართველოში შობადობის შედარებით დაბალი დონის არსებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა.

ვარაუდობენ, რომ მე-XIX საუკუნის ბოლოსათვის მშობლების საშუალო ასაკი 30 წელს აღწევდა. ამასთან აღმოჩნდა, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილში 30 წლამდე ვერ აღწევდა დაბადებულთა 53%, საფრანგეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ირლანდიაში, ისლანდიაში - 40-45%-მდე, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში იგი 50-60% და ზოგან 65% აღემატებოდა. თბილისის გუბერნიაში 1875-1879 წლებში 100 გარდაცვლილიდან 57% იყო 30 წლამდე ასაკში.²

ამ მაჩვენებლიდან ჩანს, რომ თუ მშობლებს უნდოდათ გაეზარდათ შვილების გარკვეული რაოდენობა, საჭირო იყო მასზე სულ ცოტა ორჯერ მეტი გაეჩინათ. აქ ლაპარაკია მე-XIX საუკუნის დასასრულზე და, რა თქმა უნდა, წინა პერიოდში პროპორციაც უარესი იქნებოდა. დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წარსულში ოჯახები იყვნენ არა იმდენად მრავალშვილიანები, თუმცა ბევრ შვილს აჩენდნენ,³ ხოლო ოჯახის საშუალო ზომა დიდად არ განსხვავდებოდა თანამედროვე ოჯახისაგან. ა. ვიშნევსკის აზრით, შედარებით ახლო პერიოდამდე მრავალშვილიანი ოჯახები დიდ იშვიათობას წარმოადგენდნენ. ყოველთვის ეჩვენებოდათ, რომ წარსულში მოსახლეობა ცხოვრობდა ოქროს დემოგრაფიულ საუკუნეში, ოჯახები იყვნენ მრავალშვილიანები, და მხოლოდ უახლოეს დროში, „ჩვენს დროში“, ადამიანები გაფუჭდნენ, რამაც მიგვიყვანა მცირეშვილიანობამდე. მასვე მოჰყავს მრავალი

¹ Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885, с.365,375,385.

² იქვე, გვ.378.

³ А.Я.Кваша. Популярная Демография. М., 1977, с.10.

მონაცემი იმის შესახებ, რომ მე-XIV-XVIII საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იყო საშუალოდ 1-2 შვილიანი ოჯახი.⁴

შობადობის მაღალი დონე და შვილების დიდი რიცხვის ყოლა ოჯახში საჭირო იყო მშობლების სიბერის უზრუნველსაყოფად. მაღალ შობადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოჯახის ეკონომიკური ფუნქცია. წარსულის ოჯახები წარმოადგენდნენ როგორც მომხმარებელ, ისე მწარმოებელ ოჯახებს. საწარმოო ფუნქცია გულისხმობდა მწარმოებელი კოლექტივის არსებობას, რომლის როლშიც ოჯახის წევრები გამოდიოდნენ. აღნიშნულ კოლექტივში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ბავშვებს, რომლების შრომაც აგრარული მეურნეობის პირობებში ფართოდ გამოიყენებოდა. მოგვიანებით ბავშვების შრომის ფართოდ გამოყენებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მანუფაქტურებში და საერთოდ კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე. იგი ბავშვთა სამუშაო ძალის მკაცრი ექსპლუატაციის სახეს ატარებდა.

რამდენადაც შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე, ამ უკანასკნელის შემცირებას თან მოჰყვა შობადობის დაცემაც. თავისთავად, მოკვდაობის დონის შემცირება გამოიწვია საზოგადოების პროგრესმა. ჯერ ერთი, საწარმოო ძალების განვითარებამ კაპიტალიზმის ეპოქაში ევროპის სახელმწიფოებს საშუალება მისცა ეროვნული შემოსავლიდან გარკვეული სახსრები გამოეყოთ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისთვის. ვაქცინებისა და აცრების მასობრივად გავრცელებამ, რომელიც დაამუშავა ინგლისელმა ინჟინერმა ედვარდ ჯენნერმა (1749-1823), გამოიწვია მასობრივი ეპიდემიებით გამოწვეული მოკვდაობის მკვეთრი შემცირება. უკვე 1890 წლიდან ევროპაში ყვავილის ეპიდემია მინიმუმამდე შემცირდა. მსოფლიოში ყვავილის ბოლო შემთხვევა დაფიქსირდა გაეროს მიერ 1980 წელს. დადებითი როლი ითამაშა ქალაქების სანიტარულმა მოწყობამაც.

საწარმოო ძალების განვითარებამ სოფლის მეურნეობაში და მოსავლიანობის ზრდამ მოხსნა მასობრივი შიმშილობის საფრთხე. ამ საკითხში განსაკუთრებული როლი ითამაშა ევროპაში ამერიკიდან შემოტანილი მაღალმოსავლიანი კულტურების გავრცელებამ.¹ მე-XX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი ისტორიკოსის ფ.ბროდელის აზრით, ამ ახალ კულტურებს კარი პირველად გაუღეს ღარიბმა ოჯახებმა; ხოლო დემოგრაფიულმა ზრდამ ისინი აუცილებლობად აქცია. ამასთან, აღნიშნავს იგი, თუ მსოფლიოს მოსახლეობამ შეძლო ზრდა, ხომ არ მოხდა ეს გარკვეულწილად სურსათის წარმოების მატების ხარჯზე, ახალი კულტურების საშუალებით?² დიდ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ფ.ბროდელი ასკვნის, რომ ევროპაში მე-XVIII საუკუნეში კვების საკითხში მოხდა ნამდვილი რევოლუცია (თუმცა მის დამთავრებას დასჭირდა დაახლოებით ორი საუკუნე)³.

⁴ А.Г.Вишневский. Демографическая революция. М., 1976,с.217-219.

¹ სიმინდი ესპანეთში შემოიტანეს მე-XVI საუკუნის 20-იან წლებში. შემდეგ იგი გავრცელდა საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში. აქედან მან შეაღწია ბალკანეთში, უკრაინაში, მცირე აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში. სიმინდის ნათესებს ყველა ამ ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კარტოფილი ევროპაში გავრცელდა XVI საუკუნის ბოლოს (1588 წ.) ჯერ ირლანდიაში, შემდეგ საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ. ამერიკის კონტინენტს უნდა უმაღლოდეს მსოფლიო ისეთ კულტურებს, როგორცაა: კარტოფილი, სიმინდი, გოგრა, პამიდორი, კაკაო, ლობიო, ბამბეული და სხვა, დაახლოებით 40-მდე სახეობის სასარგებლო მცენარეულობას. იხ.: В.Виргинский. Очерки истории науки и техники XVI-XIX веков. М., 1984, с. 48-49.

² Ф.Бродель. Материальная цивилизация, Экономика и капитализм XV-XVIII вв. Пер. с французского. Т. I. М., 1986, с.180.

³ Ф.Бродель. Указ. Соч. ... с. 188.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, „სიმინდის კულტურა სამეგრელოში მე-XVII - საუკუნის დამდეგში უნდა იყოს შემოსული. ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის სიმინდს სასოფლო მეურნეობაში იქაც კი მცირედი მნიშვნელობა ჰქონია და მხოლოდ მეორე ნახევრისგან თანდათან დასავლეთ საქართველოში ამ მცენარეს ფართო ასპარეზი დაუპყრია, აღმ.საქართველოში - კი მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდეც მიწისმოქმედის ყურადღება ვერ დაუმსახურებია“.⁴ ივ. ჯავახიშვილისავე გამოკვლევით - საქართველოში XIII-XV საუკუნეებში იტალიიდან გავრცელებულა კომბოსტოს ერთ-ერთი სახესხვაობა, ხოლო ლობიო პირველად გავრცელდა სამეგრელოში მაინც, თუ დასავლეთ საქართველოში არა - XVII საუკუნეში, ხოლო მე - XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლობიოს მოყვანა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული⁵.

საზოგადოებრივმა პროგრესმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებამ, შვილების, როგორც მშობლების სიბერის უზრუნველყოფის გარანტის როლი მინიმუმამდე შეამცირა, თუ საერთოდ ზედმეტი არ გახადა.¹

შეიცვალა ოჯახის ფუნქცია. მისმა მწარმოებლურმა ფუნქციამ გარკვეულად დაკარგა მნიშვნელობა და გაიზარდა მომხმარებლის ფუნქცია. წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ შეზღუდა ბავშვთა არაკვალიფიციური შრომის გამოყენების სფერო და ბავშვი ოჯახში მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცა. ამასთან ერთად, ევროპის ქვეყნებში პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაწოლით უკვე 1900-იანი წლებიდან კანონით აიკრძალა 14 წლამდე ბავშვების შრომა. ბავშვებმა მიიღეს ბავშვობა. ამის შედეგად ოჯახში ბავშვთა შობის შეზღუდვამ სხვებთან ერთად ეკონომიკური გამართლებაც ჰპოვა.

როგორც დემოგრაფიულ ლიტერატურაშია ხაზგასმული, დემოგრაფიული განვითარების შედეგად მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობაზე გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ახლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს გადასვლა მცირეშვილიან (1-2 შვილით) - ოჯახებზე, რაც დეპოპულაციის საფრთხეს ქმნის.² აღნიშნულ დინამიკას განაპირობებენ შობადობაზე მოქმედი რიგი ფაქტორები, რომელთაგან ზოგიერთი მეტად ამოუცნობი, წინააღმდეგობით სავსე ბუნებით ხასიათდება, თუმცა ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივად ასახსნელი ჩანს.

ზემოთაღნიშნული პირველ რიგში ეხება შობადობის დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ურთიერთკავშირს. საბჭოთა დემოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო უტოპიური შეხედულება,³ რომ სოციალიზმი უზრუნველყოფს კაპიტალიზმთან შედარებით ხალხის კეთილდღეობის განუზრუნველ ზრდას, რაც თავის მხრივ განაპირობებს შობადობის მაღალ დონეს კაპიტალიზმთან შედარებით. ამ თეორიამ კრახი განიცადა 1960-იანი წლებიდან შობადობის სისტემატური შემცირების შედეგად. ამასთან, როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში ჩატარებული გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ოჯახში შვილების რაოდენობა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მაღალია ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. ამას დემოგრაფები უწოდებენ „უკუდამოკიდებულების პარადოქსს“. არაფრით არ შეიძლება

⁴ იხ.: ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფილისი, 1930. გვ. 362-363.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფილისი, 1934. გვ. 117.

¹ М.Бекая. Связь некоторых проблем рождаемости и геронтосоциологии. В кн.: Планирование семьи и национальные традиции, Тб., 1988, с.27.

² გ. წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკუთხები. თბ., 1984. გვ. 140; Г.Цуладзе. Социолого-психологическое изучение рождаемости. Тб., 1982, с.130; В.А.Борисов. Перспективы рождаемости. М., 1973; А.И.Антонов. Социология рождаемости. М., 1980 и др.

³ Вопросы марксистско-ленинской теории народонаселения. М., МГУ, 1969, с.55.

დავამტკიცოთ, - აღნიშნავდა ა.ა.ბოიარსკი, რომ თუ ადამიანები იწყებენ უკეთეს ცხოვრებას, სარგებლობენ უკეთესი საცხოვრებლით, უკეთესი კვებით და სხვა პირობებით, ამან აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს შობადობის შემცირებამდე. ლიტერატურაში არსებული ამდაგვარი ცდები ატარებენ წმინდა სპეკულაციურ ხასიათს. კეთილდღეობის ზრდა თავისთავად არ იწვევს შობადობის შემცირებას.⁴

საბჭოთა (რუსმა) დემოგრაფებმა სცადეს ამ პარადოქსის ახსნა. - მართალია იზრდება

მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ იზრდება უფრო დაბალი ტემპებით, ვიდრე მოთხოვნილებები. შესაბამისად იზრდება სხვაობა მოთხოვნილებებსა და მათ დაკმაყოფილებას შორის, რაც ხელს უწყობს შობადობის შემცირებას.¹ ასეთ კონცეფციას შეიძლება დავეთანხმოთ, რომ არა შემდეგი გარემოება: ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოთხოვნილება და დაკმაყოფილება მაქსიმალურად უახლოვდება ერთმანეთს, რატომაც შობადობა დაბალი?

შობადობის დონეზე მოქმედებს აგრეთვე შემდეგი ფაქტორები: ურბანიზაცია, სოციალური კუთვნილება, ქალის დასაქმება საზოგადოებრივი შრომით, განათლების დონე, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება. ამ კონკრეტული ფაქტორების ანალიზი ჩვენი ნაშრომის მიზანს არ შეადგენს.

დღეისათვის შობადობის დონეზე მოქმედი ფაქტორთა კომპლექსი განაპირობებს შობადობის დონის შემცირებას. ამასთან არ გვაქვს ჩამოყალიბებული თეორია შობადობის გამზრდელი ფაქტორების შესახებ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირდება არა „ბავშვების ყოლის მოთხოვნილება“ საერთოდ, არამედ მოთხოვნილება მათ შედარებით დიდ რიცხვზე. „ბავშვების ყოლის მოთხოვნილება“ სრულიად აკმაყოფილებს ოჯახში საშუალოდ ორი და ერთი შვილიც კი. სწორედ აქ წამოიჭრება წინამდებეობა ოჯახსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც ერთ და ორშვილიანი საშუალო ოჯახი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ანალიზი უკავშირდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მიმდინარე სტატისტიკის არსებობას. წარსულში, როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე საქართველოში, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვას აწარმოებდა „საეკლესიო სტატისტიკა“. შობადობისა და მოკვდავობის შესახებ სტატისტიკური მასალები საქართველოში ქ.თბილისის მოსახლეობის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1845 წელს.² აღნიშნულმა თარიღმა საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკის ისტორიაში უნდა დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი. სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მთელი 1845-1860 წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა მხოლოდ ქ.თბილისზე. 1860 წლიდან ქვეყნდება მასალები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიხედვით. კავკასიის კალენდარი, რომელიც ყოველწლიურად გამოდიოდა 1845-1917 წლებში, იმდროინდელი სტატისტიკის ერთ-ერთი მიმართულების „სახელმწიფოსმცოდნეობის“ ტიპური წარმომადგენელია. იგი სახელმწიფოს მდგომარეობის დამახასიათებელ მრავალ მონაცემთან ერთად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემებსაც შეიცავს თავისი დადებითი და უაროფითი მხარეებით. დადებითია ის, რომ მასში გამოქვეყნებულია საქართველოს

⁴ А. Я. Боярский. Население и методы его изучения. М., 1975, с.25.

¹ А.И.Антонов. Социология рождаемости. М.,1980,с.13-25; Б.Ц.Урланис. Динамика рождаемости в СССР. В кн.: „Изучение воспроизводства населения и трудовых ресурсов“. М., „Наука“, 1976, с.27-28.

² Кавказский календарь на 1846 г. Тифлис, 1845, с. 152. ა.თოთაძის მონაცემებით პირველი სტატისტიკური მასალა, საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ 1847 წლით თარიღდება. იხ.: ა.თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993. გვ. 18.

დემოგრაფიული ისტორიის შესასწავლი უნიკალური მასალა. უარყოფითი კი ისაა, რომ რიგ შემთხვევებში იგრძნობა შობადობისა და მოკვდაობის აღურიცხაობა, ხოლო ხშირ შემთხვევებში გამოქვეყნებული მასალა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. მაგალითად, სხვადასხვა კრებულში გამოქვეყნებული ერთი და იგივე წლის მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. კერძოდ, 1914 და 1915 წლების კავკასიის კალენდარში გამოქვეყნდა ა/კავკასიის მოსახლეობის შობადობისა და მოკვდაობის 1914 წლის მონაცემები გუბერნიების მიხედვით, სადაც არც ერთი მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა. მონაცემები შემდეგია:

ცხრილი 1

	1914 წლის კალენდარით ¹		1915 წლის კალენდარით ²	
	დაიბადა	გარდაიცვალა	დაიბადა	გარდაიცვალა
თბილისის გუბერნია	43211	23131	44306	24338
ქუთაისის გუბერნია	24485	12201	23530	13352
ბაქოს გუბერნია	21122	15108	20322	14405
ერევნის გუბერნია	31898	17160	36238	23500

ამიტომ, აღნიშნული მონაცემებით კვლევის ობიექტის დახასიათება, მათი წინასწარი კრიტიკული ანალიზის გარეშე, არ შეიძლება.

კავკასიის კალენდარი საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ამ კრებულის რედაქტორების ნ.ზეიდლიცისა და ე.კონდრატენკოს ღვაწლი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში - მე-XIX-საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მე-XX საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდნენ კრებულის გამოცემას.

ცხადია, რომ გამოქვეყნებული მასალების ნაკლი ასახავდა მაშინდელი საეკლესიო სტატისტიკის ნაკლს. ჯერ ერთი, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების რეგისტრაციას 1873 წლამდე აწარმოებდა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესია. რუსეთის იმპერატორის 1873 წლის 5 აპრილის (მგ.სტ.) ბრძანებულებით შექმნილ ამიერკავკასიის მუსულმანური სამღვდლოების მმართველობას დაეკისრა ჩანაწერების წარმოება ამიერკავკასიის მუსულმანურ მოსახლეობაშიც. მეორე - ეკლესიების მიერ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების აღრიცხვა სამეტრიკო წიგნების³ დახმარებით საქართველოში გრძელდებოდა 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოებამდე. ისე როგორც ყველგან, „საეკლესიო სტატისტიკის“ ნაკლს საქართველოშიც წარმოადგენდა ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების არასრული აღრიცხვა. ეკლესია აღრიცხავდა არა დაბადებისა და გარდაცვალების, არამედ ნათლობისა და გარდაცვალებულისთვის წესის აგების ფაქტს. აღნიშნული გარემოების გამო აღრიცხვის გარეშე რჩებოდა მკვდრადდაბადების, ნათლობამდე გარდაცვალების და არაქრისტიანული წესით დაკრძალვის შემთხვევები. ასეთი მდგომარეობა დაფიქსირებულია იმდროინდელ ლიტერატურაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიაში ყველაზე კარგი ცნობები მიღებულია ლუთერანული და მართლმადიდებელი სასულიერო წოდებისგან, ნაკლებად ზუსტი - სომეხ და შემდეგ მუსულმანური სასულიერო

¹ Кавказский календарь на 1915 г. Тифлис, 1914. С.215-217.

² Кавказский календарь на 1916 г. Тифлис, 1915. С.38-39.

³ ა. თოთაძის აზრით, სამეტრიკო წიგნები საქართველოში შემოიღეს 1818 წელს. იხ.: ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993. გვ. 17.

წოდებისგან. რუსმა სექტანტებმა (მოლოკნები, დუხოზორები და სხვა) არ წარმოადგინეს არავითარი ჩანაწერები დაბადების, სიკვდილისა და ქორწინების შემთხვევების შესახებ. უკანასკნელი მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა შედგეს ზუსტი სურათი ამიერკავკასიის სოფლის რუსი მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, რომელიც შედგება მხოლოდ სექტანტებისგან. გარდა ამისა, აღნიშნულ უზუსტობას ხელს უწყობდა ხარვეზები სტატისტიკური ორგანოების საქმიანობაში, ხშირი ომები და მოსახლეობის მიგრაციის მაღალი ინტენსივობა. დარწმუნებული ვართ, რომ სრულად აღირიცხებოდა ქორწინების შემთხვევები, რამდენადაც არსებული საზოგადოებრივი

ინსტიტუტი ქორწინების მკაცრ რეგლამენტაციას აწესებდა.¹

დემოგრაფიული შემთხვევების საეკლესიო აღრიცხვის პირველი საკანონმდებლო რეგლამენტირება მოხდა 1563 წელს **ტრიდენტის** საეკლესიო კრებაზე. ამასთან, შვედეთმა 1686 წლის საეკლესიო კანონით პირველმა შემოიღო საეკლესიო-სამეტრიკო-სამრევლო წიგნები. „მეტრ“ ბერძნულად ნიშნავს ზომას. გადატანითი მნიშვნელობით სამეტრიკო წიგნი არის დემოგრაფიული პროცესების გაზომვის, აღრიცხვის წიგნი. საქართველოში, უკანასკნელ დრომდე, ხალხი დაბადების მოწმობას „მეტრიკას“ უწოდებდა.

უინტერესო არ იქნება შევხვით მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შემთხვევების აღრიცხვის პროგრამას. ამ მიზნით ჩვენ მოვიპოვეთ მასალები თელავის მაზრის 1901 წლის სამეტრიკო წიგნიდან, რომელიც ინახებოდა ქ.თელავის მმჩის განყოფილების არქივში. სამეტრიკო წიგნის თანახმად, დაბადებულისთვის აღირიცხებოდა: სქესი, დაბადების თვე და დღე, ნათლისღების თვე და დღე, მშობლების წოდება, სახელი, მამის სახელი და სარწმუნოება, მიმრქმელთა წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი. გარდაცვალებულისთვის აღირიცხებოდა: სქესი, ასაკი, გარდაცვალებისა და დაკრძალვის თარიღი, წოდება, გვარი და სახელი, სიკვდილის მიზეზი. სიკვდილის მიზეზებიდან უფრო ხშირად რეგისტრირებულია: ანთება, გაციება, ჭლეტი, ხუნაგი, სიბერით სიკვდილი. სიბერით გარდაცვლილად, როგორც ჩანს, თვლიდნენ გარდაცვლილებს 80 წლის და უფროს ასაკში. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რაოდენ „ზუსტი“ იქნებოდა გარდაცვალების მიზეზების დადგენა მღვდლების მიერ, რომლებიც აწარმოებდნენ სამეტრიკო წიგნებს.

ქორწინების რეგისტრაციის პროგრამა მოიცავდა ქორწინების თვეს და დღეს, წოდებას, გვარს, სახელს, მამის სახელს, ქორწინება პირველია თუ მეორე, მექორწინეთა ასაკს. განქორწინების შემთხვევის რეგისტრაციის ფაქტი არ შეგვხვედრია. ქორწინების შეწყვეტა, როგორც ჩანს, ხდებოდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში. ჩვენი საერთო შეფასებით, მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-XX საუკუნის დასაწყისის სტატისტიკა საქართველოში უფრო სცოდავდა აღრიცხვის სიზუსტის და მასალების დამუშავების პროგრამის, ვიდრე აღრიცხვის პროგრამის სრულყოფის საკითხში.

საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ცნობების კრებული კავკასიის შესახებ“, ტომი 9, თბილისი, 1885. ამ კრებულში მოთავსებულია 446 გვერდიანი ნაშრომი - „მოსახლეობის მოძრაობა ამიერკავკასიის მხარეში“, თბილისის გუბერნია.¹ მასში მოცემულია მასალები 1875-1879 წლების სამეტრიკო წიგნებიდან. სტატისტიკური მასალის დამუშავება და ანალიზი ეკუთვნის ა.ნადეჟდინს, რომელიც მსახურობდა კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტში. მუშაობაში მას ეხმარებოდნენ ქართული, სომხური და თათრული ენის მცოდნე მთარგმნელები. ა.ნადეჟდინმა ჩინებულად გაართვა თავი

¹ Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885. წინასიტყვაობა. ეკუთვნის კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარ რედაქტორს ნ. ზეიდლიცს, რომელიც ტომის რედაქტორიცაა.

¹ Сборник сведений о Кавказе. Т. IX, Тифлис, 1885.

დაკისრებულ მოვალეობას და ქართულ ისტორიულ დემოგრაფიას დაუტოვა მე- XIX საუკუნის მიწურულის დემოგრაფიული პროცესების ამსახველი ბრწყინვალე სტატისტიკური მასალა და იმავდროულად ანალიზიც, რომლის მსგავსიც ჩვენ არც მანამდე და არც მის შემდეგ - თვით მე-XX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში არ მოგვეპოვებოდა. მხოლოდ 1968 წელს გამოვიდა ვ.ჯაოშვილის ფუნდამენტური მონოგრაფია - „საქართველოს მოსახლეობა“ (რუსულ ენაზე).

საკადრისი უნდა მივუგოთ ა.ნადეჟდინს, რომელიც, ვ.პრისელკოვთან, ე.კონდრატენკოსთან და ნ.ზეიდლიცთან ერთად, საქართველოში მეცნიერული დემოგრაფიული გამოკვლევების პიონერებად გვევლინებიან. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში ვ.პრისელკოვის ღვაწლი. რაც შეეხება ა.ნადეჟდინის ნაშრომს, მასში განხილულია მოსახლეობის რიცხოვნობა, ბუნებრივი, მიგრაციული მოძრაობა და ქორწინება - სქესობრივ- ასაკობრივ, ეროვნულ და ტერიტორიულ ჭრილში, ამასთან მასალების დამუშავების პროგრამა მეტად შინაარსიანი და იმავდროულად დეტალურიცაა. ა.ნადეჟდინის აღნიშნულ ნაშრომსა და კავკასიის კალენდრის მნიშვნელობას ხაზი იმიტომ გავუსვით, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად წყაროს საქართველოში დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის შესასწავლად მე- XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

კავკასიის კალენდრის ყველაზე ადრეული მონაცემებით, 1845 წელს თბილისში დაიბადა 1010 ბავშვი, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 55 000 შეადგენდა;² 1849 წელს თბილისში - დაიბადა 4940 ბავშვი, მოსახლეობამ კი მიაღწია დაახლოებით 50 000 კაცს.³ გაანგარიშებით გამოდის, რომ შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა თბილისში 1845 წელს 18,4‰, 1849 წელს კი 98,9‰ შეადგინა. შეიძლება რაღაც 5 წელში შობადობის ასეთი გაზრდა? ან ასეთი საწყისი დაბალი დონე? მოსახლეობის რიცხვი შეიძლება მეტ-ნაკლებად სანდოდ ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა, სახეზეა არასრული სტატისტიკა.

არასწორი აღრიცხვის კიდევ ერთი კონკრეტული ფაქტის შესახებ: გარკვეული პერიოდის მანძილზე მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ მონაცემებს საპოლიციო უწყება იძლეოდა. ამის შესახებ კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მთავარი რედაქტორი ნ.ზეიდლიცი წერდა: ჩვენს სტატისტიკურ ცხრილში მოთავსებული მოსახლეობის ციფრები აღებულია კამერალური აღწერებიდან. ამ ციფრებს საპოლიციო ხელისუფლების მიერ მოწოდებულ ციფრებთან შედარებით უპირატესობას ვანიჭებთ, რადგან მათი ციფრები მეტ-ნაკლებად მკითხაობაა.⁴ მოგვიანებით საანალიზოდ დაიწყეს სამეტრიკო წიგნებიდან მოპოვებული მასალით სარგებლობა, რომელიც უფრო სანდოდ ითვლებოდა. ნ.ზეიდლიცის ცნობით, საქართველოში მოსახლეობის მოძრაობის პირველი ანალიზი სამეტრიკო ჩანაწერებზე დაყრდნობით - ეკუთვნის ე. ი. კონდრატენკოს, რომელმაც გაანალიზა გურჯაანის¹ და თბილისის გუბერნიის მოსახლეობა.² მოცემული გამოკვლევით, 1877 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი სოფელ გურჯაანში 41‰-ს აღწევდა.

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიის შესწავლას ვიწყებდით 1850-იანი წლებიდან. ვ. ჯაოშვილის შრომების შედეგად ისტორიის ამ სამანმა მთელი 30 წლით გადაიწია უკან. კერძოდ, მის მიერ აღმოჩენილი ერთი საარქივო დოკუმენტის თანახმად, შესაძლებელი გახდა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გამოთვლა ქ. თბილისში 1820-იან წლებში,

² Кавказский календарь на 1847 г. Тифлис. 1846, с. 156.

³ Кавказский календарь на 1852 г. Тифлис. 1851, с. 454.

⁴ Сборник сведений о Кавказе. Т. IX. Тифлис. 1885. შესავალი.

¹ Сборник сведений о Кавказе. Т. IV. Тифлис. 1878. შესავალი.

² Сборник сведений о Кавказе. Т. VII. Тифлис. 1880. ამ კრებულის VI ტომში არის მონაცემები თბილისის მოსახლეობაზე 1876 წლის ერთდღიანი აღწერით. სულ 1871-1885 წლებში გამოვიდა ამ კრებულის 9 ტომი.

რომელმაც მისივე მონაცემებით, 40% შეადგინა, რაც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებაზე არაუგვიანეს XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან (ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარების საფუძველზე).

ვ. ჯაოშვილის გამოთვლით, შობადობის მაჩვენებელმა 1827-1833 წლებისათვის 27%³ შეადგინა, ხოლო ო.ევეცკის მონაცემებით (1830-იანი წლებისთვის) - იგი 34,4% ტოლი იყო.⁴ ჩვენი გამოთვლებით, 1844-1855 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქ. თბილისში 39% აღწევდა⁵, რაც იმის დამადასტურებელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად თბილისის გუბერნიასა და საქართველოში ოდნავ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შობადობის დონის მაჩვენებლად საქართველოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში 40% უნდა ვივარაუდოთ.

1850-იანი წლების შემდგომ თბილისის გუბერნიის მოსახლეობის შობადობის შესახებ კავკასიის კალენდარში მონაცემები გამოაქვეყნა ვ.პრისელკოვმა. მონაცემები იმითაცაა სანდო, რომ იგი ეკუთვნის 7 წელს (1857-1863 წწ.) და მათგან გაანგარიშებული საშუალო კოეფიციენტები გარკვეულად დაზღვეულია შემთხვევითი ვარიაციისგან. ამ გამოთვლებით თბილისის გუბერნიას შობადობა 1857-1863 წწ. აღწევდა 37,3%⁶; მათ შორის: ქ.თბილისში - 42,7%⁶, თბილისის მაზრაში - 37,9%⁶, გორის მაზრაში - 41,8%⁶, თელავის მაზრაში - 36,6%⁶, სიღნაღის მაზრაში - 20,8%⁶, ელისავეტოპოლის მაზრაში - 47,6%⁶, მთიულეთის ოლქში - 31,3%⁶ და თიანეთის ოლქში - 18,4%⁶. ქართველი დემოგრაფებიდან ვ.პრისელკოვის აღნიშნულ ნაშრომს პირველად მიაქცია ყურადღება ვ.ჯაოშვილმა⁷. ვ.პრისელკოვის ხსენებული ნაშრომიდან ჩანს, რომ საქართველოში თვით 1860-იანი წლების დასაწყისისთვის შობადობის დონე შემცირების ტენდენციას არ ამჟღავნებს და იმყოფება დაახლოებით 40% ფარგლებში. საკმაოდ საინტერესოა ვ.პრისელკოვის მიერ შობადობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება. მისი აზრით, თბილისის გუბერნიას შობადობის ასეთი განსხვავებულობის მიზეზებია: კლიმატი, ცივილიზაცია, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ზნე-ჩვეულებები, წყობილება და სხვ. თბილისისა და ელისავეტოპოლის მაზრებში, აღნიშნავს იგი, წლიური ტემპერატურა თიანეთის ოკრუგთან შედარებით მაღალია, ტერიტორია უფრო დასახლებულია, უფრო განვითარებულია მრეწველობა და გამრავლება უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს. დაბადებულთა რიცხვის ყველაზე დიდი მიზეზია ნაყოფიერი მიწების რაოდენობა: სადაც მიწას შეუძლია გამოკვებოს მეტი მცხოვრებლები, იქ უფრო მჭიდროდ ცხოვრობენ და რა თქმა უნდა ურთიერთობა სქესთა შორის მოსახერხებელია და ხშირი, ხოლო საკვების სიიაფე ზრდის ნებას იძლევა.¹

აღნიშნული მსჯელობიდან გამოვყოფთ საკითხს, სადაც ვ.პრისელკოვი ლაპარაკობს შობადობაზე მიწის ნაყოფიერების გავლენის შესახებ. საქმე ისაა, რომ მიწის ნაყოფიერება, ასევე დასამუშავებელი მიწების ფართობი ერთ მცხოვრებზე, ზემოქმედებს დემოგრაფიულ პროცესებზე, მაგრამ საქართველოში შობადობის დაბალი დონე ისტორიულად მეზობელ რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით განპირობებული იყო აგრეთვე

³ ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. გვ.74.

⁴ იქვე, გვ. 74.

⁵ გაანგარიშებულია: Кавказский календарь на 1846 г. с.152; Кавказский календарь на 1847 г. с.156; Кавказский календарь на 1850 г. с.91; Кавказский календарь на 1852 г. с.454; Кавказский календарь на 1853 г. с.392; Кавказский календарь на 1854 г. с.299,539; Кавказский календарь на 1855 г. с.539; Кавказский календарь на 1856 г. с.516; Кавказский календарь на 1857 г. с.412.

⁶ В. Приселков. Приращение населения и смертность в Тифлисской губернии. См.: Кавказский календарь на 1865 г. , Тифлис. 1864, с.102-103.

⁷ В. Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968, с.15-16.

¹ Кавказский календарь на 1865 г. Тифлис.1864,с.105-107.

აგრარული ურთიერთობების თავისებურებით. კონკრეტული მონაცემებით, რუსეთში 1861-1865 წწ. შობადობა აღწევდა 50,7‰², ქუთაისის გუბერნიაში (წმინდად ქართველებით დასახლებული) 1864 წელს 24,2‰, იმავე წელს ერევნის გუბერნიაში მაჩვენებელი შეადგენდა 35,4‰, ხოლო ბაქოს გუბერნიაში 49,7‰³.

საქმე ისაა, რომ რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში გავრცელებული იყო სათემო მიწათსარგებლობა, რაც გულისხმობდა მიწის პერიოდულ გადანაწილებას ოჯახის წევრების რიცხვის პირდაპირპროპორციულად, რომელიც, რა თქმა უნდა, ოჯახის ზრდის მნიშვნელოვან სტიმულატორს წარმოადგენდა. საქართველოში კი გავრცელებული იყო მიწათსარგებლობის საეზოვე სისტემა, რომელიც მიწის პერიოდულ გადანაწილებას გამორიცხავდა და ოჯახში შვილების რიცხვის შეზღუდვას იწვევდა. ამ საკითხს პირველად მიაქცია ყურადღება ა/კავკასიაში შერჩევითი დემოგრაფიული გამოკვლევის პიონერმა რ.სიფმანმა.⁴

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ შობადობის დაბალ დონეში გარკვეულ როლს ასრულებდა და ასრულებს ახლაც საქართველოს მცირემიწიანობა. ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოვიტანთ დროში ცოტა წინ გასწრებულ 1920-იანი წლების მონაცემებს:

ცხრილი 2

ერთ მეურნეობაზე მოდის კულტურული მიწები და კარმიდამო⁵
(დესეტინობით)

	სულ	მ.შ. სახნავი
აზერბაიჯანი	5,6	5,0
სომხეთი	3,2	3,0
საქართველო	2,6	2,0

ზედმეტი არ იქნება ვუჩვენოთ, რომ შობადობის დონე რუსეთში აღემატებოდა საქართველოსას მთელ მე-XIX საუკუნეში და მე-XX საუკუნის დასაწყისში, ვიდრე 1917 წლის რევოლუციის შემდეგ არ მოხდა აგრარულ ურთიერთობათა ძირეული, ამასთან ერთგვაროვანი გარდაქმნები, რის შემდეგ წინა პლანზე გამოვიდნენ შობადობის დონეზე მოქმედი სხვა ფაქტორები¹. მიწათსარგებლობის საეზოვე სისტემას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც ქართველი ისტორიკოსები წერენ, ”IV საუკუნისათვის თემური მიწათმფლობელობის რღვევის ტენდენციები ქართლში საკმაოდ შორს იყო წასული და შემდეგშიც განუხრელად ღრმავდებოდა. ქართლი ოდითგანვე განვითარებული მიწათმოქმედებისა და ინტენსიური სამეურნეო დარგების ქვეყანა იყო, რამაც დააჩქარა აქ საერთო-სათემო მიწა-წყლის გადასვლა მეთემეთა კერძო საკუთრებაში. ვენახ-ხილიანის გამშენებელი მიწის მუშა, ბუნებრივია, ადვილად ვეღარ შეეღებოდა თავის ნაჭირნახულევს და მეთემეთა შორის მისი პერიოდული

² М.С. Бедный. Продолжительность жизни. М., 1967,с.24.

³ В.Ш. Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968,с.16.

⁴ Р.И.Сифман. Рождаемость в селах Закавказья с начала XX века до великой отечественной войны. В кн.: Проблемы демографической статистики. М., 1966, с. 184-185.

⁵ საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-1925 წლებში. თბილისი. 1926. გვ.15.

¹ ამიტომ სრულიად სამართლიანია ნ.ადეიშვილის მიერ ბ.კოტრიკაძის შეხედულების კრიტიკა, თითქოს XIX საუკუნის საქართველო ბევრგვარად იმეორებდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებას. იხ.: Н.Адеишвили.Эволюция рождаемости в Грузии. Материалы Международной конференции. Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб., 1990,с.58.

გადანაწილების წინააღმდეგი იქნებოდა. ამ დარგების განვითარების ინტერესებიც ხომ თავისი შრომით უაღრესად დაინტერესებული და გამოცდილი მეურნეობით უზრუნველყოფას მოითხოვდა. ამის გამოა, რომ კერძო საკუთრება მიწაზე, შეიძლება ითქვას, თავდაპირველად სწორედ ბალ-ვენახებზე გაჩნდა და შემდეგ სახნავ-სათეს მიწებზედაც გავრცელდა“.²

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში შემდეგ დინამიკას ამჟღავნებს³.

ცხრილი 3

წლები	კოეფიციენტი	წლები	კოეფიციენტი
1861-1865	40,2 ⁴	1896-1900	30,9
1876-1880	37,3	1901-1905	30,7
1881-1885	33,5	1906-1910	30,3
1886-1890	32,3	1911-1913	28,1
1891-1895	32,0		

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ბ.კოტრიკაძის მიერ 1876-1880 წლებში და ჩვენს მიერ¹ 1875-1880 წლებში გამოთვლილი შობადობის ზოგადი კოეფიციენტები პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა და შესაბამისად შეადგენს 37,3‰-სა და 36,8‰-ს.

შობადობის შემცირება საქართველოში იწყება 1865 წლიდან, რომელიც უფრო გამოიკვეთა 1880 წელს. კერძოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1865-1880 წლებში 40,2‰-დან შემცირდა 37,3‰-მდე, ე.ი. 7,2%-ით, ხოლო 1880-1900 წლებში 37,3‰-დან შემცირდა 30,9‰-მდე, ე.ი. 16,2%-ით, ხოლო 1900-1913 წლებში - 30,9‰-დან 28,1‰-მდე, ე.ი. 9,1%-ით. ასეთი ტენდენცია, რა თქმა უნდა, საქართველოში რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო.²

მთლიანად, ჩვენს მიერ განხილულ 1861-1913 წლებში, შობადობის დონე რუსეთში გაცილებით მაღალი იყო საქართველოსთან შედარებით. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რუსეთში საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატებოდა: 1861-1865 წლებში 1,3-ჯერ, 1881-1885 წლებში - 1,5-ჯერ, 1896-1900 წლებში - 1,6-ჯერ და 1911-1913 წლებში - 1,6-ჯერ.³ აღნიშნული ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ შობადობის შემცირება რუსეთში რეფორმის - შემდგომ პერიოდში საქართველოსთან შედარებით გაცილებით დაბალი ტემპებით მიმდინარეობდა. კერძოდ, 1861/1865 - 1911/1913 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რუსეთში მხოლოდ 13,4%-ით შემცირდა, საქართველოში კი, 24,7%-ით.

პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოში გამოიწვია შობადობის შემცირება, რომელიც მკვეთრად არ იყო გამოხატული. კერძოდ, ლ.კარბელაშვილის გამოთვლით, შობადობა

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973. გვ. 112.

³ შედგენილია: გ. ფირცხალავა. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურების შესახებ. ჟ. ეკონომიკა. №8-9. 1993. გვ. 22; Б. В. Котрикадзе, А. Б. Синельников. Рождаемость в Грузинской ССР: Тенденции и пути регулирования. Тб., 1990, с. 10; პ. გუგუშვილი. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973. გვ. 179.

⁴ თბილისის გუბერნია. 1861-1895 წლების მონაცემები გამოთვლილია ბ. კოტრიკაძის, ხოლო 1896-1913 წლების - პ. გუგუშვილის მიერ.

¹ М. Н. Хмаладзе. Воспроизводство населения Грузии во второй половине XIX века. Тезисы Всесоюзной конференции - Историческая демография и современность. Донецк 14-16 мая 1991 г. Ч. П. М. Д. 1991, с. 42.

² ვრცლად იხ.: ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეში. თბ., 1984. გვ. 83-119.

³ გამონაგარიშებულა: Б. Котрикадзе. Указ. соч., с. 10.

საქართველოში 1911-1913 წლებში 27,6%-დან 1914-1915 წლებში შემცირდა 26%-მდე, ანუ 5,8%-ით. შემცირების ეს ტემპი დაახლოებით ერთნაირია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისთვის. შობადობის შემცირება განსაკუთრებით შეეტყო თბილისს, სადაც

დაბადებულთა რიცხვი 1913-1917 წლებში 5 371-დან 4331-მდე, ე.ი. 19,4%-ით შემცირდა⁴.

ომის დამთავრების შემდეგ საყოველთაოდ ცნობილია, რომ როგორც წესი, შობადობა იზრდება, ადგილი აქვს ომის დანაკარგების კომპენსაციას. სტატისტიკური ორგანოები შობადობის დონეს 1921 წლისათვის 37,9 %-ით განსაზღვრავენ⁵. მოცემული მონაცემი გაზვიადებული გვეჩვენება შემდეგ გარემოებათა გამო:

შეუძლებელი იყო პირველ მსოფლიო ომგამოვლილ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად განადგურებულ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან პირველივე არასრულ წელს (1921 წლის თებერვლიდან) შობადობის დონე მომენტალურად, 1911-1913 წწ. 27,6%-დან 1921 წელს გაზრდილიყო 37,9%-მდე. შობადობის ასეთი დონე საქართველოში 1865 წლის შემდეგ აღარ შეინიშნებოდა. ამ მდგომარეობას გრძნობდნენ იმდროინდელი ქართველი მეცნიერები. მ.ყოჩიაშვილი 1927 წელს წერდა, რომ „განსაკუთრებით კატასტროფული ხასიათი მიიღო ჩვენი მოსახლეობის გამრავლების საქმემ საერთაშორისო ომის და რევოლუციის შემდეგ, ვიდრე **1922-23 წლამდე**. ამ პერიოდში თითქოს ერთ წერტილზე იყო გაყინული მოსახლეობა, საერთო ზრდის კოეფიციენტი ვეღარ აღწევდა ერთ პროცენტსაც: კერძოდ სოფლის მოსახლეობაში იგი თითქმის ნახევარ პროცენტამდეც კი ჩამოვიდა“. შეიძლება, წერს იგი, ასეთი ზრდა არასრული აღრიცხვის შედეგად იყო, მაგრამ „აღნიშნული მეტად მცირე პროცენტი მოსახლეობის ზრდისა არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, მეორე მხრივ ასევე დამარწმუნებელია ჩვენთვის ის გარკვეული და აშკარა ტენდენცია, რომელიც იჩენს თავს საქართველოს მოსახლეობის გამრავლების პროცესში დაახლოებით 1922-1923 წლიდან. ეს ტენდენციაა - ჩვენი მოსახლეობის გამრავლების გეზის შეტრიალება წალმა და ზრდის ტემპის გაძლიერება. ამ საერთო ტენდენციის უარყოფაც შეუძლებელია“.¹ ასე, რომ საკომპენსაციო პერიოდი საქართველოში იწყება არა 1921 წელს, არამედ მოგვიანებით.

ომის პერიოდში შობადობის შემცირების კომპენსაცია მოხდა 1923 წლის შემდეგ. ამ თარიღთან ყელაზე ახლოსაა ლ. კარბელაშვილის მიერ გამოთვლილი შობადობის კოეფიციენტი 1926 წელს - 33,2%, მათ შორის ქალაქად - 25,3%, სოფლად - 35,5%². ლ. კარბელაშვილის აზრით, შობადობის ზრდას საქართველოში 1926 წლისთვის კომპენსაციასთან ერთად ხელი შეუწყო სახნავ-სათიბის გაზრდამ, რაც მოყვა მიწის რეფორმას.³ მისივე მონაცემებით, 1917-1923 წლებში სახნავ-სათიბი ფართობი ერთ კომლზე (დესეტინობით) გაიზარდა:

ცხრილი 4

	1917	1923	ზრდა 1917-1923 წწ. %
სახნავი	27,7	33,8	122,0
სათიბი	2,2	2,6	118,2
სულ	29,9	36,4	121,7

⁴ ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928. №11-12.

⁵ Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет. Тб., 1980, с.13.

¹ მ. ყოჩიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1927. №1-2. გვ. 174-175.

² ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928. №11-12. გვ. 85.

³ ლ. კარბელაშვილი, იქვე, გვ. 87.

პირველი მსოფლიო ომის დანაკარგებისა და ომის შემდგომი კომპენსაციის პერიოდის შესახებ ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ 1914-1921 წლებში ბევრი პოტენციური ოჯახი არ შექმნილა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დადგა ეგრეთ-წოდებული „კომპენსაციის პერიოდი“ დემოგრაფიული სიტუაციისა, გაიზარდა ქორწინებათა აბსოლუტური და ხვედრითი რიცხვი. მეორეც, ზოგადი სოციალურ-კულტურული ატმოსფერო ხელს უწყობდა ოჯახში შვილების გაჩენას.⁴ ასე, რომ შობადობის დონე 1921 წელს - 37,9‰ უნდა მივაკუთვნოთ საბჭოთა სტატისტიკის პროპაგანდისტულ მიზნებს და არა დემოგრაფიულ რეალობას. მით უმეტეს, აღნიშნული მონაცემი პირველად გამოჩნდა საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სტატისტიკურ კრებულში.

აღსანიშნავია, რომ შობადობა დასავლეთ საქართველოში დაბალი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. ვ. ჯაოშვილის გამოთვლებით, 1915 წელს შობადობის კოეფიციენტი თბილისის გუბერნიაში შეადგენდა 26,4‰, ქუთაისის გუბერნიაში - 23,4‰; ხოლო ბუნებრივი მატების კოეფიციენტი კი შესაბამისად 10,8 და 9,7 პრომილეს.¹ ვ.ჯაოშვილი ასეთი მდგომარეობის მხოლოდ ორ მიზეზს ასახელებს. იგი აღნიშნავს, რომ - „როგორც მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ისე საბჭოთა პერიოდში, რაჭა-ლჩხუმიდან, იმერეთიდან და გურია-სამეგრელოდან უფრო მეტი მიდიოდა მიგრანტები, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოდან. ეს გარემოება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია დასავლეთ საქართველოს მეტ წილ პროვინციებში უფრო დაბალი შობადობისა და ნელი ბუნებრივი მატებისა. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში ბევრად ნაკლებია ერთ სულ მცხოვრებზე ვარგისი მიწების ფართობები, ჭარბობს აგრეთვე მთაგორიანი რელიეფი, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ნაკლებ შემოსავალს და საბოლოოდ ხელს უწყობს მოსახლეობის წასვლას სხვა ადგილებში.“²

შობადობის დაბალ დონეს დასავლეთ საქართველოში განაპირობებდა ისეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა დასავლეთ საქართველოში სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების უფრო სწრაფი განვითარება აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით ი.ირემაშვილი 1918 წელს წერდა: „დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების განვითარებამ მოსპო ფეოდალური ურთიერთობა... იქ თანდათან პროცესებით მიწა შეუმჩნევლათ ფასით ჩამოერთოთ მემამულეებს და კერძო საკუთრებათ გადავიდა სოფლის ხელში. იქ ადრევე დანაწილდა და დაქუცმაცდა მიწა, რამაც ხელი შეუწყო წვრილი და საშუალო მეურნეობების დამყარებას, მოქალაქეობრივი ცხოვრების განვითარებას, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას, განათლების გავრცელებას, საზოგადოთ, კულტურულ წინსვლას. სულ სხვა სურათს ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ბატონ-ყმური ნაშთები დიდ რევოლუციამდე (იგულისხმება 1917 წ. რევოლუცია. მ.ხ) იყვნენ დარჩენილი... ბატონ-ყმობა მხოლოდ ახლა გადავარდა აღმოსავლეთ საქართველოში... მხოლოდ ახლა გამოდის ის კაპიტალისტური ცხოვრების ასპარეზზე... ახლა იწყება აღმოსავლეთ საქართველოში მოქალაქეობრივი ცხოვრება, თავისუფალი ეკონომიური განვითარება, ახლა იდგამს ფეხს იქ სახალხო სწავლა-განათლება. ეკონომიური დაქვეითების გამო აღმოსავლეთ საქართველო ყოველ-მხრივ ჩამორჩენილია დასავლეთ საქართველოზე“.³

⁴ ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. გვ. 121.

¹ ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. გვ.100-101.

² ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. გვ. 173.

³ ი. ირემაშვილი. სოფლის ეკონომიური მიმოხილვა.ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, 20 დეკემბერი, 1918. №6. გვ. 8. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერია სტატისტიკურ საქმიანობას ქართველებს ახლოს არ აკარებდა. ქართველი მეცნიერების სტატისტიკური ნაშრომები გამოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის 1918 წელს დაარსებულ ჟურნალს - „საქართველოს ეკონომისტი“.

საკომპენსაციო პერიოდის შემდეგ შობადობა საქართველოში 1926-1939 წლებში იკლებს 33,2‰-დან 26,2‰-მდე.⁴ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 1940 წელს 27,4‰, 1950 წელს 23,5‰, ხოლო 1950-1960 წლებში 25,0‰-23,5‰ ფარგლებშია.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, რომ მოსახლეობის აღწარმოების შესწავლის საკითხში საქართველოს დემოგრაფები ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით პირველ მსოფლიო ომამდე უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი, ვიდრე მის შემდეგ თვით 1959 წლამდე. აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა: 1) პირველმა მსოფლიო ომმა, 2) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციის მოუწესრიგებლობამ, 3) საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელმა სტატისტიკური მასალების გასაიდუმლოებამ, 4) მეორე მსოფლიო ომმა. ამის შედეგია, რომ 1960-იან წლებამდე საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების შესახებ არსებითად არაფერი არ დაწერილა.

აღნიშნული ინფორმაციული ვაკუუმის არსებობას ხედავდნენ და აღნიშნავდნენ კიდევაც იმდროინდელი ქართველი მეცნიერები.

მ. ყოჩიაშვილი 1926 წელს წერდა: „საკითხი საქართველოს მოსახლეობის ზრდის და გამრავლების შესახებ ჯერ ისევ ხელუხლებელია სრულიად. შეუძლებელია ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა ამჟამად, რადგან საამისო მასალები და დასაყრდენი საფუძველი არ მოგვეპოვება ჯერ. არ გვაქვს ჩვენი მოსახლეობის ზრდის სწორი კოეფიციენტი და თუ დღემდე მაინც ვანგარიშობთ ხოლმე მოსახლეობას ამა თუ იმ წლისთვის, ეს გამოანგარიშებანი უფრო საორიენტაციოა, დამყარებული დაახლოვებითი და სავარაუდო ციფრებზე, ვიდრე ზედმიწევნით სწორი. სამწუხაროდ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაციაც, რაც იგი საეკლესიო წესიდან სამოქალაქო სისტემაზე გადავიდა, იმდენად სუსტია და არა-სრული, რომ მისი შედეგების გამოყენება მოსახლეობის ზრდის პროცესების შესწავლის დროს ყოველად შეუძლებელია“.¹ ამის გამო იმდროინდელი ქართველი ეკონომისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ მოსახლეობის 1926 წლის აღწერაზე, რომელმაც უნდა მოგვეცეს მტკიცე საფუძველი ჩვენი მოსახლეობის ევოლუციის და ჩვენი სინამდვილის მეცნიერული შესწავლისათვის², თუმცა ეს იმედები სრულად არ გამართლდა. ერთი წლის მოგვიანებით, 1927 წელს, იგივე მ.ყოჩიაშვილი წერდა: „მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული, რომ საკითხი ჩვენი ხალხის გამრავლების და ზრდის შესახებ დაუმუშავებელი და შეუსწავლელია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ეს საკითხი თავის თავად მეტად რთული საკითხია. მოსახლეობის გამრავლების პროცესები არ ეკუთვნის იმ მარტივი კატეგორიის მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენენ განსაზღვრული მიზეზების უშუალო შედეგს. ამ პროცესის წარმოშობასა, ხასიათსა და განვითარებაზე მოქმედებს მრავალი სხვ. და სხვ. ხასიათის ფაქტორი (ბიოლოგიური, კლიმატური, ჰიგიენურ-სანიტარული, ეთნიური, სოციალური, ეკონომიური და სხვა). უკვე კომბინაცია ამ ფაქტორებისა და ხშირად კი ისეთი ფაქტორებიც, რომლის გამოცნობა, აღრიცხვა და შესწავლა მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით შეუძლებელი ხდება. ...მაგრამ მაინც მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად საქართველოს მოსახლეობის ზრდის შესწავლის საქმეში უნდა ჩაითვალოს სტატისტიკური ცნობებისა და საჭირო მასალების სრული უქონლობა. ჩვენ არამც თუ არა გვაქვს მრავალი წლის მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვების შედეგები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, რაც აუცილებელია მოსახლეობის

⁴ Б. Котрикадзе. Указ. соч., с. 13.

¹ მ. ყოჩიაშვილი. 1926 წ. მოსახლეობის აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, №3.1926 წ. გვ. 5-6.

² მ. ყოჩიაშვილი. იგივე, გვ. 6; გ. გამყრელიძე. 1926 წლის მოსახლეობის აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, №3. 1926 წ. გვ. 17.

დინამიური პროცესების შესასწავლად, არამედ დღემდე არ მოგვეპოვებოდა ძირითადი ცნობებიც კი მოსახლეობის რაოდენობისა და მისი შემადგენლობის შესახებ. ამ მხრივ **დიდ იმედებს ვამყარებდით** მოსახლეობის საკავშირო აღწერაზე¹ (იგულისხმება 1926 წლის აღწერა. მ.ხ.). ერთი წლის

მოგვიანებით, 1928 წელს, იგივე აზრს იმეორებს ლ. კარბელაშვილი.²

ასეთივე „იმედით“ იყვნენ ქართველი მეცნიერები თვით 1959 წლის აღწერამდე. როგორც აღინიშნა, „ომის შემდგომი ხუთწლეულების მანძილზე... სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები ასე თუ ისე ახერხებდნენ მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვასა და... მცხოვრებთა საორიენტაციო რიცხვის გამოანგარიშებას. მაგრამ 1939 წლის აღწერის მასალების მოძველებისა და ომის მიერ გამოწვეული ცვლილებების გამო შეუძლებელია ისეთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დადგენა, როგორც არის სქესი, ასაკი, მოსაქმეობა, განათლება, ეროვნება, დედა ენა და სხვ.“ ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია გადაწყვეტილება 1959 წლის აღწერის ჩატარების შესახებ.³ ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს მოსახლეობის 1959 წლის აღწერას და რომელიც წლების მანძილზე იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი. ამიტომ მისი აზრის ავტორიტეტულობა ეჭვს არ იწვევს. სწორედ 1959 წლის აღწერის შემდეგ სისტემატურად გამოითვლება მოსახლეობის აღწარმოების როგორც ზოგადი, ისე კერძო (ასაკობრივი) კოეფიციენტები. ამიტომაც, რომ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე, დეტალური ტენდენციების ანალიზი შესაძლებელია 1959 წლიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. გუგუშვილი. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973.
2. ი. ირემაშვილი. სოფლის ეკონომიური მიმოხილვა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, 20 დეკემბერი, 1918. №6.
3. ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928. №11-12.
4. ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993.
5. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-1925 წლებში. თბილისი. 1926.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბ., 1973.
7. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი, ტფილისი, 1930.
8. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფილისი, 1934.
9. ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984.
10. გ. წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბ., 1984.
11. გ. ფირცხალავა. საქართველოში დემოგრაფიული გადასვლისა და მისი თავისებურების შესახებ. ჟ. ეკონომიკა. 1993 წ. №8-9.
12. მ. ყოჩიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1927წ. №1-2.

¹ მ. ყოჩიაშვილი. საქართველოს მოსახლეობის ზრდა უკანასკნელ წლებში. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1927. №1. გვ. 173.

² ლ. კარბელაშვილი. ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1928. №11-12. გვ. 80-81.

³ ა. ხაჩიძე. მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა. ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1958. №6. გვ. 10-11.

13. მ. ყოჩიაშვილი. 1926 წ. მოსახლეობის აღწერა. ქ. „საქართველოს ეკონომისტი“.1926 წ. №3.
14. ა. ხაჩიძე. მოსახლეობის 1959 წლის სრულყოფილ საკავშირო აღწერა. ქ. „საქართველოს ეკონომისტი“. 1958 წ. №6.
15. Н.Адеишвили.Эволюция рождаемости в Грузии. Материалы Международной конференции. Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб., 1990.
16. А.И.Антонов. Социология рождаемости. М.,1980.
17. М.С.Бедный. Продолжительность жизни. М., 1967.
18. М.Бекая. Связь некоторых проблем рождаемости и геронтосоциологии. В кн.: Планирование семьи и национальные традиции, Тб., 1988.
19. А.Я.Боярский. Население и методы его изучения.М.,1975.
20. В.А.Борисов. Перспективы рождаемости. М., 1973. А.И.Антонов. Социология рождаемости. М., 1980
21. Ф.Бродель.Материальная цивилизация, Экономика и капитализм XV-XVIII вв. Пер. с французского. Т.1. М., 1986.
22. А.Г.Вишневский. Демографическая революция. М., 1976.
23. В.Виргинский. Очерки истории науки и техники XVI-XIX веков. М., 1984.
24. Вопросы марксистско-ленинской теории народонаселения. М., МГУ, 1969.
25. Демографический энциклопедический словарь. М., 1985.
26. В.Ш.Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968,с.16.
27. Кавказский календарь на 1846 г. Тифлис, 1845.
28. Кавказский календарь на 1847 г. Тифлис, 1846.
29. Кавказский календарь на 1848 г. Тифлис, 1847
30. Кавказский календарь на 1849 г. Тифлис, 1848
31. Кавказский календарь на 1850 г. Тифлис, 1849.
32. Кавказский календарь на 1851 г. Тифлис, 1850.
33. Кавказский календарь на 1852 г. Тифлис, 1851.
34. Кавказский календарь на 1853 г. Тифлис, 1852.
35. Кавказский календарь на 1854 г. Тифлис, 1853.
36. Кавказский календарь на 1855 г. Тифлис,1854.
37. Кавказский календарь на 1856 г. Тифлис, 1855.
38. Кавказский календарь на 1857 г. Тифлис, 1856.
39. Кавказский календарь на 1865 г. Тифлис, 1864.
40. Кавказский календарь на 1915 г. Тифлис, 1914.
41. Кавказский календарь на 1916 г. Тифлис, 1915.
42. А.Я.Кваша. Популярная Демография. М., 1977.
43. В.И.Козлов. Этническая демография.М., 1977.
44. Б.В.Котрикадзе, А.Б.Синельников. Рождаемость в Грузинской ССР: Тенденции и пути регулирования. Тб., 1990.
45. Народное хозяйство Грузинской ССР за 60 лет. Тб., 1980.
46. В.Приселков. Приращение населения и смертность в Тифлисской губернии. Сборник: Кавказский календарь на 1865. Тифлис, 1864.
47. Сборник сведений о Кавказе. Т. IV. Тифлис, 1878.
48. Сборник сведений о Кавказе. Т. VII. Тифлис, 1880.

49. Сборник сведений о Кавказе. Т. IX. Тифлис, 1885.
50. Р.И.Сифман. Рождаемость в селах Закавказья с начала XX века до великой отечественной войны. В кн.: Проблемы демографической статистики. М., 1966.
51. Б.Ц.Урланис. Динамика рождаемости в СССР. В кн.: „Изучение воспроизводства населения и трудовых ресурсов“. М., „Наука“, 1976.
52. М.Н.Хмаладзе. Воспроизводство населения Грузии во второй половине XIX века. Тезисы Всесоюзной конференции – Историческая демография и современность. Донецк 14-16 мая 1991 г. Ч.П.М.Д. 1991.
53. 1991 г. Ч.П.М.Д. 1991.
54. Г.Цуладзе. Социолого-психологическое изучение рождаемости. Тб., 1982.

Birth Statistics in Georgia in XIX and Early XX Centuries

Merab Khmaladze

Abstract

In the past, throughout the history of the humankind, birth rates used to depend on the biological potential of women and widowhood. Child labor and high mortality rates among infants were the two main determinants of the accordingly high birth rates. As the two factors became less significant, the birth rates came down, too. The available statistics makes us presume that the intra-family birth control in Georgia should have started in the first quarter of the XIX c. It should be said that at the time, the European, economic type reproduction was characteristic to Georgia. It has been since 1865 that the birth rates in this country started falling significantly. The next falls occurred during and as a result of the two world wars. Afterwards, the birth rates went up so much so to meet the expanded reproduction standards in the first half of the XX c. However, they were rather modest compared to Europe (including Russia) or the neighboring Armenia and Azerbaijan. The mortality rate was not high either, and it was owing to that that in terms of the natural population growth Georgia was not behind its neighbors.

Key words: birth statistics, Georgia-in the XIX and the early XX cc. economic type reproduction.

საქართველოში მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის მდგომარეობის სტატისტიკური ასპექტები

ზამირა შონია

ეკონომიკის დოქტორი,
ოსუ ასისტენტ-პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ჯანდაცვის სისტემაში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ფორმები და მეთოდები, როგორცაა ანგარიშგება, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება, გამოკითხვის ნაირსახეობები, შერჩევითი დაკვირვება და სხვა. ასევე განხილულია ჯანდაცვის მაჩვენებელთა სისტემა. განვიხილეთ 2008-2016 წლებში ექიმების რიცხვი ცალკეული სპეციალობის მიხედვით, სასწრაფო დახმარებით მოსახლეობის მომსახურების მაჩვენებლები, ბავშვთა ავადობის

მაჩვენებლები. მიუხედავად ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმებისა, საქართველოში ჯანდაცვაზე დანახარჯები ბევრად ჩამორჩება განვითარებადი ქვეყნების დანახარჯებსაც კი.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, ჯანდაცვის მაჩვენებლები, აბსოლუტური მატება, ზრდის ტემპი, სტატისტიკური დაკვირვება.

ინფორმაციას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოიპოვებენ სტატისტიკური დაკვირვების რიგი მეთოდით როგორცაა: ანგარიშგება, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება, გამოკითხვის ნაირსახეობები, შერჩევითი დაკვირვება და სხვ.

სტატისტიკური დაკვირვების ცნობილი ფორმა-ანგარიშგება, სამედიცინო სექტორში ფართოდ გამოიყენება. სწორედ მისი მეშვეობით მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია. ჯანდაცვის დაწესებულებების, სამკურნალო საშუალებათა წარმოების, მარაგის შესახებ. საწარმოთა ანგარიშგებებიდან ვგებულობთ მონაცემების ტრანზაქტიზმის, წარმოებაში უბედური შემთხვევებით მოკვდაობის და მრავალ სხვათა შესახებ.

თავისი შინაარსის მიხედვით ანგარიშგების ფორმები შეიძლება იყოს ტიპური, სპეციალიზებული, მიმდინარე, წლიური და სხვ.

ტიპური ანგარიშგების არსია, ის, რომ იგი ყველა დარგისათვის ერთიანია, სპეციალიზებული კი ეხება ცალკეულ დარგს. ეს უკანასკნელი გამოიყენება ჯანმრთელობის სტატისტიკაშიც.

ანგარიშგებით, მაგალითად, ინფექციურ დავადებათა შესახებ სწავლობენ დაავადებათა დონეს მათი ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ტრანზაქტიზმის შემთხვევებს, მათ დინამიკას, რაც საშუალებას გვამძლევს წარმოდგენა გვქონდეს დაავადებათა ცალკეული სახეობების გავრცელების, ჯანმრთელობაზე გარემოს გაჭუჭყიანების ზეგავლენის და ა.შ. თაობაზე.

ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ სტატისტიკური დაკვირვების მე-2 ფორმის - სპეციფიკურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების, მაგალითად, მოსახლეობის აღწერის მონაცემებშიცაა.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დასახასიათებლად ფართოდ მიმართავენ გამოკითხვას. ეს მეთოდი სტატისტიკაში ხშირად გამოიყენება პაციენტების ავადმყოფობის დასადგენად.

გამოკითხვას, ბერძენი ისტორიოგრაფის - ჰეროდოტეს ცნობით, პირველად მიმართეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტელთა და მათი შემოსავლის აღწერისას. მას ცნობილი ბელგიელი მკვლევარი ადოლფ კეტლეც იყენებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალურ მოვლენათა გამოკვლევებში - შობადობის, მოკვდაობის და აშ. შესასწავლად.

გამოკითხვა იყოფა ანკეტირებად და ინტერვიუდ.

განასხვავებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ანკეტირებას, ანკეტირებას საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშაო ადგილის მიხედვით, ანკეტების დარიგებით, საფოსტო პრესით გავრცელებით. ინფორმაციის მოპოვების ამ სახეობას ფართოდ მიმართავენ სპეციალურ გამოკვლევებში. იმისათვის, რომ შესწავლილ იქნეს სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობა, მოსახლეობა გამოკითხებოდა ანკეტების მეშვეობით, ბოლო პერიოდში სატელეფონო გამოკითხვებსაც მიმართავენ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის, ცხოვრების დონის შესასწავლად იყენებენ აგრეთვე მონიტორინგულ გამოკვლევებს. ცნობილია, რომ ამ მეთოდის გამოყენება ბოლო ხანებში რუსეთის ტერიტორიაზე და თანამეგობრობის ქვეყნებში ძალიან ხშირია.

მოსახლეობის გამოკითხვის ერთ-ერთი სახესხვაობის - ინტერვიუს გამოყენება სოციალურ სფეროში პოპულარულია. მას მიმართავენ ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, ეთნოგრაფიაში, პედაგოგიკაში და ა.შ. სოციალური მეცნიერებები მისით ოპერირებენ XVIII საუკუნიდან. მისი ნაირსახეობიდან ფართოდ გამოიყენება დოკუმენტური, თავისუფალი (არასტანდარტული),

ფორმალიზებული, სატელეფონო, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ინტერვიუები.

სოციალურ გამოკვლევებში და მათ შორის, ჯანმრთელობის სფეროში, მაგალითად, მოსახლეობის გარემო პირობების ზეგავლენის შესწავლისას, მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი საიმედო მეთოდია შერჩევითი დაკვირვება. ის დაფუძნებულია გენერალური (მთლიანი) ერთობლიობიდან მონაცემების შემთხვევით შერჩევაზე.

სტატისტიკური დაკვირვების ამ სახეობას, სრული დაკვირვებისაგან განსხვავებით, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავებისათვის ნაკლები ფულადი ხარჯი, შრომითი რესურსები და დრო სჭირდება.

შერჩევითი დაკვირვების დაწყებამდე წინასწარ უნდა დადგინდეს გამოკვლევას დაქვემდებარებულ ობიექტთა რიცხოვნობა, ე.ი. სწორად უნდა განისაზღვროს შერჩევის მოცულობა. ამასთან, შერჩევით ერთობლიობაში პროპორციულად უნდა იყოს წარმოდგენილი მთლიანი ანუ გენერალური ერთობლიობის ყველა ჯგუფი. აუცილებელია მონაცემთა სიზუსტის დაცვა, რამდენადაც ამ სახეობის დაკვირვებსაც ახლავს შეცდომები. ერთ-ერთი მათგანია რეპრეზენტაციის (წარმომადგენლობის) შეცდომა. თუმცა შეცდომების აღმოფხვრა ხერხდება არითმეტიკული და ლოგიკური კონტროლის საშუალებით.

მოსახლეობის დაავადებათა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მაჩვენებლებს, მაჩვენებელთა სისტემას სოციალური სტატისტიკის ეს დარგი, რომელიც სამედიცინო სტატისტიკადაა ცნობილი, მონაცემების მოპოვების, კომპიუტერული დამუშავების შემდეგ, როგორც სტატიკაში, ასევე დინამიკაში, წარმოგვიდგენს აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდეგების სახით.

სამედიცინო სტატისტიკის მაჩვენებლებიდან უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული მაჩვენებლები, მაჩვენებლები დაავადებათა შესახებ, დაავადებებზე გარემო პირობების ზეგავლენის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.⁶⁹

დემოგრაფიულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება - მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მათ შორის მამაკაცების, ქალების, მოკვდაობის დონის, მიზეზების მაჩვენებლები.

სამედიცინო სტატისტიკის მაჩვენებელთა კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაავადებათა მაჩვენებლებს ძირითადი ჯგუფების მიხედვით, დაავადებულთა კონტინგენტს ასეთივე ასპექტით და ა.შ.

სამედიცინო მომსახურების დასახასიათებლად კი გამოიყენება მაჩვენებლები, როგორცაა: სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სიმძლავრე (ცვლაში ადამიანთა მიმართულების რიცხვი, სტაციონარში საწოლთა რიცხვი), პალატებში ავადმყოფთა მაქსიმალური რიცხვი, სამედიცინო ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის დონე, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მაჩვენებლები და სხვ.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებს შრომისა და გარემომცველი პირობებიც. ამასთან დაკავშირებით სტატისტიკა ანგარიშობს მთელ რიგ მაჩვენებლებს. შრომის პირობებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ვიბრაციის, ხმაურის, ტემპერატურის, სინოტივის, მონოტონურობის და სხვა ფაქტორების ზეგავლენა თავის გამოსახვას პოულობს ტრამვატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა გავრცელებაში.⁷⁰

⁶⁹ В.С. Балинова. Статистика в вопросах и ответах. М., Проспект, 2004, стр. 134

⁷⁰ Н.П. Дашневская Международная статистика, Изд-во ЦЕНТР, БГУ, 2007, стр. 247-249

ამასთან დაკავშირებით სტატისტიკა ანგარიშობს წარმოებაში უბედურ შემთხვევათა, ასევე დაზარალებულთა რიცხვის, ტრამვის მიზეზით შრომის უუნარობის შედეგად გაცდენილ კაც-დღეთა მაჩვენებლებს.

ანგარიშობენ, აგრეთვე, სიმძიმისა და მოკვდაობის სხვა სახეობის კოეფიციენტებს. სიმძიმის კოეფიციენტი მიიღება უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულთა რიცხვის გაყოფით დაზარალებულთა რიცხვზე. იანგარიშება პრომილებში - ყოველ 1000 კაცზე, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი მიიღება უბედური შემთხვევით დაღუპულთა რიცხვის გაყოფით დასაქმებულთა საშუალო რიცხვზე. ეს მაჩვენებელიც პრომილებში იანგარიშება.

საინტერესოა, აგრეთვე, სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ზეგავლენის შედეგად. ასეთად გვევლინება, ვთქვათ, ჰაერის გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებული ინდექსი, რომელიც მიიღება:

$$I = \frac{\sum X_1 N_1}{\sum X_0 N_0}$$

სადაც X_1 და X_0 - ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონეა მიმდინარე და საბაზისო პერიოდში.

N_1 და N_0 - მოსახლეობის რიცხვია, რომელიც ცხოვრობს ამ გაჭუჭყიანებულ გარემოში მიმდინარე და საბაზისო პერიოდში.

მსგავსი მაჩვენებლები იანგარიშება ადამიანის ჯანმრთელობაზე მიწის, ბუნებრივი წყლის და ა.შ. ადამიანზე ზეგავლენის დასადგენად, რათა მომავალში გატარდეს აუცილებელი ღონისძიებები.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება, აგრეთვე, სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა, დასვენება, ფიზიკური კულტურით, სპორტით, ტურიზმით დასაქმება.

სტატისტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშობს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: სანატორიუმებისა და დასვენების დაწესებულებათა, მათში ადგილთა რიცხვი; დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ტურისტულ ბაზებში, მოსწავლეთა ბანაკებში დამსვენებელთა რიცხვი, ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეთა, ტურისტული თბომავლით მოგზაურთა რიცხვი.

ბოლი 20 წელიწადში საქართველოში ექიმთა რაოდენობა 30%-ით შემცირდა. 2008 წელს 10000 მოქალაქეზე მოდიოდა 46.3 ექიმი. ამის ერთ ერთი მთავარი მიზეზია ქვეყანაში სტაციონარების და ამბულატორიების დიდი რაოდენობის გაუქმება - ე.წ. "ოპტიმიზაცია". ასევე შემცირებულია საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა - 10000 მოქალაქეზე 44,7 ექთანი და სანიტარი მოდის, (შედარებისათვის, საშუალო ევროპული მონაცემი 79-ს უდრის). იმავე 2008 წლის მონაცემებით 1 ექიმზე მოდის 0.97 ექთანი, რაც ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2009 წლის შეფასებაში პირდაპირ წერია „ [საქართველოში] სამედიცინო პერსონალის პროდუქტიულობის დონე ვერ აკმაყოფილებს მისაღებ სტანდარტებს და ყველაზე დაბალია ევროპის რეგიონსა და დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით“.⁷¹

გავანალიზოთ სტატისტიკური მაჩვენებლები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ექიმების რიცხვი ცალკეული სპეციალობების მიხედვით (იხ. ცხრილი N1).


⁷¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge

ცხრილი 1. 2008-2016 წლების საქართველოში ექიმების რიცხვი ცალკეული სპეციალობების მიხედვით⁷²

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ექიმები, სულ	20253	20609	21162	21773	19404	22490	22925	24307	26552
შინაგანი მედიცინის ექიმები (თერაპევტები)	1885	1403	1263	1249	1238	1222	1131	1075	1084
ქირურგები	972	1034	1082	1110	1470	1634	1771	1998	2234
მეან-გინეკოლოგები	1417	1444	1505	1411	1453	1561	1649	1681	1790
პედიატრები	1509	1269	1208	1129	1440	1444	1367	1186	1333
ოფთალმოლოგები	350	364	405	369	381	486	500	548	585
ოტოლარინგოლოგები	326	327	359	349	350	430	452	434	531
ნევროლოგები	634	610	615	619	669	801	809	855	976
ფსიქიატრები და ნარკოლოგები	278	347	3160	251	398	416	377	427	450
ფთიზიატრები	145	153	154	176	216	199	186	205	207
დერმატოვენეროლოგები	240	206	245	276	323	356	352	373	455
რადიოლოგები	396	398	444	520	1019	1212	1278	1409	1590
სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტის მედიცინის ექიმები	52	51	44	50	50	57	59	74	94
სტომატოლოგები	974	909	1004	1296	1701	1926	1846	2140	2281
სხვა	11075	12094	12518	12968	8696	10746	11148	119025	12952

2008 წლისათვის საქართველოში მუშაობდა 20253 ექიმი, მათი რიცხვი 2016 წლისათვის გადიდა 6299-ით და გახდა 26552, ზრდის ტემპი შეადგენს 131%; მაგრამ 2008-2016 წლებში თერაპევტთა რაოდენობა შემცირდა 801-ით. 2008 წლისათვის იყო 1885, ხოლო 2016 წლისათვის 1084 შეადგენს. 2008 წლისათვის იყო 972 ქირურგი, 2016წელს გახდა 2235 ანუ გადიდა 1263-ით. სამედიცინო კადრების ასეთ ცვლილებებს განაპირობებს ის რომ, მოხდა 2012 წელს კადრების დეფინიციების გადახედვა და დაჯგუფდა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO -08) შესაბამისად.

სტატისტიკა საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს 2016 წლისათვის საქართველოში მოსახლეობის, მათ შორის ბავშვთა ავადობის შესახებ დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით.⁷³



⁷² საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.geostat.ge

⁷³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge

პირველადი დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულ ბავშვთა დაავადების რიცხოვნობა (ათასობით) 2008 წლისათვის 276,9, რომელიც 2016 წლისათვის გახდა 581. ე.ი. გაიზარდა 2,1-ჯერ. მათ შორის ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადების რაოდენობა 2008 წლისთვის იყო 25,1, ხოლო 2016 წლისათვის კი - 49,9. ესეც 2-ჯერ არის გაზრდილი. ასევე იმატა სისხლისა და სისხლმზად ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეულმა დარღვევებმა. თუკი 2008 წელს იყო 5,7, 2016 წლისათვის გახდა 8,1. აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 2,4.

მწვავე ნაწლავური ინფექციები 2008 წლისათვის მოზრდილებში იყო 13890 შემთხვევა, ბავშვებში 8425, ხოლო 2016 იგივე მაჩვენებელი 27832 და 17987-ია. მოზრდილებში გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ბავშვებში 2,1-ჯერ. ვირუსული ჰეპატიტი 2008 წლის 252 შემთხვევა გაიზარდა 5,4-ჯერ და 2016 წლისათვის დაფიქსირდა 6737 შემთხვევა.

მონაცემების ზრდა აიხსნება:

- რეგისტრაციის გაზრდით (გაუმჯობესებით);
- ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის და მიმართვიანობის გაზრდით;
- დაზღვევის სისტემის შემოღებით.

საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება სასწრაფო დახმარება (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი 2. 2008-2016 მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით

წლები	პირველადი სამედიცინო დახმარება - სულ	მათ შორის		
		უბედური შემთხვევების დროს	უცაბედად ავად გახდომის დროს	პათოლოგიური ფუნქციონირების და მშობიარობის დროს
2008	768167	10912	751945	5310
2009	883129	14579	863589	4961
2010	1074277	13286	1055719	5272
2011	881624	10246	867094	4284
2012	1035270	29242	1001494	4534
2013	1199884	15017	1179681	5186
2014	1221404	26074	1188006	6484
2015	1452857	24712	1417200	8734
2016	1530237	24778	1494058	9068

მოცემული ცხრილიდან გავანალიზებთ ზოგიერთ მაჩვენებელს. როგორც ჩანს 2016 წლისათვის 2008 წელთან შედარებით პირველადი სამედიცინო დახმარება მთლიანად 762070-ით მეტია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასწრაფო დახმარების რეაგირება დროულად მოხდა, რაც კარგია. სამწუხაროა ის, რომ 2016 წლისათვის უბედურ შემთხვევათა რიცხვმა იმატა 13866-ით, რაც 2-ჯერ მეტია 2008 წელთან შედარებით. რაც შეეხება უცაბედად ავადგახდომის შემთხვევათა რიცხვი 2016 წლისათვის 2008 წელთან შედარებით 742113-ით გაიზარდა. დადებითა, რომ ავადმყოფობის, მშობიარობის და ახალშობილთა გადაყვანის რიცხვამაც იმატა. ეს გულისხმობს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას, კერძოდ სასწრაფო დახმარების, ასევე ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის, მამრთვინობის და სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებას.

მეტად რთულია ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობის რეალურად შეფასება მხოლოდ იმ მონაცემებზე დაყრდნობით როგორცაა: მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ექიმებისა და საწოლების რიცხვი. კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული სამედიცინო დახმარების

სხვადასხვა ფორმების გაფართოებასთან ერთად ხდება მომსახურების ხარისხის დიფერენციაცია, იქმნება მრავალფეროვანი სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებები.⁷⁴

გარდა ამისა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15 %-ს. საქართველოში ამ მაჩვენებელმა, მიუხედავად მისი ზრდის ტენდენციისა 2015 წლისათვის შეადგინა 6.9%. ჯანდაცვის დაფინანსების შემდეგი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები მშპ-თან მიმართებით, ის 2.2% ტოლია, რაც ორჯერ ნაკლებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციით რეკომენდირებულზე (5%).⁷⁵

ამრიგად სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ ჯანდაცვის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, როგორცაა - ანგარიშგება, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება, გამოკითხვა, მონიტორინგი, ანკეტირება, ინტერვიუ, შერჩევითი დაკვირვება; ასევე შევჩერდით ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის მაჩვენებელთა სისტემაზე. მიუხედავად ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმებისა, საქართველოში ჯანდაცვაზე დანახარჯები ბევრად ჩამორჩება განვითარებადი, მათ შორის მეზობელი ქვეყნების დანახარჯებსაც კი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქიმქლაძე, „სოციალური სტატისტიკა“, თბ. , 2013
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი www.geostat.ge
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge
4. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, შრომის და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის www.parliament.ge
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://www.mof.ge>
6. В.С. Балинова. Статистика в вопросах и ответах. М., Проспект, 2004
7. Н.П. Дашневская Международная статистика, Изд-во ЦЕНТР, БГУ, 2007

Statistical Issues of Health Care in Georgia

Zamira Shonia
Doctor of Economics

Abstract

Presented paper covers the forms and methods of gathering statistical information of healthcare system, in particular specially organized statistical observation, various surveys, selective observation, etc. Article also includes discussion regarding Healthcare system and its indicators.

Author in detail discusses different data from 2008 to 2016, in particular: quantity of doctors by specialization, indicator of population served by emergency health service, child morbidity indicator etc.

⁷⁴ ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქიმქლაძე, „სოციალური სტატისტიკა“, თბ. , 2013, გვ. 18

https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/socialuri%20statistika.pdf

⁷⁵ ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://www.mof.ge/>

Despite the reforms implemented in the health care system, the spending on health care in Georgia is far behind even the spending of developing countries.

Keywords: health care, healthcare indexes, absolute increase, growth rate, statistical observation.

უმაღლესი განათლების სტატისტიკა საქართველოში და გლობალიზაცია

ლია ჩარეიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

საქსტატის განყოფილების უფროსი

ანოტაცია

უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც უწყვეტი რეფორმების პროცესებშია, ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რათა მიუახლოვდეს საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების სისტემას, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომები რეიტინგული გახდეს.

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების დახასიათებისთვის, საქსტატში განუწყვეტლივ ხორციელდება სტატისტიკური კვლევის კითხვარების დახვეწა იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით.

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. მიღებული უმაღლესი განათლების შეფასების ერთი-ერთი კრიტერიუმია კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიის შესაბამისად, საქართველოში არ ჩატარებულა ასეთი ოფიციალური სტატისტიკური კვლევა.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის სტანდარტების შესაბამისად, უმაღლესი განათლების სტატისტიკა ზედმიწევნად ასახავს მიმდინარე პროცესებს. ეს ეხება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე სტუდენტებს.

სტატიაში გაანალიზებულია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის მაღალ დონეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ დაინტერესებას და საქართველოში განათლების მიღების მსურველთა ზრდას, ადგილი არ ექნებოდა.

მდგრადი განვითარების (SDG) მიზნების ამოცანების შესრულება მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, სტატისტიკა, კვლევა, მეთოდოლოგია

შესავალი

უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც უწყვეტი რეფორმების პროცესებშია, ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რათა მიუახლოვდეს საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების სისტემას, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომები რეიტინგული გახდეს. თუმცა არავინ უარყოფს იმას, რომ სიახლის დანერგვა, ნებისმიერ სფეროში მტკიცუნელია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც შედეგის ასახვა მომენტალურად არ ხდება. მიმდინარე რეფორმებს, ხშირად ქარცეცხლში ატარებენ, მაგრამ ალბათ ესაც საჭიროა, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ.

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების დახასიათებისთვის, საქსტატში განუწყვეტლივ ხორციელდება სტატისტიკური კვლევის კითხვარების დახვეწა იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით.

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. გაცვლითი პროგრამების მეშვეობით,

ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაგზავნა, რომელიც ჩვენი თანამემამულეებისთვის დიდი გამოცდილების მომტანია, ეცნობიან მათი სწავლების სისტემას, სახელმძღვანელოებს, პრაქტიკული მეცადინეობის თავისებურებებს და სხვ.

მიღებული უმაღლესი განათლების შეფასების ერთი-ერთი კრიტერიუმია კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიის შესაბამისად (Charekishvili, 2015) საქართველოში არ ჩატარებულა ოფიციალური სტატისტიკური კვლევა, თუმცა მიმაჩნია, რომ აუცილებელია. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა განათლების მიღება, მომავალი ჯანსაღი თაობების აღზრდის მნიშვნელოვანი ბერკეტია. სწორედ აქეთაა მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

გლობალიზაცია უმაღლეს განათლებაში

გლობალიზაცია ყველა სფეროს ეხება და ამიტომ არა გასაკვირი, რომ განათლების სფეროში პირდაპირ ასახება მიმდინარე პროცესები. გლობალიზაცია მსოფლიო განვითარების შედეგია და ნებისთი თუ უნებლიედ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრებაში დიდი თუ მცირე დოზით შეჭრილია. გამონაკლისი არც საქართველოა და არც უმაღლესი განათლება. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის სტანდარტების შესაბამისად, უმაღლესი განათლების სტატისტიკა ზედმიწევნად ასახავს მიმდინარე პროცესებს. ეს ეხება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე სტუდენტებს. სწორედ ამის შედეგია, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან უამრავი უცხოელი სტუდენტი ეუფლება სწავლას. საქართველოში განათლების მისაღებად ჩამოდიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, სადაც აღიარებულია საქართველოში გაცემული უმაღლესი განათლების დიპლომი (მათი უმეტესობა აზიის ქვეყნებიდანაა).

აღნიშნული პროცესების ასახვის მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, 2015 წლიდან, სტატისტიკურ კითხვარებში: „მონაცემები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ“ და „მონაცემები დოქტორანტების მომზადების შესახებ“, დაამატა შესაბამისი ინდიკატორები. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია საქსტატის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის. ეს მაჩვენებლებია:

- უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა სწავლების საფეხურების (განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის - ISCED 2011-ის მიხედვით);
- უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- უცხოელი სტუდენტების განაწილება ქვეყნების მიხედვით;
- უცხოელი სტუდენტების განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით;
- უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- უცხოელი დოქტორანტების განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით;
- უცხოელი დოქტორანტების განაწილება ქვეყნების მიხედვით.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებული მონაცემების საერთაშორისო შედარებას და მონაცემები ასახულია მათ ბაზაში.

უმაღლესი განათლების სტატისტიკა

განათლების მიღების შემდეგ შრომის ბაზარზე გასვლა ყველა ახალგაზრდის წინაშე მდგარი გამოწვევაა. ეს არის, როგორც საინტერესო, ასევე გარკვეული მოლოდინებით აღსავსე ეტაპი მათ ცხოვრებაში. მდგრადი განვითარების (SDG) მიზანი 4: „ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის“ მიღწეული უნდა იყოს 2030-თვის (ჩარეჟიშვილი, N3). ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემისთვის

ამ მიზნის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების როლი კრიტიკულია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში, აღნიშნულია ქ-ნ ინეზა გაგნიძის ნაშრომში (Gagnidze, 2018) და ამისათვის გვთავაზობს ახალ მოდელს. ამ ეტაპზე საინტერესოა უმაღლესი განათლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მრავალი კერძო, ფასიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას, თუმცა დროთა განმავლობაში ეს პროცესები დარეგულირდა კანონმდებლობით და 2017–2018 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 20 სახელმწიფო და 55 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ბოლო 15 წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ, 2004-2005 სასწ. წელს, ფუნქციონირებდა 172 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 2009-2010 სასწ. წელს - 108, ხოლო 2010-2011 სას.წელს - 33.

რაც შეეხება სტუდენტების რიცხოვნობას, 2017–2018 სასწავლო წელს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 143.8 ათასი შეადგინა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2004-2005 სასწ. წელს (172.5 ათასი), ხოლო ყველაზე დაბალი 2008-2009 სასწ. წელს (93.6 ათასი).


2005-2006 სასწ. წელთან შედარებით 70-ჯერ არის გაზრდილი უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა. 2017–2018 სასწავლო წელს, უცხოელი სტუდენტების 38 % არის ინდოეთიდან, ხოლო 27 %-აზერბაიჯანიდან, 8 % - ერაყიდან. 2005-2006 სასწ. წელს სტუდენტების 58 % იყო თურქეთის მოქალაქე, ამჯერად მხოლოდ 2 %-ია.

უცხოელი სტუდენტების გენდერული შემადგენლობა ასეთია: ინდოელი სტუდენტების 41 % ქალია, ხოლო აზერბაიჯანელი და ერაყელი სტუდენტებიდან შესაბამისად 17 % და 14 %. არის ისეთი ქვეყნები, საიდანაც 1-2 სტუდენტია ჩამოსული და ისიც მხოლოდ ქალები, ანუ 100 %-ს შეადგენენ, ასეთებია: ალჟირი, ბუტანი, ვანუატუ, თურქმენეთი, კონგო, მავრიკია, ტოგო, ტრინიდადი და ტობაგო, ჩილე და სხვ.

უცხოელი სტუდენტების უმეტესობა სწავლობს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (71.0%), ხოლო 22.0% - სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამებზე. უცხოელი სტუდენტების უმეტესობა არის 18-19 წლის ასაკის (შესაბამისად 18.2 და 15.9 %).

გრაფიკი 1

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა, კაცი




მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რამდენადაც სტუდენტების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით იჩერებს სტატუსს, რომელიც 5 წლითაა შესაძლებელი. კურსდამთავრებულთა რაოდენობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, სტუდენტების საერთო რიცხოვნობის შესაბამისად იზრდება.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამებს, 2017 წლის მონაცემებით 2011 წელთან შედარებით, რიცხოვნობა შემცირებულია 7.0 %-ით. სადოქტორო პროგრამებიდან ყველაზე რეიტინგულ მიმათულებებს წარმოადგენს: სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის სფეროები (დოქტორანტების მთლიანი რაოდენობის 45.0 %), ხოლო ნაკლებად მოთხოვნადია - სოფლის მეურნეობის (2.0 %) პროგრამა.

უცხოელი დოქტორანტებიდან ყველაზე მეტი (48.0 %) მოდის თურქეთის მოქალაქეებზე, მომდევნო ადგილზეა აზერბაიჯანი (10.0 %), ირანი (8.0 %).

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 12.2%, ხოლო წილი მშპ-ში 4.9 %.

გრაფიკი 2



ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა საშუალოთვიურმა ხარჯებმა მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში 2016 წელს შეადგინა 3.5 %, ნაცვლად 2012 წლის 4.3 %-ისა.

მოსახლეობის აღწერა ყველაზე მნიშვნელოვანი და ყოვლის მომცველია, რომელიც უამრავ ინდიკატორს იძლევა საქმიანობის ყველა მიმართულების მიხედვით, ერთ-ერთია ქვეყნის მოსახლეობის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციის მიღება და დამუშავება. ამიტომაც მნიშვნელოვანი მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების მიმოხილვა. 25-29 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (109 000 პირი). 25-74 წლის ასაკობრივ ჯგუფში 755 000 პირს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ხოლო 482 000 პირს - პროფესიული განათლება. განათლების მიღწეული დონე ახალგაზრდა თაობაში უფრო მაღალია, ვიდრე წინა თაობაში.

25-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი (39,8%) თითქმის ემთხვევა 30 – 39 წლის ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირებულ ანალოგურ

მაჩვენებელს, თუმცა საგრძნობლად აღემატება 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფისას (33,7%). ასაკის მატებასთან ერთად მცირდება უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილი მოცემული ასაკობრივი ჯგუფის შიგნით. უმაღლესი განათლების მიღწეული დონის მხრივ, ქალების წილი მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცებისას. 25–29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ქალების 44,1%-ს აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა მამაკაცების მხოლოდ 35,5%-ია უმაღლესი განათლებით, სხვაობა მათ შორის 8,6 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის თვალსაზრისით სქესთა შორის სხვაობა შედარებით ნაკლებია უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის. 30–39 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა შეადგენს 6,2% პუნქტს. 50–59 წლის ასაკობრივ ჯგუფში სხვაობა უმნიშვნელოა, ხოლო 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული წილი უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში.

25-29 წლის ასაკის ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარს, ანუ 86 000 პირს,

მიღებული აქვს უმაღლესი განათლება მაშინ, როცა 60 - 64 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 40%-ია უმაღლესი განათლებით (45 000 პირი). რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქაც, უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი უფრო მაღალია ახალგაზრდებში, ვიდრე უფროს თაობაში, თუმცა ახალგაზრდებს შორის უმაღლესი განათლება მხოლოდ 20%-ს აქვს.

დასკვნა

მდგრადი განვითარების (SDG) მიზნების ნაციონალიზაცია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ერთ-ერთი კრიტერიუმია. მიზნების ამოცანების შესრულება სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის. მეოთხე მიზანი გარკვეულ წილად ეხმაურება აგრეთვე გენდერული თანასწორობის მიღწევას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა მიზანი ერთმანეთთან გადაჯაჭვულია და დამოუკიდებლად ვერ დახასიათდება.

უმაღლესი განათლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის მაღალ დონეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ დაინტერესებას და საქართველოში განათლების მიღების მსურველთა ზრდას, ადგილი არ ექნებოდა. თუმცა, ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აღარ ვიფიქროთ კიდევ უფრო ღრმა რეფორმების გატარებაზე.

ზემოთ მოტანილი უმაღლესი განათლების ანალიზი ბევრი საინტერესო გამოწვევის წინაშე აყენებს საქართველოს მოსახლეობას, განათლების პოლიტიკის წარმმართველებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული როლი აქვს, მათზე ბევრია დამოკიდებული, უფრო მეტად უნდა ჩაერთოს საქართველო საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, რომ მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეებისთვის კი არა, არმედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც სახარბიელო გახდეს საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩარეჟიშვილი ლ., უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში, თსუ “ეკონომიკა და ბიზნესი” 2014, N3, გვ. 123-142
2. ჩარეჟიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი, საერთაშორისო

- სამეცნიერო კონფერენცია: “გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში”. გვ. 131-135
3. „საქსტატის“ ვებგვერდი (www.geostat.ge)
4. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, (თბილისი 2017)
5. ახალგაზრდები საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, თბილისი 2017, გვ. 46-49
<http://census.ge/files/results/publication/ge/5.%20YOUTH-Print-GEO F.pdf> [28. 02. 2018]
6. Gagnidze, I. and Maisuradze, N., (2016) “Systemic effects of international educational and scientific links. Proposals for the development of educational and scientific national system in Georgia”, *Int. J. Markets and Business Systems*, Vol. 2, No. 1, pp.25–44.
<http://www.inderscience.com/info/inarticle.php?artid=78102> (Accessed 23 February, 2018).
7. Lia Charekishvili (2015), Higher Education System in Georgia: Reforms and Modern Challenges. <http://www.iises.net/proceedings/teaching-education-conference-amsterdam/table-of-content/detail?article=higher-education-system-in-georgia-reforms-and-modern-challenges-pp.61-68>. (Accessed 27 February, 2018).

Statistics of Higher education in Georgia and Globalization

Lia Charekishvili

Doctor of Economics,

Head of Sub Division of GeoStat

Abstract

Globalization concerns all spheres and therefore it is not surprising that the processes in the field of education are directly reflected.

That's why so many foreign students from different foreign countries get education in the higher education institutions of Georgia.

Higher educational Statistical data of Georgia is analyzed.

Analysis of statistics of higher education clearly demonstrates the high level of education system of our country. Otherwise, such an interest and the desire to get education in Georgia would not have place. However, this does not allow us not to think of further deepening the reforms.

The status of higher education institutions should be further strengthened, so that getting education in Georgia is desired not only for the citizens of developing countries but for those, from the developed countries, also.

Keywords: Higher education, statistics, survey, methodology.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

ქეთევან ჩიტალაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

თსუ პროფესორის ასისტენტი

ელ. ფოსტა: ketevan.chitaladze@tsu.ge

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი ინდიკატორები, მოცემულია მათი კომპლექსური ანალიზი, რის საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, სტატისტიკის სფეროში არსებული პრობლემები და შეთავაზებულია მათი გადაჭრის კონკრეტული გზები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ვიზიტორი, სტატისტიკა, მატების ტემპი, ანალიზი.

ტურიზმი მსოფლიოში სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთ დარგად იქცა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის, რომელიც გამოირჩევა მსოფლიოში უნიკალური პოტენციალითა და მრავალფეროვნებით (1, გვ.18). მისი განვითარება ადეკვატურად აისახება მთელი ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებზე როგორცაა: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ფართო მოხმარების საგნების წარმოება და სხვა. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის ტურისტული ინდუსტრიის ფართო ქსელის შექმნა უმნიშვნელოვანესი მომენტია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უპირველეს ყოვლისა, ტურიზმი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა სუსტი უნარ-ჩვევების მქონე მუშახელისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის: ტრანსპორტი, მასპინძლობა, კვება და ტურისტული მომსახურება უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას უმაღლესი განათლების საჭიროების გარეშე.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საერთაშორისო ვიზიტორები უფრო ხანგრძლივად მოგზაურობენ და მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე შიდა ვიზიტორები. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების თანახმად, ოპერატორების უმრავლესობა პირველად თავისი ტურისტული პროდუქტით ცდილობს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადის საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა, აღნიშნული გამოცდილება შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული ქვეყნისთვის (2, გვ.158).

შემომყვანი ტურიზმი იძლევა ბაზრების დიფერენცირებისა და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას, რაც შიდა უარყოფითი ეფექტების (შოკების) დარეგულირებას უწყობს ხელს. მაგალითად, ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურება შეიძლება უარყოფითად აისახოს შიდა ვიზიტორებზე, ხოლო საერთაშორისო მოგზაურებზე დადებითი ან ნეიტრალური გავლენა იქონიოს. ამას შედეგად, ტურისტული ნაკადის დარეგულირება მოჰყვება. შემომყვანი ტურიზმისგან ბევრი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი, მათ შორის:

- საერთაშორისო მოგზაურობის ნაკადი არ არის კონცენტრირებული უქმე დღეების გარშემო და სეზონურობის დამღვევის კარგი საშუალებაა;

- სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე რისკების გადანაწილების საშუალებით შესაძლებელია უარყოფითი შედეგების შემცირება;

- შემომყვანი დისტრიბუციის ქსელში ჩართვა საშუალებას იძლევა ათვისებულ იქნას ახალი დისტრიბუციის ფორმები და პროდუქტი მსოფლიოს გარშემო მილიონობით პოტენციური მოგზაურისთვის ხელმისაწვდომი გახდეს;

- საერთაშორისო მოგზაურები საშუალოდ უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე შიდა მოგზაურები თითოეულ ვიზიტზე;


- წინასწარი დაჯავშნის პერიოდი ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივია და უკეთესი ბიზნეს დაგეგმვის საშუალებას იძლევა (3, გვ. 18).

საერთაშორისო ექსპერტები საქართველოში ტურიზმს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. არსებული პოტენციალის ანალიზის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, სათავგადასავლო, ეკო და ა.შ. ამასთან შესაძლებელია წვრილმასშტაბიანი ტურიზმის სახეების განვითარებაც – ქვეითი და ველოტურები, აგრო, ახალგაზრდული (ახალგაზრდების მოგზაურობა შემეცნებითი, სპორტული და რეკრეაციული თვალსაზრისით), ექსტრემალური ეთნიკური, ნოსტალგიური, და სხვ. ამ უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან - ევროპასთან.

2010-2017 წწ. უშუალოდ საქართველოს საზღვარზე უცხოელ ვიზიტორთა ჩამოსვლების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1⁷⁶

საქართველოს საზღვარზე უცხოელ ვიზიტორთა ჩამოსვლების რაოდენობა 2010-2017 წლებში



როგორც დიაგრამიდან ირკვევა, 2010-2017 წლებში საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამ პერიოდში საშუალოწლიურმა მატებამ 789 031 ვიზიტორი შეადგინა.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ძირითად ბაზარს მეზობელი ქვეყნები წარმოადგენს. 2016 წელს მათზე მთლიანი შემოსვლების 89 % მოდიოდა. აქედან,

⁷⁶ წყარო: დიაგრამა აგებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდის მონაცემების საფუძველზე.

თურქეთზე 27%, სომხეთზე 25%, აზერბაიჯანზე 23%, რუსეთზე კი 17%. ვიზიტორების წარმომავლობა რიგ ფაქტორებზე ახდენს გავლენას, მათ შორისაა:

- ვიზიტის ხანგრძლივობა;
- დანახარჯები, საკვები, საყიდლების როდენობა;
- აქტივობა და მონახულებული ღირსშესანიშნაობა;
- საქართველოში მონახულებული ადგილები;
- განთავსების საშუალებების ტიპი და ტურები.

ბოლო სამი წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი ნაწილი ივლისსა და აგვისტოში სტუმრობს საქართველოს. სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი მოგზაურთა რაოდენობის მხრივ პირველ სამეულს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 1.). ამ ქვეყნებზე საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების დაახლოებით 76% მოდის.

ცხრილი 1⁷⁷

**საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების მიხედვით ტოპ-ათეული ქვეყანა
(2016-2017 წწ)**

ქვეყანა	წლები		ცვლილება (%)
	2016	2017	
სომხეთი	1 496 437	1 718 016	+14,8
აზერბაიჯანი	1 523 703	1 694 998	+11,2
რუსეთი	1 038 750	1 392 610	+34,1
თურქეთი	1 256 561	1 246 745	- 0,8
ირანი	147 937	322 918	+118,3
უკრაინა	174 858	193 002	+10,4
ისრაელი	92 215	125 319	+35,9
ინდოეთი	34 410	59 732	+64,1
ყაზახეთი	48 849	56 765	+16,2
საუდის არაბეთი	21 257	56 247	+164,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, თურქეთიდან 0,8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული ვიზიტორთა რაოდენობა, ხოლო სომხეთიდან - 14,8, აზერბაიჯანიდან - 11,2 და რუსეთიდან - 34,1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. მიუხედავად იმისა რომ, სხვა ქვეყნებიდან ჩამომსვლელების წილი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება განსხვავება მაინც ძალიან ამკარაა. ვფიქრობთ, რომ ეს არა მანძილით, არამედ მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის ნაკლები ცნობადობითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წლის მონაცემების საფუძველზე ვიზიტორთა ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდანაც. ამ მხრივ გამოირჩევა დიდი ბრიტანეთი - 40 %, საფრანგეთი - 30%, გერმანია - 29 %, ლატვია - 21 %, ლიტვა და იტალია 17-17 %. შუა აზიის ქვეყნებიდან: ყაზახეთი - 17 %, უზბეკეთი - 75 %. აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 25 - % იანი ზრდაც.⁷⁸

⁷⁷ წყარო: ცხრილი შედგენილია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდის მონაცემების საფუძველზე.


⁷⁸ <http://reginfo.ge>

სასტუმროების ბაზარზე ამჟამად აჭარის ზღვისპირა რეგიონი და თბილისი დომინირებს. სულ საქართველოს ტერიტორიაზე 1058 განთავსების საშუალებაა 37 252 საწოლი ადგილით. საწოლების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე აჭარის რეგიონია. მათი რაოდენობის 67 % სასტუმროებზე მოდის. შემდეგ არის სასტუმრო სახლები (18 %) და საოჯახო სასტუმროები (16%). ბოლო პერიოდში მოგზაურების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღინიშნება განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გადაჭარბება მიწოდებაზე, რაც პერსპექტივაში განთავსების საშუალებების რაოდენობის ზრდის საფუძველი შეიძლება გახდეს. (4, გვ. 4)

რაც შეეხება საქართველოში საერთაშორისო შემოსვლებს საზღვრების ტიპების მიხედვით 2017 წლის მონაცემებით 78 % უკავია სახმელეთო შემოსვლებს, 20,5 %- საჰაეროს, 1 % - რკინიგზას და 0.5 % საზღვაოს (იხ. დიაგრამა 2).

შემომსვლელი ტურისტები საზღვრის ტიპების მიხედვით

დიაგრამა 2⁷⁹




აღნიშნული მონაცემები ცალსახად გვიჩვენებს, რომ საქართველოში არის სექტორები, რომელიც უფრო სწრაფ განვითარებას საჭიროებს. ეს ძირითადად საჰაერო მიმოსვლას ეხება, ასევე ძალზედ საინტერესო და პერსპექტიულია საზღვაო ტრანსპორტიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გახსნილია ქუთაისის აეროპორტი, საჰაერო სივრციდან შემომსვლელი ტურისტების წილი მაინც ნაკლებია, რაც მსგავს მომსახურებაზე შესაძლოა მაღალი ფასებით იყოს გამოწვეული.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2017 წელს 2,8 მილიარდი აშშ. დოლარი შეადგინა. ხოლო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში უცხოური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები 219 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 47 მილიონი ლარით მეტია. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც. (8, გვ.2)

⁷⁹ წყარო: დიაგრამა აგებულია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდის მონაცემების საფუძველზე.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა 2010-2016 წლებში


დიაგრამა 3⁸⁰



როგორც დიაგრამიდან ჩანს 2009-2012 წლებში ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობასთან ერთად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2012 წლიდან, როდესაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი საკმაოდ შენედა და ყველაზე დაბალი ზრდა 2014 წელს დაფიქსირდა. ამაში განსაკუთრებული წვლილი ქვეყანაში ახალი სავიზო რეგულაციების შემოღებამ შეიტანა, კერძოდ: 2014 წელს საქართველომ უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 24 ქვეყანასთან გააუქმა, რამაც თავის მხრივ ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობასა და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზეც იქონია გავლენა. სავიზო რეგულაციების გამკაცრებიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ აღიარა დაშვებული შეცდომა და მკაცრი სავიზო რეჟიმის უარყოფითი გავლენის შესარბილებლად სავიზო რეგულაციები გაამარტივა. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგი იმავე წელსვე აისახა ტურიზმის სექტორზე და ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რიცხვი და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი კვლავ დაუბრუნდა მზარდ ტენდენციას. 2016 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 11,9 %-ით გაიზარდა და 2,02 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს - 2.8 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 30 %-ით აღემატება წინა ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება შიდა ტურიზმს, საერთაშორისო ტურიზმისგან განსხვავებით იგი ახლო მანძილით გამოირჩევა და ხასიათდება ქცევის განმეორებითობით. შიდა ვიზიტორებმა საერთაშორისო ვიზიტორებისგან განსხვავებით იციან მასპინძელი ადგილის კულტურა, კლიმატი და სასაუბრო ენა. ადგილმდებარეობის სიახლოვის გამო, შიდა ტურიზმის შემთხვევაში ძირითადად სახმელეთო ტრანსპორტი გამოიყენება, რაც ამცირებს დროისა და ვიზიტის ხარჯებს. შიდა ტურიზმი საერთაშორისო ტურიზმისგან განსხვავებით ნაკლებად ხასიათდება სეზონურობით და ხელს უწყობს შემოსავლების გადანაწილებას ქალაქისა და სოფლის დასახლებებს შორის. ასევე, შიდა ტურიზმი ნაკლებად მგრძობიარეა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური შოკებისა და კრიზისების მიმართ.

⁸⁰ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



2017 წლის მონაცემებით შიდა ვიზიტორთა უმრავლესობა თბილისს ესტუმრა (26 %), ვიზიტების სიმრავლით მეორე ადგილზეა იმერეთი (18,5%), ხოლო მესამეზე აჭარა (12,6%). რაც შეეხება შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებულ დანახარჯებს, შიდა ვიზიტორების მიერ გაწეული საშუალო თვიური დანახარჯი წლის განმავლობაში მიახლოებით 158 მილიონი ლარია (დანახარჯები განსხვავებულია სეზონურობის მიხედვით და პიკს მესამე კვარტალში აღწევს, როდესაც საშუალო თვიური დანახარჯი მიახლოებით 260 მილიონ ლარს უტოლდება). ხარჯების ყველაზე დიდი წილი კვებაზე, საყიდლებსა და ტრანსპორტზე მოდის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ტურისტული პოტენციალი ეჭვს არ იწვევს, თუმცა, მისი მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილია დღეისათვის ათვისებული. იმისათვის, რომ მოხდეს რეალური ძვრები ამ პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია იმ შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი, რაც ტურიზმის ინტენსიურ და ექსტენსიურ განვითარებას უშლის ხელს.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორების ნაწილი ობიექტურად ქვეყნის ზეგავლენის არეალის გარეთაა. თუმცა, შესაძლებელია მათი მინიმუმაც, დანარჩენი პრობლემების გამოსწორება კი მთლიანად ქვეყნის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

დღეისათვის ტურისტების შიში ოკუპირებულ, საომარ ვითარებაში მყოფ, არასტაბილურად პოლიტიკურ და სოციალური გარემოს მქონე ქვეყანაში სტუმრობისა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ობიექტურად შემაფერხებელი ფაქტორია, თუმცა, მისი ნიველირების შესაძლებლობა არსებობს. ის, რომ დღეს საერთაშორისო არენაზე აქტიურად მიმდინარეობს ზეწოლა რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს 2008 წელს ნაკისრი ვალდებულებები, ქმნის გარკვეულ გარანტიებს თუნდაც არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნებისა და საომარი მოქმედებების არგანახლებისა. რაც შეეხება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე პოლიტიკურ სტაბილურობას, ამის ერთადერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება დემოკრატიზაციის ამადლება, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.

⁸¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი

ყოველივე ამის მსოფლიოსათვის სათანადო დონითა და სახით მიწოდება შეამცირებს საქართველოში ტურისტებისათვის რისკის შეგრძნებას და თავისთავად გაზრდის მსურველთა რაოდენობას.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლებასა და სათანადო ანალიზის განხორციელებას (1, გვ. 89). ამისათვის კი საჭიროა საქსტატის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის უწყებათშორისი კომისიის ინტენსიური მუშაობა, რომელიც შექმნილია სწორედ ტურიზმის სტატისტიკის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე - სტატისტიკა ტურიზმისთვის. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2015
2. ქ. ჩიტალაძე, „საქართველოს ტურისტული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე ტენდენციები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მოხსენებათა კრებული, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2016
3. სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად, პირველი გამოცემა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2015.
4. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაცია (2012წელი)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი www.Geostat.ge
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი www.gnta.ge
7. <http://www.tourism-association.ge/>
8. <http://forbes.ge>
9. <http://factcheck.ge/>

Modern trends in tourism development

Ketevan Chitaladze

Doctor of Economics

Email: ketevan.Chitaladze@tsu.ge

Abstract

According to the analysis of tourism potential, we can conclude that today a very small part of it is assimilated. It gives us opportunities to reduce and minimize the hindrance factors' influencing on intensive and extensive development of tourism by making real changes and measures which are the result of an active and effective policy-making. In order to strengthen the impact of tourism on the economy there should be policy as a result of comprehensive and systematic analysis of the tourism potential. This will increase the quality of tourists' service. Keywords: Tourism potential, Visitors, Statistics, Growth rate, Tourism products.

Keywords: Tourism potential, Visitors, Statistics, Growth rate, Tourism products.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები და სტატისტიკა საქართველოში

მებისაური ლია
ეკონომიკის დოქტორი,
საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების
სტატისტიკის სამმართველოს უფროსი (საქსტატი)
Ldzebisauri@geostat.ge

ანოტაცია

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლა და მისი სტატისტიკური ანალიზი ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, უფრო მეტ ყურადღებას იქცევს და რჩება ქვეყნების გლობალური ეკონომიკური განვითარების შეფასების მნიშვნელოვან საანალიზო ინსტრუმენტად.

2017 წლის იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“. სწორედ აღნიშნული რეფორმის შედეგი იყო 2017 წელს საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტიციის მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც წინასწარი მონაცემებით, 2016 წელთან შედარებით, 129,5% შეადგინა და მისი წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 38,2%-ით განისაზღვრა. შესაბამის პერიოდში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,8 მლრდ აშშ დოლარი და წინა წელთან შედარებით 16,2%-ით მეტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მარტში შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მისიის რეკომენდაცია საგარეო სექტორის სტატისტიკის განვითარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებულ ფორმატში, რამაც გამოიწვია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვა და 2002-2017 წლების მონაცემების განახლება.

მზარდია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო მდგომარეობის და მისი მიმზიდველობის შეფასებისთვის, პერსპექტიული საინვესტიციო დარგების და სტრატეგიული პარტნიორების განსაზღვრისთვის, არამედ, ოპტიმალური ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისთვის.

სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი როლი კი აღნიშნული პროცესების მართვასა და რეგულირებაში, დროული, განახლებული და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და გავრცელების უზრუნველყოფაა.

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ნაშთები, ტენდენცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, უფრო მეტ ყურადღებას იქცევს და რჩება ქვეყნების გლობალური ეკონომიკური განვითარების შეფასების მნიშვნელოვან საანალიზო ინსტრუმენტად.

ისტორიულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება ინვესტორებს საშუალებას აძლევს მოიძიონ ის ბაზრები, სადაც მათი კაპიტალდაბანდებების უკუგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და მცირე რისკი იქნება. თუმცა მასზე მოქმედებს არა მხოლოდ

ქვეყნის შიდა ბიზნეს გარემო, არამედ ეკონომიკური მდგომარეობა მსოფლიო ინვესტიციების განმახორციელებელ ქვეყნებში.


როგორც ინოვაციების სფეროში წამყვანი მოთამაშის Bertin & Co. Inc-ის დამფუძნებელი, საზოგადოებრივი ურთიერთობების პროფესიონალი, ტექნოლოგიური ჟურნალისტი და კორპორაციული მრჩეველი, ლუ ბერტინი ამბობდა „გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარემო სარკისებურად ასახავს პლანეტაზე მარტის ამინდს - ზოგისთვის მცირე ცვლილებებს და სხვების დიდ პოტენციალს.“

დაკვირვებებმა და გლობალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მდგრადი აღმოჩნდა ფინანსური კრიზისის პერიოდებში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 1997-98 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, როცა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საოცრად სტაბილური აღმოჩნდა. მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობა შეიმჩნეოდა კერძო კაპიტალის ნაკადების სხვა ფორმებში, კერძოდ, პორტფელური სააქციო კაპიტალის და სავალო ნაკადების (სხვა ინვესტიციები) ნაწილში, სადაც იმავე პერიოდში რევერსული მდგომარეობა დაფიქსირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგრადობა ფინანსური კრიზისის პერიოდში ასევე ცხადი იყო მექსიკისა (1994-95 წწ.) და ლათინური ამერიკის (1980წ) სავალო კრიზისის დროს.

ეს მდგრადობა შესამჩნევი იყო ასევე, მრავალ განვითარებად ქვეყანაში (იხ. დიაგრამა 1.), რამაც უნდა წახალისოს და ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეტად განვითარებას კაპიტალის ნაკადების სხვა ფორმებთან შედარებით.

ეკონომისტები მხარს უჭერენ კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას ეროვნულ საზღვრებს გარეთ, რადგან ის საშუალებას იძლევა მიღებული იქნას მაღალი უკუგება. კაპიტალური ნაკადების შეუზღუდავ გადაადგილებას ასევე გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები. პირველ რიგში, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები ამცირებს მისი მფლობელის რისკებს, რომლებსაც საშუალება აქვთ მოახდინონ საკუთარი ინვესტიციების დივერსიფიკაცია. მეორე, კაპიტალის ბაზრების გლობალური ინტეგრაცია ხელს უწყობს კორპორაციული მართვის, აღრიცხვის წესების და სამართლებრივი ტრადიციების საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას და მესამე - კაპიტალის გლობალური მობილობა ზღუდავს ხელისუფლების შესაძლებლობას ცუდი პოლიტიკის გატარებაში.

დიაგრამა №1



წყარო: <http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm#author>.

ზემოაღნიშნულ უპირატესობებთან ერთად, რომელიც ძირითადად ეხება ყველა სახის კერძო კაპიტალურ ნაკადებს, მიმდებმა ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან შეიძლება მიიღოს დამატებითი სარგებელიც სხვადასხვა ფორმით:

- ის საშუალებას იძლევა მოხდეს ახალი ან/და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემა, განსაკუთრებით ახალი ტიპის კაპიტალის შემოტანის სახით, რომელიც შეიძლება ვერ იქნას მიღწეული ფინანსური ნაკადების, ან საქონლისა და მომსახურების იმპორტის გზით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ხელს უწყობს კონკურენციის გაძლიერებას შიდა ბაზარზე;

- მიმღები ქვეყანა ხშირად იღებს სარგებელს დასაქმებულის გადამზადებით, რომელიც აუცილებელია ახალი ბიზნესის ოპერირებისათვის და შესაბამისად, უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას;

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით გენერირებული მოგება ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას მოცემულ ქვეყანაში.

რასაკვირველია, ქვეყნები ხშირად ასეთ შემოსავალს კარგავენ, როცა ცდილობენ კორპორაციული საგადასახადო განაკვეთების შემცირებას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისების გამო. თუმცა ეს პოლიტიკა ხელს უწყობს მასპინძელ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკის ზრდას.

აღნიშნულ საკითხს ეხმაურება საქართველოს საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“-ს შემოღება, რაც ითვალისწინებს დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას ანუ გულისხმობს რეინვესტიციის შემთხვევაში კომპანიის გათავისუფლებას მოგების გადასახადისგან.

2017 წლის იანვრიდან ეს მოდელი ძალაში შევიდა. სწორედ აღნიშნული რეფორმის შედეგი იყო 2017 წელს საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტიციის მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც წინასწარი მონაცემებით 129,5% შეადგინა და მისი წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 38,2%-ით განისაზღვრა (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიციის წილი საქართველოში 2013-2017 წწ.

	2013	2014	2015	2016	2017*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	27.1	17.8	9.5	19.4	38.2

*წინასწარი მონაცემები.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლას აწარმოებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ძირითადად არასაფინანსო კორპორაციების სტატისტიკური გამოკვლევის გზით) და ეროვნული ბანკი (საფინანსო სექტორის ნაწილში: კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიები). მონაცემთა შეგროვება და დამუშავება ეფუძნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიას „საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო“ (1993წ., მეხუთე გამოცემა), რომელიც განახლებული გამოცემისგან („საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“, 2008წ., მეექვსე გამოცემა) განსხვავებით, ითვალისწინებს ინვესტიციების აღრიცხვას მიმართულებების მიხედვით: პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ და პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთიდან. მეექვსე ვერსიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაყოფა მოცემულია აქტივებად და პასივებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლის შესწავლის თვალსაზრისით, მეთოდოლოგიაში ცვლილებები არ მომხდარა, განსხვავებულია

მხოლოდ მათი განაწილება. საბოლოო ჯამში, მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების მონაცემები ერთი და იგივეა ორივე ვერსიის მიხედვით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სტატისტიკური მონაცემების გადასინჯვისა და კორექტირების აუცილებლობა, რომელიც მსოფლიო სტატისტიკის პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდი და მეტად მნიშვნელოვანი პროცესია. ის საშუალებას იძლევა მივიღოთ განახლებული ინფორმაცია, როგორც მეთოდოლოგიასა და კლასიფიკაციებში განხორციელებული ცვლილებების, ისე ინფორმაციულ წყაროებში ასახული დაზუსტებების შესაბამისად.

აქვე შევეხებით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკაში განხორციელებულ უახლეს დაზუსტებებს და განახლებული ინფორმაციის შედეგად არსებულ ტენდენციებს.


საქსტატის ინფორმაციით, 2017 წლის დეკემბერში შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2016 წლის ნოემბრის მისიის მიერ წარმოდგენილი 2 ძირითადი რეკომენდაცია საგარეო სექტორის სტატისტიკის და კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებით.

პირველი რეკომენდაცია ითვალისწინებდა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა ხანგრძლივი დინამიკური მწკრივის გადასინჯვას, აუცილებელი ცვლილებების განსაზღვრას და საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფას. პირველ ეტაპზე ცვლილებები შეეხო 2002-2016 წლების მონაცემებს.

2018 წლის მარტში შესრულდა მორიგი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიციის (ნაშთები) მონაცემების წარმოებას ინტეგრირებული ფორმატით (საერთაშორისო საინვესტიციო მდგომარეობის სტატისტიკის შესაბამისად, რომელიც ნაკადებთან ერთად ითვალისწინებს ნაშთების ასახვასაც). ამ პროცესმა კიდევ ერთხელ გამოიწვია მონაცემთა ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვისა და დაზუსტების აუცილებლობა ნაშთებისა და ნაკადების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მეორე ეტაპის ცვლილებები შეეხო 2006-2017 წლების მონაცემებს.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, 2017 წელს (წინასწარი მონაცემებით) საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 1861.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.2 %-ით აღემატება 2016 წლის მონაცემს. მაჩვენებლის ტენდენცია 2005-2017 წწ. დინამიკაში მოცემულია დიაგრამაზე №2.

დიაგრამა №2




როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენცია მზარდია. 2009-2010 წლებში ჩავარდნა გამოწვეულია 2008 წლის ომის შედეგებით, ხოლო 2012 წელს - საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოლოდინით. ამ წელს, ბოლო 8 წლის განმავლობაში, ყველაზე დაბალი რეინვესტიციის მოცულობა დაფიქსირდა, რაც დივიდენდების აქტიური გაცემის შედეგად იყო გამოწვეული.

ზოგადად, საქართველოში არსებული ტენდენცია თითქმის იმეორებს პირდაპირი ინვესტიციების მსოფლიო ტენდენციას, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაზე (დიაგრამა №3). მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშის თანახმად, 2017 წელს პროგნოზირებულია გლობალური პირდაპირი უცხოური საინვესტიციო ნაკადების ზრდა 1,8 ტრილიონ. აშშ დოლარამდე.

დიაგრამა №3.

Figure 1. FDI inflows: global and by group of economies, 2005–2016
(Billions of US dollars)



Source: ©UNCTAD.

*Preliminary estimates.

Note: Excluding Caribbean offshore financial centers.

საინტერესოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არა მხოლოდ ჯამური მაჩვენებლის, არამედ მისი შემადგენელი ძირითადი კომპონენტების მიხედვით ჩამოყალიბებული ტენდენციები. კერძოდ, სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციისა და სავალო ვალდებულებების მოცულობა (იხ. ცხრილი №2). როგორც მონაცემები გვიჩვენებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, ტრადიციულად, მნიშვნელოვანი წილით ხასიათდება სააქციო კაპიტალი და ბოლო მონაცემებით 60,1 %-ს შეადგენს.

ცხრილი №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)	2013	2014	2015	2016	2017*
სულ	1 020.6	1 818.0	1 652.5	1 602.9	1 861.9
მათ შორის:					
სააქციო კაპიტალი	534.3	1 151.9	1 269.6	1 821.9	1 118.7
რეინვესტიცია	276.5	322.9	157.7	310.2	712.1
სავალო ვალდებულებები	209.9	343.2	225.2	-529.3	31.1

*წინასწარი მონაცემები.


რაც შეეხება ინვესტორ ქვეყნებს, აღსანიშნავია რომ დივერსიფიკაციის დონე საკმაოდ დაბალია. სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2017 წლის წინასწარი მონაცემებით, 54.3 %-ს შეადგენს. პირველ ადგილზე

აზერბაიჯანი იმყოფება 25.9 %-ით, მეორეზე - თურქეთი 15.0 %-ით, ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 13.4 %-ით.

უმსხვილესი ხუთეულის სტრუქტურა, რომელთა წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 73,6 %-ს შეადგენს, წარმოდგენილია დიაგრამაზე №4:

დიაგრამა №4

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2017* წელს (%)



უმსხვილეს ქვეყნებს შორის, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ლიდერობს აზერბაიჯანი (იხ. ცხრილი №3), რაც მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტს უკავშირდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პროექტი დასრულების ფაზაშია და მომავალში ამ მიმართულებით ინვესტიციების შემოსვლა აღარ არის მოსალოდნელი.

ცხრილი №3

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

ქვეყანა	2013	2014	2015	2016	2017*
სულ	1 020.6	1 818.0	1 652.5	1 602.8	1 861.9
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	84.6	340.5	581.7	558.2	482.1
თურქეთი	51.4	73.9	74.6	205.2	279.0
გაერთიანებული სამეფო	55.2	108.9	386.4	119.6	250.4
ნიდერლანდები	158.2	376.8	115.1	62.7	224.3
ჩეხეთი	43.6	52.0	16.7	64.1	133.8
დანარჩენი ქვეყნები	627.6	865.9	478.1	593.0	492.3

*წინასწარი მონაცემები.

მნიშვნელოვანია, აქვე შევეხოთ საინტერესო მეთოდოლოგიურ საკითხს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესწავლისას გამოიყენება საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი (NACE 2), რომელის საშუალებით ფიქსირდება კონკრეტულ პერიოდში საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახე. თუმცა აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სპეციფიკა სფეროების მიხედვით განაწილებაში. ამ შემთხვევაში, გაითვალისწინება საწარმოს საბოლოო პროფილი და არა კონკრეტულ შესასწავლ პერიოდში მოცემული საწარმოს ძირითადი საქმიანობის სახე. ასე მაგალითად, ენერჯოპლუსის, სამკურნალო დაწესებულების, სასტუმროს მშენებლობის პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აისახება შესაბამისად - ენერჯეტიკის, ჯანდაცვის და სასტუმროების სფეროში და არა მშენებლობაში. ასეთი მიდგომა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შესაბამის სფეროში რეალურად დაბანდებული ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრისთვის, არამედ მის შესაფასებლად საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული დინამიკაც არ არის ინტერესს მოკლებული და შეიძლება ითქვას, რომ თუ არ ჩავთვლით რომელიმე განსაკუთრებული პროექტის განხორციელების პერიოდს, სხვა შემთხვევაში, ძირითადი სფეროები მეტნაკლებად თანაბარი ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრილი №4). ხუთი ძირითადი სფეროს წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2017 წლის წინასწარი მონაცემებით 79,2 %-ს შეადგენს.

ცხრილი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

	2013	2014	2015	2016	2017*
სულ	1 020.6	1 818.0	1 652.5	1 602.9	1 861.9
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	141.8	433.7	587.5	677.5	527.1
საფინანსო სექტორი	174.4	126.6	190.0	153.9	304.3
მშენებლობა	79.5	324.6	143.6	137.7	294.6
ენერჯეტიკა	244.7	190.0	123.7	117.1	188.6
უძრავი ქონება	62.3	149.6	90.1	95.2	159.8

*წინასწარი მონაცემები.

დასასრულს მინდა ყურადღება შევაჩერო ერთ საინტერესო სტატისტიკურ პროდუქტზე, რომელიც სიახლეა ქართულ სტატისტიკაში და უკავშირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციას. საქსტატმა, 2018 წლის მარტის ბოლოს, გამოაქვეყნა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობა ქვეყნების მიხედვით, ინტეგრირებული ფორმატით. მსგავსი სტატისტიკა, გარდა იმისა, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი საანალიზო დოკუმენტია, წარმოდგენას იძლევა არა მხოლოდ ქვეყნებიდან კონკრეტულ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე, არამედ საკურსო, ფასის და სხვა ცვლილებებზე, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში არსებულ მდგომარეობაზე კონკრეტული თარიღისთვის (იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობა საქართველოში პერიოდის ბოლოს

(მლნ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	9/30/2017*	ცვლილებები საანგარიშო პერიოდში				12/31/2017*
		საოპერაციო	საკურსო	ფასის	სხვა	
სულ	16 896.8	497.4	-397.8	311.9	80.6	17 388.9
მათ შორის:						
აზერბაიჯანი	3 686.7	104.1	-3.3	-	-0.3	3 787.2
გაერთიანებული სამეფო	2 378.5	75.9	-91.5	312.2	91.1	2 766.1
ნიდერლანდები	2 462.8	90.4	-81.1	-0.3	-1.1	2 470.8
თურქეთი	1 158.7	17.4	-40.4	0.0	-3.4	1 132.3
ჩინეთი	648.2	15.6	-9.1	-	1.4	656.1
დანარჩენი ქვეყნები	6 562.1	194.0	-172.5	0.0	-7.2	6 576.4

*წინასწარი მონაცემები.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობამ 17,4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ყველაზე მეტი ფიქსირდება აზერბაიჯანიდან - 3,8 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით. მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 2,8 მლრდ. და მესამეზე ნიდერლანდები 2,5 მლრდ. აშშ დოლარით.

უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულის რეიტინგი განსხვავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოპერაციებისა და ნაშთების მიხედვით, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ ორი, თითქოს იდენტური, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული სტატისტიკის ანალიზს. თუმცა, აზერბაიჯანი საინვესტიციო მდგომარეობითაც ლიდერის პოზიციას იკავებს. აღნიშნული გამოწვეულია არა მხოლოდ გაზსადენის, არამედ წინა პერიოდებში ნავთობსადენის მშენებლობით, რამაც გაამყარა მეზობელი ქვეყნის პოზიციები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

მეტი სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, „ნაშთების“ ცხრილიდან შეესაბამება მხოლოდ საანგარიშო პერიოდის საოპერაციო ცვლილებას.

დასკვნა

ამგვარად, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციების შესწავლა და სტატისტიკური ანალიზი დღითი-დღე უფრო აქტუალური ხდება. მზარდია მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო მდგომარეობის და მისი მიმზიდველობის შეფასებისთვის, პერსპექტიული საინვესტიციო დარგების და სტრატეგიული პარტნიორების განსაზღვრისთვის, არამედ, ოპტიმალური ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისთვის. პოლიტიკური გადაწყვეტილებების და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ლოგიკური გაგრძელება იქნება მეტი უცხოური ინვესტიცია ქვეყანაში, რაც უზრუნველყოფს მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, გაზრდილ ადგილობრივ წარმოებას, მეტ ექსპორტს, შესაბამისად მეტ შემოსავალს და ეკონომიკურ ზრდას, რაც ბუნებრივად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე და უზრუნველყოფს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის ამაღლებას. ეს უკანასკნელი კი ლოგიკურ ჯაჭვში დაატრიალებს მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას საქართველოში.

სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი როლი კი აღნიშნული პროცესების მართვასა და რეგულირებაში, დროული, განახლებული და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და გავრცელების უზრუნველყოფაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2016 წ. (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3192050>)
2. <https://www.americanexpress.com/us/content/foreign-exchange/articles/foreign-direct-investment/>
3. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/webdiaeia2017d1_en.pdf
4. <http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm>
5. <https://www.geostat.ge>

Foreign Direct Investment Trends and Statistics in Georgia

Lia Dzebisauri

Doctor of Economics
Head of External Trade and Foreign investments
Statistics Division (Geostat)

Abstract

Foreign direct investments (FDI) in Georgia and its' statistical analysis is becoming an ever more important part of the national economy. FDI offers many new opportunities for sustainable development and comes with serious policy challenges as well. Resumption of growth in trade and a recovery in corporate profits supported an increase in FDI flows in 2017. New tax legislation, based on Estonian model were introduced and adopted in January of the last year in Georgia for investment promotion. As a result, reinvested earnings have increased by 129.5% in 2017 compared to 2016. In the same period the total FDI amounted to USD 1.8 billion (preliminary data) up 16.2 percent from the previous year.

It should be mentioned that recommendations of technical assistant mission of International Monetary Fund on external sector statistics, has been implemented. In particular starting compilation of position data for direct investments in an integrated format, which was resulted adjustment of FDI time series. Historical data for 2002-2017 had been updated.

The reform efforts are intended to facilitate a robust assessment of economic development and timely inform economic policy-makers. Reliable and updated statistics are essential in this regard.

სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური
კვლევები საქართველოში

სამეცნიერო გამოცემა

Teaching Statistics and
Statistical Researches in Georgia

Scientific Publication



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com